

საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

გურგენ გურჩიანი

სვანური მუსიკალური ფოლკლორი  
ეთნომუსიკალურ ასპექტში

თბილისი

2022

ISBN 978-9941-8-4940-4

რედაქტორი ბაია ასიქშვილი

სვანური ტექსტების რედაქტორი რუსუდან იოსელიანი  
ხმის რეჟისორი არჩილ ბურჭულაძე  
მთარგმნელი მაია კაჭკაჭიშვილი  
დიზაინერი ნიკოლოზ გოგაშვილი  
კონსულტანტი ნანა ვალიშვილი  
კომპიუტერული უზრუნველყოფა სოფიო კოტრიკაძისა

პროექტის ხელმძღვანელი სოფიო კოტრიკაძე

© გურგენ გურჩიანი

© საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

# სარჩევი

წინათქმა	5
ბუნების აღორძინების ხალხური დღესასწაულები სვანეთში	17
კვირია	49
კვირია – ლადამური გარიანტი	58
კვირია – ქვემოსვანური გარიანტი	60
კვირია – ლაბსყალდური გარიანტი	62
კვირია – გადრანების გარიანტი	69
ადრეკილა	73
მელია-ტულეფია	77
იავ ქალთიდ	80
ქალთიდ	85
იავ ქალთი	91
ჯგრაბგიშ	96
ასურლულა	98
ჯგრაბგიშ – ბალსქემოური გარიანტი	102
ჯგრაბგის მესტიური გარიანტი	103
გა	104
სადამი	111
საიღეშ	117
უშგულ ლასმან	119
მირმინქელა	121
უფლიშიშ სადამ	127
ლამზგრიაშ	130
დიადებ	134

ლაუღვიაშიშ დიადებ	136
ცხატქრისდეჭ	139
ზაშინავა	141
აელითა ი მაელითა	143
ქალდან მურზა	145
ყაიო სუმა	145
გაბრიელ მახარებელ	146
ლილე	147
რაიდიო	152
შგარიდა	155
პარიზა რიზა	158
შინა ორგილ	159
შეხე აბრაძ	160
მურზაყან (კონსტანტინე) დადეშქელიანი	164
უარედა	167
ლაგუშედა	169
დამოწმებული ლიტერატურა	171
ანსამბლ შგარიდას მიერ აღდგენილი სიმღერები	172
ქართული (სვანური) მუსიკალური ფოლკლორის მოღვაწეები	176
აუდიოალბომის სიმღერების სია	183
Svan Folk Music from Ethnomusical Aspect	184

## წინათქმა

„ისე არაფერი ინახავს მაგაპაპურ  
ტრადიციებსა და ქართულ სულს, როგორც სიმღერა“  
ანზორ ერქმაიშვილი

ყოველი ერის, ყოველი ხალხის სულიერ კულტურაში ერთ-ერთი უმთავრესი ადგილი მუსიკალურ ხელოვნებას, მუსიკალურ შემოქმედებას უკავია. ყველას უყვარს და ამაყობს მშობლიური სამუსიკო ფოლკლორით.

ქართული ხალხური მუსიკალური შემოქმედება, ხალხურ ტრადიციებსა და ეთნოგრაფიულ ყოფაში ამოზრდილი ხალხური მუსიკა, ცეკვასთან ერთად, დიდი ხანია გასცდა ეროვნულ საზღვრებს და, როგორც ქართულმა ფენომენმა, დირსევული ადგილი დაიკავა მუსიკის ზოგადსაკაცობრით საგანძურში. ყველაზე სასიხარულო და საამაყო მაინც ისაა, რომ ამ საგანძურში ქართული კულტურა წარმოდგენილია თავისი მრავალფეროვნებით, თითოეული კუთხის ტრადიციებზე დაფუქნებული თვითმყოფადი ხალხური შემოქმედებით – ერთ დიდ ოჯახიდ, რომელსაც ჰქვია საერთო ქართული სულიერი კულტურა.

სვანური სამუსიკო ფოლკლორი ამ ზოგადქართული ოჯახის დირსებული წარმომადგენელია. მრავალხმიანი უნიკალური ქართული ხალხური მუსიკის ერთ-ერთი შემოქმედი და არქიტექტორი.

ნაშრომი მოლიანად ეძღვნება სვანურ მუსიკალურ ფოლკლორს, რომელსაც მკითხველს წარვუდგენთ დმანისის მუნიციპალიტეტის კულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებული უძველესი სვანური ხალხური სიმღერა-საგალობლების აღმდგენ ფოლკლორულ ანსამბლ შეარიდას შემოქმედებისა და საქმიანობის მიხედვით. ანსამბლმა მოიძია, აღადგინა და საზოგადოებას წარუდგინა სხვადასხვა ქანრის 40-ზე მეტი (ძირითადად, საწესო-რელიგიური ხასიათის) სიმღერა, პიმნ-საგალობელი და ფერხული. პარალელურად მუშაობდა ეთნომუსიკალური მიმართულებით. სწორედ მრავალწლიანი დაძაბული მუშაობის შედეგია ეს ნაშრომი.

ახლა, უპირველეს ყოვლისა, გავეცნოთ ფოლკლორულ ანსამბლ შეარიდას და მის საქმიანობას, რაც არ არის ჩვეულებრივი ამბავი: ენთუზიასტთა ჯგუფმა დმანისში მოიძია, აღადგინა (დაამუშავა) და ფართო საზოგადოებას გააცნო სვა-

ნური მუსიკალური ფოლკლორის შედევრები (40!), უფრო მეტიც: დაძაბული მუსიკალური საქმიანობის პარალელურად ჩატარდა სამეცნიერო-კვლევითი სამუშაო ფოლკლორულ ნიმუშთა სოციალ-ისტორიული და საკულტო-რელიგიური წარმომავლობის შესახვავლად. მოქლედ რომ ვთქვათ, ეს კვლევები მეცნიერების რამდენიმე დარგს აერთიანებს: ეთნომუსიკოლოგიას, ენათმეცნიერებას, ეთნოგრაფიას და სხვ. ეს მაშინ, როდესაც ანსამბლის წევრებს, ხელმძღვანელს – ნაშრომის ავტორს – სპეციალური განათლება არ გააჩნიათ. დიახ, ეს სიმართლეა და ჩვენ მაინც შევმელით, როგორც სვანური ფოლკლორის საგანძურის გაცოცხლება-გადარჩნა, ისე შესაბამისი ნაშრომის მომზადებაც, რაც მრავალწლიანი დაძაბული შრომის შედეგია.

ახლა კი დადგა დრო, გაგაცნოთ დმანისის ფოლკლორული ანსამბლი შგარიდა, შეძლებისძაგვარად, წარმოგიდგინოთ მისი ოცწლიანი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი ეტაპები, მყითხველთან ერთად მოვეფერო ადამიანებს, რომლებიც უანგაროდ, პატრიოტული სულისკვეთებით, მონაწილეობდნენ ამ საშვილიშვილო საქმეში.

## ანსამბლი შვარიდა

მე-20 საუკუნის 80-იან წლებში პირადი ინიციატივით დავიწყე მოძიება მივიწყებული სვანური სიმღერებისა. მქონდა ინფორმაცია, რომ სვანეთში ჯერ კიდევ ახსოვდათ ძველი სიმღერები, რომლებიც საზოგადოებაში უკვე დავიწყებას მისცემოდა. დავგემმე ექსპერიციები და ზემო სვანეთის თითქმის ყველა სოფელი მოვიარე. შეგხვდი ეთნოფორებს, სამუსიკო ფოლკლორის სხვადასხვა ჟანრის 20-მდე ნიმუშის ჩაწერა მოვახერხე. ეს მასალები, ძირითადად, 1987-1988 წლებში ერთ ხმაში ჩაიწერა.

1994 წელს საცხოვრებლად ქალაქ დმანისში გადმოვედი, სადაც სტიქით დაზარალებული სვანების (ეკომიგრანტების) საქმაოდ დიდი ჯგუფი უკვე დასახლებული და დამკვიდრებული იყო. აქვე აღვნიშნავ: სისტემატურად ვმუშაობდი, ვხწაფლოდი და გამუშავებდი ეთნოფორებისაგან ჩაწერილი სიმღერების ტექსტებს და, საერთოდ, სიმღერა-საგალობლების სტრუქტურას, სვანური ტრადიციებისა და მუსიკალური ფოლკლორის შესახებ კეცნობოდი ქართველი მეცნიერების და შე-



საბამისი დარგის მკვლევართა ნაშრომებსა და მოსაზრებებს.

2002 წელს, ალბათ დვოის ნებით, დადგა ჟამი მრავალწლიანი ნატერა და სურვილი რეალურ, ცოცხალ ქმედებად მექცია. ეს კი უშავალოდ ქართული მუსიკალური ფოლკლორის მამამთავრის და პატრიარქის – ანზორ ერქომაიშვილის – სახელს უცავშირდება: სვანეთში ერთ-ერთი მოგზაურობის დროს ანზორმა გაიგო, რომ გურგენ გურჩიანს აქვს სვანეთში ექსპედიციებისას მოპოვებული ფოლკლორული მასალები. რა თქმა უნდა, შეეხედი სულმნათ ანზორ ერქომაიშვილს და, როცა გუთხარი, – მაქეს უძირფასესი ჩანაწერები, შემიძლია, ეს მასალები დაგამჟღვით, ახალი სიცოცხლე შთავბერო და შევქმნა ანსამბლი-მეთქი, – მის სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. შევთანხმდით: შევქმნიდი ფოლკლორულ ანსამბლს და, შესაბამისი მომზადების შემდეგ, პრეზენტაცია დმანისში გაიმართებოდა.

ანსამბლის წევრთა შექრება არ გამჟირვებია. დმანისში რამდენიმე წელი არ-სებობდა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი ლილუ. ცნობილი მეცნიერ-არქეოლოგისა და დიდი ენთუზიასტის – ჯუმბერ კოპალიანის – ინიციატივით შექმნილი ანსამბლი უპვე აღარ ფუნქციონირებდა. დღევანდელი შგარიდას უმეტესობა ამ ანსამბლის წევრები ვიყავით...

შევკრიბე ბიჭები და ავუსსენი ვითარება: მაქვს სვანეთში მოპოვებული მეტად დირებული მასალები და მათი გაცოცხლება დღეს აუცილებელია, ვინაიდან ისინი სვანერი მუსიკალური ფოლკლორის ორგანული ნაწილია. არ დამიმალავს, რომ ამ საქმის აღსრულება დიდ ძალის ხმევას და დაძაბულ ყოველდღიურ შრომას მოითხოვდა, თანაც უსასყიდლოდ. დვოის ნებით, ერთსულოვნად დამეთანხმნებ. ასე შეიქმნა ახალი ფოლკლორული ანსამბლი შგარიდა.

შგარიდა სვანერი ლაშქრული საფერხულო სიმღერაა. ის საქმაოდ ცნობილია ქართულ სამუსიკო ფოლკლორში და უცხოეთშიც. ანზორ ერქომაიშვილთან შეთანხმებით, ეს სახელი ავირჩიეთ იმიტომ, რომ, მეტად მნიშვნელოვანი სამუშაოსა და ღონისძიებების გამო, მართლაც ლაშქრად შევიყარეთ და შევუდექით საშინაო შეინარჩულო ეროვნული საქმის განხორციელებას, რასაც მივიწყებული მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების მოძიება, აღდგენა და საზოგადოებისათვის წარდგენა ჰქვია.

გაგაცნობთ ანსამბლ შგარიდას დამფუძნებლებსა და წევრებს, რომლებმაც სათავე დაუდეს ლამაზ ისტორიას და აქტიურად ჩაერთვნენ მჩქეფარე ქართულ ხალხურ მუსიკალურ ცხოვრებაში.

1. გურგენ გურჩიანი (ანსამბლის ხელმძღვანელი)
2. შმაგი გურჩიანი
3. მურმან მურდვლიანი
4. ვასილ ფარჯიანი
5. ვალერიან გადრანი
6. ჯამლებ გიბლიანი
7. ვალერი ვიბლიანი
8. ბადრი ჯაჭვლიანი
9. ვალერი ხარმიანი
10. ზაურ ხორგუანი
11. ლერი ცინდეგლიანი
12. გურგენ ჩხეტიანი
13. გუჯა გადრანი
14. ერეკლე ფილფანი

15. ჩეფხან თოხვანი
16. ჯოფოლა (გიგი) კვანჭიანი
17. შოთა წევტიანი
18. დუდა ანსიანი

ამ შემადგენლობით გამოვედით შპარიდას პრეზენტაციაზე ქალაქ დმანისში 2003 წლის აპრილში. წარდგინებას დაესწრენენ: ანზორ ერქომაიშვილი, ოქტავი ჭავასელი და ერეკლე სალლიანი. შევასრულეთ ჩვენ მიერ გაცოცხლებული სხვადასხვა ჟანრის 20-მდე სიმღერა-საგალობელი, დვოის სადიდებელი პიმჩები. ანზორის უმაღლესმა შეფასებამ გადამწყვეტი როლი ითამაშა ანსამბლის მომავალზე, მის მრავალწლიან მოღვაწეობაზე. თუმცა შეუძლებელია ხაზგასმით არ აღნიშნო, თუ რამდენიმე თვეში როგორ და რის ფასად მოვახერხეთ 20-მდე სიმღერის გაცოცხლება, მთი უმეტეს, საკონცერტოდ მომზადება. ეთნოფორებისგან ჩაწერილ აუდიომასალებზე, თითოეულ სიმღერაზე, მრავალი წელი ვიმუშავე და სამივე ხმის შესახებ მქონდა ჩემეული ცოდნა, მაგრამ გუნდურად მათი დამუშავება მეტად ძნელი აღმოჩნდა. ადგილი წარმოსადგენია, ერთ ხმაში ჩაწერილ სვანურ ურთულეს სიმღერებს, რომელთაც ანალოგი არ მოექმნებათ, არქაულობის მაქსიმალური დაცვით, მუსიკალური ნიმუშის სრულ კონდიციამდე მისაყვანად რაოდენ დიდი ძალისხმევა და შრომა დასჭირდებოდა. უფრო მეტიც, საჭირო იყო პროფესიონალიზმის მაღალი დონე. შპარიდას წევრთა სასახლოდ უნდა ითქვას, რომ მათ ეს შეძლეს, შეძლეს გამოცდილების უქონელად, პირველი საფეხურის გაფლისთანავე. ჩვენ ძირითადი სამუშაოები ჩავატარეთ 2002 წლის შემოდგომისა და 2003 წლის ზამთრ-გაზაფხულის პერიოდში, დმანისის მაშინდელი კულტურის სახლის გაყინულ კედლებში. მუდმივად მუშაობამ შედგები გამოიდო და, ანზორ ერქომაიშვილთან შეთანხმებისაგბრ, დათქმული ღროისათვის, აპრილისთვის, ანსამბლი უკვე მზად იყო სოლო კონცერტ-პრეზენტაციის გასამართად.

2003 წლის აპრილი ანსამბლ შპარიდას კურთხევის დღეა. საღამოს წამყვანი ერეკლე გახლდათ. ანზორ ერქომაიშვილმა დიდი სიხარულითა და სიყვარულით მოგვილოცა ქართული ხალხური მუსიკის სამყაროში შემობიჯება და წარმატებები გვისურვა. ღრმად მწამს: წარმატებულმა პრეზენტაციამ და, პირადად ანზორის ფაქტორმა, განსაზღვრა ანსამბლის მომავალი. ჩამოგვიყალიბდა უფრო ძლიერი

მოტივაცია – წარმატებით გაგვეგრძელებინა სგანური მუსიკალური ფოლკლორის საგანძურის გასაცოცხლებლად აღებული კურსი. და, აი, 2004 წლის იანვრისთვის უკვე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში ჩაგატარეთ პირველი სოლო კონცერტი. კონცერტს ისევ ერეკლე სადღიანი წარუმდვა. შთამ-ბეჭდავი იყო მუსიკალური ნორების შეალებებში ქართული ხალხური მუსიკალური სამყაროს გამოხენილი მოღვაწეების – ანზორ ერქომაიშვილის, ქუთური ჭოხონელიძის, გომარ სიხარულიძის, თემურ ჭავასელის და სხვათა გამოსვლები და შევასებები ჩვენ მიერ შესრულებული სიმღერა-საგალობლების შესახებ.

2005 წ. – შვარიდა წარმატებით გამოვიდა სამარყანდში ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალზე – აზიური ხმები.

2006 წ. – ანსამბლი გახდა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ფესტივალის ლაურეატი.

2007 წ. – ქობულეთში გამართულ ხალხური ხელოვნების საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსზე მე-2 ადგილი მოიპოვა.

2010 წელს, საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მხარდაჭერით, თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის დიდ დარბაზში მეორედ სოლო კონცერტი ჩაატარა. ამ კონცერტისათვის ანსამბლი უკვე ახალი შევსებით, თაობათა



ცვლით, მოქმედადა. პირველმა მოსწავლეებმა გაგვახარეს. ანსამბლის წევრები გახდნენ: მინდია გურჩიანი (ბანი), ლაშა ჩხვიმიანი, ამირან ჩხეტიანი და ლაშა გუჯიანი (მოცეკვავები). შემოგვმატნენ მოზრდილებიც: რეზო ცინდელიანი, გმზარ გირგვლიანი, სპარტაკ ანსიანი, გია გირგვლიანი, ბადრი სუბელიანი.

2012 წელს, დმანისის მუნიციპალიტეტისა და ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის შემოქმედებითი და ფინანსური მხარდაჭერით, გამოიცა ანსამბლის პირველი კომაქტილისკენ.

2016 წელს შეარიდა მეორედ გახდა საქართველოს ფოლკლორის ეროვნული ცენტრივალის ლაურეატი.

ორი ათეული წელია ანსამბლი აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სახის რესტაურანტებში დონისძიებასა და ფესტივალ-კურსში.

2014 წელს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში ჩატარდა ერთდღიანი კულტურული ღონისძიება დევგოზით – ტრადიცია ეროვნული საგანძურო. ღონისძიება სამი ნაწილისაგან შედგებოდა: სამეცნიერო-თეორიული სემინარი, მომხსენებელი ანსამბლის ხელმძღვანელი გურგენ გურჩიანი. მოხსენებაში მოქლედ მიმოვინავი ანსამბლ შეარიდას 12-წლიანი მოღვაწეობის შედეგები, პირველად განვაცხადე სვანური მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების ეთნომუსიკალური კვლევის შესახებ. კუნცვენთ ჩვენ მიერ ადგგენილი და გაცოცხლებული სვანური ჭიდაობა-შეჯიბრება დმანისის სასპორტო სკოლის მოჭიდავეთა მონაწილეობით. საღამოს, თბილისის ვარდების ბაღის კულტცენტრში მაყურებლის წინაშე შეარიდა წარდგა სოლო კონცერტით. აღნიშნული კულტურული ღონისძიების მხარდაჭერა უზრუნველყოვეს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრომ, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრმა და დმანისის მუნიციპალიტეტმა.

სვანური ჭიდაობის პრეზენტაცია ფეხბეჭიერი გამოდგა: 2015 წელს, ანსამბლის წევრის, მინდია გურჩიანის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით, დმანისის არასამთავრობო ორგანიზაცია პირველი ეკროპელის, დმანისისა და ლორეტაშირის ეპარქიის დეკანოზ მამა დიონისეს აქტიური დახმარებით ქალაქ დმანისში ჩატარდა სვანური ჭიდაობის სამდღიანი ფესტივალი. ფესტივალში მონაწილეობნენ ქვემო ქართლის, მეტიისა და ლენტების მუნიციპალიტეტები. ღონისძიება ფაქტობრივად სახალხო დღესასწაულად იქცა, რაც კულტურული ღონისძიებების მრავალფეროვნებამაც განაპირობა. ანსამბლ შეარიდას ისტორიაში ეს

ვესტიგალი ერთ-ერთ საინტერესო და ლამაზ ფურცლად ჩაიწერა.

ანსამბლმა წარმატებით გააგრძელა მივიწყებული და საზოგადოებისთვის უცნობი მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების მოძიებისა და გაცოცხლების ტრადიცია და დღეს უკვე რეპერტუარიში 40-ზე მეტი სხვადასხვა ქანრის სიმღერა-საგალობელი და რეფრენია.

შგარიდას შემოქმედებითი ცხოვრებისა და საქმიანობის ერთ-ერთი ყველაზე შთამბეჭდავი შტრიხი – ბაკუშების ჯგუფური გაწევრიანება ანსამბლის შემადგენლობაში. აი ისინც:

1. გიორგი ჩარკვიანი
2. ილო ჩარკვიანი
3. გიგა ანსიანი
4. ილია ფილფანი
5. გიორგი ფილფანი
6. ლუკა ვიბლიანი
7. ლევან ჯაჯვანი
8. ვაკო (ვალერიან) ჯაჯვანი
9. ბაკურ ჯაჭვლიანი
10. თორნიკე ჯაჭვლიანი
11. თემურ ცინდელიანი
12. თემო ცინდელიანი

ბაკურ და თორნიკე ჯაჭვლიანებმა სოლისტების ამპლუა მოირგეს, სხვები კი სვანური ცეკვებით ანთებდნენ ცეცხლს სცენაზე. ამ ახალგაზრდების მოსკლამ კარდინალურად შეცვალა ანსამბლის სახე, ის უფრო შინაარსიანი და წარმატებული გახდა. ბაკუშები ცეკვებთან ერთად ეუფლებოდნენ ურთულეს სვანურ სიმღერებს. ისინი ფაქტობრივად შგარიდასთან ყოველდღიურ ურთიერთობაში დაიზარდნენ და, დღეს უკვე ცხოვრების დიდ სარბიელზე გასულები, სტუდენტები თუ სხვადასხვა სფეროში დასაგმებულები, არ წყვეტებ ურთიერთობას ანსამბლთან, მაინც ახერხებენ პულტურულ ღონისძიებებსა თუ კონცერტებში მონაწილეობას.

ფოლკლორულ ანსამბლ შვარიდას დღეგანდელი შემადგენლობა ასეთია:

1. გურგენ გურჩიანი (სამივე ხმა)
2. მათე ჩამგელიანი (სამივე ხმა)
3. მურმან მურგელიანი (დამწყები, ბანი)
4. ერეკლე ფილფანი (სოლისტი, ბანი)
5. თორნიკე ჯაჭვლიანი (დამწყები, ბანი)
6. ღუდა ანსიანი (დამწყები, ბანი)
7. ვახტანგ გირგვლიანი (დამწყები, ბანი)
8. ჯოულა ჯაჭვლიანი (მოძახილი, ბანი)
9. ანზორ გადრანი (მოძახილი, ბანი)
10. რატი ვიბლიანი (მოძახილი, ბანი)
11. ვალერი ვიბლიანი (მოძახილი, ბანი)
12. ბაქურ ჯაჭვლიანი (დამწყები, ბანი)
13. მინდია გურჩიანი (ბანი)
14. ილია ფილფანი (ბანი, მოცეკვავე)
15. გიგა ანსიანი (ბანი, მოცეკვავე)
16. გიორგი ჩარკვიანი (ბანი)
17. ბიქტორ ცინდელიანი (ბანი)
18. გიორგი ფილფანი (ბანი, მოცეკვავე)
19. ილია ჩარკვიანი (ბანი, მოცეკვავე)



უამრავ ბედნიერ დღესა და წარმატებასთან ერთად გამოვიარეთ დიდი ტკიფილ-იანი დღეები და წლები: ჩვენს რიგებს გამოაკლდა ანსამბლის დამფუძნებელი ხუთი თანამებრძოლი: ვასო ფარჯიანი, ზაურ ხორგუანი, ჩეფხანი თთხევანი, ვალერი ხარძიანი, რეზო ცინდელიანი. სვანური სიმღერების ამ დიდოსტატების გარდაცვალებამ, წმინდა ადამიანურ განცლებთან ერთად, ანსამბლის საქმიანობაში სერიოზული პრობლემები წარმოშვა და დიდი ძალისხმევა დაგჭირდა ამ სიძნეების დასძლევად.

ვსარგებლობ შემთხვევით და ანსამბლის თითოეულ წევრს დიდ პატივისცემასა და სიყვარულს ვუცხადებ იმ თავდადებისათვის, უანგარობისთვის, პატრიოტიზმისა და თუნდაც თავგანწირვისათვისაც, რაც მათ ამ დიდი ეროვნული საქმის წარმატებით განსახორციელებლად გაიღეს. სწორედ ანსამბლის თითოეული წევრის დამსახურებაა, რომ, ავთენტიკურობის მაქსიმალური დაცვით, 40-ზე მეტი სვანური მუსიკალური ფოლკლორის შედევრი გაცოცხლდა და ფართო საზოგადოებაში მოისმინა. უფრო მეტიც, აღსრულდა ჩვენი ოცნება და დვოის ნებაც: საშუალება მოგვეცა მრავალწლიანი კვლევითი მუშაობა წიგნად გვექცია და ახლებურად გააზრდებული სვანური მუსიკალური ფოლკლორი სხვა რაკურსით წარგვედგინა დაინტერესებული მკითხველისათვის.

დღანისის აულტურისა და ხელოვნების ცენტრთან არსებულ ფოლკლორულ ანსამბლ შეარიდას ოცი წელი შეუსრულდა. გულითად მადლობას მოვახსენებ ყოველ პირს და ორგანიზაციას, რომლებმაც სხვადასხვა ფორმით დიდი თანადგომა გაგვიწია, ჩვენთან ერთად იზიარებდა წარმატებათა სიხარულს, პროფესიული რჩევითა თუ სხვა სახით გვეხმარებოდა ურთეულესი გზის გაკალვაში.

უპირველეს ყოვლისა, დიდი სიყვარულით მოვიხსენიებთ სულმაათ ანზორ ერქომაიშვილს, რომელმაც დასაწყისშივე შეგვიქმნა მტკიცე ფუნდამენტი, რამაც განსაზღვრა ანსამბლის მიზანდასახული სტაბილური მოღვაწეობა. ასევე დიდი პატივისცემით მოვიხსენიებ კომპოზიტორსა და ქართელი სულიერების მრავალმხრივ მქონევარს, დიდ მოღვაწეს, ნოდარ მამისაშვილს. მისმა რჩევა-დარიგებამ მომცა სტიმული, უფრო გაძედებულად გამეგრძელებინა კვლევა და შემოქმედებითი საქმიანობა.

მადლიერებას ვუცხადებთ საქართველოს აულტურის, სპორტისა და ახალ-გაზრდობის სამინისტროს კონკურსის სათანადოდ შეფასებისათვის, რამაც ჩემი



მრავალწლიანი კვლევის წიგნად გამოცემის საშუალება მომცა. მადლობა პირადად მინისტრ თეა წულუკიანს გულისხმიერებისა და ქართულ ფოლკლორზე მამაულიშვილური ზრუნვისათვის.

მსურს ჩემი განსაკუთრებული მადლიერება გამოვხატო ამ წიგნის რედაქტორ ბაია ასიეშვილის მიმართ. ნაშრომის ენობრივად დახვეწა, მისი პროფესიული რჩევები და რეკომენდაციები მნიშვნელოვანი იყო წიგნის გამოსაცემად მომზადების პროცესში.

ანზორ ერქომაიშვილის სახელობის ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრთან ჩვენი საქმიანი თანამშრომლობა ორი ათეული წელია გრძელდება და ამის შედეგია ერთობლივად განხორციელებული მრავალი საინტერესო პროექტი და ღონისძიება.

გულითად მადლობას მოვახსენებ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის დირექტორს გიორგი დონაძეს ყურადღებისა და დახმარებისათვის. ხალხური მუსიკის მიმართულების ხელმძღვანელ ნანა ვალიშვილს ანსამბლის დაარსებიდან დღემდე მუდმივი თანადგომისათვის.

მადლობა მალხაზ ერქვანიძეს დაუზარელი და უანგარო დახმარებისათვის, ფას-

დაუდებელი რჩევისა და ონადგომისათვის.

მადლობას ვუცხადებ სვანეთის სამაყო შვილს, ენათმეცნიერ რუსუდან იოსე-ლიანს, სიმღერა-საგალობლების ტექსტების სვანური ენის ბუნების შესაბამისად ცონებიკურად გამართვისა და ტრანსკრიფციისათვის.

მადლობა მინდა მოგახსენო საზოგადო მოღვაწეს, ჩვენი ანსამბლის დვიძლ მმას და საპატიო შგარიდელს, პოეტ ერეკლე სადლიანს, მუდმივად გვერდში დგომისთვის.

ჩვენი მოღვაწეობისა და საქმიანობის შეფასება-დაფასების ნიმუშად შეიძლება ჩაითვალოს პატრიოტი ქალბატონის, მზია ფარულავას, პირადი ინიციატივითა და საკუთარი სახსრებით განხორციელებული პროექტი: ანსამბლ შგარიდას შესახებ გადაღებული ორნაწილიანი დოკუმენტური ფილმი (რეჟისორი ცისკარა ფაჩულია). ფილმში წარმოჩენილია ჩვენი პოზიცია, სულისკვეთება და ყოველი საშემსრულებლო ნიუანსი. კიდევ ერთხელ შგარიდელთა მადლიერება მზია ფარულავას, უნიჭიერეს მეცნიერს და რეჟისორ ცისკარა ფაჩულიას.

სვანური სიმღერების აღმდგენი ფოლკლორული ანსამბლი შგარიდა მოღვაწეობს ისტორიულ დანინისში. მიუხედავად პერიოდული პერიპეტიების პოლიტიკური რევვებისა და ამით გამოწვეული სიმელეებისა, ანსამბლი მუდმივ საქმიან ურთიერთობაშია ქალაქის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრის ხელმძღვანელობასთან.

ყველას, ვინც ამ წიგნს წაიტანავს, გულწრფელ მადლობას მოვახსენებ. სიხარულით მოვისმენ მათგან ყველა საქნიან შენიშვნას და კომენტარს.

## ბუნების აღორძინების ხალხური დღესასწაულები სვანეთში

ქართულ ხალხურ დღესასწაულთაგან უკლიერის თამაშებს სვანეთში გამორჩეული ადგილი უჭირავს. ამ დღესასწაულებს სხვადასხვა სახელი ერქვა: ქვემო სვანეთში მას ლიმურყვამალს (კოშპობას) უწოდებენ, მკლევარ ჯუნის ონიანის გამოკვლევების მიხედვით კი, ლიმურყვამალ-ლიკურიელ – მურყვამობა-კურიეობით მოიხსენებენ; ზემო სვანეთში, მულახის თემში, მუჟალის სოფლებში – ჟაბეშში, ჩვაბიანისა და ცალდაშში ტარდებოდა ამავე ტიპის დღესასწაული კ. წ. აღბეჭდალ (აღების თამაშები), მესტიაში კი – ჯგუბი, რომელსაც მკლევრები ლადამის კრივსაც უწოდებენ. თუმცა ეს სახელწოდება გარკვეულ კითხვებს აჩენს. ამ საკითხს ქვემოთ უფრო ვრცლად განვიხილავთ. ბალსქვემო სვანეთში, კერძოდ, ჩუბე ხევში (ქვემო ხევი) ტარდებოდა აღნიშნული რელიგიური დღესასწაულების ტიპის დღეობა – უღლიაშობა.

ვიდრე მუსიკალური ფოლკლორის ნიმუშების, დვოის სადიდებელი ჰიმნების, საწესო-სარიტუალო სიმღერების უშუალო განხილვაზე გადავალო, საჭიროდ მიგიჩნიეთ, მკითხველს მიგაწოდოთ ფართო ინფორმაცია ზემოთ აღნიშნული ბუნების აღორძინების საგაზიაფხულო რელიგიური დღესასწაულების შესახებ. ჩვენი კვლევის შედეგები და კონკრეტული საკითხები მკითხველისათვის რომ უფრო გასაგები გახდეს, შეძლებისდაგარად, ფართოდ წარმოვაჩნით ამ თემაზე მომუშავე მეცნიერების, მკლევრების მოსაზრებებს, რაც, ვუიქრობთ, ამ დიდ თემას უფრო საინტერესოს გახდის. მეცნიერებს, მკლევრებსა და სტუდენტებს დაქმარება ახალი აღმოჩენებისა და მოსაზრებების ჩამოყალიბებაში. მქონდა პატივი გაცნობოდი ცნობილი მეცნიერებისა და მკლევრების (ივანე ჯავახიშვილის, სერგი მაკალათიას, ეგნატე გაბლიანის, ვერა ბარდაველიძის, ჯულიეტა რუხაძის, ირაკლი სურგულაძის, ჯუნის ონიანის, ვლადიმერ ახობაძის, კობა ჭუმბურიძის, როზეტა გუჯვარიძის და სხვ) ნაშრომებს, რამაც დიდი სტიმული მომცა სვანური მუსიკალური ფოლკლორის შესახებ ჩემი მრავალწლიანი დაძაბული შრომის შედეგები საზოგადოების სამსჯავროზე გამომეტანა.

ამ მეცნიერთა ნააზრევით ჩვენს კვლევას შევუქმით მყარ საფუძველს, რათა რელიგიური რიტუალების (მისტერიების) სიდიადე წარმოვაჩინოთ თანმხლები საწესო-სარიტუალო სიმღერა-საგალობლების, დვოის სადიდებელი ჰიმნებისა და საკრალური

დანიშნულების სიმბოლოების განხილვის ფონზე. ამდენად, საჭიროდ მივიჩნიოთ, სხვადასხვა სახელწოდების, მაგრამ ერთიანი იდეურ-შინაარსობრივი და რელიგიური დატვირთვის რიტუალები, ადამიანის მიერ გათამაშებული უძველესი რელიგიური დღესასწაულები (მისტერიები), წარმოგვენინა თავიანთი საერთო მახასიათებლებით და თან შეგვენარჩუნებინა ძველი ბრწყინვალება.

როგორც ცნობილია, ყველიყრის თამაშობები, ისევე, როგორც მრავალი სხვა დღესასწაული, აგრარული ხასიათისაა, ამიტომ, როგორც ირაკლი სურგულაძე აღნიშნავს, მათი კავშირი არქაულ სამიწათმოქმედო კოსმოგონიასთან უდავოა, რადგან მათ საფუძველში ყველგან გამოსჭვივის ბუნების ძალთა ნაყოფიერების, მისი მუდმივი განახლების იდეა (სურგულაძე, 1981:105).

ამ დღესასწაულების მთავარი საწესო ქმედება თოვლის კოშკის (მურყვამის) აგუბაა. კოშკის შეუაშო ჩაატანენ მაღალ უტოტო ხეს (ძირითადად ნაძვი და ცაცხვი), რომელსაც აჩვენ ეძახიან. ხის წვერზე დამაგრებულია ადამიანის გამოსახულება (მულახი, ადბა-ლაღარალ) ლამწრია, რომელსაც ხის დაშნა უჭირავს, წინ ხის ფალოსი ჰქიდია ხოლო სახის აღიიღზე საცერი – ფარა უკეთია. ზოგ დღესასწაულზე ამ ხეზე მხოლოდ ჯვარია დამაგრებული (ქვემო სვანეთი – მურყვამობა-კვირიაობა).

ჯვარი ნაყოფიერების დღესასწაულზე თოვლის კოშკის ხეზე გამოსახულ ჯვარს განეტიკურად უკავშირდება და სიცოცხლის ხის სიმბოლოდ განიხილება. (რუხაძე, 1999:152).

აღბატყალი (აღების თამაშები) ზემო სვანეთში, მულახის თემში, სოფელ ჭაბეჭმი ყველიერის აღების კვირას იმართებოდა. ამ დღეობის მონაწილე სოფლები ორ ჯგუფად იყოფოდა: ერთ მხარეზე იყო ჭაბეჭმი, მეორეზე – ცალდაში და ჩვაბიანი. დღესასწაულისთვის მზადება ყველიერის შაბათს იწყებოდა. ამ დღეს სოფელ ცალდაშის ახლოს იელის ბორცვზე (დელი ზუგ), ნაეკლესიარზე, აშენებენ თოვლის კოშკს, ჭაბეჭმი კი – ორს: კოშკების აშენების დღესვევ ტყიდან მოპქონდათ ფიჭვის ან ნაძვის უზარმაზარი კეტები, რომელთაც წერზე გაუკეთებდნენ თითბრის ბუნიკებს, ჩამოკიდებდნენ აბრეშუმის წითელ ლენტებს – ღურშებს (დროშას. ჯუნის ონიანი).

ერთი საინტერესო რამ: შაბათს ცალდაშისა და ჩვაბიანის მაცხოვრებლები ეწვერდნენ იელის ბორცვს, იტყოდნენ კვირიას საგადობელს, შემდეგ ხალხი მიესეოდა ცალდაშის თოვლის კოშკს – ღვთისადმი შეწირულ მიწაზე აშენებულს – და თოვლის სოფელი ცდილობდა თავისკენ წარმეტვია კოშკი, რასაც, თითქოსდა უხევ

მოსავალი მოჰყებოდა. შემდეგ დურშეის (დროშის) თანხლებით იტყოდნენ კვირიას ჩვენ ხაზი გავუსვით საინტერესო მომქნებს, რადგან აღბა ლალრჩლის ეს პროცესი მხოლოდ ჯუნის ონიანის ნაშრომშია დაფიქსირებული, თანაც კვირიას თქმაც და-დასტურებულია (ონიანი, 1969:190).

ცალდაშეჩაბიანელები აღნიშნული რიტუალის ჩატარების შემდეგ დურშეის (დროშას) ჩვაბიანიში აბრუნებდნენ და სოფელ უაბეშის ახლოს მდებარე ყანაში – გოლაშში ხვდებოდნენ უაბეშიდან მოსულ სტიმრას. ხელში უვალის ნიჩბები უჭირავთ. ორივე სტიმრა დადგება ერთმანეთის პირისპირ და შეიქმნება თავგამეტებული ბრძოლა. ისინი ერთმანეთს ნიჩბებით აყრიან თოვლს. ბრძოლა გრძელდებოდა მანამდე, სანამ ერთი მხარე მეორეს არ დაახვინებდა მონიშნულ მიჯნამდე, რაც უპვე დამარცხებას ნიშნავდა. მათი რწმენით, გამარჯვებულს იმ წელს კარგი მოსავალი მქნებოდა. შემდეგ გაიმართება საერთო ფერხული და აირჩევენ დღესასწაულის მთავარ მოქმედ პირებს: საქმისას და ყვენს. მეორე დღეს, კვირას, ყვენი ორი დედოფლით (ახალგაზრდა ვაჟებიდან) და საქმისას თავის თანმხლებ პირებთან ერთად (ათი კაცი) გადის მოსახლეობაში და ატარებს სხვადასხვა კომიქტრ რიტუალს.

ამასობაში მუქალში, სოფელ უაბეშში, თავს იყრის მთელი მულახის მოსახლეობა, ზოგჯერ სტუმრები მეზობელი სოფლებიდანაც მოდიან. ყველანი სვიფში წავლენ, სადაც თოვლის ორი მურყვამი (კოშკი) დგას.

ჯუნის ონიანის აღწერით, სვიფში შეიკრიბება მთელი სტიმრა. საქმისაის სახეს გაუმურავენ, ნახშირით მსხვილ წარბებს გაუკეთებენ, შემოახვევენ მონძებს, ქრისა და ცერცვის ნამჯის ნარჩენებს, თხის ტყაპუჟს ჩააცვამენ, წელზე ჩამოჰკიდებენ მამაკაცის ხის სარცხვინელს და ხის ხმალს. ასევე გამოაწყობენ ყაენსაც (ონიანი, 1969:191).

თოვლის მურყვამს (კოშკს) ორი-სამი დღით ადრე აშენებენ. მურყვამს შეუში ატარენ ნაძიების ან ცაცხის მაღალ უტოტო ხეს – ანგს. ხის წვერზე დამაგრებულია კაცის გამოსახულება – ლამარია, რომელსაც ხელში ხმალი (დაშნა) უჭირავს, წინ ხის ფალოსი, სახის ადგილის კი საცრის ნაგლეჯი – ფარა ჰეიდია.

ჩვაბიანელებიც მოდიან, რომელთაც დურშეი (დროშით) წინ დონიერი მამაკაცი მოუძღვის. მოვლენ და დურშეს მურყვამს (კოშკს) მიაყვდებენ.

საქმისაის მიართმევნ ხაჭაპურსა და ყველის დიდ ნაჭერს. ის ყველს დეჭავს და გარშემო აფერთხებს, თან ღმერთს შესთხოვს კაცისა და საქონლის გამრავლებას, წველის ბარაქას, მოსავლის ხიუხვეს. ის აფერთხებს ლამარიას სალოცავისკენ. ეს

ქმედება აღქმული იქნა პირდაპირი მნიშვნელობით და ამაზე ააგეს საკმაოდ მცდარი მოსაზრება. სინამდვილეში კი ფაქტი სხვა რამეზე მეტყველებს: ის ხომ საქმისაა, განასახიერებს დეოთებას და მოქმედებს დამოუკიდებლად, საუკუნეების განმავლობაში დღესასწაულის ჩამოყალიბებული წესით. მიუკურთხებაში მხოლოდ დალოცვა იგულისხმა. დიახ, ეს იყო ჩვეულებრივი რიტუალი, რომელიც ნაყოფიერების დეოთება ლაშარიას ეძღვნებოდა.

შემდეგ დღესასწაული საქმისაა და ყაქნის დაპირისპირებით გრძელდება. კომედიურ ქანრში გადაწყვეტილი ეს ორთაბრძოლა – საქმისაის მიერ ყაქნის დეფულების მოტაცება და ჭიდაობა, ყოველთვის საქმისა გამარჯვებით მთავრდება, რაც ისევ და ისევ ნაყოფიერებისადმია მიძღვნილი და კაცისა და ქალის სქესობრივი სიჯანსაღის გამომწვევი მაგიური ქმედება. მასში შეუმერული მითოლოგიური საკრალური ქორწინების შორეული ანარეკლიც შეიძლება დავინახოთ, რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ.

ახლა ისევ მივუბრუნდეთ თოვლის მურყვამს თავისი ატრიბუტებით: ანგი, ლაშარია, ჯვარი, დურშაი და სხვ. თოვლის მურყვამი (კოში) ამ დიდი დღესასწაულის მთავარი არსი, იდეა, სიმბოლო და შინაარსია. მასშია მარტინიზმული ნაყოფიერების არსი, ძალა და ენერგია. დღეობის ყველა კომედიური ნომერი, ყველა რელიგიურ-მაგიური რიტუალი სწორედ მის გვერდით, მისი გარშემოგლით იმართებოდა.

ჯუნის თნიანის მოკვლევით, აღმა ლალრაც შემდეგი სავალდებულო წესების დაცვით ტარდებოდა: 1. კურიას საგალოობებლი 2. კოშების აშენების და წაქცევის სცენა. 3. ლიქსალ – ნიჩბებით თოვლის მიყრა, ჭიდაობა. 4. დურშაის (დროშის) ტარების ცერემონიალი. 5. საქმისაა და ყაქნის დეფოფლებთან სექსუალური ურთიერთობის ამსახველი სცენები. 6. ფალოსით მორთულ ბოძზე ასელის შეჯიბრება. 7. სხვადასხვა საფერხულო სიმღერა-ცეკვა (ბეთქილ, ხამთი ჭვშაშ, შეკვი ჭვშაშ რაიღიუვო და სხვ). დღესასწაულზე სრულდებოდა სხვა სავალდებულო საწესო-სარიტუალო და საგმირო სიმღერები (მე-7 წესი). საარქივო ფოლკლორულ მასალებში მოიპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ, როცა დალი ბეთქილს შენის სახით გამოეცხადა, ის ლენტებურ ფერსულში იყო ჩაბმული. რა ერქვა ამ ფერსულსარ არის დასახელებული. ჩვენს მოსაზრებას ამასთან დაკავშირებით ქვემოთ, იავ ქალთი(ღი)ს განხილვისას ჩამოვაყალიბებთ. ვვარაუდობთ, რომ რაიღიუვო და სამთი ჭვშაშ, ერთი და იმავე ტექსტით, ერთი და იგივე სიმღერაა სხვადასხვა სახელწოდებით. ერთ-

ერთი სავალდებულო სიმღერა-ფერხული შეარიღა შგარი, რომელსაც აფხაზეთოან აკავშირებენ. ამან კი მოვგვცა საინტერესო პარალელების გავლების საშუალება, რომელთაც შეარიდას განხილვისას შევეხებით.

სამწუხაროდ, დასახელებული სიმღერა-ფერხულები და ჰიმნ-საგალობლები დავიწყებულია. რამდენიმე ფრაგმენტი მოვიძიეთ აღბა ლაღრნდზე შესასრულებელ ჰიმნ კიორიას შესახებ. მივიწყებულია ოვთ ეს საინტერესო და მნიშვნელოვანი დღესასწაული აღბა ლაღრნდი, რაც მატერიალური კულტურის ძეგლების გაქრობის ტოლიასია. დავიმოწმებ მკვლევარ და მეცნიერ ჯულიება რუხაძეს: „ქართული ხალხური დღესასწაულები, როგორც ისტორიისა და კულტურის ძეგლები, ეროვნული ენერგიისა და ხალხის შემოქმედებითი უნარის გამოსახულებაა. ოუ ძეგლების მიხედვით ჩვენ ესწავლობთ წარსული ეპოქის ხელოვნებას, სამშენებლო ტექნიკას, ვარკვევთ ხალხური ოსტატების ნიჭისა და უნარს, დღესასწაულების გამოვლენასა და მათ დაცვას ასევე საიმედო მივჭარო ერის ზენობრივ სიმდიდრეთა გამოქვდავნებისაკენ. დღესასწაულების მოსპობა ისეთივე დანაკლისია ეროვნული კულტურისათვის, როგორიც ისტორიული ძეგლების განადგურება, ამიტომ ხალხურ დღესასწაულებს ისევე უნდა მოვლა და დაფასება, როგორც სხვა ფასდაუდებელ საუნჯეს – ხალხურ პოეზიას, მატერიალური კულტურის სხვადასხვა ძეგლს“ (რუხაძე, 1999:3). დავამატებთ: ქართული კულტურისათვის ასევე აუნაზღაურებელი დანაკლისია ღვთის სადიდებელი ჰიმნებისა და საგალობლების მივიწყება და განადგურება. ადდგენილი მუსიკალური ფოლკლორის უამრავი გაცოცხლებული ნიმუში გადარჩენილი ისტორიაა. მუსიკალური ფოლკლორის უამრავი გაცოცხლებული ნიმუში მომავალ მკვლევრებს გზას გაუხსნის მსოფლიო მნიშვნელობის ამ საგანძურის უფრო სიღრმისეული კვლევისათვის. დღეს ჩვენ ამ ურთვლეს საქმში მეგზურად ჩვენ სახლოვან მეცნიერთა საინტერესო ნაშრომები და ნააზრევი გვაქვს, რამაც გაგაბედინა სვანური ფოლკლორის იდუმალ მუსიკალურ ლაბირინთებს შევჭიდებოდით. ახლა კი განვიხილოთ კვლევისათვის თამაშების არანაკლებ საინტერესო სახალხო დღესასწაული ლიმურყვამალ (კოშკობა), რომელიც, მკვლევარ ჯუნის ონიანის მიერ დარქმეული სახელით, ლიმურყვამალ-ლიკურიელ – მურყვამობა-კვირიაობადაა ცნობილი. აღნიშნული დღესასწაული გამოიკვლიეს ივანე ჯავახიშვილმა, არსენა ონიანმა, ირაკლი სურგულაძემ, ჯულიეტა რუხაძემ და სხვებმა.

აღსანიშნავია მკვლევარ ჯუნის ონიანის უდიდესი ღვაწლი სვანეთში ბუნების

აღორძინების საგაზაფხულო დღესასწაულების (ყველიერის თამაშების) შესწავლის საქმეში. მან გიორგი ჩიტაის დავალებით, 1963-1967 წლებში ადგილობრივი მოსახლეობისაგან უამრავი ახალი მასალა მოიპოვა და დაწერა უაღრესად საინტერესო და მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც მრავალი წლის შემდეგ წიგნადაც გამოიცა.

ჯუნის ონიანმა ქვემო სვანეთში აღმოაჩინა საგაზაფხულო დღესასწაულის მურყეამობა-კვირიაობის ციკლის სრულიად უცნობი გარიანტები: ლილებული - დათვობია, ჩიხარების ლიქურიელ - კვირიობა. ზემო სვანეთში აღმა ლალრაღის შესახებ არსებულ კალევებს შემატა ახალი მასალები: იქლის გორის რიტუალი: თოვლის კოშკის (მურყეამის) შენება-დანგრევა და კვირიას თქმა. ასევე დააზუსტა ამ დღესასწაულზე შესასრულებელი შვიდი სავალდებულო წესი. შეისწავლა და ზუსტად აღწერა არქაული რიტუალებით გამორჩეული მულახის თემის სოფელ ლახირის რელიგიური დღესასწაული კუთხისარობა-ლამპობა, ანუ სვიმონობა-კუთხისარობა (ხვან. კუთხისარობ-ლამპობა, სუმბოზ კუთხისარობა). იმართვებოდა ძველი სტილით პირველ თებერვალს.

ქვემო სვანეთში მურყეამობა-კვირიაობა ყველიერის შემდეგ თრშაბათს, კ.წ. შავ თრშაბათს იმართებოდა ლაშეთის თემის სოფლების მონაწილეობით. დღეობის ძირითადი ნაწილი ჟახუნდერში ტარდებოდა. დღესასწაულის მონაწილე სოფლები, როგორც ამ ტიპის რელიგიურ დღეობას ახასიათებს, ორ დაპირისპირებულ ჯგუფად იყოფოდა. ერთ მხარეს იყენებ სოფლები - ჟახუნდერი, ჩუქული და ლემზაგორი, მეორეს - სასაში, ლეპოსანდი, მებეცი, მაულდი. ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ შემდეგ რიტუალებში: 1. კვირიას თქმა; 2. თოვლის მურყეამების (კოშკების) აშენება; 3. ადრეკილამ (ფერხული ორ ჯგუფად); 4. ორპირული საწესო სიმღერა მირილ მიაქცია (ზემო სვანეთში მას მირმიქცელა ქწოდება); 5. ჭიდაობა. კოლექტიურად სრულდებოდა შემდეგი სარიტუალო სიმღერები: 1. მელია-ტელეფია; 2. იაქალთი(დ) ბებუცია; 3. ხეწჯ. 4. გიორგის ჯვარი. ასევე სხვა სიმღერა-ფერხულები: ლილებიდან ბათა, რალიკებაჲე და სხვა.

დღესასწაულის დღეს, მზის ამოსვლის წინ, ორივე ჯგუფი ერთმანეთს ეჯიბრებოდა, თუ ვინ მოასწრებდა კვირიას თქმას. თუმცა სასაში-მეხედ-ლექისანდის ჯგუფი წმინდად აგებდა ჟახუნდერელელებთან, რაღაც სასაშელებს ნახვარი კილომეტრი აღმართი უნდა აევლოთ ლაკურიალ გორამდე. გადმოცემით, ზემოსვანერი აღმა ლალრაღის მსგავსად, ამ გორაზეც ძველი ნასაყდრალია. ჟახუნდერელების ჯგუფი

კი კვირიას ამბობდა წმინდა გთირგის ექლესის ახლოს, ცაცხლინ, სადაც წინა დღეებში აშენებული თოვლის მურყვამი (კოშკი) იდგა. იქვეა ვთინი – კოშკის ძირითადი ატრიბუტი. კვირიას საგალობლის თქმის პირველი რიტუალის შემდეგ სასაშელები კვირიას გორადან და ჟახუნდერელები საყვირებით (სანყუირ) და დროშებით (დურშამა) მიღიან გაუდლდში, სადაც ვთინის გვერდით იდგა წინა დღეებში სასაშელების მიერ აშენებული თოვლის მურყვამი (კოშკი). სანყვირებს მთავარი მოჭიდავები უკრავდნენ. კოშკთან მისვლისთანავე ორივე ჯგუფი – სასაშელები და ჟახუნდერელები ერთმანეთს დაეტაკტოდნენ და ცდილობდნენ მურყვამი თავის მხარეზე წაექციათ.

შემდეგ დაიწყებოდა ჭიდაობა. მთავარ მოჭიდავებს კეისრები ერქვათ. დასრულდუ ბოდა ჭიდაობა და სასაში-მეხელ-ლექოსანდის და ჟახუნდერის სუმრა წავიდოდა ჟახუნდერის სვიტში. იქაც ორივე ჯგუფი დაეტაკტოდა თოვლის მურყვამს, რათა თავის მხარეს წაექციათ. ამას მოჰყვებოდა დიდი ჭიდაობა. შემდეგ უკვე ამბობდნენ საწესო-სარიტუალო სიმღერებს, რომლებიც დადგენილი წესისა და რიგის მიხედვით სრულდებოდა: 1. კვირია; 2. ადრეკილაი; 3. მელია ტულეფია; 4. იაგქალთი(დ) ბებუ ცია; 5. მირილ-მიაქელა; 6. გერგილ ჯვარა 7. ხეწე; 8. მავლენ.

აღნიშნულ სიმღერა-საგალობლებს ჩვენ დაწვრილებით განვიხილავთ მომდევნო თავებში. ჯერ კი განვიგრძოთ მოგზაურიბა ბუნების აღორძინებისადმი მიძღვნილ საგაზაფხულო დღეობათა საინტერესო სამყაროში, რათა მოვიპოვოთ მეტი მხარ-დამჭერი მასალები განსახილველი რელიგიური საწესო-სარიტუალო სიმღერების შესახებ. აღნიშნული ტიპის დღესასწაულთაგან უფრო საინტერესოდ მოვალეობა ლადამის კრივად წოდებული დღეობა ჯგუბი, რომელიც ტარდება ყველიერის ორ-შაბათს სოფელ ლაღამში (მესტია). ამ დღესასწაულისათვის ერთი კერით ადრე ემზადებიან. უპირველეს ყოვლისა, საჭიროა თოვლის მურყვამის აშენება. კოშკის საფუძვლის ჩასაყრელად ერთმანეთს ეცილებოდნენ უქო და ორსული ცოლის პატრონი მამაკაცები. რა თქმა უნდა, ერთ-ერთი გამარჯვებდა და ის უყრიდა კო-შეს საძირკველს. მეორე დღეს, როცა ცნობილი გახდებოდა მისი გინაობა, ხალხი მიესეოდა და თოვლის გუნდებს დაუშენდნენ შემახილებით: მუხტი, მუხტი, ე. ი. საფუძვლის (საძირკვლის) ჩასაყრელი. მივაქციოთ ამ მომენტს ყურადღება: თოვლის გუნდების დაშენა მხარდაჭერის, დალოცვის ტოლფასია და ის მთელი დღესასწაუ-ლის ერთ-ერთ რიტუალად შეიძლება ჩაითვალოს.

სამი მეტრის სიმაღლის თოვლის მურყებამს, ჩვეულებრივ, ხუთი მეტრის ხის კეტს (ძელს) ატანდნენ, წვერზე კი ჯვარს უკეთებდნენ. ეკლესიის კედლებზე დიდ ხის ძელს მიაჭურდებდნენ. ყოველივე ეს კი დღესასწაულის წინა დღით – კვირას მთავრდებოდა.

ორშაბათ დიღას მესტიის თემის ყველა სოფლის მცხოვრები იქრიბებოდა ლადა-მის მაცხოვრის ეკლესიის ეზოში. როგორც მურყამობის სხვა დღესასწაულებზე, ამ დღეობაზეც, მონაწილენი ორ ჯგუფად იყოფიან. პირველი ჯგუფი, ფაქტობრივად მასპინძელი, მაცხოვრის ეკლესიის მრევლია, ანუ ლალამელები – ხოჯელანები, გვარ-ლიანები, ბარლიანები და მარგიანები.

მეორე ჯგუფში ერთიანდებიან მოლჯგრაგები, ანუ ჯაგრავები, წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მრევლის შემდგან გვარები: ჯგრავი, ფალიანი ჰქედლიანი, რატიანი, ნიგურიანი, მირტვლიანი (ამის შესახებ უფრო ვრცლად პიმნ-საგალობელ ჯგრავის განხილვისას ვისაუბრებთ).

განვაგრძოთ აღნიშნული დღეობის მიმოხილვა: როგორც ადგნიშნეთ, ეს დღესასწაული აღწერა მკვლევარმა ჯუნის თნიანმა. გავყვეთ მის აღწერილობას და შემდეგ თან დაკურთავ ჩემ მიერ მოპოვებულ ინფორმაციებს და ჩემს მოკრალებულ შენიშვნებსაც, რომლებიც არამც და არამც ჩრდილს არ მიაყენებს მის დიდ დვაწლს სვანური რელიგიური წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების კვლევის საქმეში.

დღესასწაული იწყება აღრე დიღით კვირიას საგალობლით. ლალამელები მაცხოვრის ეკლესიის ეზოში მოდიან საგალობელ კვირიას თქმით, მოლჯგრაგები კი ამბობენ საგალობელ ჯგრავიშე. სხვა კვლევებში ჯგრავის საგალობელი არ არის ნახსენები. 1987 წელს, ცონილ ეთნოფორ და ალპინისტ მაქსიმე გვარლიანთან შეხვედრის დროს, მე ჩავიწერე საგალობლები კვირია (ლალამერი ვარიანტი), ჯგრავიშ (მესტიური ვარიანტი) და გაბრიელ მახარებელ. ეთნოფორმა დამიდასტურა, რომ ქვედაუბნები მოლჯგრაგები დღესასწაულზე ჯგრავის გალობით მოდიოდნენ, ლალამელები კი საგალობელ კვირიას ამბობდნენ. გალობით ერთი ჯგუფი თოვლის მურყებამს უვლიდა გარს, მეორე – ეკლესიას.

როგორც ჯუნის ონიანი აღნიშნავს, „სიმღერას ორივე გუნდი ერთად ამთავრებს. ამის შემდგა ლალამის მაცხოვრებლები მოწინააღმდეგებებს შეიტყუებენ ეკლესიაში და იქ ურტყამებ მუშტებს (მხოლოდ მამაკაცები); შემდეგ ეზოში გამოვლენ და იქ დაერევიან ერთმანეთს სალაზდანდარაოდ. იწყებენ თოვლის კოშკე ასვლის შეჯობრს, გამარჯვებული ავა ბოძის თაგზე და გადმოაგდებს ჯვარს“ (ონიანი, 1969:200).

ორივე ჯგუფი ერთმანეთს უპირისაირდება ჯვრის ხელში ჩასაგდებად. რომელი ჯგუფიც ჩაიგდებს ხელში ჯვარს, იმ მხარეს უხვი მოსავალი დაეტევდება. აქვე და-გუმატებ ჩემ მიერ მაქსიმე გვარლიანისგან მოპოვებულ ინფორმაციას: აქ ჯვართან ერთად ფუნქციონირებს საცერიც. მონაწილენი საცერში ჩასაჯდომად იბრძვიან. როგორც ვიცით, საცერი (ფარა) ნაყოფიერების ღვთაების სიმბოლოა, ცხავი კი ამ ღვთაების ატრიბუტი.

ეთნოფორმა მაქსიმე გვარლიანმა, აგრეთვე, მომაწოდა ინფორმაცია, რომ ლალამელი მომდერლები (თვითონაც მათთან მდერლია) მაცხოვრის ეკლესიის ეზოში ხალხს კვირიას საგალობლით ლოცავდა. მლოცველები მიდიოდნენ ტაბლებით (ლემზირუბით) და კვირიათი დალოცვას სთხოვდნენ. ასე ხდებოდა დღეობის დამთავრებამდე ჯერისა და საცრის ხელში ჩაგდების შეჯიბრების მერე ორივე ჯგუფი ანგრევდა თოვლის მურყვას. გამარჯვებდა ის ჯგუფი, რომლის მხარეზეც წაიქცეოდა კო-შე. ამის შემდეგ მამაკაცები რიგორიგობით ეკლესიის კვედლზე მიყუდებულ ძელზე ჩამოეკიდგებოდნენ. ჩამოეკიდებულ მამაკაცს ჟუშტების ცემით და ჯგუბის ძახილით ჩამოაგდებდნენ. ზეიმის ბოლოს კი მხარეებს შორის იმართებოდა გუნდაობა. აქაც გამარჯვებულს უხვი მოსავალი დაებედებოდა. დაადამებისას მაცხოვრის ეკლესის ეზოში მიპქონდათ ლამპრები და მათ ჩაქრობამდე იცდიდა ხალხი. ზეიმი გრძელდებოდა ქეიფით და დამისთვევით.

დღესასწაულის არსის მიხედვით, ყოველი ქმედება რიტუალიზებულია და რელიგიურ შეხედულებას ემორჩილება. მოძრაობებში საკრალური აზრია ჩადებული – ლოცვას, დალოცვას გულისხმობს. სწორედ ადნიშნულის გამო მიგანჩინა, რომ დღესასწაულის ლალამურ კრივად მონათვლა არასწორია: კრივი ნიშნავს სპორტულ შეჯიბრებას და, რა თქმა უნდა, ერთ-ერთის გამარჯვებას. დღეობა ჯგუბის ჟუშტებით ცემის რიტუალში კი მსგავსი არაფერია. აქ ერთი მხარე მეორეს ეკლესიაში ჯგუბის ძახილით მუშტებს ურტყამს (როგორც ჩანს, სიმბოლურად), მეორე კი გაჩერებულია და არ უპასუხებს. ისმის კითხვა: რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ ასეთია რიტუალის მოთხოვნა. ვფიქრობთ, ეს უფრო მაგიური ქმედებაა.

ჯგუბის შეიძლება იყოს საკრალური სიტყვა, რომელიც დალოცვის, ცემბულის შინაარსის მატარებელია. წარმოუდგენელია პირდაპირი გაგებით კრივად (ჩხებად) მონათლო ეკლესიაში ჟუშტებით ცემა. ასეთივე აზრი შეიძლება იყოს ჩადებული ხის დიდ ძელზე ჩამოეკიდებასა და ხალხის მიერ მუშტების ცემით ჩამოგდებაში.

უკეთესობა, ეს პროცესი რიტუალის ნიშნების მატარებელია. ამ ფონზე კი გალესიაზე მიყედებული ძელი შეიძლება მოვიაზროვ როგორც სიცოცხლის ხე. შესაძლებელია სწორედ ამ იდეის აღსრულებას გულისხმობდეს თოვლის მურყვამის საფუძვლის (საძირკვლის) ჩამყრელზე ხალხის მიერ თოვლის გუნდების დაშენა. საფუძვლის ჩამყრელს უსათუოდ ვაჟი უნდა შესძენოდა, ხალხი ამას თოვლის გუნდების დაშენით აღნიშნავდა, ეს კი, ერთი შეხედვით, თითქოს საქმის ვითარებისთვის შეუსაბამოა, მაგრამ მრავალსაუკუნოვან ტრადიციასა და უძველეს რწმენაზე აკინძულ დღესასწაულში ასეთი ფორმებიც მტკიცედ იყო დამკვიდრებული, როგორც ნაყოფიერებით საღმი მიძღვნილი რიტუალები.

ამდენად, ვფიქრობთ, ბუნების აღორძინებისა და აგრარული კულტმსახურებისადმი მიძღვნილი დღესასწაულის – ჯგუბის ლაღამის კრიფად სახელდება, ვერ უპასუხებს თვით ამ დღესასწაულის არსეს, იდეასა თუ შინაარსს და მისი ლამის მეცნიერულ ტერმინად მოხსენიება მიზანშეუწონდად მიგვაჩნია.

### **უღლიაშობა (მთხოველები: მუშნი სუბელიანი და გარდისკა ცინდელიანი)**

ყველიერის თამაშების ციკლებში ერთ-ერთი გამორჩეული ადგილი უკავია სახალხო დღესასწაულ უღლიაშობას. ის ტარდებოდა მესტიის რაიონში, ჩუბე ხევის ოქმში – ლაშხერაშში. მონაწილეობდნენ მეზობელი სოფლები – თავრარი, ცალერი და ჯუხლანი. დღეობის წინა დღეს შეიკრიბებოდნენ ლაშხერაშის მამაკაცები, იარჩევდნენ დოლფანას და მის ამაღას, რომელთაც ჩამოურიგებდნენ სხვადასხვა ფუნქციას: ზოგი მიღიცა იყო, ზოგი – მოსამართლე და ექიმიც კი.

დოლფანაი უღლიაშობის მთავარი პერსონაჟია, როგორც ამ ტიპის დღესასწაულთა მთავარი გმირები: ბერიკა, საქმისაი, ყვენი, ექისარი.

მეორე დღეს არჩეულ პირებთან ერთად შეიკრიბებიან, დოლფანას ჩაცვამენ ძონებს, თავზე დაახურებენ ცხერის ტყავის დიდ მრგვალ ქუდს, წელზე ჩამოჰყიდებენ ხის ხმალს, დასვამენ ვირზე და დოლფანა თავის მხლებლებთან ერთად ჩამოუვლის სოფლის ყოველ ოჯახს. ოჯახი გამოუტანდა ტაბლებს (ლემზირებს). დოლფანა ლოცავდა მათ, თუმცა დალოცვის შემდეგ სახუმარო სცენებიც იმართებოდა: ახალგაზრდები დოლფანას და მის ვირს აწვალებენ, საღისით ჩხვდეტენ, დოლფანა კი ხის ხმლით იგერიებს... ზოგჯერ დოლფანა გადმოვარდება ვირიდან და თავს მოიმკვდარუნებს, რაზეც მისი მხლებლები მყისიერად რეაგირებენ. ექიმი წამლობს

დოლფანას და გამოაცოცხლებს, მოსამართლე კი გამოიტანს მსჯავრს ჯარიმის სახით. ჯარიმა ითვალისწინებს არაქს, ლემზირებს (ტაბლებს), ხაჭაპურებს და ყველის სახეობებს. ხორცეული არ შეიძლება. ასეთივე სცენა იმართებოდა სოფლის ყოველ ოჯახში და დოლფანა სხვადასხვა მანიპულაციით ახერხებდა თითოეული ოჯახიდან საქეიფო ხორაგის დათრევას.

საღამოს ერთ ოჯახში იკრიბებიან და ჯგურად უდღაშის სახელზე ილოცებენ. ჯგურად ს ხორცენ ადამიანისა და საქონლის გამრავლებას, უხვ მოსავალს, ყოველგვარი ავადმყოფობის, სენის არიდებას, სიკეთეს და ჯანმრთელობას. მხიარულება და საზეიმო განწყობა არ ცხრება. მათ უკრთდებიან მეზობელი სოფლების მაცხოვრუბლებიც. ლაშერაშელები უფრთხილდებიან დოლფანას, განსაკუთრებით მის ქუდს, ვინაიდან მეზობელი სოფლებიდან მოსალოდნელია ქუდის მიტაცება. თუმცა დღესასწაულის დადგენილი წესით დოლფანას არ ყარაულობენ, საზეიმო სანახაობით დონისძიებებში მეზობელი სოფლების მცხოვრებლებიც მონაწილეობენ. და, აი, სწორედ სხვა სოფლის წარმომადგენლები იხელოებენ დროს და დოლფანას ქუდს მოსტაცებენ და გაიქცევიან. ლაშერაშელები მისდევენ, უმეტესად ლაშერაშელები ეწვიან ქუდის გამტაცებელს, დაატყვევებენ და ქუდიანად უკან აბრუნებენ. გამტაცებელს სიმბოლურად გრძელ სკამზე დააბამენ და ლხინის დამთავრებამდე ტყვედ ჰყავთ, ოდონდ არ აკლებენ არაქს და საჭმელს. ყოველივე ეს მხიარულების ფონზე მიმდინარეობს. ქუდის მოტაცებისა და წართმევის პროცესი დღესასწაულის რიტუალის რანგში განიხილება, ამიტომ ზემოს მონაწილენი მას ძალიან სერიოზულად ეკიდებიან. ქუდის მიმტაცებელი მოვლი ძალისხმევით ცდილობს გაქცევს და ამ ნადავლით თავის სოფლამდე მიღწევას, მდევრები კი ასევე მოვლი მონდომებით იბრძვიან ქუდის დასაბრუნებლად. ცდილობენ, გაქცევული დატვირთ მანამ, სანამ თავის სოფლამდე მიაღწევს. აღნიშნული სიუჟეტი დღესასწაულის ერთ-ერთ საკანძო რიტუალად შეიძლება ჩაითვალოს, ვინაიდან მასში არეკლილია უმცველესი რელიგიური მსოფლმხედველობის მეტად საინტერესო ნიუანსები: ცხერის ტყავი და ცხერის ტყავის ქუდი, ამ დღესასწაულის მთავარი სიმბოლო, გამოხატავს ოვით ამ დღესასწაულის არსესა და იდეას: ზამთრის განდევნას, ბუნების აღორძინებას, ნაყოფიერებასა და კეთილდღეობას.

დღესასწაულში მონაწილე ერთ-ერთი ჯგუფი თუ მოახერხებს დაშვებული მიჯნის გადალიახვას, ის თავისი სოფლისათვის უხვ მოსავალსა და კეთილდღეობას დაიბევებს. ოქროს საწმინდის ფუნქციაში, ანუ სიმბოლოში, ჩავატევთ ერთ სიტყ

გას შენატ შენავში იგულისხმება ყველაფერი, რაც ოჯახის, ოქმის თუ ქვეყნის სიძლიერეს, კეთილდღეობას ეხება (სიმდიდრე, უხვი დოკლათი, ადამიანისა და საქონლის გამრავლება, ავადმყოფობის განვითარება და სხვ). ეს ყოვლისმომცველი, უნივერსალური, საკრალური სიტყვა, მრავალი საინტერესო თქმისა თუ სიმღერის განხილვისას, ჩვენ კარგ მეგზურობას გაგვიწვევ. ვინდღავთ რა ცხვრის ტყავის ქედის შესახებ დღეობის ამ სიუჟეტს, უნგბურად შორეულ წარსულისკენ, იდუ- მალ კოლხეთის სამეფოს ისტორიისკენ მიღმართავთ მზერას: წარმოვიდგენთ მზის შვილად წოდებულ ლეგენდარულ მეფე აიეტს, რომელიც ამაუად ზის ოქროს ტახ- ტზე, ხელთ უპყრია ოქროს სამეფო კვერთხი მზის დისკოთი და ვერძიო დამშვენ- ებული (საბასეული სამეფო კვერთხი ფაენი ან კიდევ სვანური ფაუ). ძლევამოსილი მეფე გამომცდელად ზევიდან დაჰყურებს მუხლმოყრილ სტუმრებს – არგონაგტებს. სამეფო სიდიადესთან ერთად არგონაგტებს თვალს სჭრის მსოფლიო მედიცინის დედამთავრის, ულამაზესი მედეას ღვთიური ბრწყინვალება. წარმოიდგენ გათამაშ- ბულ დიდ მისტერიას. ოქროს საწმისის მოტაცებას – კოლხეთის სამეფოს სიმ- დიდრის, კეთილდღეობის, სიძლიერის სიმბოლოს. ფიქრებიდან გამოფხიზლებული აღმოაჩენ, რომ წარსულში ამ მოკლე მოგზაურობის მიზეზი დღეობა უდღია შობის ეს პატარა სიუჟეტი აღმოჩნდა. ალბათ, აღნიშნული დღესასწაულის საფუძვლის ჩამყრელები კარგად იყვნენ ჩახედული ოქროს საწმისის მისტერიულ არსში, რაც მათ რელიგიურ მსოფლმხედველობას გამოხატავდა.

ახლა განვიხილოთ აღნიშნული დღესასწაულის არანაკლებ მნიშვნელოვანი სიმ- ბოლო – მთავარი გმირის სახელი დოლფანა. როგორც ვიცით, დოლფანა სხვა დღესასწაულების მოქმედი მთავარი პირების – ბერიკას, ყევნის, გონჯას, კეისრის ანალოგია. თუმცა მისი სახელი საკითხის ახლებურად გააზრების საშუალებას ნამდვილად იძლევა. დოლფანა მამაკაცია და, ცხადია, დედოფალი არ იქნება. მისი მართვებული ახსნისთვის ისევ წარსულს მივმართოთ. უდღია შობის ჩვენებული აღ- წერილობა დაახლოებით მე-20 საუკუნის 60-70-იანი წლების შუა პერიოდს ეხება. მაშინ უკვე უდღია შობის უმეტესი ნაწილი მივიწყებული იყო, არ სრულდებოდა არც ერთი საწესო სარიტუალო სიმღერა, უკრ მოვამოვეთ ინფორმაცია იმის შესახებ, აშენ- ებდნენ თუ არა თოვლის მურყვამს და ა.შ. თუმცა ძიებამ, მრავალი წლის დააბულმა შრომამ საშუალება მოგვცა, მოგვემოვებინა ისეთი მასალები, რომელთა მეშვეობით უფრო ნათლად და სრულყოფილად წარმოგვედგინა ეს უაღრესად არქაული სახ-

ალხო დღესასწაული (მისტერია). უპირველეს ყოვლისა, მოხერხდა დღეობის დანაშრევების მოძიება, ლაშერაშთან სხვადასხვა ფორმით დაკაგშირებულ, ჩუბე ხევად წოდებულ, სოფლებში.

სოფელ ნაკრაში, გასულ საუკუნეში სოფლის მომდერალთა ანსამბლისა და უხუცეს დაშვილიანის დახმარებით ჩავიწერე ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი პიმინიათ საიოდეში. ქვემო ქართლში საცხოვრებლად გადმოსკვლის შემდეგ, ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიაში გადმოსახლებულ კუმიგრანტებისაგან კი ორსართულიანი ფერხელის – მირმინქელას განსაკუთრებული ვარიანტი, რომელშიც ნახსენებია დომფარა. ქალაქ დმანისში, აწ გარდაცვლილი ეთნოფორისაგან ჩავიწერე სრულიად უცნობი სიმდერა, რომელსაც მან, წინაპრების გადმოცემით მხედრული დაარქვა – სალაშქროდ წასვლის დროს ამას მღეროდნენო. მანვე ეს სიმდერა მირმინქელას სავარაუდო შესავლად დაასახელა. ჩუბე ხევის, ამ რეგიონის ახლომდებარე სოფლის, ფარის უხუცესებისგან – სასო, პეტრე და ილმაზ გადრანებისგან ვისწავლე დვოის სადიდებელი პიმინის – კვირიას განსხვავებული ვარიანტი და რეფრენის ტიპის საწეო-სარიტუალო სიმდერა შემდეგი ტექსტით:

რირა, რირა! პორი, პორი!

ოისა რირა, დომფარა, რირაშა,

ჰეი, ჰოი, ჰეი, ჰოი, გარაშა.

სოფელ ფარშივე, როგორც ეს ამ სოფლის მკვიდრმა თენგო (ნოდარ) გადრანმა გადმომცა, მისი წინაპრები შესაბამისი რიტუალით მელია-ტულეფიას მდეროდნენ. უკვე დავიწებული, ამ მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო სარიტუალო სიმდერის ჩაწერა ვერ მოვახერხე, თუმცა არსებობს საარქივო ჩანაწერი სოფელ ფარის მომდერლების შესრულებით სახელწოდებით აღრეკილა. აღნიშნული სიმდერა ჩაწერილია 1962 წელს გრიგოლ ჩხილევაძის მიერ.

სარიტუალო სიმდერა ადრეკილა ცნობილია ქართულ (სვანურ) სამუსიკო ფოლკლორში. მას ასრულებენ ლენტების ფოლკლორული ანსამბლები. ჩვენი ანსამბლი შეარიდაც ასრულებს, ოდონ ჩვენ მიერ აღდგენილ განსხვავებულ ვარიანტს.

აქვე აღვიწნავთ: ყურადღება იმიტომ გავაძახვილეთ ფარსა და ჩუბე ხევში აღრეკილას არსებობაზე, რომ ამით სრულიად შესაძლებლად მივიწნევთ ამ სიმდერის სავალდებულო შესრულებას დღეობა უდღიაშობაზე. ასევე ვარაუდობთ, რომ დადგენილი თანმიმდევრობით სრულდებოდა მელია-ტულეფია, მირმინქელა თუ

ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი სხვადასხვა ქანრის სიმღერა-საგალობლები და საფერხელო სიმღერები: ჯგურავიშ, საიდუებულოები, დიდებათა, შეარიდა და სხვა.

ახლა მიგუპრუნდეთ ორსართულიანი სიმღერა-ფერხულის შემადგენელ სარიტუალო რეფრენ-სიმღერას: რირა, რირა! პორი, პორი, რისა რირა დომფარა რირა შა! პეი, მო, პეი პო ვარა შა. ამ რეფრენის მთავრი სადიდებელი აშკარად დომფარაა. ეს სახელი უფრო იკვეთება ფერხულის ამ მონაცემთის საცეკვაო რეფრენში გადასვლისას:

რირა, რირა, პორი, პორი,

რისა რირა, დომფარა,

რირა, რირა, პორი, პორი,

რისა რირა, დომფარა.

ამ რეფრენშიც ჩანს, რომ დომფარა ნაყოფიერების დვთაებაა, რომელსაც აღიდებენ, გამოსთხოვენ დიდ მოსავალს, ნაყოფიერებას და საერთო კეთილდღეობას, ანუ შენავს. ხანგრძლივი ფიქრისა და განსჯის შედეგად მივდი იმ დასკვნამდე, რომ დომფარა და დოლფანა ერთი და იგივეა. დომფარა უფრო ზუსტი უნდა იყოს, ვინაიდან საკრალური სარიტუალო სიმღერაა და მისმა შემქმნელებმა დღეობის მთავარ მოქმედ პირს, შესაბამისი სულიერი ხედისა და გპოქის რელიგიური მსოფლმხედველობის შესაბამისად, ასევე შესაბამისი სახელი შეურჩის. ეს გპოქის საწყისი კი, როგორც ზემოთ თქმული მაგალითები და გარკვეული ანალიზი გვაჩვენებს, შორეული კოლეგიოს ისტორიაში უნდა ვეძიოთ. დოლფანა, მისი სამხიარულო, კომედიური ხასიათის გამო, დომფარას კნინობითი ფორმაა. დომფარა კი, ჩვენი აზრით, უფრო დიდ საიდუმლოს ინახავს: არის მასში რაღაც დაფარული, რაც საშუალებას მოგვცემს, უფრო ღრმად ჩავიხედოთ თვით ამ ტერმინის არსში, წარმოვაზინოთ საკრალურ სამყაროში მისი ფენქცია და სამოქმედო არგალი.

ჩვენ უპვე ვისაუბრეთ თოვლის მურყვამის ძირითად ატრიბუტებზე: ძელი – ანგი ადამიანის გამოსახულებით, ხის ფალოსი, დაშნა, საცერი – ფარა. საცრის მაგივრად იყენებენ კალათას, გოლორს, თუმცა, ამ შემთხვევაში, საცერი საკმარისია იმისათვის, რომ ფარას სახელწოდებაზე მართებული წარმოდგენა შევიქმნათ.

სამეცო ჯოხს ერქვა ფაქნ. ფაქნი – ესე არს კუერთხი სამეცო (ხაბა). მკვლევარ რამაზ ზარნაძის განმარტებით, არსებობდა ორი ტერმინი – ფაქნი და ფარა. ფაქნი ნიშნავს მწყემსვას მოვარის ნიშნით, ფარა – მზის. მეფქეს, ქვეჭის უზენაეს გამგებელს, სეანურად ფუსდს, ხელთ უპყრია ძალაუფლების სიმბოლო კვერთხი სამეცო,

სამწევმსოდ თავის ქვეშეგრდომთა. კვერთხი შემჯელი იყო იმ ეპოქისოფლის შესაბამისი უძველეს დვთაებათა სიმბოლოებით. მაგალითად, მეცე აიეტის სამეფო კვერთხს ამშვენებდა მზის დისკო და ვერძის გამოსახულება: მზის დისკო, როგორც უმაღლესი დვთაების სიმბოლო, ვერძი – ქვეცის სიძლიერისა და კეთილდღეობის, წარმოდგენილი ოქროს საწმინის სახით. საინტერესო პარალელი გვაქვს სვანეთის მაგალითზეც: სვანურში ჯოხეს ჰქეია ფაუ, თუმცა ეს სახელი ძირითადად მიესადაგება განსხვავებული ფორმის მოვარაჭებულ ჯოხეს, რომელიც ხელთ უპყრიათ მახვშებს, ცნობილ ასაკოვან მამაკაცებს, მედიატორებს, რომლებიც სახოგაღლებრივი ცხოვრების ყველა სფეროში კეთილად იღვწიან. მრავალი მედიატორი თავის ფაუზე ტვიფრავდა გარჩეული საქმეების რაოდენობას.

რაც შეეხება ფუსტის ეტიმოლოგიას: „სვანების გაბებით ფუსტი (ფუსტი) ნიშნავს უფალს, ბატონს, ქვეცის გამგებელს, მთავარს, თავადს. „ბატონის“ აღმნიშვნელი სხვა სიტყვა სვანურში არ არსებობს (მიჩურანი, ქაფიანიძე, 1997:433).

სვანეთში ფუნქციონირებს ფუსტის სახელობის ეკლესიები. ერთ-ერთი უძლიერესი და უძველესი ეკლესია ფუსდ მუხაშ დგას სწორედ ლაშხრაშში, რაც ქართულად ნიშნავს ფუსდ (უფალი) ამნიდისა, ტაროსისა. მუხ ქართულად ავდარია. თუ რა ავდარზეა ლაპარაკი, ამის პასუხს სვანეთში არსებული უძველესი გადმოცემები გვაძლევს. ლაშხრაშში დაბადებულმა და გაზრდილმა, ამჟამად თბილისში მცხოვრებმა, ინტელიგენციის ერთ-ერთმა საუკეთესო წარმომადგენელმა, ზამირ სუბელიანმა მეტად საინტერესო ინფორმაცია მომაწოდა ამ ლეგენდების შესახებ. ის თავად მეუსაობს ლაშხრაშის სალოცავების ისტორიაზე, აქვს უამრავი მასალა და, ალბათ, მაღა ვიხილავთ მის წიგნს.

დაეგნდა გზიყვება: დიდი ღმერთის, ფუსდ მუხაშის სალოცავში დედამიწის კოველგარი უბედურებისა და უკეთურებისაგან გამწმენდი წარლვნის შემდეგ, ჩატარდა პირველი ლოცვა – დიდი ღმერთის მიმართ აღვლენილი ლოცვა-ვედრების რიტუალი. ფუსდ მუხაშ უხსოვარ დროშივე დარქმევია მას. გამაოგნებელი ამბავია, თანაც ერთ-ერთი ცნობილი ძველი რელიგიური სიმღერაც ეხმიანება ამ ლეგენდას! გავვცნოთ სიმღერის ტექსტს:

ლაგუშედაო, იმეგი საგუეჯიოო, ყერიშა მიჩადა, ლაგუშედა!

პოი, ლაგუშედაო, ლაშხრაში ჟიქანიო მიჩაი იუასიო, ლაგუშედა!

პოი, ლაგუშედაო, დიდაბი დიდაბიო, ხოშამო ლერმათო, ლაგუშედა!

პოი, ლაგუშედაო, ჭაინარი ჯირდახიო სგეშ ლალგენას, ლაგუშედა და ა.შ.

ტექსტი გრძელდება და ის დიდებათას ტექსტის ანალოგია, თუმცა პირველი ორი ხაზი მხოლოდ ლაშერაშელ ვარიანტშია. ახლა შემოგთავაზებთ ამ სარიტუალო სიმღერის მხოლოდ პირველი ორი ტაქტის ქართულ ვარიანტს, რაც ამ თქმის განხილვისთვის სრულიად საკმარისია. ამ სიმღერის სრულ ტექსტს კი შემოგთავაზებთ შემდეგ თავებში, სადაც განვიხილავთ, როგორც ლაგუშედას, ისე დიდი ღმერთისადმი მიძღვნილ ამ ტიპის სხვა პიმნ-სიმღერებს.

ლაგუშედა, ლაგუშედაო, სად ბრძანდება მადლი მისი? ლაგუშედა,

პოი, ლაგუშედაო, ლაშერაშის ზევითო დასაბამიდან (ევადან) დღემდე, ლაგუშედა,

პოი, ლაგუშედაო, დიდება დიდებაო დიდსა ღმერთსა, ლაგუშედა,

პოი, ლაგუშედაო, ხარები გყავდათ მის (მეტყვიდრის) სახელზე შესაწირი, ლაგუშედა!

რა თქმა უნდა, ძალიან ძნელია ასეთი საგალობლების ტექსტების სვანურიდან გადმოღება: სიტყვები საკრალურია, თვით სვანური ენისაგან ცოტა განსხვავდებული და სიმღერის რელიგიურ ტონსა და შინაარსთან მისადაგებული. სიმღერაში ნახსენები სიტყვა ყერიშა ან ყერ საკრალურ-რიტუალური ტერმინი – უფლის ძალა, ენერგია, მადლი. სვანის აზრით, ამ მადლით ანგელოზები, თავიანთი რიგის მიხედვით, ასრულუბენ დიდი ღმერთის მიერ მინიჭებულ ფუნქციებს დედამიწაზე. სიმღერაში ნათქვამია: „სად არის დაბრძანებული მადლი მისი“ (ყერიშა მიჩადა), მეორე სტროფს იგივე მომღერლები ამბობენ: ლაშერაშის ზევით არის დაბრძანებული დასაბამიდან: უფრო ზუსტად დასაბამი, ანუ მიჩა იუს (იუსში უნდა ვიგულისხმოთ ეფა), ანუ დღევანდელი შესიტყვებით – თავისი დღე და მოსწრება. შემდეგ სიმღერა გრძელდება უკვე ღვთის სადიდებლით: დიდაბი დიდაბიო, ხოშამო ღერმათო – დიდება, დიდება, დიდო ღმერთო.

აქეთ კიდევ ერთ საინტერესო რამ: ფუსდის ეკლესიის მახლობლად მდგრად ტბას მუხის (მგვ), ავდოის, ტბას ეძახიან სვანები. მას წმინდა ტბად მოიხსენებენ და დღესაც ამტკიცებენ, რომ მის მიმართ რამე უხეში მოქმედება ღმერთს არისხებს, მყისიერად მინდს აუარესებს და სტიქიას იწვევს. ესეც თითქოს გაგრძელებაა უმჯედესი რწმენისა – მსოფლიო წარდგნის შემდეგ გადარჩენის გამო დიდი ღმერთისადმი პირველი ლოცვის ადყლენისა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სვანეთში ალპურ ზონებში მრავალ ადგილას ეკლესიები (მირითადად მთავარანგელოზის სახელის) დგას და იქვეა ტბები, რომლებიც ასევე წმინდად ითვლება. მაგალითად: მესტიის რაიონის ბექოს თემში, მეზირის მთაზე, მთავარანგელოზის სახელის ძველი ეკლესია და

მეზირის წმინდა ტბაა, რომელსაც საინტერესო ლუგენდები უმავშორდება. ბეჭოს თემის რამდენიმე გვარი ზამთარში უძღვის შვილის კვირის დღეობას – ლიქროშის – იხდის. მიუხედავად დიდი თოვლისა, ამ სოფლების რჩეულები ადიან მაღალ მთაზე მეზირის ეპლესიაში და ლოცულობენ. ბეჭოს თემის ყველა სოფლის კეთილდღეობის, ნაყოფიერების თხოვნით ლუდით ატარებენ რიტუალს: ეპლესიაში მუდმივად არსებულ დიდ კეცში ასხამენ ლუდს და აკვირდებიან კეციდან გადმოსული ქაფის მიმართულებას. იმის მიხედვით, თუ ბეჭოს თემის რომელი სოფლისკენ გადმოიღვარა ქაფი, იმ სოფელში ის წელი ბედნიერი, უხმოსავლიანი და ნაყოფიერი იქნება და მეზირის მთიდანვე ხმამაღალი შეძახილებითა და ლოცვა-სიმღერით ამცნობენ სოფელს, რომ წელს მათ ხვდათ წილად მეზირის მთავარანგელოზის მადლი. ქრისტიანულ ეპლესიაში ეს არაქრისტიანული რიტუალი თვით ამ დღესასწაულის სიმულებზე მეტყველებს.

დაბა მესტიაში მაღალ მთაზე, ალპურ ზონაში, არის ადგილი ჩახუშ ზუგუშერ (ჩახის გორები), სადაც ძევლი ნაეპლესიარია. როგორც მთხოვნელმა დალი ფალიანმა მიამბო, მამამისი ამ ნაეპლესიართან ყოველწლიურად მიღიოდა ლემზირებით (ტაბლუბით) და ლოცულობდა. მისი თქმით, იქვე არის ტბა – ჩახა მგვ, რომელიც ამინდთან მიმართებით იმავე თვისებებით ხასიათდება, როგორითაც მეზირის და ლაშხრაშის მუხის (მგვ) ტბები.

ახლა გადავინაცვლოთ ქვემო სვანეთში, ლაშხეთში. აქ სოფელ მახაშში, მთავარანგელოზის სახელობის ეპლესია. სოფელი ატარებდა მასშტაბურ დღესასწაულ ჰელიშობას. შერჩეული შვიდი კაცი გამოაბრძანებს მთავარანგელოზის ხატს და ხალხთან ერთად ააბრძანებენ ჰელიშის მთაზე, სადაც ასევე დგას მთავარანგელოზის სახელობის ეპლესია. ოთხდღიანი სხვადასხვა სანახობრივი დონისძიებისა და ლოცვის შემდგე, ხატს ისევ მახაშში ჩამოაბრძანებენ. გვალვის დროსაც ხატის აბრძანების იგივე რიტუალია: წვიმის მოსაყვანი ლოცვები და იქვე ტაძართან მოჩქევს წეარო – ხატი ლაბრალი. ამ წეაროზე განბანენ ხატს, ამიტომაც ჰქეია ხატის განსაბანი (მთხოვნელი მახაშელი ჯანგუ ფერცულიანი).

როგორც მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, ხაჭე გვაქვს არა ზღაპრულ გამონაგონსა და ლეგენდასთან, არამედ ქრისტიანული რწმენა-წარმოდგენითა და მსოფლმხედველობით გაჯერებულ ბიბლიური წარლგნის ეპოქის რელიგიურ ხედვასა და რიტუალთან. როგორც ვნახეთ, დასახელებული ეპლესიები განლაგებულია მაღალ

მთაში, აღვარ ზონაში, ეკლესიების ახლოს ყველგან ერთნაირი ფუნქციის წმინდა ტბაა. სახელიც მექ (მგვ) ერთნაირია, გარდა მეზირის ტბისა. სახელშივე ჩანს მათი ფუნქცია, რაც პირდაპირ უკავშირდება ტაროსს, ავდარს, ღმერთის რისხეას შეცოდებისთვის. ყველაზე საინტერესოა ის, რომ ტაძრების განლაგება თითქოს იერარქიულია: იწყება ლაშხერაშის დიდი ღმერთის ფუსედ მუხაშის ტაძრით, შემდეგ მოდის ბერის მეზირის მთავარანგელოზის, მესტიის ჩახის მთავარანგელოზისა და ლაშხერის მახა-შის მთავარანგელოზის ეკლესიები. ჩვენ ამ ეკლესიების შესახებ მხოლოდ წარ-მოდგნილი ინფორმაციით შემოფირდლებით, ვინაიდან, ვფიქრობთ, ჩვენი შემდგომი ანალიზისათვის საკმარისი იქნება. ისე კი, როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ თემასთან დაკავშირებით არსებობს სხვადასხვა კვლევა ლაშხერაშის სალოცავებს კი იკვლევენ და მალე კითილავთ ერთი მეტად ნიჭიერი მეცნიერის ნააზრევს.

განვაგრძოთ ფარას განხილვა. ჩვენი აზრით, დოლფანაში უნდა ვიგულისხმოთ დომფარა, ვინაიდან ის ნაყოფიერების დვთაების ეპითეტია. დოლფანაზეც იგივე შეიძლება ვთქვათ: მისი აღჭურვილობა, ცხვრის ტყავის ქუდი, სამოსი, კომედი-ური სცენები და ოჯახების დალოცვა ნაყოფიერების დვთაებას განასახიერებს და ავლენს მსგავსებას უდლიაშობის ტიპის დევსახაულებში მონაწილე მთა-ვარ პერსონაჟებთან. ფარა – საცერი ცხავების რიგის ერთ-ერთი ელემენტია, როგორც გოდორი, კალათა, საწური, ჩელტი, კ. ი. დაწწული და ნახვრეტებიანი კატეგორიის, მაგრამ სხვადასხვა სამეურნეო პროცესისათვის განკუთვნილი ია-რადები. „დადგენილია, რომ საცერი ზეციური წყლის ფრქვევის ობიექტს წარ-მოადგენს. იგი ცრემლის ანალოგიურია. ქართველთა წარმოდგენით, ცრემლი ასოცირდება წვიმასთან და მეტაფორული აზროვნების არსენალს განეკუთვნება, რაც ასევე მნიშვნელოვანია და სხნის მის არსებობას ლამარიას გამოსახულე-ბაში“ (სურგულაძე, 1981:4).

სვანები უძველეს ხანაში მდინარე ენგურში ოქროს მოპოვების დროს ცხვრის ტყავთან ერთად იყენებდნენ საცერს და გოდორს, რაც ცხავის სიმბოლოს მი-კუთვნებულ სამეურნეო იარადებს ნაყოფიერების დვთაების საკრალურ ელემენტებად აქცევდა. მაგალითად, სვანური მარხილის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია თხილის წენელისაგან დაწწული ჩელტი (სვანურად ჩაუ), რომელსაც საჭიროების შემთხვევაში დაახურავდნენ მას. ჩელტს გვერდები დაახლოებით 30-40 სანტიმეტრით ამოწეული ჰქონდა და საქმაოდ მოსახერხებელი იყო სასოფლო პროდუქტების მოსაზიდად.

ისიც სარიტუალო დანიშნულებისა იყო. ქალს მოსალოგინებლად აუცილებლად ამ ჩელტში ხააწვენდნენ. ეს პროცესი კარგადაა ასახული საგალობელ იაგ ქალთიდ ძებუციაში. ეს სიმღერა შეარიდას რეპერტუარშია და შემდეგ თავში ტექსტთან ერთად განვიხილავთ.

ქართული მითოლოგიის უძიდესი გმირის, ნახევრად ღმერთკაცის, ამირანის ოქმულება ძალიან ძველია, მისი წარმოშობა ქრისტიანობამდელ ხანაშია საგულვებელი და, ამდენად, განუზომელია მისი ფასი ქართველი ხალხის მსოფლმხედველობის ძირების წარმოსახენად. ამირანის თემას შემდეგ თავშემო კიდევ მივუბრუნდებით, ახლა კი მხოლოდ ერთ ამონარიდს გამოვიყენებოთ, რათა ცხავის ფუნქციაში მეტი სიცხადე შევიტანოთ: შავ ვეშაპთან ბრძოლის დროს, ვეშაპმა ამირანი გადაყლაპა, გარედან მეტმა შეახსენეს, რომ მას თან პქონდა ჯგურადის ნაჩუქარი ხანგარი. ამირანმა ხანგრით გვერდი გამოსჭრა ვეშაპს და გამოვიდა, გამოჭრილ ადგილზე კი, სვანური ვერსიით, ჩელტი ჩაუქნა. ეს უკვე ზამთრის დამარცხებისა და ბუნების გაღვიძება-აღორძინების საგაზაფხულო მითოსური ციკლია, სადაც ამირანი არღვევს სიკვდილისა და სიცოცხლის მიჯნებს, კლავს გველეშაპს, მზეს გადაყლაპვით რომ გმუქრება, ხოლო ნაყოფიერებისა და სიცოცხლის სიმბოლო ცხავის – ჩელტის – ჩადგმით უზრუნველყოფს სოციალური ერთეულის კეთილდღეობას. ამავე მითოსურ ციკლს განეკუთვნება ამირანის მიერ ყამარ-ქეთუს მოტაცება და მამამისთან, ტაროსის ლვთაებასთან, დაპირისპირება.

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ საცერო წვიმის ერთ-ერთი ატრიბუტი, ზეციური წყლის, ზეციური მადლის ფრქვევის ობიექტია. შუმერულ მითოლოგიაში ეს შემდეგნაირად ფიქსირდება: „ამმუქნებული ცის ძახილია დედამიწის მიმართ (გრგვინვა), რადგან ამ დროს ცა – დიდი ხარი, ხოლო დედამიწა, ჰეშმარიტი ფური, თავისი მამრისაგან მტკნარი წყლის მომღლინება“ (კინაძე, 1979:62).

ცხავი ლვთაების ატრიბუტია. ის ქრისტეს ეპითეტია (სიმღერა საგალობელი ცხაშ ჩრისდებ). ამაზე ქვემოთ.

თოვლის მურყვამის ძირითადი ნაწილის ანგის შემდეგი ელემენტია ხის ფალოსი. „ფალოსის კულტი დიდად იქო გაგრცელებული წარმართულ მსოფლიოში“ (მაკალა-თა, 1926:123). ნაყოფიერების სიმბოლოს უცავშირდება უძველესი რწმენა და სარიტუალო ცერემონიალები. „ფალოსი შორეულ წარსულშივე იქცა ძლიერებისა და გამრავლების სიმბოლოდ და, როგორც რელიგიური ატრიბუტი, არავითარი სამოთირო

გარევნილების ნიშანს არ შეიცავდა... ფართო გაგტით ფალოსის (და ვულგას) კულტი გულსიხმობს ცალკე ღვთაების თაყვანისცემას, ამ ორგანოთა და მათი სიმბოლური გამოსახულებების გაღმერთებას“ (გელოვანი, 1983:494).

ფალოსის კულტი ძატონობდა ძველ ეგვიპტეში, საბერძნეთში, ინდოეთში, იაპონიაში. ფალოსის კულტის კლასიკური ქვეყანა იყო სირია. ბერძნოთა თრობის ღმერთი დიონისე – ძალუმი ბუდა – გამნაყოფიერებელი ღმერთია.

ფალოსის კულტი ძლიერი იყო საქართველოში. ამაზე მეტყველებს ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში მოძიებული ბრინჯაოს, ქვისა და ხის გამოსახულებები. სარიტუალო ქვები აღმოჩენილია სვანეთში. ერთი ასეთი, ტყვიისაგან ჩამოსხმული, მუქალში ნახა სერგი მაკალათიამ და საქართველოს მუზეუმში ჩაიტანა. ფალოსის კულტს უკავშირდება სექსსცენები საქმისაში. მურყვამობის დღესასწაულებში თოვლის მურყვამის ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი ხომ ხის ფალოსია. დასამალი არ არის და არც სამარცხებინო, რომ სვანური მურყვამის (კოშკის) და სალოცავ დახვამის (ლაკუტები) სახელები ფალოსის კულტის ძლიერი რწმენის გამოძახილია.

ანგის კიდევ ერთი ატრიბუტი – ჯვარი. ზოგან ანგზე მხოლოდ ჯვარია დამაგრებული. მაგალითად, უხეულდერში ხის წერზე მხოლოდ დროშას ან ჯვარს ამაგრებენ. ჯვარი გვხვდება ყევნის თავსაბურავზე. ასევე საქართველოს სხვა კუთხებშიც ნაყოფიერებისადმი მიღებილ წეს-ჩვეულებებში ერთ-ერთი მთავარი ატრიბუტი ჯვარი – სიცოცხლის სიმბოლო – სიცოცხლის ხესობან ერთ ასპექტშია წარმოდგენილი.

ჩვენ უკვე ზოგადად განვიხილეთ ყველიერის თამაშებად წოდებული ბუნების აღორძინებისა და აგრარული კულტმსახურებისათვის განკუთვნილი შემდეგი დღესასწაულები: მურყვამობა კვირიერა, აღბა ლალრძლი ჯგუბი, უდღიაშობა. ამ დღესასწაულების საწესო-სარიტუალო სიმღერების განხილვა გაგრძელდება ნაშრომის შესაბამის თავებში. ასეთი ფორმით განხილვა-ანალიზი მკითხველს საშუალებას მისცემს, უფრო სიღრმისეულად ჩასწევდეს დგთის სადიდებელ პიმნებში დაგანებულ იღუმალ საკრალურ საიდუმლოებას. ზოგ საკითხზე მკითხველებს ახალ მიგნებასა და აღმოჩენასაც შევთავაზებთ.

აქვე ვიტყვი: სვანეთში დაფიქსირებული ბუნების აღორძინების ყველიერის თამაშები საქართველოში არსებულ ბერიკაობა-ყევნობის დღესასწაულთა ორგანული ნაწილია, თუმცა არის გარკვეული განსხვავება: თუ ბერიკაობა-ყევნობა ბერიკა-

თა თამაშითა და სხვა მრავალფეროვანი სანახაობრივი სიუკეტებით ამოიწურება, სვანეთში ამ ტიპის დღესასწაულები ტარდება მეტად რთული საკრალურ-რელიგიური სიმბოლოების, ნაყოფიერების დვთაებისადმი მიძღვნილი სიმღერა-რიტუალებისა და დვთის სადიდებელი პიმნების ფონზე, რაც თვითმყოფადობის აშკარა დამადასტურებელი ნიშანია.

ბუნების კვდომა-ადგაომის მისტერიები, რაც ჩემი საკვლევი ობიექტია,,რამდენიმე ათასი წლის წინ ჩამოყალიბდა, რომლის იდეა ყველა ეთნოსსა და რეგიონში გარკვეული ვერსიით იყო წარმოდგენილი. ცალკეულ ვარიანტება და რიტუალურ სიმბოლიკაში გადამწყვეტ როლს ასრულებდა ადგილობრივი წარმოდგენები, ამიტომ შემორჩა ხალხური დღესასწაული ერთი წარმმართველი იდეითა და უაღრესად თავისებური მრავალფეროვანი მხატვრული სახეებით“ (რუხაძე, 1999:162).

უდავოა, რომ ათასეუთასწლოვანმა ქრისტიანობამ აღნიშნულ დღესასწაულთა ქარგასა და მრავალფეროვანი სიუკეტის ჩამოყალიბებაზე ზეგავლენა მოახდინა, მაგრამ მაინც ამჩნევია წინარეკრისტიანულ შეხედულებათა დრმა კვალი.

მურყვამობის უძველეს ცივილიზაციებთან კავშირსა და პარალელებზე საუბრამდე თვით ანგი განვიხილოთ. ანგი სვანურად ცისა და მიწის კავშირს ნიშნავს: ანი – ცა, გი – მიწა. ცისა და მიწის კავშირი, სვანური წარმართული რელიგიური შეხედულებითაც, სიცოცხლე და სიცოცხლის სიმბოლოა. ეს სვანურ ძევლ საწესო-სარიტუალო სიმღერებსა და დვთის სადიდებელ პიმნებში საქრალური ფორმითაა წარმოდგენილი.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯულიეტა რუხაძემ პირველმა მიაქცია ქურადღება იმას, რომ რიტუალის ცენტრალური ელემენტი ანგი, როგორც სიცოცხლის ხე, მისტერიული დანიშნულებით, ფორმით და ხმოვანებითაც კი, ძალიან ჩამოჰავს მაგიკურ სარიტუალო ნივთ ანს – სიცოცხლის სიმბოლოდ მიჩნეულ ეგვიპტელთა თაფმომრგვალებულ ჯვარს. „ჩვენთვის უკვე ცნობილია, რომ სიცოცხლის ხის იდეა უნივერსალური მოვლენაა, მთელ მსოფლიოშია გაგრცელებული და მრავალი ვარიანტით გვხვდება. ეს კი უფლებას გვაძლევს, გავიმეოროთ მოსაზრება იმის შესახებ, რომ სვანური „ანგი“ და სიცოცხლის-ცხოვრების ცნებად მიჩნეული ეგვიპტური „ანხი“ სიცოცხლის მომნიჭებელ დვთაებათა ატრიბუტებია“ (რუხაძე, 1999:168-169).

ამ თემაზე კვლევა გააგრძელა კობა ჭუმბურიძემ და შექმნა საინტერესო ნაშრომი იდუმალი იეროგლიფი ანს. ნაშრომი იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ჩემი

საკვლევი თემის მრავალი საგითხის ახლებური გააზრების საშუალება მომცა. მკლევარმა თავის მცირეფორმატინ ნაშრომში, ეთნოგრაფიული ანალიზისა და პარალელურ მასალასთან შედარების საფუძველზე, ამ ორი ფენომენის – ანგისა და ანხის – წარმომავლობის და საერთო მახასიათებლების შესახებ მეტად საფურადებო მოსაზრებები გამოიქვა.

მოკლე ამონარიდი ამ ნაშრომიდან: „ტანიანი ჯვარი „ანხი“ ეგვიპტეში ყველაზე გავრცელებული სიმბოლო იყო. ის მესამე დინასტიიდან მოყოლებული ხშირად გვხვდება არქაულ მასალებში. უამრავი ლითონის, ხის, თიხის ანხია ნაპოვნი, მათი დიდი ნაწილი ამჟღვებია, რომელსაც უნდა უზრუნველეყო მფლობელის სიცოცხლის გახანგრძლივება, ხოლო სიკვდილის შემდეგ – იმქვენიური სიცოცხლე. ანხი აელტურ ენაზე სიცოცხლეს აღნიშნავს და, როგორც სიმბოლო, ასოცირებულია არა მხოლოდ დმერთებთან, რომელთაც იგი უპყრიათ, არამედ პაერთან, მზესა და წელთან, ვინაიდან, ეგვიპტელების აზრით, მისი მეშვეობით სიცოცხლის რეგერაცია ხდებოდა“ (ჭუმბურიძე, 2003).

ანხი ფარაონებსაც უპყრიათ ხელო, ასევე იგი ეგვიპტური პირამიდების წარწერებშიაც ნახსენებია. ანხი, სიცოცხლის სიმბოლო, მრავალგვარი გამოვლინებით გვხვდება. ის იმქვენად მიცვალებულთა სიცოცხლეს იცავს, სიცოცხლეს შთაბერავს.

სიმბოლო ნიღოსის არხის კედლებზეც იყო გამოსახული, რათა მისი ნაკადი ადამიანთა სასიკეთოდ წარემართა. ანხი გამოსახულია განბანების რიტუალშიც – ორ დმერთს შეა მდგომ მეფეს ანხების ჯაჭვით წეალი ესხმება. და პარალელი ქართულ მასალასთან: როგორც ირაკლი სურგულაძე მიანიშნებს, საცერი ხომ ნაყოფიერების ღვთაების ფუნქციის, ზეციდან მაცოცხლებელი წყლის, ანუ წვიმის, სიმბოლოა.

ანხი ხშირად დმერთებს უპყრიათ მიცვალებული ფარაონის ცხვირთან. მისი ფუნქციის მიხედვით, ალბათ, არ იქნება მნელი დავასკვნათ: ეს ფარაონებისათვის სიკვდილის შემდეგ შთაბერილ სიცოცხლეს უნდა ნიშნავდეს. თავად ძეელ ეგვიპტელთა აზრით, ანხის პყრობა მისი მფლობელისათვის ბოძებულ მარადიულ სიცოცხლესა და უკვდაგებას გამოსახავდა. მათი რწმენით, ანხის სიახლოებეს მყოფნი ისრუბავდნენ მისგან გამოსხვებულ სიცოცხლის ენერგიას.


ქვემოთ მოყვანილი განმარტებები საფუძველს გვაძლევს გამოვავლინოთ პირდაპირი კაფშირი სვანურ მასალასთან.

წარმოგიდგენთ მკვლევარ კობა ჭუმბურიძის მიერ შექმნილ ანგისა და ანხის ნახაზ-ნახატებს.

ანგის ძირითადი ატრიბუტები



ეგვიპტური ანხი



ანხის, როგორც სიმბოლოს ფუნქციაში, ნაყოფიერებასთან ერთად, შედის მიხი მფლობელისათვის ჯანმრთელობისა და ბედნიერების მინიჭება. ასევე ანხი ოსირისისა და ისიდას – ციხა და მიწის კავშირს ასახავს. ქართულ მასალაში ეს ფუნქცია ხეს აქისრია.

როგორც ვხედავთ, ანგის ფუნქციების თანხვედრა ეგვიპტურ ანხისთან არაა რეალობას მოკლებული. მეტიც, ამ პარალელებს აძლიერებს თოვლის მურყვამ-ანგისადმი მიძღვნილი სვანური ლოთის სადიდებელი ჰიმნი კვირია, რომელიც სრულდუ-

ბოდა ოოვლის მურჯგამის გარშემოვლით. კვირიას შეიძლება ეწოდოს მარადიული სიცოცხლის პიმნი, კინაიდან სვანები მას უძღვნიან ადამიანთა კეთილდღებას, ნაფოფიერებას და ყველა სიკეთეს, რაც ადამიანის ჯანსაღ ცხოვრებასა და სიცოცხლეს უკავშირდება. ასევე კვირიათი აცილებენ სიკეთითა და ბედნიერი ცხოვრებით გამორჩეულებს, ანუ სვანისათვისაც საიქიო ცხოვრება ისეთივე რეალობაა, როგორც სააქაო. ვფიქრობთ, ეგვიპტური სიმბოლო ანხი თავისი ფუნქციებით სვანური მოვლენა რომ ყოფილიყო, კვირია, სვანური მუსიკალური შედევრი, მთელი თავისი შინაარსითა და მრავალმხრივი ფუნქციით თავისუფლად ჩაითვლებოდა ანხის პიმნად და ორეულად. ქართული ტომებისა და ძველი ეგვიპტის კულტურული და სხვა ურთიერთობების შესახებ არსებობს უცხოელი მეცნიერების გამოკლევები და მნიშვნელოვანი მოსაზრებები, თუმცა მე მხოლოდ ერთს დავესესხები. გერმანელი ბუნებისმეტყველი, ბოტანიკოსი და მედიცინის ისტორიკოსი კურტ იოახიმ შპრენგელი სტატიაში – „უძველესი კოლხური მედიცინა“ – წერს: „ეგვიპტელთა კულტურაში, უდავოდ, დიდი ზეგავლენა მოახდინა კოლხთა და ფინიკიელთა კულტურაში, შავკანიანთა მოდგმა ძირითადად შეცვალა თეთრმა ხალხმა... ძველ ეგვიპტელთა ლგთაებანი თითქმის კოლხური წარმომავლობის არიან ფინიკიურსა და პელაზგურთან ერთად“\*. ალბათ, გერმანელ მეცნიერს ჰქონდა სერიოზული საფუძველი, ეს საინტერესო მოსაზრება გამოეუქვა.

ახლა კი ჩვენი იდუმალი ანგის ნათესავების საძებნად კიდევ ერთ უძველეს ციფილიზაციას, ციფილიზიაციის აკვნად წოდებულ, შუმერს მივაღვეთ. მეგზურად კი ვიახლოთ მკლევარ ზურაბ კიკნაძის ნაშრომი შუმერინარული მითოლოგია. ნაშრომი ყოვლისმომცველია და ამ უძველესი ხალხების, შუმერ-აქადთა მითოლოგიური სამყარო, მათი მითოსური თვალთასედვა, შესაქმე, კრისმოგნური აქტი, ადამიანის და, საერთოდ კაცობრიული ციფილიზაციის შექმნა, შუმერთა მოელი მითოლოგიური სისტემა, მეცნიერის მიერ წარმოდგენილია ამომწურავად და, რაც მთავარია, მაღალ მეცნიერულ დონეზე.

შუმერული კოსმოგონიით, უძველეს ზღვაურ ქალღმერთ ნამუს წიაღში იყო ქაოსურად ერთიანი ცა და მიწა. ნამუს ეპითებია ამა-უ-თუან-ქი – მშობელი დედა ციხა და მიწისა. ძველი სვანურით ნაი – წყალს ჰქვია, ხოლო დეტერმინატივში ამა-უ-თუ-ან-ქი – უთუ სვანურად შობა – უთუ-ლიოთუ-ლიოთავე. ანქი – ანი სვანურა-დაც ცაა, ხოლო ქის და გის შინაარსობრივი (ფონეტიკური) მსგავსების დადგენა

ადგილია, ვინაიდან ორივე მიწას, დედამიწას პქვია.

ვინაიდან ნამუს წიაღში თაყიდანვეა ჩადგბული შობის პრინციპი, ამიტომ იგულისხმება, რომ ანის და ქის წიაღშიც შობის ეს პრინციპი განხორციელდა – იშვა მზიური დმერთი ენლილი და სხვა დმერთებიც. ენლილმა, როგორც მზიურმა დმერთმა, ოქროს წერაჭით განწვალა ცისა და მიწის შეტყუპებული ქაოტური სხეული და თავად ჩადგა მათ შორის, როგორც დიდი მთა, თუმცა განწვალება არ ნიშნავს ცისა და მიწის უსასრულო დაშორებას. ენლილი, ცისა და მიწის გამოიშველი, თავად გახდა მათი შემაკავშირებელიც და დადგა დიდი დერძივით, რითაც შექმნა კოსმოსი, საარსებო სივრცე, რომლის განვითარებასთან ერთად აღმოცენდება ქვეყნის თესლი, იზრდება ხე, მკვიდრდება კაცთა მოდგმის სახელი, ყოველი დაბადებული მოქცეულია და სუნთქავს ცასა და მიწას შორის. „ღმერთი, რომელმაც გათიშა ან-ქი, იგივე ღმერთი იქნება მარადეამს მათი შემაკავშირებელი, რადგან ის დგას მათ შორის დიდი ღერძივით“ (კიბაძე, 1979:115). სწორედ ამ ქმედების გამო ეწოდა ენლილის – ღურ-ან-ქი – კავშირი ცისა და მიწისა. სიტყვა ღურ კავშირის გარდა ჭიპსაც ნიშნავს. სვანურ ენაში ღურ პქვია გრძელ, მსხვილ ხის მორს, რომელიც გაიდება სვანური სახლის (მაჩუბის) ორფრთიანი გადახურვის დროს მთავარ საყრდენად, შემაკავშირებლად, რომელზეც დამაგრდება კოჭები და სხვა გადასახური მასალა (შდრ. ქართული დირექტები). ის აკავშირებს სახლის მთავარი კედლებს და განსაზღვრავს საცხოვრებელი სახლის სიმტკიცეს მრავალი ასეული წლის განმავლობაში (საინტერესო პარალელია. ავტ.).

ახლა კი განვაგრძოთ ცისა და მიწის კავშირის შეტყული იდეის განხილვა: იდეა ცისა და მიწის კავშირისა სწორედ ტაძრის შენებაში ყველაზე მკაფიოდ გამოიხატება. „ამრიგად, ტაძრის აგება იმტორებს შესაქმის აქტს, რომლის ძალითაც უორიენტაციო სივრცეში, სიღრმიდიან უმაღლეს ცამდე, გამოისახება პირველი ვერტიკალი, რის შემდეგაც ფაქტობრივად შეიქმნება სივრცე... ამ სივრცეს კი ქმნის უკიდეგანო დაბლობზე აღმართული უზარმაზარი ტაძრები – ზიქურათები, რომელნიც თავიათო ლოკალში იმ წარმოსახვითი ვერტიკალის, დიდი სვეტის განსხვებებს წარმოადგენებ და ყოველ კერძო აღგილს დედამიწის შუაგულად აქცევენ“ (კიბაძე, 1979:116-117). წიგნში ეს მასალა დიდი მოცულობით არის წარმოდგენილი, ჩვენი განსახილვები თემისათვის კი მხოლოდ ცალკეულ საკითხს გამოვყოფთ. ამიტომაც შევეცდებით, მოკლედ წარმოვადგინოთ ზიქურათების აღწერილობა, ფუნ-

ქციები და მასთან დაკავშირებული სიცოცხლის ხის დანიშნულება.

ზიქურათები, უზარმაზარი ტაძრები, კოსმიური მთის (დურანქის) ხატად შენდებოდა და სწორებ ეს კლინიდებოდა მის კონფიგურაციაში. ზურაბ კიერაძეს მოპყავს ზიქურათის ჰეროდოტესეული აღწერილობა: „აღმართულია უზარმაზარი გოდოლი, მასზე კიდევ სხვა გოდოლი და ასე რვა გოდოლია ერთმანეთზე დაშენებული. გარეთა კიბე გარს უკლის მაღლამდე ამ გოდოლებს... უკანასკნელ გოდოლზე აღმართულია დიდი ტაძარი. ამ ტაძარში დგას დიდი, ბრწყინვალედ მორთული სარეცელი და მის გვერდით ოქროს ტაბლა. არავითარი გამოსახულება დაფთაებისა იქ არ იპოვება. არც არავინ ათევს იქ დამეს, გარდა ერთი ქალისა, რომელსაც, ქალდეველთა დმერთის ქურუმთა სიტყვით, დმერთი ამოირჩევს აღგილობრივ ქალთაგან. ქალდეველები ირწმუნებიან, თოთქოს თავად დმერთი ეწვეოდეს ზოგჯერ ტაძარს და დამეს ათევდეს ამ სარეცელზე“<sup>1</sup>. საკრალური ქორწინების ეს იდეა სვანური მურჯამობის რიტუალურ სიუჟეტებშიც გვხვდება, რაზეც ნაშრომის შესაბამის თავებში ვისაუბრები.

ზიქურათები მთის ხატად შენდებოდა, მის კონფიგურაციას მთის ასოციაცია უნდა გამოეწვია. შუმერთა გენით ეს ეფექტი მიღწეული იყო. ტერასებად დაყოფილი უზარმაზარი ტაძრის ყოველ ტერასაზე გაშენებული იყო ტყე... მთიან ადგილას, სადაც არ იყო შენების საშუალება, თვით მთის მწვერვალი ასრულებდა ზიქურათის როლს. წარდვნას გადარჩენილმა ერთადერთმა კაცმა უთანაფიშთიმმა სწორედ ნიცირის მთის მწვერვალზე მსხვერპლშეწირვით აღავლინა დოკვა დმერთების მიმართ. „ამოგსვი (პირუტყვი) და შევწირე მსხვერპლი ოთხივ ქარისკენ. მთის ზიქურათზე ვაკმიე საკმეველი,“ – ამბობს უთანაფიშთი.

ზიქურათის აღწერილობა მსგავსია ქართული სალოცავებისა. ცხადია, ქართულ სინამდვილეში, სადაც მრავლად არიან მთანი და ბორცვი არ დასჭირდებოდათ მთას მიმსგავსებული შენობის აგება – ამ რელიგიური მრწამსის განსახორციელებლად თავად მთა იქნებოდა გამოყენებული (გარაფანიძე, 2008:101).

უთანაფიშთიმი და ბიბლიური ნოე, ფაქტობრივად, პროტოტიპები არიან. ორივე დმერთის მიერ მოვლენილ წარდვნას გადაურჩა. შუმერული წარდვნა ათასწლეულებით უსწრებს ბიბლიური წარდვნის ამბავს. უთანაფიშთიმიც და ნოეც კიდობნის (დიდი მცურავი ნაგებობის) მეშვეობით გადაურჩნენ წყლის დამანგრევებლ სტიქიას. ორივემ სრულიად განსხვავებულ ეპოქებში ახალი სიცოცხლე გადამრჩენ მთის

შევერვალზე დოცვითა და მსხვერპლშეწირვით აღნიშნა.

ნოე იუდაისტერი და ქრისტიანული წმინდა წიგნების – ბიბლიის – ერთ-ერთი მთავარი პერსონაჟია, ხოლო უთანაფიშთი შუმერულ-აქადური მითოლოგიური წარმოდგნების ერთ-ერთი მთავარი სახე. ამ შემთხვევაში არ დავიწყებთ იმის გარჩევას, თუ რომელი რელიგიური ხედვაა მართებული და რომელი – არა, მხოლოდ ერთ რამეს გაეცეს გამო სახის: საქმე გვაქს მსოფლიოს ყველაზე დიდი და მასშტაბური სტიქიური უბედურების სხვადასხვა ეპოქის რელიგიური მსოფლმხედველობის და თვალთახედვის საფუძველზე ჩამოყალიბებულ შეფასებასთან. ერთი არის მრავალდმერთიანობაზე აგებული მითოსურ-რელიგიური აღქმა ხილული და უხილავი სამყაროს რაობისა, ნოე კი მონოთეისტერი რელიგიის წმინდა წიგნთა მთავარი ბიბლიური პერსონაჟია. უდაკო ჰეშმარიტება: ეპოქათა განვითარებას და შესაბამისად ახალი მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებას მოჰყვება სამყაროს აღქმის ახალი, უფრო დახვეწილი, რელიგიური შეხედულებები. დღესაც მსოფლიოს უდიდესი ნაწილი, ჩვენი თაობაც, სწორედ მონოთეისტური (იუდაისტერი, ქრისტიანული, ისლამური) სულიერი აზროვნებით საზრდოობს, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენთვის, ჩვენი ისტორიის მრავალათასტლოვანი განვითარების აღწერისა და შეფასებებისათვის, არანაკლებ მნიშვნელოვანია უძველესი ცივილიზაციების – შუმერ-აქადთა (საერთოდ შეამდინარეთის), ძველი ეგვიპტის, ანტიკური სამყაროსა და სხვა ძველი ხალხების ისტორიისა და სულიერი კულტურის დრმა ცოდნა, რომლებთანაც ქართული მოდგმის ხალხებს მჭიდრო კულტურული ურთიერთობები აკავშირებდათ. აღნიშნულ ცივილიზაციებთან განსაკუთრებით ჩვენთვის საინტერესოა შუმერული და მათი რელიგია, რაც მრწამსად იქცა მთელი ახლო აღმოსავლეთისათვის. ბაბილონურ-ქადაგური რელიგია და სულიერი კულტურა მთლიანად ეფუძნება შუმერულ რელიგიას. შეცვლილია მხოლოდ ზოგიერთ დვთაებათა სახელები. ბაბილონის უზენაეს დვთაება მარდუქს ენდილობის ტიტული პქონდა მინიჭებული, სახელმწიფოს რელიგიურ-სარიტუალო ენა კი ძვწ.ად.-ის თითქმის მე-6 საუკუნეებდე შუმერული იყო. ამიტომ, როცა ვსაუბრობთ შუმერულ კულტურაზე, მრავალი მიმართულებით ვგულისხმოთ მის შვილობილ აქადურ კულტურასაც. შუმერული კულტურის, შუმერული ცივილიზაციის შესწავლა განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო და არის ქართველი უფროსი და დღევანდელი თაობის მკვლევრებისთვის. მიხაკო წერეთლით დაწყებული მრავალი ქართველი მეცნიერი შეეხო ამ თემას.

სვანურ-შუმერულ რელიგიათა და კულტურათა შორის პარალელების შესწავლის საქმეში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის აკადემიკოს თემურ მიბჩუანს. მან დაგვიტოვა საპროგრამო ნაშრომი, რომელიც მომავალი მკვლევრებისათვის ნამდგილი მეგზური იქნება. ჩვენც ამ თემას მრავალგზის მივუბრუნდებით.

ზიქურათებისა და სიცოცხლის, კოსმიური ხის, განხილვამდე ისევ მივუბრუნდეთ წარდგნის თემას და ვეცადოთ აღმოვაჩინოთ თდნავი მინიშნება, რაც სვანური რელიგიური და საკრალური სამყაროს წიაღში, ტრადიციებსა და რიტუალებში მოიპოვება.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ზემო სვანეთის სოფელ ლაშხრაშის თავზე, ალ-ჰურ ზონაში, დგას დიდი ღმერთის სახელობის უძველესი ეკლესია ფუსდ მუხაშ, რომელშიც დაუნჯებულია დიდი ღმერთის მადლი (ყერ). თქმულებისა თუ ლეგენდის მიხედვით, ამ ეკლესიის (ფუსდ მუხაშის) სალოცავში ჩატარდა, დედამიწის უველგარი უბედურებისა და უკათვურებისაგან გამრმენდი წარდგნის შემდეგი, პირველი ლოცვა, დიდი ღმერთის მიმართ აღველინა პირველი ლოცვა-ველრება. ჩვენი აზრით, ეს რელიგიურ-საკრალური ხასიათის გადმოცემაა, რომლის აღქმა და გადაცემა მხოლოდ დიდ სულიერ-რელიგიურ სრულყოფილებას მიღწეულ სასულერო მოღვაწეებს ძალუმთ, და ასე მოაღწია დღემდე. ასეთი სულიერი მოღვაწეები არსებობდნენ და მოღვაწობდნენ წარმართულ ეპოქებში ქურუმების სახით, ასევე მოქმედებდნენ საიდუმლო სკოლებიც, რომლებიც შეერწყნენ ქრისტიანულ რელიგიას. ამ პროცესის ნათელ მაგალითად შეიძლება ჩაითვალოს ქართველთა მოქცევის ისტორია პირველივე საუკუნეში: კოლხეთ-იბერიის ტერიტორიაზე საქადაგებლად მოსულ ქრისტეს მოციქულებს – ანდრია პირველწოდებულს, სიმონ კანანელს, მატათას და მათ მხლებლებს სვანეთი, სადაც ქალი მეფობდა, გულთბილად შეხვდა. მოციქულებმა წარმატებით იქადაგეს ქრისტიანული რელიგია სვანეთში. რა იყო ამის მიზეზი? ვფიქრობ, ძველი აღთქმისეული რელიგიური ხედვა არ აღმოჩნდა უცხო სვანეთში იმ პერიოდში გამეფებული რელიგიისთვის და ამისი მიზეზი შეუმერში უნდა ვეძიოთ. შეუმერის ურიდან, დვოთის ნებითა და კარნახით წასული აპრაამის რელიგია, შუმერსა და შუმერულ რელიგიასთან დაკავშირებულ სვან ქურუმებს სრულებითაც არ ეუცხოვათ იმავე ძირზე აღმოცენებული აპრაამის უკვე მონოთეისტური რელიგია. უფრო სწორად, ალბათ, სვანმა ქურუმებმა, შუმერების რელიგიით ნასაზრდოებ ბიძლიურ თქმულებებთან გარკვეული სახით დაკავშირების

შესაძლებლობა დაინახეს და გულობილი დახვედრის მიზეზიც ეს იყო. სხვაგან რომ არც ისე მეგობრულად ექცევდნენ ძლიერნი ამა სოფლისანი მოციქულებს, ეს ისტორიისათვის ცნობილი ფაქტებია.

ახლა კვლავ მივუბრუნდეთ უთანაფიშთის თემას. წარდგნას გადარჩნილმა ერთადერთმა ადამიანმა თავისი ჯალაბით, რომელიც ახალ სიცოცხლედ მოევლინა დედამიწას, პირველად შესწირა მსხვერპლი, პირველად უქმია საქმევლი და აღაულინა ლოცვა-ვეღრება უზენაესი ღმერთების მიმართ ახალი სიცოცხლის დაწყების ნიშნად. ამ თემის განსახილვებად ისვე მივუბრუნდეთ ჩვენ მიერ უკვე წარმოდგენილი ოთხი ეკლესის – ლაშერაშის, ფუძე მუხაშის, ბერის თემის მეზირის მთავარანგელოზის, დაბა მესტიის ჩახის მთის ჩახის მთავარანგელოზისა და ლაშეთის მახაშის მთავარანგელოზის სახელობის ეკლესიების თემას. მათი სახელები – მახაში, მუხაში, მაპაში ამინდს უკავშირდება. ყოველ თემში, სადაც ეს ეკლესიებია განლაგებული, იმართება სახალხო დღესასწაული პულიშ (პგლიშ) – ლოცვა-ვეღრების რიტუალებითა და სანახაობრივი ღონისძიებებით. ამ დღესასწაულის გვირგვინია მარტლა, ცხენების დოდი. როგორც ძველი თქმულება ამბობს, „უშგულში მოწვევილა უზარმაზარი მყინვარი, ჩაჰყოლია ზემო სვანეთის ხეობას და მთელი სვანეთის მასშტაბით დიდი კატასტროფები გამოუწვევია. თქმულებით, პულიშობა ამ კატასტროფის შემდეგ შემოღებულა (პულ – სვანურად მყინვარი). თუმცა, თუ ლაშერაშის ფუძეის (დიდი ღმერთის) სახელობის ეკლესიაზე არსებულ თქმულებას გაფიხსენებთ, მას აუცილებლად აქვს არსებობის უფლება, ვინაიდან არა მარტო ლეგენდა, არამედ თვით დიდი ღმერთისადმი (ფუძე მუჭაშ) მიძღვნილი პიმი ლაშუშედა გვამცნობს:

იმეგი საგვაჯიო ყერიშა მიჩადა?

ლაშერაში ჟიქანიო ივასიო მიჩადა

ანუ:

სად არის დაუნჯებული მადლი (ყერიშა) მისი?

ლაშერაშის ზევითო (თაგზეო) დასაბამიდან (ევადან).

დასაბამისეული აზროვნების გამომახილად შეიძლება ჩაითვალოს უზენაესისადმი აღვლენილი ეს საოცარი სიმღერა-საგალობელი, რომელიც ერთხელ კიდევ დაგვაფიქრებს, რომ უძველეს რელიგიურ რწმენას ნაზიარებ სვანების გენეტიკურ მეხსიერებაში შესაძლებელია ჯერ კიდევ კიაფობდეს მსოფლიო წარდგნის შესახებ

მეცნიერებას დაუქვემდებარებელი გრძნობითი ფარული მოგონებები. დღესაც ჩვენ მიერ ჩამოვლილი ტაძრები ლაშერაშის ფუსდ მუხაშის (დიდი ღმერთის) სახელობის ტაძრის წინამდობრიბით, არა მარტო უტყვი ძეგლებად, არამედ ბურჯად და დარაჯად დგანან, აფრთხილებენ ადამიანებს, ადამიანთა მოდგმას, რომ დაიცვან ღმერთის რწმენა და აუგად არ მოექცენ მის მიერ დასაბამიერად დადგენილ ცხოვრებისეულ ნორმებსა და წესებს, რომ უკეთური ცხოვრებით გამოწვეული გამანადგურებელი კლიმატური კატაკლიზმების ალბათობა ჯერ კიდევ არსებობს.

დიდება ლაშერაშის დიდი ღმერთის (ფუსდ მუხაშის) სახელობის დასაბამისეულ ტაძარს! დიდება ბეჭოს თემის მეზირის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარს! დიდება მესტიის ჩახის, მახაშის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარს! დიდება ლაშერის მახაშის მთავარანგელოზის სახელობის ტაძარს! შეეწიოს მათი მადლი სვანეთს და მთელ საქართველოს!

მთავარი თემიდან ამ პატარა გადახვევამ, ვუიქრობ, კარგი შედეგი გამოიღო. სვანეთის მთის ზიქურათების ტაძრების შინაარსობრივი სახე ენათესავება შემგრთა ზიქურათებს.

როგორც ადვინძეთ, მთის ხატად შენდებოდა, მაგრამ ის არ იყო შიშველი მთა, „სიმაღლის მიხედვით ყოველ ტერასაზე გაშენებული იყო ტყე და სწორედ ეს ტყე ქმნიდა ილუზიას მიწის გულიდან ამოზრდილი მთისა“ და ეს მწვანე მთა არა მარტო აღნაგობით, არამედ რეალურად გამოხატავს ზიქურათის გარეგან სახეს (ეთიოპიაში ქრისტიანული ტაძრები მოუვალ მთებშია აგებული).

როგორც ვხედავთ, ზიქურათის დახასიათების დროს ფიგურირებს ხე. ერთ-ერთ შუმერულ არქაულ საბეჭდავზე – თიხის ფირფიტებზე – გამოხასულია მშენებარე ზიქურათი, რომელსაც გეერდით უდგას წიწვოვანი ხე. კინაიდან ზიქურათები იყო სიმბოლო ცისა და მიწის კავშირისა, ტაძარი იმეორებდა შესაქმის აქტს, რომლის ძალითაც „უორიენტაციო სივრცეში სიღრმიდან უმაღლეს ცამდე გამოისახება პირველი ვერტიკალი“. ამ ვერტიკალზე კი იქმნება სასიცოცხლო სივრცე ჟველა ზიქურათი, სადაც კი ისინი შენდებოდა, თავის ლოკალში წარმოსახვით დიდ სვეტებს ქმნიდა და ზედწოდებაც შესაბამისი პქონდათ: დურანქის სახლი, ქვეუნის დიდი სვეტი, ცისა და მიწის დიდი სვეტი, რომელსაც საძირკველი აბზუში უდევს“.

ზიქურათის კონფიგურაციაში ხეს განსაკუთრებული ადგილი მიკუთვნება. ეს იმიტომ, რომ „თვით ტაძრის აგება შედარებულია ხის ამოზრდასთან მისი მიმა-

როულებით“ (კიქნაძე. 1979:112-113). ხეს, ტაძარს, მთას, ფესვები ქვესკნელში უდგათ, „ის ხელთუმნელი სიმბოლოა დიდი ღერძისა“ (კიქნაძე. 1979:127). ხის ზედწოდებაა სიცოცხლის ხე, ცხოვრების ხე, მსოფლიო ხე. მელი ქვეყნების ხალხთა მითოლოგიაში ის განასახიერებდა სამყაროს მთლიანობას. უმველესი შეხედულებების თანახმად, სიცოცხლის, ცხოვრების ხე დგას სამყაროს ცენტრში და ის ვერტიკალში გაივლის სამ სარტყელს – ფესვები მოქცეულია ქვესკნელში, ტანი – სკნელში, წევრი – ზესკნელში.

საქართველოში ხის სამყაროული ღერძის სიმბოლოდ აღქმის გამოხატულებად შეიძლება ჩაითვალოს ბოლო დრომდე შემორჩენილი ხეთა თაყვანისცემა (თუნდაც ხევსურული ხემხივანი). სალოცავის ადგილას მდგარი ხეებიც ამაზე მეტყველებს. საქართველოს ყველა კუთხეში ხეთა თაყვანისცემის მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება, მაგრამ ახლა ამ მოკლე განხილვით დაგმაყოფილდეთ. შემდგებ თავებში ისევ მივუბრუნდებით ამ საკითხს. ახლა ვეცადოთ კიდევ ერთხედ გავიაზროთ და ჩამოვაყალიბოთ იმ შეხედულებათა ნუსხა, რომელიც შუმერული ანქისა და სვანური ანგის სიმბოლოებს შორის შესაძლო პარალელებს ასახავს.

1. უპირველეს ყოვლისა, სვანური ანგი ციხა და მიწის კავშირია: ანი – ცა, გი (გიმ) – მიწა. შუმერული ანქიც ციხა და მიწის კავშირია: ანი – ცა, ქი – მიწა. ფატტობრივად ამ ორი სიმბოლოს ფონეტიკური და შინაარსობრივი მსგავსება აშენარა.

2. ანქი – ციხა და მიწის კავშირი გამოისახება სიმბოლოთი დურანქი, მიხი ნივთიერი განსხვაულება კი შუმერული ტაძრები – ზიქურათებია, თავიანთი ერთ-ერთი მთავარი ელემენტით – სიცოცხლის, ცხოვრების ხით.

3. სვანური ანგი, ბუნების აღორძინების, სიცოცხლისადმი მიძღვნილი საგაზაფხულო სახალხო დღესასწაულის (მისტერიის) მთავარი სიმბოლო, ამავე სახელწოდებითა და ფუნქციით ორვლის მურყვამზეა (კოშკზეა) აღმართული, რომლის გარშემოვლით სრულდება მარადიული სიცოცხლის ჰიმნი კურია და საწესო-სარიტუალო სახის სხვა სიმღერა-ფერხულები.

4. ზიქურათის ბოლო გოდოლზე (ასე მოიხსენიებს ტაძრის სარტულებს ჰეროდოტე) აღმართულია დიდი ტაძარი. ტაძარში დგას ბრწყინვალედ მორთული დიდი სარეცელი და ოქროს ტაბლა. არავითარი გამოსახულება დვთაებისა, ღმერთის ამოირჩეული ერთი ქალი ათეს აქ დამეს. ზოგჯერ თითქოს თავად ღმერთი

ქვევა ტაბარს და ამ სარეცელზე ისვენებს. საკრალური ქორწინების რიტუალს უფრო ფართოდ განვხილავთ შესაბამის თავში.

5. ბუნების აღორძინების, სიცოცხლისა და ნაყოფიერებისადმი მიძღვნილ საგაზაფხულო სახალხო დღესასწაულებში საკრალური ქორწინების რიტუალებს ერთ-ერთი მთავარი როლი ენიჭება.

როგორც აღვნიშნეთ, სვანური მურყვამობა (პირობითად მურყვამობით მოვიხსენიებთ ყველიერის დღესასწაულებს) ქართული მოვლენაა და საქართველოს ყველა ქუთხეში გაერცელებული. ბუნების კვდომა-აღორმის მისტერიების იდეა ყველა ეთნოსის რელიგიური ხასიათის ანალოგიური დღესასწაულების მსგავსია, თუმცა ისინი გარკვეული ვერსიითა და ვარიანტითაა წარმოდგენილი და ცალკეულ ვარიანტსა და სიმბოლიკაში აღგილობრივი წარმოდგენები ასრულებს გადამწყვებ როლს. ასეთებად, პირველ რიგში, შეიძლება ჩაითვალოს დიონისური მისტერიები. პროტოხეოგების ტელეფინუსთან დაკავშირებული დღესასწაულები. ქართული ტომები იცნობდნენ ადონისს, ატისს და სიცოცხლის ამღორძინებელ სხვა ღვთაებებს.

ახლა უკვე განვიხილავთ სვანურ ღვთის სადიდებელი პირებს, საწესო სარიტუალო და სხვა ქანრის სიმღერებს, რომელთა დიდი ნაწილი სწორედ ბუნების აღორძინების დღესასწაულებს უკავშირდება და მათი სარიტუალო სივრცის ორგანული ნაწილია.

ჩვენ, მირითადად, ანსამბლ შვარიდას მიერ აღდგენილ და გაცოცხლებულ მასალებს წარმოგიდგინოთ, რაც შეიძლება რაოდენობრივად ვერ ასახავს სვანეთში არსებულ სახალხო დღესასწაულთა მთლიან სურათს, მაგრამ ჩვენ შევვცადეთ, წინა პლანზე წამოგენწია ისეთი რიტუალები და სიმღერები, რომლებიც არავის გამოუკვლევია, ანდა აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. ჩვენ ასევე შევვცდებით დისკუსიაში მონაწილეობით მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ჰემმარიტების დაგენერაში. პირველ რიგში, ჩვენი სამიზნე, მურყვამობის დღესასწაულების ქმედებათა ანალიზის ფონზე, ისევ მათი თანმხლები საწესო-სარიტუალო სიმღერების განხილვა იქნება.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მურყვამობის სახალხო დღესასწაულებზე მთავარი პირნი-სიმღერა კვირიაა. ჩვენ ამ სიმღერა-საგალობელის ყველა ვარიანტის ცალ-ცალკე განხილვით ერთ მთლიან სურათს ჩამოვაყალიბებთ და ისე წარვუდგენთ მკითხველს.

## კვირია

კვირია სვანეთში (ზემო და ქვემო სვანეთი) მრავალი ვარიანტით არსებობდა. ჩვენ მათ ორ ჯგუფად დაყოფთ: 1. ყოვლისმომცველი პიმი ითქმებოდა მთავარ რელიგიურ დღესასწაულებზე – ნაყოფიერებასა და სიცოცხლესთან დაკავშირებულ დღეობებზე და სხვ. 2. რელიგიური სიმღერები, რომლებშიც კვირია არ არის ნახსენები, მაგრამ თვით რიტუალსა და სიმღერის პროცესს ლიკურულს (ვალობას) უწოდებენ.

ქართველ მკვლევართა შორის დამკვიდრებულია აზრი, რომ კვირია წარმართული ეპოქის ნაყოფიერების დამაქმადა. ამ თვალსაზრისხევა აგებული, აღწერილი და განხილული კვირიასთან დაკავშირებული საწესო-სარიტუალო ქმედება, რაც ხშირად არ ემთხვევა სიმღერის შინაარსს და ამ რიტუალების ნამდვილ არსს ზუსტად ვერ ასახავს. მე-20 საუკუნის 80-იან წლებში, სვანეთის სოფლებში ფოლკლორული მასალების მოძიების მიზნით მოგზაურობის დროს, კვირია იყო ჩემი განსაკუთრებული ინტერესის საგანი. მე შევხვდი მრავალ ადამიანს, უხუცესებს, ძველ მომღერლებს და დაკრწმუნდი, რომ სვანეთი ამ დასახელების დათავაბას არ იცნობს. ამის დასტურად ერთ მაგალითს მოვიყვან: მე შევხვდი ეთნოფორმული დიდებულ მომღერალსა და სახელგანთქმულ სპირტსმენს, ლეგენდარულ ალპინისტთა ჯგუფის დირსეულ წევრ მაქსიმე გვარლიანს. საქვეუნოდაა ცნობილი ამ ჯგუფის წევრების – ბექნუ ხერგიანის, ჭიჭიკა ჩართოლანის, მაქსიმე გვარლიანის, გოჯი ზურებიანის სახელები. აღმოჩნდა, რომ მაქსიმე გვარლიანი, ალპინიზმის ერთ-ერთი მახსუმი, დიდებული მომღერალი, სვანური საკრალური სახალხო-რელიგიურ დღესასწაულების აქტიური მონაწილე ყოფილა.

მე სულმნათი მაქსიმესაგან ჩავიწერე მუსიკალური სამქაროსთვის ჯერ კიდევ ჟინტი სამი საწესო-რელიგიური სიმღერა: 1. კურია, რომელსაც ლალამური, გვარლიანების კურია დაგარქვი, რომელიც დღესასწაულ ჯგუბის მთავარი საწესო-სარიტუალო სიმღერაა და კვირიების ერთ-ერთი საინტერესო ვარიანტია 2. ჯგუბიშ – ამავე სახელწოდების პიმების ერთ-ერთი არქაული ვარიანტია. 3. გამრიელ მახარებებზე – ძეობაზე სათქმელი საგალობელი. აღნიშნული სიმღერები შეარიდამ დაამუშავა და დირსეული ადგილი უქავიათ ანსამბლის რეპერტუარში.

მაქსიმე გვარლიანთან საუბრის აუდიოჩანაწერი გადავეცი საქართველოს ფოლკ-

ლორის ცენტრს და მას არქიტექტორის სათანადო ადგილი მიუწინებს. სწორედ ამ საუბრისას დავუსცი ასეთი კითხვა: არის თუ არა კვირია დვთაება? მან მიპასუხა: „არა, გურგები! ამ სახელწოდების დვთაება სვანეთში არ არის: „აკვირია დეროტემ ლიპერალ ლი“, ანუ კვირია ვედრებაა, ლოცვაა დმერთის მიმართ. ამ მოსაზრებას დაეთანხმნენ იქვე მყოფი მაქსიმეს მეუღლე ფაფალა და ოჯახის ნათესავი კონდრატე ხოჯელანი. ჩეენ ეს მაგალითი თვალსაჩინოებისთვის მოვიყვანეთ, როგორც სინამდვილის, ჭეშმარიტების ერთ-ერთი დამადასტურებელი ფაქტი. სვანეთში არ არის კვირიას, როგორც დვთაების, არც ერთი სალოცავი, ტაძარი თუ ნივთიერი სახით არსებული წარმართული და ქრისტიანული ეპოქების ძეგლი.

საგალობელ კვირიას სხვადასხვა ვარიანტში ის სულ სხვა, ალბათ, ჭეშმარიტი უკანქციოთ კლინძება. მაგ. გადრანების კუირია იწყება ასეთი ლოცვით:

მშლდოდ აჩვედა ჯგურად, ჯგურად ისგუ ჯუირიაშ მექტისგ ჩუ ანკამშ.

მადლი მოგივიდეს ჯგურად, ჯგურად შენი (ანუ შენს სახელზე) კვირიას მოქმედები გაგვაძლეირე.

კვირიას მოქმედი გადრანები ჯგურად შესთხოვენ, რომ შენს სახელზე კვირიას (კვირგას) მოქმედები გაგვაძლიერე. როგორც გენდავთ, ამ სალოცავ პიმნში კვირიას, როგორც დმერთის სახე არ ჩანს და არც არის. სამაგივროდ, თვით ლოცვის შინაარსი და ფუნქცია კვირიასი უკვე იკვეთება.

ჩვენს მოსაზრებებში მეტი სიცხადის შესატანად მოვიყვანთ მეორე მაგალითს: ლადამური, გვარლიანების კვირია, იწყება ამ ლოცვით:

„ჰოო, დიდაბ მაცხუარს, კუირია ლაბდი ოო“ და ამავე ტექსტით მთავრდება საგალობელი. დღესასწაულ ჯგურის თქმული ეს ლოცვა-სიმღერა ქართულად ასეა: „ჰოო, დიდება, მაცხოვარო, კვირია დღეს, ჰოო“. ამ ლოცვა-სიმღერაშიც ჩანს, რომ საქმე გვაქვს არა დვთაებასთან, არამედ ლოცვის ყოვლისმომცველ ფორმა-შინაარსთან (თუნდაც მაგიურთან), რომელიც მთელ სარიტუალო სივრცეში ყოველმხრივ ერთნაირი საკრალური დატვირთვის მატარებელია.

აქვე შევეხებით რამდენიმე ტერმინს: ლიკტირტელ ქართულად თითქოს კვირია-ობას ნიშნავს, არადა, ლიკვირველი სვანერ დღეობებზე აღიქმება როგორც ლოცვა-სიმღერის თქმა. ზოგიერთი მკვლევრისათვის კუირია დერთა კვირია დმერთა, რაც თავიდანვე კვლევის მცდარი გზით წარმართვის წინაპირობაა. სინამდვილეში კუირია დერთა, სუფთა სვანერ ენაზე და სვანერი გაგებით, დმერთების კვირიაა.

ახლა განვიხილოთ კვირია კირიე ლეისონთან მიმართებაში. მცვლევართა გარკვეულ ნაწილში დომინირებს აზრი, რომ, თუ კვირია არ არის ლოთაგბა, ესე იგი, ის ბერძნული საგალობელი კირიე ლეისონია. მე, როგორც მართლმადიდებელ ქრისტიანის, ამ მოსაზრების მიმართ ღრმა პატივისცემა გამაჩნია, მაგრამ, ვფიქრობ, შესაძლებელია უფრო სიღრმისულად შევხედოთ ამ საკლევ მასალას, ვინაიდან შეცნიერებაში უკვე დამკაიდრებულია შეხედულება, რომ ქრისტიანული დდებას-წაულების საფარქვეშ არსებული ზოგიერთი დღეობა თუ რიტუალური სანახობა უფრო მეტად წარმართული ნიშნების მატარებელია.

ვერა ბარდაველიძე აღნიშნავს, რომ ქართულ რელიგიურ სინქრეტიზმში ქრისტიანულ ელგმენტებს წარმართული სჭარბობს ქრისტიანული წმიდანების სახელით, რომლებშიც, უმეტეს შემთხვევაში, უტკელესი ხალხური დვთაებები იგულისხმება.

ჩვენი აზრით, კვირიას შემთხვევაც ასეთია, ვინაიდან კვირია ითქმება ისეთ რელიგიურ დდებასასწაულებსა და რიტუალებზე, რომლებიც მიიჩნევა წარმართული რელიგიების გარკვეულ სინქრეტიზმად ქრისტიანულ რიტუალებთან, მაგრამ არ ითვლება ქრისტიანული ლიტურგიის ნაწილად. თუმცა სვანი კაცი აღნიშნულ რიტუალებს ასრულებს ქრისტეს ღრმა რწმენით, ქრისტიანული ტრადიციების პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნით, ამიტომ პატივი უნდა ვცეთ მის ამგვარ დამოკიდებულებას და ქრისტეს რწმენით აღვლენილ ლოცვებს.

რაც შეეხება კვირიას კირიე ლეისონთან მიმართებას, უფრო მეტი სიცხადისათვის, აღბათ, საჭიროა მოვიშველიოთ შედარებითი ანალიზის მეთოდი. როგორც ცნობილია, კირიე ლეისონ ბერძნული საგალობელია და მართლმადიდებლურ ეკლესიათა ლიტურგიაში დიდი ადგილი უკავია, ასევე ფართოდ არის წარმოდგენილი ქართულ ფოლკლორში. მაგრამ, თუ არსებობს კვლევის სხვა ხელშესახები მიმართულება და გარკვეული შესაძლებლობა ახალი მოსაზრების წარმოშობისა, თავისთავად უნდა ვისარგებლოთ ამით და გამოვიკვლიოთ ამ მხრივაც. ამისთვის საჭიროა საბერძნეთიდან დაქტრუნდეთ სამშობლოში, მყარად დავდგეთ ჩვენს მიწაზე, ჩვენს ტრადიციებზე, ჩვენ ხომ საერთო ქართულის, უმდიდრეს ქართველურ ენათა – სვანურ-მეგრულის ამოუწერავ შესაძლებლობათა საჭეომპრობელები ვართ. ამდენად, ანალიზისათვის საჭიროა ჩავწდეთ თვით კვირიას შინაარსს, შეძლების-დაგვარად გაგშიფროთ საგალობლის ტექსტის უცნობი ბერძები, უფრო სიღმისეუ-

ლად განვიხილოთ ის რელიგიური დღესასწაულები და რელიგიურ-სარიტუალო ცერემონიალები, რომლებზეც კვირია ითქმებოდა.

უპირველეს ყოვლისა, საჭიროა შესაძარებელ ობიექტთა სტრუქტურა-აგებულების განხილვა:

კირიგ-კირია ბერძნულად უფალია. სახელწოდება უფალი, ანუ მეუფე, უმაღლეს მეუფეს ეწოდება. კირიეში იგულისხმება მამა ღმერთიც, ქრისტეც, სულიწმიდაც, აქ მთავრდება განხილვაც. არსებობს უფალი ღმერთი, ხოლო ლოცვა კირიე ელეიონი ნიშნავს უფალო შეგვიწყალე. ის უპირველესი ლოცვაა მართლმადიდებლური ქრისტიანული სარწმუნოებისა. სხვას ამას ვერაფერს დაგამატებთ. გველაფერი თვალნათლივ ჩანს და ვლოცელობთ: კირიე ელეიონი, კირიე ელეიონი წამლერებით, გალობით, გულწრფელად, მრავალგზის განმეორებით და ეს არის ჩვენი ეპლენიური ცხოვრების ნაწილი.

სვანური კვირიას ლოცვითი ფუნქცია, რა თქმა უნდა, იგივეა, მაგრამ ერთი შეხედვითაც კი იგრძნობა, რომ კვირიას განსხვავებული დატვირთვა აქვს. კირიე – უფალი ჯერ მხოლოდ სიტყვაა, მოქმედება – ლეისონის დამატების შემდეგ. კირიე ლეისონ უკვე მოქმედებაა – უფალო შეგვიწყალე.

კვირია თავისთავად მოქმედებაა, მას არ სჭირდება რაიმეს დამატება, ის საკრალური სიტყვაა და ამიტომ მასში კოდირებულია უფლისაგან მომდინარე დრმა სულიერება, ადრეულ ეპოქებში კი – უზენაესი დვთაებისგან. სწორედ ეს აზრი, ეს დეთიური ძალა იყო და არის ჩადებული კვირიას საგალობლის მელოდიაში, თითოეულ ბეგრასა თუ სიტყვაში და ამ აზრით, ამ რწმენით სრულდებოდა იგი რელიგიურ დღესასწაულების ნაყოფიერებისა და სიცოცხლის სადიდებელ მისტერიებში. სწორედ კვირია იყო მურყებამობის, და საერთოდ ყველიერის თამაშების, უმთავრესი (წინამდებოლი) საკულტო-სარიტუალო სიმღერა. ამ რიტუალებს ფესვები უძველეს ცივილიზაციებში აქვთ გადგმული და ბუნების კვდომა-აღდგომის აღსანიშნავი მისტერიების ქართული გამოძახილია, ოდონდ ქართული (სვანური) ფენომენი.

ახლა კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი მურყებამობის დღესასწაულის მთავარი სიმბოლოს, თოვლის მურყებამის ფონზე ჩატარებულ ზოგიერთ სარიტუალო პრცესს და მოკლედ მიმღვიხილოთ იგი.

მაშ ასქ: პირველი შეგრება ცაცხვთან, სადაც თოვლის მურყებამი აღმართულა მთელი თავისი ატრიბუტებით (მურყებამთან ახლოს უძველესი სალოცავი – ვითინი

- კოშგის ტიპის პატარა ნაგებობაა), რომელთაც თავისი გამოკვეთილი ფუნქცია აქვთ და მთლიანობაში ის სწორედ ამ დღესასწაულის იდეას გამოხატავს: კოშგში ჩატანებული ცაცხვის ძელი სიცოცხლის ხეა. ამ ხეზე დამაგრებული იდამიანის გამოსახულება ლამარია – ნაყოფიერება და მოსავლიანობა. საცერი, ფარა, როგორც ცხავი, ნაყოფიერების ღვთაების ეპითებია; ფალოსი – განაყოფიერების, შვილიერების, გამრავლების სიმბოლო. თოვლის მურყვამზე (კოშებე) აღმართული ხე და მასზე მიმაგრებული ჩამოთვლილი ნივთიერი სიმბოლოები, ერთობლიობაში განასახიერებენ ცისა და მიწის კავშირს და ძელთაგანვე მოისხენება საკრალური სახელწოდებით ანგი-ანი – ცისა და მიწის კავშირი, სიმბოლო სიცოცხლისა, ბუნების გამოღვიძებისა და ზამთრის განდევნისა. ყოველივე ჩამოთვლილი კი შეიძლება ორ სიტყვაში ჩავატიოთ: სიცოცხლე და ნაყოფიერება, გამოხატული უძლიერესი ღვთის საღიდებელი ჰიმნით – კვირიათი.

დიას კვირია სიცოცხლის ჰიმნია. მისი ლოცვითი მადლი და ძალა მოქმედებს და კრცელდება არა მცირე ლოკალში, არამედ კვირია ეძღვნება საყოველთაო მშვიდობასა და სიცოცხლეს. მე ამ საგალობელს, ქართული გენის საოცარ ქმნილებას, მარადიული სიცოცხლის ჰიმნსაც ვუწოდებ.

სვანები კვირიათი აცილებენ გარდაცვლილ ღვთისმოსავ ღრმადმოხუცებულ ადამიანს, რომელმაც მრავალრიცხოვანი ჯანსაღი შთამომავლობა დატოვა, იცხოვრა ბედნიერად და შთამომავალთა, ოჯახის წევრთა გარდაცვალების სიმწარე არ განუცდია. აქვე აღვნიშნავ: არამც და არამც არ არსებობს ორი სახის – სამგლოვიარო და ლხინის კვირია. კვირია ერთია, ის რელიგიური (საკრალური) ხასიათის დამოუკიდებელი ყოვლისმომცველი ჰიმნია ლხინსა და ჭირშიც.

ფოლკლორულმა ანსამბლმა შეარიდამ მიცვალებულის კვირიათი გაცილების მიერწყმებული ტრადიცია აღადგინა და ოჯახისა და საზოგადოების წინაშე ვალმოხდილი ორი უხუცესი – ვალო ვიბლიანი და მიხეილ (მიხო) ჩხვიმიანი კვირიათი გააცილა. სამწებაროდ, მნელბედობისა და არაჯანსაღი ცხოვრებისეული ვითარების გამო, კვირიათი გასაცილებელთა რიცხვი თითქმის იშვიათია.

დადასტურებულია, რომ ზემო სვანეთში კვირიას თქმის უფლება მხოლოდ ერთ ცალკე აღებულ გვარს ჰქონდა. აღნიშნულის გამო ჩვენ კვირიას სხვადასხვა ვარიანტს ასე მოვიხსენიებთ: გადრანების კვირია, გვარლიანების კვირია, ფილფანების კვირია. მავანმა ეს ფაქტი გვაროვნულ წყობილებას დაუკავშირა, რაც, რა თქმა

უნდა, მცდარი აზრია. (სასაცილოა, როცა კვირიას შეტქმნელ სვანებს პირველყოფილი თემური წყობილების ეპოქაში მოიაზრებ). ამ ფაქტს უბრალო ახსნა მოუძებნება: როგორც ჩანს, სასულიერო პირთა (ქურუმთა) კასტას მიეკუთვნებოდნენ ამ გვარების წინაპრები, რომლებიც იმ ეპოქის შესაბამის რელიგიურ-სარიტუალო ქმედებაში იყვნენ ჩართული, მათმა შთამომავლებმა კი გახალცურებულ რელიგიურ დღესასწაულებსა და საწესო-სარიტუალო ცხოვრებაში კვირიას თქმის უფლება შეინარჩუნეს, თუმცა ეს უფლება თვით ხალხმაც მიანიჭა მათ. ამ უფლება-მოვალეობას თითქმის თანამედროვე პერიოდამდე მკაცრად იცავდნენ. ამის დასტურად მოგიყვებით ერთ საინტერესო ამბავს, რომელიც მე გადამხდა:

გასული საუკუნის 80-იანი წლებში დავდივარ სვანეთის სოფლებში სიმღერების ჩასაწერად, ეხვდები ეთნოფორებს, უხუცესებს და, აი, მივადექი გადრანებს. ვიცოდი, რომ მათ იცოდნენ კვირიას განსხვავებული ვარიანტი. დიდი რიხით და იმედით მისულს გვარის უხუცესებმა კატეგორიული უარი მტკიცეს: ეს წინაპრებისგან ფიცი-მტკიცით გვაქვს გადმოცემული და მისი ვინმესოვის გადაცემა და სწავლება ხატის გატეხვად ჩაგვეთვლებათ. დიდი მცდელობის მიუხედავად, მიზანს მაინც ვერ მივაღწიე. გავიდა წლები, სტიქით დაზარალებული სვანები დავსახლდით ქვემო ქართლის რაიონებში. გადრანების გვარის ერთი ჯგუფი დმანისში ჩასახლდა, მეორე – წალკაში. ჩემი სამიზნე გადრანი უხუცესებიც გადმოვიდნენ საცხოვრუბლად. აქეთ უნდა ვთქვა, რომ ამ ხანში მეტყველები მცდელობა მათი დათანხმებისა. ამ ბრძოლაში გადრანთა ახალგაზრდა თაობაც შემომიერთდა და გადრანების გვარის ერთ-ერთმა სახელოვანმა წარმომადგენელმა ოთარ გადრანმა, დიდი მცდელობის შემდეგ, მიაღწია იმას, რომ ამ სიმღერის მცოდნე გვარის უხუცესები, ფაქტობრივად მახვშები, დაითანხმება და დათანხმების მიუხედით გავიგეთ. თურმე თოარს გამოუცხადეს: „ჩვენ გავიგეთ, რომ დმანისში სვანებს ძველი ლოცვა-სიმღერების აღმდგენი ანსამბლი შეუქმნიათ და მრავალი ასეთი სიმღერაც აღუდგენიათ. რადგან გუნდში ამ რწმენის ხალხია შეკრებილი და ასეთ საჭირო საქმეს აკეთებენ, ჩვენ თანახმა გართ, მათ ვასწავლოთ კვირია და ვიცით, რომ ეს ხატის გატეხვაში არ ჩაგვეთვლება“. დღეს სამი დიდებული კაცი – სახო (ხოსო) გადრანი, ილამაზ გადრანი და პეტრე გადრანი ქრისტეს საუფლოში განისვენებენ. ამ საგანძურისადმი მათი ასეთი დამოკიდებულება და მოზიცია არ იყო რაღაც პირადული, კუთხური ეგო-

იზმის გამოხატულება, არამედ ჭეშმარიტი სიყვარული და პატივისცემა წინაპართა მიერ გადმოცემული ტრადიციებისა, დაცვა და შენარჩუნება სულიერი საგანძურისა. ასე მოვედით დღემდე! ასე გადავრჩით!

ერთ საინტერესო ამბავს გავიხსენებ: ვისწავლეთ გადრანების კვირია და რუსთავში, არტ გენის რეგიონულ კონცერტზე, პირველად უნდა გვემდერა. ამ სა-გალობლის შესასრულებლად სცენაზე გასასვლელად ვემზადებოდით. ამ დროს დამირექეს, რომ გარდაიცვალა სახო (სოსო) გადრანი. ამ შესანიშნავი პიროვნების გარდაცვალებამ, ბუნებრივია, ძალიან მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენა ყველა შეარიდელი, მაგრამ გამოვედით და მხცოვანი სახო გადრანის ხსოვნას მისგან ნასწავლი კვირიათი და მაყურებელის ოვაციით მივაგეთ პატივი.

დაბა მესტიაში ბუნების აღორძინებისადმი მიძღვნილ საგაფხულო ჯგუბის დღესასწაულზე კვირიას მთქმელი გვარლიანების ჯგუფი მაცხოვრის ეკლესიასთან ასრულებდა ერთ-ერთ რიტუალს: ჯგუფთან მოდიოდნენ დღესასწაულის მონაწილე ოჯახები და კვირიათი დალოცვას სთხოვდნენ. კვირიას მთქმელები ყველა ოჯახს ცალ-ცალკე მორთმეული ლემზირებითა და ზედაშეთი ლოცავდნენ სიტყვიერად და კვირიას გალობით.

სვანეთში ხშირად სოფლის დიდ ყრილობებზე, ჯგუფების საგალობელოან ერთად, კვირიაც უთქვამთ, ასევე ძეობის მთხოვნელი ოჯახების სახელზეც. ანსამბლის წევრი, ჩემი მეგობარი და თანამებრძოლი ერეკლე ფილფანი, მომიუჯა: საზაფხულო სამოვარ მთა პარაშუში არის ადგილი, რომელსაც ლიქუირტელს (კვირიას სათქმელს) უწოდებენ და არც ისე დიდი ხნის წინათ ამ ადგილს ფილფანები ამბობდნენ კვირიას, რაც, ალბათ, საქონლის ნაყოფიერებასა და პროდუქტიულობას ეძღვებოდა.

პარაშის მთას საინტერესო ლეგენდაც უკავშირდება: აქ ბინადრობდა გველეშაპი, რომელიც ლენჯერისა და ლატალის მცხოვრებლებს პირუტყვს უნადგურებდა. ლატალელმა მონადირე კახან ჩამგელიანმა, საოცარი მოხერხებულობითა და გამბედა-ობით, მოკლა გველეშაპი (ლეგენდის ერთი გერსით დაამინა). ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ ლატალლები ამ ამბავს სინამდვილეში მომხდარ ფაქტად თვლიან. უფრო მეტიც, სოფლის ლხინის ყველა სუფრაზე ერთ-ერთი განსაკუთრებული სადღეგრძელო კახან ჩამგელიანს უკუთვნის. როგორც ვიცი, ლატალელები რელი-გიურ დღესასწაულებზეც აღავლენდნენ კახანის სახელზე ლოცვას. ამ ლეგენდის,

ზღაპრისა და სინამდვილის ნაზავს არ მივაქცევდი უკრადღებას, რომ არა ამ მთასა და ლეგენდასთან დაკავშირებული მთის სახელი ჰარაში და მდინარისა – ჭალა (ყველა მოზრდილი სვანური მდინარის სახელი ჭალაა. მაგ. მესტია ჭალა). უძველესი დროიდან დაფიქსირებული ოქროს საბადოები და ლეგენდარული გველებაპი, ადგილი, სადაც კვირიას ამბობენ, ანუ ძლიერი სალოცავი.

თუ ძველ კოლხეთში გადავინაცვლებოთ, არების ჭალაში მუხაზე ჩამოკიდებულ ოქროს საწმისს გველებაპი დარაჯობს. ორივე მითოლეგენიდის თუ მითოზღაპრის ტოპონიმებისა და სიბოლოების მსგავსება ადგილი შესამჩნევია და მოდით ეს თემა წარმოდგენილი ფორმით დავტოვოთ და მასზე მუშაობა მივანდოთ იმათ, ვინც დაინტერესება, ითავტოს და შესაბამისად გამოიკვლევს. ამ ეტაპზე კი ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ საიდუმლოებით მოცულ ამ მთაზე არსებობს ლიკტირტელი ანუ კვირიას სათქმელი ადგილი. ვფიქრობთ, იქვე ძველი ნატაძრალიც იქნება.

ახლა კი განვაგრძოთ კვირიას ლოცვით ჩატარებული რიტუალების განხილვა: ჩემს მშობლიურ სოფელ ეცერში, სანგრძლივი უამინდობის დროს, სოფლის უხუცესები მთავარანგელოზის ეკლესიასთან ატარებენ რიტუალ კირიოლას და დაახლოებით ასე ლოცულობენ: კირიოლა! კირიოლა! კირიოლა! ეცერის თარგლებურ, კაიშა თარგლებურ, იელ დუკეშ, ქა ადგუალ. კირიოლა! კირიოლა! კირიოლა! ეკლესიის მთავარანგელოზო, კაიშის მთავარანგელოზო, ელია ცისაგ! – შემდეგ გამოდარების თხოვნით გრძელდება.

კაიში ეცერის მეზობელი ფარის თემის სოფელ დემდერის ტერიტორიაზე მაღალ მთაზე აშენებული მველი ეკლესიაა, სადაც ყოველწლიურად, აღდგომიდან ოთხი კვირის შემდეგ, ტარდება რელიგიური დღესასწაული კაიშობ – საწესო ქმედება სტიქური უბედურებისგან თავის დასაცავად. კაიში, ანუ კაიში, საკრალური სახელი უნდა იყოს: კა – კავკასია. სახლის, ოჯახის სალოცავ ქვას – ჩხუდანს – კადაც მოიხსენებენ. სვანეთის მთებში გადასავლელებთან და სამონადირეო ადგილებში აღმართულ სალოცავ სვეტებს, ჩემი აზრით, კას უწოდებენ, თუმცა ამის დამადასტურებელი ცნობა არ გამაჩნია. ეს სალოცავი სვეტები და ქვები ძველი კოლხეთის ტერიტორიასა და ზღვის სანაპიროზე არსებულ სვეტებს მაგონებს, რომლებზეც არგონაგტებმა კვირები, რელიგიური ტექსტები აღმოაჩინეს (კვირბი – მაგარ მასალაზე, ანუ კვირივზე, ნაწერი).

მოკლედ, ეს წიაღსვლა იმისთვის გავაკეთე, რომ საგალობელ კურიას, ამ საკრალური ტერმინის წარმოშობის ქართულ ძირებს მივაკლიო... არადა ძველ სარიტუალო სივრცეში არის ისეთი ტერმინები, საკრალური სიტყვა-ბგერები, სარიტუალო-სალოცავი ნივთები, ქვები, სვეტები, სიტყვები, რომლებიც სწორედ მასთან გარევეულ მიმართებაშია. ასეთებია მკვრივ, მაგარ მასალაზე დაწერილი ტექსტები – კვირბები. ეს ის ეპოქაა, როცა, ძირითადად, თიხის მკვრივ (კურიოუ) ფირფიტებზე წერდნენ. კოლხთა და პელაზგთა დიდი დედის ლვთაება რეაკიბელეს მხლებელ კორიბანგტა მიერ შექმნილ დამზერლობა – კვირბები, ბუნებრივია, სარწყუნოებრივ სარიტუალო ხასიათისა იქნებოდა. ამიტომაც ეთავვანებოდნენ თვით სვეტებს, რომ ლებზეც კვირბები იყო დაწერილი თუ თიხის ფირფიტები დამაგრებული. ბუნებრივია ეს სვეტ-სიმბოლოები ნაყოფიერებისა და სიცოცხლის მფარველ დიდი დედა ლვთაების სახელზე იქნებოდა აღმართული. ხომ არ არის სვანეთში არსებული სალოცავი სვეტები, ჩეუდანები (კა, ბაჩა გურიუ), დიდი დედა ქალღმერთის სიმბოლოთა გამოძახილი? მით უმეტეს მაშინ, როცა რეაკიბელე – მცირვაზიური ქალღვთაების კულტი, შემერულ-აქადური იმავე ფუნქციით აღჭურვილი ქალღმერთების – ინანასა და იშთარის ორეული, მთელ სმელთაშუაზღვის არგალს, კრებასა და სამსრეუ კავკასიას მოიცავდა. ამდენად არ არის გასაკვირი, რომ მცირე აზიისა და უძველეს შუმერულ კულტურებთან მჭიდროდ დაკავშირებული ქართველური ტომების დიდი დედის კულტი სახელმწიფო რელიგიის ერთ-ერთი მთავარი დასაყრდენი ყოფილი იყო. კოლხური ტომების სვანურ შტოში ფიქსირდება ნაყოფიერების ქალღვთაება აია. სვანეთში (ჟუგულში) ბოლო დრომდე ტარდებოდა ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი დღეობა აია მზშლადედ – აია კვირა დღე. აია, როგორც საკრალური ბგერა, საგალობელ კვირიას ყველა გარიანტის ტექსტში იკვთება. ასევე ის გვხვდება ნაყოფიერებისადმი მიძღვნილ პიმნ-სიმბოლო პიმნ-სიმბოლო-საგალობელებში – გა, სადამ, ხათუდებ და სხვ. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს ამ სიმღერების სიძველეს. აია – ქუთაისი, ამ სახელით არსებობდა კოლხთა ეს დიდებული ქალაქი 4000-ზე მეტი წლის წინ. აიასთან დაკავშირებით მეტად საინტერესო მოსაზრება გამოთქვა სულმნათმა ზეიად გამსახურდიამ: „აია არის მისტერიების კულტურის სიმბოლო, ეს ბგერები გამოხატავენ ძველ მისტერიებს. ძველ მისტერიებში იყო ბგერათა შეხამება და – აი – ეს შეხამება გამოხატავდა გარკვეულ სიბრძნეს, გარკვეულ ხასიათს მისტერიისას და ამიტომ ერქვა აია. ეს იყო უძველესი კერა მისტერიებისა, ანუ სიბრძნის ცენ-

ტრებისა. კოლხეთი, მისი დედაქალაქი და მისი წარმოშობა უნდა ვეძიოთ ჩვწად. მრავალი ათასწლეულით ადრე (გამსახურდია, 1990:85).

კვირიას და ლილებს შემქმნელო ჩემო წინაპრებო, როგორ მეამაყებით!

ახლა უშეალოდ კვირიას ტექსტების რამდენიმე ვარიანტი განვიხილოთ და, ამ საგალობელთან მიმართებით თუ რაიმე საკითხი გამოგვრჩება, ტექსტურ-სტრუქტურული განხილვისას შევავსებო.

## კვირია. დაბა მესტია. ლადამური ვარიანტი – გვარლიანების კვირია

გვარლიანების კვირიას ჩაწერის ისტორიას, ეთნოფორ მაქსიმე გვარლიანსა და უფროსი თაობის ალპინისტთა ლეგენდარული ჯგუფის წევრებთან ურთიერთობას ზემოთ გაკვრით შევეხეთ. საქვეყნოდ ცნობილი სპორტსმენები – მაქსიმე გვარლიანი, ბექნუ ხერგიანი, ჭიჭიკა ჩართოლანი, გოჯი ზურებიანი – უდიდეს სიხარულს მანიჭებდნენ, როცა ბიძაჩემს, ასევე ცნობილ მონადირეს და ალპინისტ ალმაციორ კვიციანს თავიანთი ჯგუფის წევრად ასახელებდნენ. მე მეამაყება, რომ სრულიად ახალგაზრდა ამ საოცარ ადამიანებთან ვმეგობრობდი. ახალგაზრული აქტივი მესტიაში ხშირად უუწყობდით სადამობს და, შეძლებისდაგარად, მოფერებას არ ვაკლებდით. სადამოზე მოყვანის პატივი ყოველთვის მე მხვდებოდა და მეც დიდი სიამოგნებით ვასრულებდი ამ საპატიო მისიას. მასხოვეს ერთ-ერთი ასეთი დონისძიების დროს ჭიჭიკა ჩართოლანის სახლთან მისულს ჭიშკართან მისი მეუღლე შემხვდა. ჩვენს საუბარს სახლიდან ჭიჭიკა გამოეხმაურა: ვინ არის, გურგენის ხმაა მგონი, ვიცი რაზეც არის მოსული, შემოვიდეს სახლში, გავემზადები. ეს პატარა გადახვევა გიგანტების მონატრების ცრემლიანი მოგონებაა.

მაქსიმე გვარლიანს საიდანლაც გაუგია, რომ მე ექსპედიციებში მივიწყებულ სიმღერებს ვიძიებდი და ვიწერდი. ერთხელ გადმომცეს მისი დანაბარები: აუცილუბლად მესტუმროს და ჩამწერიც მოიტანსო. ამბის მომტანბა გამიმხილა: მაქსიმე ძველი სიმღერების კარგი მცოდნეა, როგორ არ იცოდიო. ვაღიარე უცოდინარობა და მაგნიტოფონით შეიარაღებული მაქსიმესთან გავფრინდი. სულმნათი მაქსიმე წვეული იუმორით შემხვდა: მარტო საქეიფოდ რომ მიგვავარ, ამ საქმეში რატომ

დაგავიწყდიო. მე მეორედ ვაღიარე შეცდომა და გულის ფანცქალით ველოდი, თუ რას მეტყოდა ის. სიახლე, მართლაც, არაჩვეულებრივი იყო: ჩავიწერე იმ პერიოდისთვის უკვე კველასთვის უცნობი სარიტუალო-საწესო პიმნ-სიმღერა კვირია, რომელსაც ლადამური ვარიანტი, გვარლიანების კვირია დავარქვი. ასევე ჩავიწერე: ჯგურად უცნობი და განსხვავებული ვარიანტი; სრულიად მივიწყებული ძეობის აღსანიშნავი სიმღერა-საგალობლი; ჩოლურული ჯგურად უცნობი სიმღერას ურაგმენტები. შემდეგ სოფელ ბეჩოში სეფე და ლუპა ვეზდენებისგან მოვახერხე მთლიანი ვერსიების ჩაწერა, ამიტომ ჩვენი ანსამბლის რეპერტუარშიც მათი სახელით შევიტანე. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული სიმღერები ერთ ხმაში იყო ჩაწერილი, შეარიდამ, ავთენტიკურობის სრული დაცვით, ყველა ხმა აღადგინა და საკონცერტო პროგრამებშიც ხშირად ვიყენებო.

## ლადამური კვირია

ო, დიდებ მაცხუწრს კუირიაა ლადიოო,

კუირიაა,

იი იპაი ოოო,

კურიაი ჰოო,

კურია ოოო,

ჰაი კუა,

ჰოი ჰეეე იიი,

ოიპა ი ჰა

კურიაი ჰა,

უჟი საააიააჲა,

კურიაი, ოო, დიდებ მაცხუწრს კურია ლადი თოო!

ამ საგალობელში თვალნათლივ ჩანს, რომ კვირია არ არის ღვთაება და ის საკრალური სიტყვაა, რომელშიც კონცენტრირდება მთლიანი მადლი ლოცვისა. ამ საგალობელში ლოცვის მთელი საკრალური ფუნქცია კვირია-კურიაზეა. სხვა დამხმარე და მაკავშირებელი ბგერები, თავიანთი კონკრეტული ფუნქციით, კვირიას საკრალიზებაში და მადლის გაძლიერებაში მონაწილეობს. მაგალითად, ჰაი

საკრალური ბგერაა. მასში ნატვრის დვრიტა დექს. სგანურ ენაში არის ასეთი გამოთქმა: პაი, პაი, ხი ლგჟვჯ ი ბეღნიაშ. პაჯ რიტუალურ-მაგიური დანიშნულების ნივთია, როგორც ამჟღები, თილისმა. პაი, პაი ნატვრითი ნაწილაკია – ნეტაგ-გვიქრობ, ნეტაგის ეს სგანური შესატყვისი საკრალური ნიშნით შესულია ლოცვა-სიმღერებში და მას თავისთვად უფრო ღრმა სულიერი უუნქცია გააჩნია. პაი კეში მე ჯურიას მადლის გაძლიერების ფორმულას კხედავ. მომდევნოში – კურია ი პა, აქ პა, ალბათ, სიხარულია, სიკეთეა. პათი გაჯერებული კვირიას პერსონიფი-კაციაა. უი მაგავშირებელია. უუი სააიააპა – საია კვირიას ყველა ვარიანტშია. მე აია ნაყოფიერების ღვთაების გამოძახილი მგონია. რადგანაც აია ნაყოფიერე-ბისადმი მიძღვნილ სხვა საგალობლებშიც გვხვდება, ეს უფრო განამტკიცებს ჩემი მოსაზრების მართებულობას.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დაღამური კვირია მურყვამობის მესტიური ვარიანტის – ჯვარის მთავარი საწესო საგალობელია. მას ყველიერის სხვა დღესასწაულებ-შიც ამბობდნენ. სხვა რელიგიურ დღეობებზე კვირია არ ფიქსირდება. ის მხოლოდ სააღდგომო რიტუალებსა და დღესასწაულებზე ითქმიბოდა.

## კვირიას ქვემოსვანური ვარიანტი

ქვემო სვანეთში ბუნების აღორძინების საგაზაფხულო აგრარული დღესას-წაულის – მურყვამობა-კვირიაობის – მზადების პროცესი ოწებოდა კველიერის ხეთშაბათს და გრძელდებოდა დიდმარხვის პირველ ორშაბათამდე. ამ დღეს სრულდებოდა მთავარი წესები, რიტუალები. კვირია კი ამ დღესასწაულის მთავარი პიმზ-საგალობელი იყო (ჩვენ ზემოთ უკვე აღვწერეთ ამ დღესასწაულის მთავარი წესები და რიტუალები).

მე მოვიპოვე ჯოკია მეშველიანის ანსამბლ ლილეს მიერ შესრულებული კვირია, რომლის ტექსტი და სტრუქტურა მსგავსია მხოლოდ ხმოვან ბერებზე აგებული სხვა ზემოსვანური კვირიას საგალობლებისა. მკვლევარ ჯუნის ონიანს თავის ნაშრომში მხოლოდ სიტყვიერი ტექსტი აქვს წარმოდგენილი და არა ხმოვანი. მე ვისარგებლებ ანსამბლ ლილესა და სხვა ლენტებური ანსამბლების მიერ შეს-რულებული ტექსტით.

კვირია ოთ იი

ოოო ჰააა,

ჰაი ჰაი კვირიიქ!

ჰოო ოოო ოპოო

ოუურეეეი ჰოოოო

საააიააპა ჰაააიიი

ჰაი, ჰაი, კვირიიქ!

ჰოოო ო ჰო,

კვირია ო იი

ოოი ჰაააა

ჰააა იიიი,

ჰაი, ჰაი, კვირიიქ!

ჰოოოოოო ჰო,

ოუურეეეე ი ჰოოოო

საააიაპა ჰაააიიი,

ჰაი, ჰაი, კვირიიეე

ჰოოოო!

როგორც ვხედავთ, ტექსტი მთლიანად საკრალურ ბგერა-ფორმულებზეა აგებული. მიუხედავად განსხვავებული ინტონაციისა, საგალობელში იგივე საკრალური ბგერები გამოიყენება, როგორიც ლადამურ ვარიანტში. იმედი მაქს, ჩვენ მიერ განხილულ-გაშიფრული მასალა, მსგავს სვანურ საგალობლებთან ახლებური ხედვით და მიღვოთ, შესაბამისი მიმართულების მკვლევრებს მომავალში საშუალებას მისცემს საინტერესო აღმოჩენებით გაამდიდრონ ქართული (სვანური) მუსიკალური ფოლკლორის ამოუწურავი მარაგი.

კვირიას ქვემო სვანური ვარიანტის თითქმის იგივე ტექსტი, ცოტათი უფრო დაზუსტებული, მომაწოდა სვანური სიმღერის ლენტეხური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელმა, ფოლკლორისტმა და პედაგოგმა, გურამ კვასტიანმა.

თითქმის იმავე სტრუქტურის ტექსტი შეიტანა ჯუნის ონიანშა შურუცამობა-კვირიაობაში (ონიანი, 1969:45). ამავე ნაშრომში (ონიანი, 1969:44) შეუტანია კვირიას ილია ფალიანისეული ტექსტი (ასრულებდა საქართველოს სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი), რომელიც მოცულობით, ბგერებით, ბგერათა განლაგებით, წინადადებებით

(დუცდ ჯიგუდ კურია და ა.შ.) განსხვავებულია. ამდენად, საგალობელი ზემო და ქვემო სვანური ვარიანტებისაგან შინაარსობრივადაც განსხვავდება. აღნიშნულის გამო, ჩვენ ამ ეტაპზე სიმდერის ანალიზისა და კომენტარებისაგან თავი შევიკავეთ: საჭიროა ჩატარდეს დამატებითი ქვლევა, დადგინდეს, თუ კონკრეტულად სად და ვისგან ჩაიწერა ილია ფალიანმა ეს ვარიანტი და რომელ დღესასწაულებზე ითქმებოდა იგი.

## კვირიას ლაბსყალდური ვარიანტი

განვაგრძოთ მოგზაურობა კურიათა სამყაროში. გავიგე, რომ მესტიის რაიონის ცხუმარის თემის სოფელ ლაბსყალდში იციან კურია, რომელსაც რელიგიურ დღესასწაულ ლითოლდურიზე ამბობენო. ჩემი რეაგირება მყისიერი იყო: გავვმგზავრე ცხუმარში, მოვინახულე ჩემი მეგობარი, სვანური მუსიკალური ფოლკლორის თვალსაჩინო წარმომადგენელი, სვანური სიმდერების უბადლო მცოდნე, დიდი ხელოვანი, მომდევრალი მაცგი გოშუანი. მან, თავის თანასოფლელ ენვერ ქალდანთან ერთად, უდიდესი წელილი შეიტანა სვანური ხალხური მუსიკალური ხელოვნების განვითარებაში. მაცგიმ სიხარულით იკისრა ჩემი მეგზურობა. ფეხით ავედით ლატალ-ბერ-ეცერ-ჩუბე ხევის ხეობებისკენ ამაყად გადმომზირალ მთავარანგელოზის უძველესი ეკლესიით დამშვენებულ ულამაზეს სოფელ ლაბსყალდში. სოფელი დიდი სიყვარულით შეგვეგება.

ლაბსყალდი მდებარეობს სვანეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, მდინარე ენგურის მარცხენა მხარეს, ზღვის დონიდან 1600 მეტრზე. სოფლის მახლობლად მდებარეობს შუა საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი – მიქაელ მთავარანგელოზის დარბაზული ეკლესია-მუზეუმი. სწორედ აქ ინახებოდა XII-XIII საუკუნეების ლაბსყელდის ცნობილი ოთხთავი. ლაბსყალდელებს ჩვენი მოსკლის მიზანი და მიზეზი მოეწონათ და სახელდახელოდ შეიქრიბა ჩემთვის საჭირო ინფორმაციის მცოდნე დღესასწაულ ლითოლდურის მთავარ მღრღველთა ერთი ჯგუფი.

პირველ რიგში, დავინტერესდი, მართლა იცოდნენ თუ არა კურია და გამახარებს, როცა დამიდასტურეს. მითხვებს: კურიას, ლითოლდურის მთავარ ლოცვას,

ლიკურული პქვათ. ე. ი. კვირიათი ლოცვა, მათი აზრით, ლიკირულია, ლიმზირს დიდბიშ – ლოცვას აღვლენილს დიდი ღმერთისადმი: ხუმირდ ღერმათ – ვე ლოცვით, ვადიდებთ დიდ ღმერთს. ჩვენ ამ ლოცვას ვამბობთ სიმღერით (საგა-ლობლით) და ეს არის კურია, – მითხვეს მათ. მევ, რა თქმა უნდა, დავეთანხმე ამ ჭეშმარიტებას: ლიკირველი ლოცვის პროცესია, კვირია კი სიმღერით გამოთქმული თვალი ლოცვაა. დიახ, ასეა – ახლა უკვე ლაბსყალდელები დამეთანხმენ.

ეს საუბარი 35 წლის წინ შედგა. მე იმთავითვე ვიყავი დაინტერესებული კვირიათი, ამიტომაც ვამახვილებდი ყურადღებას მის ფენომენზე. ვერ ვნახე სვანეთში ვერავითარი საბუთი, რომელიც კვირიას, როგორც ღვთაების არსებობას დაადასტურებდა. პირიქით, ყველა რელიგიური რიტუალი, ყველა საგალობელი, ღვთის სადიდებელი პიმნი სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს: კვირია, საკრალური სიტყვა, თავის თავში მოიცავს უზენაესი ღმერთის მადლს და ძალას, თავადაა ღვთიური მადლი და ძალა, ამიტომაც საგალობლებში კურპას-კურიეს მრავალჯერ გამეორება ამ მადლის გადაცემას ნიშნავს. მოუთმენლად ველოდები კვირიას ჰანგის გაგონებას და, აი, დადგა ნანატრი წუთი. დაეწყვნენ ბიჭები. გაისმა სოლისტის საოცრად მელოდიური ხმა და გუნდიც აჲყვა სადიდებლით.

სოლისტი: დიიდააააბ!

გუნდი: დიიდაააბ, ოოოოჳო!

ოო ჰაა, ოოი (ჰოოი) ფუსდ,

ოოო ჰოოო, ოოო ჰაააი ფუუსდ,

დიიდაააბ!

დიიდაააბ, ოოოოჳო,

ოო ჰაა ოოი (ჰოოი) ფუსდ,

ოოოჳოო ოოოპაააი ფუუსდ

დიიდაააბ!

დიიდაააბ, ოოოოჳო,

ოოპაა ოოი (ჰოოი) ფუსდ,

ოოოჳოო ოოოპაააი ფუუსდ.

ეს პირველი ნაწილია კვირიასით – თქვეს ბიჭებმა. ცოტა შევცბუნდი: კი მაგრამ, კვირიას რომ არ ამბობთ? – დავამთავროთ სიმღერა და ამაზე მერე ვიღაპარაპოთ, – მითხრა ვარდენმა და დაიწყეს მეორე ნაწილი:

სოლისტი: ჯგურად ლითოდურიაშ ალი სოფლიშ ლურდაა

გუნდი: ოოო ოოო,

ოოოპა ოოო (პოოი) შენაუ!

ოოო ოოო ოოო პააი შეენაუ!

ვერც ამ ნაწილში მოვისმინე კვირია. დაველოდე მესამე ნაწილს ლოცვა-საგა-  
ლობლისა:

სოლისტი: ქრისტე ლეხურ (ლეზგრ) კატიის

გუნდი: ოია შეუნდბა.

გულისფანცქალით ვეკითხები: დამთავრდა სიმღერა?

– ეს არის სულ – მიპასუხეს.

აბა, კვირია სადღარა?! – ვიკითხე შეწუხებულმა. (ჩვენი შეთანხმების მიუხედავად,  
მაინც დაგუჭვდი).

როგორ თუ სად არის? აქ არის, გურგენ! ეს არის კვირია.

ცოტა აზრზე მოსულმა დავიწყე განხილვა: ბოლოს და ბოლოს, თქვენი აზრით,  
რა არის კვირია?!

მიპასუხეს: კვირიათი ლოცვა არის ლიკურგელი (ლიკურუსელი), რაც ნიშნავს  
ლიმზირს დიდბიში (ლოცვას აღვლენილს ღმერთისადმი); ხუმზირდ ლერმათ –  
გადიდებთ (ველოცებით) ღმერთს, სოფელს, სოფლის ბარაქასა და კეთილდღეობას,  
მოვისენიებთ გარდაცვლილებს.

– და ამას, ამ ლიკურუსელის პქვია კვირია?

– დიახ! ამ ლოცვას ჩვენ ვამბობთ სიმღერით (საგალობლით) და ეს არის კვირია.

– გამოდის, რომ ლიკეირველი ლოცვის პროცესია, ხოლო კვირია კი – თავად  
ლოცვა, გამოთქმული სიმღერით.

– დიახ! ახეა! – დამეთანხმნენ ჩემი ლაბსყალდებული. უფრო სწორად, მე დავ-  
ეთანხმე მათ.

ერთ პატარა ულამაზეს დვოიურ სოფელში მიქაელ მთავარანგელოზის ეზოში  
უტკბილეს ძმურ შესვერაზე ლაბსყალდებულებმა საბოლოოდ დამარწმუნეს, რომ  
კვირია ლოცვაა, დედაა თუ მამაა მთავარი სვანური ლოცვებისა, ის ღმერთის  
ნებისა და ძალის უპირველესი გამოვლინებაა და არა თვით ღმერთი ან რომელიმე  
წარმართული დვთაება. რა ვქნა, მე უდიდესი პატივისცემით მოვისენიებ ჟველა  
მეცნიერს, ჟველა მკვდევარს და ვაღიარებ მათ დიდ წვლილს სვანური ტრადიციებ-

ისა და სგანური ფოლკლორის კვლევის საქმეში, მაგრამ ამ კონკრეტულ საკითხზე მე მხოლოდ ჩემი ლაბსეყალდელების, ჩემი მაქსიმეს, ყველა უხუცესი ეთნოფორის და მლოცველის აზრს ვიზიარებ და, რაც მთავარია, ჩვენი წინაპრების დანატოვარ გამაოგნებელ სულიერ საგანძურს, მათ მიერ შექმნილ საქრალურ სამყაროს ვეჭრდნობი.

განვაგრძით ჩვენი საუბარი ლაბსეყალდელებთან: როგორც ვთქვით, საგალობელი კვირია სახალხო რელიგიურ დღესასწაულ ლითოლურის მთავარი ლოცვა-საგალობელია. ლითოლური ერთკვირიანი დღესასწაულია. იწყება ყველიერის შემდგომ პირველ ორშაბათს, რომელიც შავ (უტკუნ დემდიშდ) ორშაბათად არის ცნობილი და, შესაბამისად, დიდი მარხვის დასაწყისია და სარიტუალო პროცესი მხოლოდ სამარხვო პროდუქტებით დამზადებული ლექტინიებით (ტაბლები, კვერცხი) იყო შესაძლებელი. დღესასწაული ორშაბათს დამე იწყება და სრულასაკოვანი მამაკაცები (18 წლის ზევით) ანთებული დამპრებით კვირიას გალობით გარს ულიან ეკლესიას. პერიოდულად ჩერდებიან და ამბობენ კვირიას და აგუგუნდება ეკლესიის ზარი და ა.შ.

დღესასწაული გრძელდება ყოველდღე – შაბათამდე. ორშაბათს დღესასწაულის წინ სამჯერ იტყვიან კვირიას და იმდერებენ ტექსტის სამივე ნაწილს: 1. დიდგზ – ეძღვნება ფუსდეს (დიდ დმერთს). 2. სოფლის მაცხოველებს, ნაყოფიერებას, სიკეთეს, ბარაქას, ჯანმრთელობას, და საგალობელში ყოველივე ამას გამოხატავენ ერთი საკრალური სიტყვით – შენატ. გავიმეოროთ საგალობლის მეორე ნაწილის დასაწყისი:

ჯგურად ლითოლურიაშ ალი სოფლის ლრდეე

ჯგურად (წმინდა გიორგი) ლითოლურისათ ამ სოფლის მცხოვრებთა...

სიტყვა მცხოვრებთა ზუსტად ვერ ასახავს სვანურ ლრდეს აზრსა და შინაარსს, ვინაიდან ის საკრალური დატვირთვისაა. შენავი კი თავისი საკრალური აზრით მრავალ სვანურ საწესო-რელიგიურ სიმღერაში გვხვდება.

ავილოთ საქვეყნოდ ცნობილი სიმღერა შინა ორგილი. სიმღერა საქართველოში უპოპულარულებია და მსოფლიოც დიდი ოვაციებით შემოიარა, მაგრამ დღემდე არავინ ცდილა, აქსნა ამ ორ წინადადებიანი რევორენის რელიგიურ-საკრალური ხასიათი და ბუნება.

შინა პორგილ, პორგილ თისა,

პოო შინა ოგებ, გე:

ანუ:

შინა პორ-გილ, პორ-გილ ოისა (პოისა),

ოოო (პოო) შინა ო (პო) გე გე.

ჩემი ვარაუდით, შინა იგივეა, რაც შენავ. პორ ვედრების აღმნიშვნელ ერთ-ერთ საკრალურ ბგერა-სიტყვად ჩავთვალოთ (ვფიქრობ, ეს ასეცაა). გილ, გე ნამდვილად მიწის (დედამიწის) სვანური სახელწოდებაა. აღმოჩნდა, რომ შინა ორგილ მიწის ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი ერთ-ერთი უძველესი საკრალურ-ძაგიური და რჯ-ლიგიური პიმნ-საგალობელია.

ეს პატარა გადახვევა სწორედ შენავმა ჩამადენინა და, ვფიქრობ, კარგად მოერგო ამ თავს და ამ კონკრეტულ თემას. შენავი ჩვენ მიერ შემდეგ თავებში განხილულ სიმღერებშიც სხვადასხვა ფორმით შეიძლება შეგვხვდეს. ახლა კი განვიხილოთ საგალობელ კვირიას მესამე ნაწილი – მიცვალებულოთა სულის მოსახსნიერებელი:

ქრისტე ლექზრ კაცის ორია შუენდბა!

ქრისტეს სავედრებელი კაცის ორია შენდობა!

როგორც ამისსნეს, დღესასწაულზე ამ ლოცვას ახალ (ბოლო) გარდაცვლილის შესანდობად ვამბობდითო. თუმცა ეს გალობით წარმოოქმნელი ლოცვა ყველა მიცვალებულის შესანდობარია, ვის სახელზეც იტყვი.

შეარიდამ უცვლელი ფორმით სამ ხმაში დაამუშავა ეს საგალობელი და ლაპსუ-ალდური კვირიას სახელით ანსამბლის რეპერტუარში საპატიო ადგილი მიუჩინა. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ერთ ხმაში ჩაწერილი კვირია ჩვენ გავასამხმიანეთ და ასე წარგუდგინეთ საზოგადოებას.

## კვირია დასრულებული სახით

სოლისტი – დიიდაბაბა!

გუნდი – დიიდაბაბ, ოოოოპო,

ოოო ჰაა ოო (პოო) ფუსდ!

ოოო ჰოო, ოოო ჰაააი ფუსდ,

დიდაბაბა!

დიიდაააბ, ოოოოპო,

ოოო პაა, ოოი (პოოი) ფუსდ!

ოოო პოო, ოოო პაააი ფუუსდ,

დიიდაააბ!

დიიდაააბ, ოოოოპო,

ოოოპა, ოოი (პოოი) ფუსდ!

ოოოპოო, ოოოპაააი ფუუსდ!

სოლისტი – ჯგრებ ლითოლურიშ აღრი სოფლიშ ლურდაა!

გუნდი – ოოოო პოო,

ოოოპა ოოი (პოოი) შენავ!

ოოო პოოო ოოო პააი შეენავ!

სოლისტი – ქრისტე ლექგრ კატის,

გუნდი – ოია შეენდბა!

სოლისტი – ქრისტე ლექგრ კატის,

გუნდი – ოია შეენდბა!

სოლისტი – ქრისტე ლექგრ კატის,

გუნდი – ოია შეენდბა!

ამ საგალობლის მთლიან ვერსიას დღესასწაულის დაწყების წინ სამჯერ ამბობენ.

დღესასწაულის პირველ დღეს დამით ანთებული ლამპრებით ეკლესის შემოვლა

ვაჭრობრივად მთავარი რიტუალია. ამ სარიტუალო მსვლელობის დროს დაღგუნდით წესით და დადგენილი ოდენობით ასრულებენ კურიას პირველ ნაწილს –

დიდებს.

ერთგირიანი დღესასწაულის შემდეგ დღეებში, სოფლის ყოველ ოჯახთან მისგლით, ოჯახის სახელზე ამბობენ კურიას მეორე ნაწილს – შენაუს.

მესამე ნაწილი შეენდბა (შენდობა), მთლიან საგალობელობა ერთად, მთელი დღესასწაულის განმავლობაში ხშირად სრულდება.

სადღესასწაულო საწესო რიტუალში ერთ-ერთ ატრიბუტად ანთებული ლამპრების გამოყენება უცავშირდება ერთ ისტორიულ ამბავს: რომელიდაც დროს სვანეთი დაუკერია თათრების ჯარს (პროფესორ შოთა ჩართოლანის ვარაუდით თურქებს). დამპრობელს დაუზამთრდა და იძულებული გახდა, სვანეთში დარჩენილიყო. ამით მშენივრად ისარგებლეს სვანებმა: ჩუბე ხევის სოფლების ჩათვლით, თათრები

დაინაწილეს ოჯახებში, მზრუნველობას არ აკლებდნენ და თან შეთქმულებისთვის გმზადებოდნენ. ამისთვის გამოიყენეს ლამპრობისათვის სამზადისი და თავისუფალი მისვლა-მოსვლით მტრის ყურადღების მოდუნება შეძლეს. სათანადო მომზადებულებმა ლამპრობის დათქმულ დღეს, უთენია, ყველა ოჯახმა მოახერხა შემოხიზული მტრის განადგურება. დათქმისამებრ, გამარჯვების პირველი ლამპარი ლაბსყალდში აინთო. მას, ბრწყინვალე გამარჯვების ნიშნად, მყისიერად მოჰყევა ლაბალის, ეცერის, ბეჭოს, ფარის, დემდერისა და ჩუბე ხევის ეკლესიებთან და მოსახლეობაში დიდი დმკრთის სადიდებლად ლამპრების ანთება. თურმე ბალსქვემოს ვანეოთის სოფლებმა და ლატალმა სთხოვეს ლაბსყალდს, შეთქმულების ერთ-ერთ მთავარ ხელმძღვანელს, რომელიმე დღეობაზე ამ გამარჯვების ნიშნად ლამპრების ანთების ტრადიცია დაუმტკვიდრებინა. ასეთად ლითოდური შეირჩა. ამ ტრადიციის შესრულება მხოლოდ ლაბსყალდის კუთვნილებაა. ლითოდურის ლამპრობა არაფრით უკავშირდება საყოველთაოდ ცნობილ ლამპრობა-ლიტკვდურალს, გარდა იმისა, რომ სწორედ ლამპრობა-ლიტკვდურალის დღეს აღსრულდა დიდი გამარჯვება.

ლამპრობა-ლიტკვდურალს სულ სხვა რელიგიური დატვირთვა აქვს. ივანე ჯავახიშვილი მას მთვარის ლეთაებისადმი მიძღვნილ დღესასწაულად თვლიდა (ამ თემაზე შესაბამის თავში ვისაუბრებთ).

ახლა კი ისევ ჩვენს ლაბსყალდელებთან დაგბრუნდეთ და მოვეფეროთ იმ ადამიანებს, რომლებმაც ეს საინტერესო ამბები ჩამაწერინეს:

1. ვარდენ გუგუსიანი
2. მაიზერ გუგუსიანი
3. შიო გუგუსიანი
4. გოგი (გოორგი) გუგუსიანი
5. ბახილ გუგუსიანი
6. ჯიდო გუგუსიანი
7. ჯანიკო გუგუსიანი
8. შერმანდ გუგუსიანი
9. ტარასი გუგუსიანი
10. ფრიდონ გუგუსიანი

ამ ჯგუფიდან შეიძიო დიდი ლაბსყალდელი – ვარდენი, შიო, ბახილი, ჯიდო, ჯანიკო, ტარასი, ფრიდონ გუგუსიანები – გარდაცვლილია. ნათელში იყოს მათი სულები.

შგარიდელები ყოველთვის მოვიგონებო და მათ ნათელ ხსოვნას პატივს მივაგებო მათივე ნასწავლი კვირიათი.

ვალმოხდილი წავიდნენ ამ ქვეყნიდან დიდი ხელოვანნი, სვანური მუსიკალური ცოლკლორის გამოჩენილი მოღვაწეები – მაცგი გოშუანი და ენგერ ქალდანი. ნათელში იყოს თქვენი სულები, ჩემო ცხეუმარელო მძებო!

მაიზერ, რეზო, გოგი (გიორგი), შერმანდ გუგუსიანებს კი ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბეჭნიერებას და დიდხანს სიცოცხლეს. მიხარია, რომ ცხეუმარში და მის ულამაზეს სოფელ ლაბსყალდში სიცოცხლე გრძელდება. ახალი თაობის მაცგი გოშუანები და ენგერ ქალდანები, ახალი თაობის ლაბსყალდები იზრდებიან, რომლებიც დირსეულად დაიცავენ სვანეთის დიდი სულიერი კულტურის საგანძურს.

## კვირია

### გადრანების ვარიანტი

მესტიის მუნიციპალიტეტში, კავკასიის მთავარი ქედის სამხრეთის კალთებზე, მდგრადი კლემის ერთ-ერთი ლამაზი თემი ფარი, რომელშიც 14 პატარა სოფელია გაერთიანებული. თემის მთავარი სალოცავია IX-X საუკუნის სვიფის წმინდა გიორგის ეკლესია. ეკლესიას საინტერესო ისტორია და ლეგენდები უკავშირდება. სვიფთან ახლოს არის პატარა სოფელი კაცხი, სადაც ცხოვრობდნენ და ცხოვრობენ დიდუბელი გგარი – გადრანები. ჩვენი გმირებიც კაცხის მკვიდრნი არიან: გვარის უხუცესი და მახვში პეტრე გადრანი, ასევე გვარის მახვშები – სასო (სოსო) და ილმაზ გადრანები, რომლებმაც ბოლო პერიოდამდე შემოიხახეს იდუმალი კვირია (კვირეა) და რომელთაც წინა თავში მოვეფერეთ.

საგალობელ (დვთის სადიდებელ პიმნის) კვირიას ისტორია შორეულ წარსულში, უხსოვარ დროში იკარგება და არავინ უწევის მისი შექმნის წინაპირობები. პეტრეს ქალიშვილმა ზაირა გადრანმა გაიხსენა საინტერესო რამ: „მე ყოველთვის მაინტერესებდა ამ საგალობლის ისტორია და ამის შესახებ მამაჩემს ვეკითხებოდი. თურმე მის ბაბუას დიდი პაპისგან უხწავლია და, გადმოცემით, იმ დიდ პაპასაც არ სცოდნია შორეული წარსულის ის საწყისი, სადაც ეს ღვთიური ჰანგი დაიბადა (ცნობისთვის: პეტრე გარადაიცვალა ოციოდე წლის წინ, 105 წლისა). ერთი კი იცოდ-

ნერ გვარის უხუცესებმა: კურია დმერთების სადიდებელი პიმია. საგალობელს ისინი იშვიათად ამბობდნენ. მხოლოდ ერთი, ლამპრობა (ლიქდურალ) ითვლებოდა კურიას თქმის დღედ. იყო იშვიათი გამონაკლისი: დრმად მოხუცებულ, დათისნიერ ადამიანს უკანასკნელ გზაზე კურიათი აცილებდნენ. ყოფილა შემთხვა, როცა უძვო მშობლების თხოვნით, კურიას თქმის რიტუალი ჩაუტარებიათ. ზოგჯერ კურიას სოფლის, თქმის დიდ ყრილობაზეც საგალობელ ჯგურად შეასრულა ერთად ამბობდნენ. ესპანური გრიპის (ისპანკას) დროს ოჯახში მხოლოდ პატარა პეტრე და მისი ბაბუა გადარჩნილან. დიდი იყო დანაკლისი გვარშიც. ბაბუამ პატარა პეტრეს ასწავლა კურია და ამით დაუდო სათავე გვარში საგალობლის ახალ სიცოცხლეს. მანვე ასწავლა კურია უმცროს ბიძაშვილ სასო (სოსო) გადრანს, შემდეგ ახალგაზრდა თაობის წარმომადგენელ ილმაზ გადრანს. ეს სამი საოცარი ქაცი გახდა კურიას მომფერებელი, მცველი და, რაც მთავარია, საგალობლის ძალის და მადლის (ფუნქციის) სოფლის სარწმუნოებრივ ცხოვრებაში დამმკვიდრებელი, ტრადიციის მტკიცე დამცველი.

ახლა კი გავეცნოთ ჩემ მიერ სახელდებულ გადრანების კურიას ტექსტს.

## კურია (კურვა)

მაალდოდ აჩხედა ჯგურად, ჯგურად ისგუ კურიაშ მუქუისგ ჩუ ანკამაშ, კურია თჰოთოპო თოჰო ჰო ჰო

კვიიიი

კურპა, თ კურპაა, თ

კურპაა თოოო,

თო ჰოოო!

კურპააი კურია,

კურპაა იოოოო,

კურპაა იაო ჰეე სააა,

ჰააი ჰაააა ჰააია.

იიმეეი ჰაა ი ჰააა

კურპაო, კურპააო

კვირპააოოოო,

ოო ჰოოო!

კვირპააიი ქუურია,

კვირპაა იოოოო,

კვირპაა, იაო ჰეე ი სააა,

ჰააი ჰააააა ჰააიია

იი მეეი ჰაა ი ჰააა

კვირპაო, კვირპააო

კვირპაა თოოი,

კვირპააი ჰეეი თოო.

როგორც ვხედავთ, ტექსტის ქწ. ანბანი იგივეა, როგორიც ჩვენთვის ცნობილი ლადამური, გვარლიანების და ქვემო სვანური კვირიასი. იგივე ითქმის ლენჯერულ ფილფანების კვირიაზეც. რა თქმა უნდა, განსხვავებულია ინტონაციები, მაგრამ ბგერათა განლაგებაში, რაც ქმნის თვით საგალობლის არსს, შინაარსსა და დუ-თიურ მადლს, იგრძნობა დიდი მსგავსება. ეს კი გვაფიქრებინებს, რომ არსებობდა რადაც რელიგიური მიმდინარეობა, შესაძლებელია, ეს იყო ფესდელთა საიდუმლო თრდენი, რომელიც ფლობდა უძველეს, დასაბამიერ სიბრძნეს, სიბრძნეს მისტერიებისა, ოქროს საწმისისა, სამყაროსა და სიცოცხლის წარმოშობის შესახებ. ალბათ, ისინი ქმნიდნენ ამ იდუმალ საგალობლებს, ფორმულებს, ბგერებს, რომლებიც „გამოხატავენ ძველ მისტერიებს. ძველ მისტერიებში იყო ბგერათა შესამება“ (გამსახურდია, 1990:85). მისივე თქმით, აია არის მისტერიების კულტურის სიმბოლო. სვანური კვირია და სხვა ღვთის სადიდებული ჰიმნები მთლიანად ეხმიანება დიდი ქართველის, ზეიად გამსახურდიას, ამ მოსახურებას. იმდინარებისა, ამ მეტად სერიოზული და საინტერესო თემით მომავალში დაინტერესდებიან მკვლევრები.

აქვე მინდა კიდევ ერთხელ სიღრმისეულად განვმარტო: კვირპა, კურია, კვირიე და სხვა მსგავსი ტერმინი გამოხატავს კვირიას მთავარ შინაარსსა და იდეას, მაგრამ ლაბსყალდურ კვირიაში ის საერთოდ არაა ნახსენები, თუმცა საგალობლის სახელწოდება მაინც კვირია. ამ კითხვაზე ჩემი პასუხი ასეთია: ლაბსყალდური კვირია, ეს სამაწილიანი ლოცვა-საგალობელი, ყველაზე კარგად გამოხატავს სხვა, ნამდვილი კვირიების, აზრ-იდეას: პირველი ეძღვნება უზენაესი ღვთაების (ფუსდის) დიდებას, მეორე – სიცოცხლის, ნაყოფიერების, კეთილდღეობის, ბარაქის სადიდებუ-

ლია (შენატ), მესამე კი გარდაცვლილთა სულების მოსახსენებელია. აი, სწორედ ეს არის კვირია. მე მას დავარქმევდი სიმბოლოებითა და შიფრ-კოდებით დახუნძლულ კვირიათა საგალობლების გასაღებს.

ახლა კიდევ ერთხელ გაფიხსენოთ ერთ-ერთი უდიდესი სვანური რელიგიური დღესასწაულის (მისტერიის) მთავარი სიმბოლო ანგი – მის წვერზე დამაგრებული გაშლილმქლავებიანი ადამიანის გამოსახულებით, სახის ადგილას ჯერითა და საცრით (ფარათი). ყოველივე ეს სიცოცხლის სიმბოლოა, რაც გამოისახება წრეში ჩასმული ჯვარით. ჯვარის გადაკვეთის წერტილი სამყაროს, ცისა და მიწის კავშირის საკრალური ცენტრია, წრე კი ამ ცენტრის ირგვლივ სამყაროს მარადიული წრებრუნვაა, რომელიც გამოხატავს წესრიგს, ნაყოფიერებას და კეთილდღეობას, დროის ციკლურ მდინარებას (ხიდაშელი, 2005:96). სვანური წრიული ფერსულები, წრის ცენტრისაკენ მიმართული პერიოდული ტაშით, სწორედ ამ მოსაზრების ნივთ-მტკიცებულებებაა. წრის ცენტრში იგულისხმება თოვლის მურყვამი, ტაბარი, ჭველა სალოცავი, რომელთა გარშემოვლით სრულდებოდა უზენაესისადმი მიძღვნილი საწესო-სარიტუალო საფერხულო სიმღერები, ღვთის სადიდებელი ჰიმნები და სწორედ ეს არის სამყაროსეული ცენტრის საკრალური გამოხატულება, მიწისა და ცის კავშირის (სიცოცხლის) ნივთიერი, საკრალური სიმბოლო.

საინტერესო ინფორმაცია დევს სვანურ ქუდშიც – წრეში ჩასმული ჯვარი მისი მთავარი ატრიბუტია. სვანურ ქუდს ფაყუ პქვია. ოოვლის მურყვამის ანგის ერთ-ერთი მთავარი საკრალური ელემენტი საცერი – ფარა, ჯვართან ერთად, ღვთიური მადლით ზეციური დარწყელების და ნაყოფიერების სიმბოლოა. სვანური ფერსულიც ამ იდეის მატარებელია. ყოველივე ეს კი გვაძლევს საფუძველს ვიგარაულოთ, რომ სვან კაცს თაგზე ახერავს ცხვრის მატყლისგან დამზადებული სიცოცხლის სიმბოლოთი დამშვენებული ქუდი – სვანური ქუდი.

სქემატურად ეს ასე წარმოგვიდგება – ქუდის წრეში ჩასმული ჯვარი.

კვირიას განხილვას ამით ვამთავრებთ. რა თქმა უნდა, ჩვენ არ გვაქვს იმის პრეტენზია, რომ შევძელით თემის ამოწურვა. ჩვენ ველოდებით, რომ, შესაბამისი კრიტიკული განხილვის შემდეგ, სხვადასხვა ასპექტში ახალ, სრულყოფილ ნაშრომებს შემოგვთავაზებენ.

ვაგრძელებთ სვანური სიმღერების განხილვას. შემდეგი თემაა საწესო-სარიტუალო სიმღერა ადრეგილა.

## ადრეკილა

სახალხო დღესასწაულ მურყვამობის რიტუალებს შორის, კვირიას შემდგა, მეორე სარიტუალო სიმღერაა ადრეკილა. მკვლევართა უმეტესობა ამ რიტუალს მე-20 საუკუნის დასაწყისში არსენა ონიანის ადწერილობის მიხედვით იცნობს და მეცნიერულ კვლევებში დღემდე იგრძნობა ამ ნაშრომის გავლენა, კერძოდ, ადრეკილა მიჩნეულია სქესობრივი ძალის სადიდებელ პიმნად. მე ამ შემთხვევაში ვისაუბრებ მხოლოდ მკვლევართა საერთო შეხედულებაზე და არ დავასახელებ კონკრეტულ ავტორებს. მათი აზრით, თვით სიტყვა-სახელი ადრეკილა ითიფა-ლურია და მიუთითებს ფალოსის ერექციულ მდგომარეობაზე და ისენება საერ-თო ქართულით – დღეგადი. ამდენად, ადრეკილა წაგვივიდა, მოგვივიდა ფალოსის ფუნქციად აღიქმება.

ჩვენ მიერ მოპოვებული მასალებით და დაკვირვების შედეგად კი ამის მსგავსი ვაქტი ვერ აღმოვაჩინეთ. ამ საკითხთან დაკავშირებით ჩვენებული შეხედულების გაცნობამდე, წარმოგიღგენთ ადრეკილას რიტუალის ტექსტს, რომელიც ქვემო სვანეთში სახალხო დღესასწაულ მურყვამობაზე (კოშკობაზე) სრულდებოდა. ეს ტექსტი კარდინალურად განსხვავდება არსენა ონიანისეული ტექსტისგან, რომელ-შიც რიტუალის მონაწილენი ერთმანეთს ჯოხებით ადამიანის ყველა თრგანოს ძალის სკორეთი ემუქრებიან. სვანები ენის ქრესტომათიაში მურყვამობის შესახებ სტეფანე თნიანის მიერ მოწოდებულ მასალაში უწმაწური ტექსტები არ მოიპოვება. ჩანს, ეს ვარიანტი უფრო ზუსტი და სრულყოფილია, ვინაიდან ზემო სვანეთში ეთნოფორ ტირინე ნიეარაძისგან ჩემ მიერ ჩაწერილი ტექსტი და ში-ნაარსი თითქმის ემთხვევა სტეფანე თნიანისეულ გარიანტს.

გთავაზობთ ადრეკილას ქვემოსვანურ ლაშეურ, ვარიანტს: რიტუალის მონაწილენი დადგებოდნენ ორ მწერივად – მწერივში დაახლოებით ათი კაცი. მწერივებს შორის მანძილი – 3-4 მეტრი. ორივე მწერივის ხელმძღვანელს ჯოხები გჭიროთ. ერთ-ერთი ჯოხიანი სიმღერას იწყებდა ასე:

ე, ო, ადრეკილა, ოგნედაიურ, ოგნედა, შეგჩარ, მიჩარ, შეგჩარ, მიჩარ

ამისიურ ჯაწციურ თხემზენრქაიურ, თხემუარქ,

ამისიურ ჯაწციურ ბარჯალქნიურ, ბარჯალქ.

ამისიურ ჯაწციურ მუჭუდარქნიურ, მუჭუდარქ,

ამისიურ ჯაწციურ კადარქნიულ, კადარქს,  
ამისიურ ჯაწციურ ფოქტრქნიულ, ფოქტრქს,  
ამისიურ ჯაწციურ ღულარქნიულ, ღულარქს,  
ამისიურ ჯაწციურ კაწრალქნიულ, კაწრალქს,  
ამისიურ ჯაწციურ ჭიშხარქნიულ, ჭიშხარქს...

სიმღერა-ფერხულის დროს ჯოხის ოდნავი ქნევით იმუქრებოდნენ: ადამიანის სხეულის ყველა ნაწილს: ამას გცემ თავზედა, ამას გცემ მხრებზედა, ამას გცემ მუცელზე და ა.შ. პირველი მწერივის ნათქამს იმეორებდა მეორეც. სიმღერის დამთავრების შემდეგ ორივე მწერივი ერთმანეთს დაერეოდა, ძიგილაობდნენ, ცდილობდნენ, ერთმანეთისთვის რაც შეიძლება მეტი რამე წაერთმიათ (ქუდები, ჩოხის მასრები და სხვ). შემდეგ ისევ ფერხული სიმღერით, დამთავრების შემდეგ კი ორ-სამჯერ იმავეს იმეორებდნენ.

ფოლკლორულმა ანსამბლმა შვარიდამ, მოპოვებული მასალების საფუძველზე, აგრეთვე, 1988 წელს ჩემ მიერ სვანური სიმღერების უბადლო მცოდნე ეთნოფორ ტირინე ნიუარაძისგან ჩაწერილ ვარიანტის (ფერხულით) მიხედვით, დაამუშავა ადრეკილას შედარებით განსხვავებული ვარიანტი, რომელმაც ანსამბლის რეპერ-ტუარში საპატიო ადგილი დაიკავა.

გთავაზობთ ამ ვარიანტს. ტექსტი ბალსზემოურ დიალექტზეა შექმნილი.

ოო, ადრეკებილაო, შმედოიაო, შმედ,

ოო, თანაააფიო შუიდებდოიაო შმკედ,

ოო, ამისოო ჯატყციო თხუმასნიაო, თხუმას,

ოო, ამისოო ჯატყციო თხუმასნიაო, თხუმას,

ოო, ამისოო ჯატყციო თხრარქნიაო, თხრარს,

ოო, ამისოო ჯატყციო შდგმრარქნიაო, შდგმრარს,

ოო, ამისოო ჯატყციო კინჩხარქნიაო, კინჩხარს,

ოო, ამისოო ჯატყციო მუჭუდარქნიაო, მუჭუდარს,

ოო, ამისოო ჯატყციო ჭაჭარქნიაო ჭაჭარს,

ოო, ამისოო ჯატყციო კადარქნიაო, კადარს,

ოო, ამისოო ჯატყციო ფოქტრქნიაო, ფოქტრს,

ოო, ამისოო ჯატყციო ქუთლარქნიაო, ქუთლარს,

ოო, ამისოო ჯატყციო ჭიშხარქნიაო, ჭიშხარს!

ოო, ადრეგილაო, წაგვივიდა, მოგვივიდა,  
ოო, ადრეგილაო, ადღომა მშვიდობით მოვიდა,  
ოო, ამას გცემ თავზედა, თავზედა,  
ოო, ამას გცემ თვალებზე, თვალებზე,  
ოო, ამას გცემ ყურებზე, ყურებზე,  
ოო, ამას გცემ კისერზე, კისერზე,  
ოო, ამას გცემ მკერდზედა, მკერდზედა,  
ოო, ამას გცემ ზურგზედა, ზურგზედა,  
ოო, ამას გცემ მუცელზე, მუცელზე,  
ოო, ამას გცემ წელზედა, წელზედა,  
ოო ამას გცემ მუხლებზე, მუხლებზე,  
ოო, ამას გცემ ფეხებზე, ფეხებზე!

სვანური ენის ქრესტომათიაში სახალხო დღესასწაულ მურყვამობის გაცნობა-  
მაც საშუალება მოგვცა უფრო დახვეწილი და არქაული ფორმა შეგვენარჩუნებინა  
წვენი მასალისთვის (შანიძე, ქალდანი, 1978:237). თუმცა მურყვამობის აღწერილობა-  
ში განუმარტავია ადრეგილას რიტუალის არსი და რელიგიური დანიშნულება.  
მიუხედავად ამისა, ტექსტის შინაარსი და თვით რიტუალის ატრიბუტი – ხის  
ჯოხები დაგვეხმარა სიმართლესთან უფრო მიახლოებებული და უფრო საინტერუ-  
სო ფორმით წარმოგენინა სიმდერა-ფერხულის ჩვენეული ვარიანტი. ვეცადვთ,  
საპონცერტოდ გვეჩვენებინა მთელი სიუჟეტი ძიგილაობის ჩათვლით, მაგრამ ვერ  
შევძელით, სცენურ სპეციულ სივრცეში ამ ფორმით წარდგომა ვერ მოვახ-  
ერხეთ. აღნიშნული გარემოების გამო, შევჭმით კომპოზიცია და დავამატეთ ჩვენ  
მიერვე მოძიებული და დამუშავებული რეფრენის ტიპის საწესო-სარიტუალო  
სიმღერა შარირა ვარირა. ჩემი ვარაუდით, ეს სიმღერა მზეს ეძღვნება, ვინაიდან  
ძველი სვანური ენით შარ მზის სახელია და მრავალ სვანურ სიმღერაში ეს  
სიტყვა (ბგერა) მზის ფუნქციას და უშვალოდ მზის არსს გამოხატავს და იგი  
სიუჟეტურად მოერგებოდა ადრეგილას სიმღერას. შედეგით ქმაყოფილი დაგრჩით:  
მაყურებელს ძალიან მოეწონა ეს კომპოზიცია.

ახლა კი ჩვენი მოსაზრება ამ საკულტო სიმღერის შესახებ. სიმღერის ტექს-  
ტის მიხედვით სავარაუდოა, რომ ადრეგილა სიმბოლური სახელია დვთაებისა,  
რომელიც სადღაც მიდის და მისი წაგლა იწვევს ზამთრის მოსვლას, ხე-მცენა-

რეთა სიკვდილს, ანუ ბუნების კვდომას, რასაც თან ახლავს სიცივე და ყინვა. იზრდება ავადმყოფობათა რიცხვი, მეტად გართულებულია ცხოვრებისა და არსებობის პირობები. ყოველივე ამას კი უძველესი რელიგიური შეხედულებით იწვევს დვთაების სადღაც წასკლა ან სიკვდილი. დვთაების სიკვდილი გაიგივებულია ბუნების კვდომასთან და უძველესი ხანიდან მიწათმოქმედთა საზოგადოებაში არქაულ სამიწათმოქმედო კოსმოგონიასთან ერთად ყალიბდება შესაბამისი რელიგიაც, რომლის წიაღშიც შეიქმნა ზამთრის განდევნისა და ბუნების აღორძინების სახალხო-რელიგიური დღესასწაულები, სხვადასხვა რიტუალი, დვთის სადიდებელი პიმჩები. ქართული დღესასწაულის პერსონაჟებს (საქმისაი, დოლფანა, კეოსარი, ყენი) კავშირი აქვთ მოკვდავ და აღდგენილ დვთაებებთან. ჩვენი მოსაზრებით, ადრეკილა არის საქრალური სახელწოდება დვთაებისა, რომელიც სადღაც წავიდა. მისმა დაბრუნებამ ზამთრის განდევნა და ბუნების აღორძინება უნდა გამოიწვიოს. ბუნების აღორძინების სიმბოლო კი სიცოცხლის ხეა (ანგი). სადღესასწაულო რიტუალებში გამოყენებული ჯოხები და წკეპლები სიცოცხლის ხის სიმბოლოებია.

როგორც დაკვირვების შედეგად ჩანს, ადრეკილას რიტუალი ბუნების კვდომის (ზამთარი) და გაცოცხლება-აღორძინების (გაზაფხული) ერთ-ერთი საწესო ქმედებაა, სადაც ხის ჯოხები, როგორც ვთქვით, სიცოცხლის სიმბოლოებია.

სიმღერის ტექსტი შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

ადრეკილაო, ამას გცემ თავზედა, თავზედა,

ადრეკილაო, ამას გცემ თვალზედა, თვალზედა,

ადრეკილაო, ამას გცემ კისერზე, კისერზე და ა.შ.

ჩამოთვლილია ადამიანის სხეულის ყოველი ნაწილი და თითოეული მუხლის დამთავრების დროს ფერხულის წინამდობლი (სოლისტიც არის) ოდნავ იქნევს ჯოხეს. ჩემი აზრით, ეს რიტუალი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანის ორგანიზმიდან ავადმყოფობის, ავის და, საერთოდ, ზამთარში დაგროვებული ყოველგვარი უსიამოვნების განდევნა. ამას ადასტურებს რიტუალის მეორე ნაწილი: ორივე ჯგუფი ერთმანეთს დაერევა, ერთმანეთს ართმევს ქუდებს, ჩოხის მასრებს... ეს დაირისპირების პროცესი ჩვენთვის უკვე ცნობილია და უკავშირდება ნაყოფიერებას: ვინც მოიგებს, ანუ, ვინც მეტ ქუდს წაართმევს, ის გამარჯვებულია და იმ ჯგუფის მხარეს უფრო დიდ მოსავალს და მაღალ ნაყოფიერებას უნდა ელოდონ.

რას უნდა ნიშნავდეს თვით სიტყვა ადრეკილა? სგანურ ენაში არის სიტყვა – გამოჯანსაღება, ჯანსაღი; ლგდრეული – გამოჯანსაღებული; უი ჰდღერებნ – გამოჯანსაღდა, მომწიფდა. ამ სიტყვით ადამიანს, საქონელს უსურვებენ გამოჯანსაღებას. რაიმე საგნის დასამზადებელი ნედლეული შეიძლება საჭიროებდეს გარკვეული დროს განმავლობაში სცეციფიკურ პირობებში შენახვას, რათა მომწიფდეს, მომზადდეს და ვარგისი გახდეს რაიმე საგნის დასამზადებლად. მომწიფებულ ნედლეულზე იტყვიან: უი, ჰდღერებნ ესე იგი, მომწიფდა, გამოჯანსაღდა. ბუნებასთან მიმართებაში ეს სიტყვა უკვე აღორძინებაში გადაიზრდება. ბუნება გამოჯანსაღდა, ე. ი. აღორძინდა. ამდენად, ადრეკილაში შესაძლებელია ვიგულისხმოთ ადრეკილა. მკვლევარ ჯულიეტა რუხაძის მიხედვით, ადრეკილას სიმღერის ტექსტი ასე იწყება:

ოო, ადრეკიალო, ამჩედოიაო ამწედ,

ოო, თანაააფიო შვიდებდოიაო ამწედ,

ანუ ადრეკილა წაგვიგიდა, მოგვიგიდა, თანაფი (აღდგომა) მშვიდობით მოგვიგიდა.

ეს კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ადრეკილა მოკვდავ და აღდგნად ლპ-თაგების რიგს ეპუთვნის – რომელიც მიდის და თანაფის (აღდგომის) სახით ბრუნდება.

## მელია-ტულეფია

მურყვამობის (კოშკობის) დღესასწაულში მელია-ტულეფია რიგით მესამე რიტუალია. ამ რიტუალის მესიკალური ნაწილი გერ მოგიპოვე, ის დაფიწყებულია, თუმცა არსებობს ქართველ მაკლევართა ნაშრომები, რომლებშიც ზუსტადაა ასახული რიტუალის მთელი სიუჟეტური ქარგა. მე-20 საუკუნის დასაწყისში არსენა ონიანის ნაშრომში ლუშნუ ამბურ მელია-ტულეფიას აღწერილობამ განსხვავებული მიმართულება მისცა შემდგომ კვლევებს და მეცნიერებაში არც თუ ისე სწორი დასკვნებისა და მოსაზრებების საფუძველი შექმნა. არსენა ონიანისეული აღწერილობით, 15-მდე კაცი აკეთებდა მწერივს (ან წრეს), წინა კაცს შარვალს ჩახდიდნენ, ფალოსს სელში დაჭერინებდნენ და ასე მიუძღვდა წინ, მიმყოლები უკნიდან უქაქუნებდნენ. წინა კაცს ჯოხი ეჭირა და იტყოდა: მელია-ტულეფია, ჯუჭ, ჯუჭ და

ჯოხს აქეთ-იქით იცემინება. რიტუალი გრძელდება: ჯუპ-ჯუპის მთქმელი ჯოხით დასდევს ქალებს და სექსუალური სიტყვებით ამკობს, თან ჯუპ-ჯუპს იძახის. ოუმცა არსებობს შემდეგი თაობის მკვლევრის, ჯუნის ონიანის, ნაშრომი შურყვამობა-კვირიაობა, რომელშიც ზუსტადაა აღწერილი რიტუალი: წინამდობლს შარვალი კი არ ჩახადეს, არამედ ფალოსი ჩამოჰკიდეს, ხელში წევბლა ან ჯოხი დააჭერინეს და მონძებით შემთხვეს. ერთმანეთის უკან დამდგარი მონაწილეები სიმღერა-რეზიტატივით მინდორს (სტიფს) უვლიდნენ. ჯუპ-ჯუპის მთქმელი ემუქრებოდა ქალებს, რომ მათთან სქესობრივ ურთიერთობას დაამჟარებდა, თან ჯოხს უქნევდა ჯუპ-ჯუპის (ჯუპ-ჯუპის) ძახილით. მწკრივში მდგომი მამაკაცები შემოსძახებდნენ: მელია-ტულეფია, იოჳ იოჳ (ონიანი, 1969:170). შემდეგ გრძელდება სექსუალური მაგიური ხასიათის სხვა შემახილებიც, მაგრამ ჩვენთვის საინტერესო მხოლოდ დასაწყისი და სარიტუალო სიმღერის ტექსტია:

ელიასა მელიასა,  
ჩიტიც მოგვიწველიასა,  
კათხა ჩაგვიწევნიასა,  
ქალაქს ჩაგვიგზაგნია.  
ქალაქური დედლებიო,  
ადიან და ჩადიანო,  
ხუცის ცოლთან ჩადიან.  
ხუცის ცოლი პურს აცხობდა,  
თონეშია წყალს უსხამდა,  
დედაბერმა გააკუა,  
ჯამ-ჯურჯელი დამტბრია,  
ციხის თაგი გადატეხა,  
დადიანი გააქცია,  
გურიელი დააბრუნა.

აქვა დავწერ მელია-ტულეფიას სიმღერის ჩვენებული ტექსტის პირველ ნაწილს:  
წამყვანი: მელია ტულეფია, ჯუპ, ჯუპ, ჯუპ!  
გუნდი: მელია ტულეფია, იოჳ, იოჳ, იოჳ!  
ამ ტექსტის სიზუსტეზე ჩვენ პრეტენზია არ გვაქვს, ვინაიდან, შესაბამისი მელო-დიის არარსებობის გამო, ტექსტის სტრუქტურა თავისთვად ვერ იქნება ზუსტი,

მაგრამ გვაქვს ბგერები და მცირე მოსაზრება შეიძლება ჩამოვაკალიბოთ.

მელია ტელეფია ჯუჭ, ჯუჭ, ჯუჭ! ჯუნის ოანიანს ამ რიტუალის განხილვისას მოცემული აქებს ორი ვარიანტი: ჯუხ, ჯუხ და ჯუჭ, ჯუჭ. ჩვენ მეორე ვარიანტს ვეთანხმებით: ჯუჭ ჯუჭში საკრალური პოტენციალი უფრო მეტად იგრძნობა და თვით ქალების მიმართ ჯოხის ქნევით მიმართვას დალოცვის უფრო მეტ ელევრსა და ძალას აძლევს. ჯუჭ-ჯუჭი შეიძლება განვიხილოთ როგორც ლუნჯვარ, ქართულად (ამ შემთხვევაში) დალოცვის ახდენა. ჯუჭ-ჯუჭის მთქმელი ნაყოფიერების, გაზაფხულის მომყვანი ღვთაების (ტელეფინუსის) ფუნქციას ასრულებს და ის ამ რიტუალით საკრალურ ქორწინებაში შედის ქალებთან, რაც მისი ჯანსაღი სქესობრივი ძალის გაზრდას გულისხმობს. საკრალური ქორწინება თავისთავად იმიტაცია და ლოცვის საწეო ქმედებაა, რასაც ახორციელებს ჯოხის რიტუალური ქნევით. ღვთაების ხელში კი ჯოხი სიცოცხლის ხის სიმბოლოა. ჯუჭ-ჯუჭის მთქმელი მამაკაცებსაც უქნევს ჯოხს. წამყვანის თქმაზე – მელია-ტულეფია, ჯუჭ, ჯუჭ, ჯუჭ უკან მიმყოლი მამაკაცების მწერივი შესძახებს: მელია-ტულეფია იოჰ, იოჰ, იოჰ. იოჰ, იოჰ ბგერა აშკარად საკრალურია. ის გვხვდება ნაყოფიერებისადმი მიძღვნილ საგანურ საგალობლებში და უნდა ნიშანვდეს უფლის დიდებას, თანხმობას, მადლის მოხმობას. რა თქმა უნდა, რიტუალის ეს პროცესი შორს დგას ქრისტიანული ლიტურგიისგან, მაგრამ მორწმუნე ქრისტიანი სვანები ყველა წესს დიდი რწმენით სწორედ აღდგომისათვის მზადების პერიოდში დიდ სახალხო დღესასწაულებზე ასრულებდნენ. თან ინახავდნენ დიდ საგანძურს, რომელიც უშორეს წარსულისკენ გახედება.

ერთ პატარა მოსაზრებას დაგაფიქსირებ მელიასთან დაკავშირებით. მელია-ტულეფიაში ორივე სიტყვის შესახებ არსებობს სერიოზული პელეფა, ახსნილია ტელეფიას არსი, რომ ის არის პროტოხეთური ღვთაების სვანური გამოძახილი. მელიასაც სსნიან დიდი მეცნიერები.

მკლევარი გიზო ჭელიძე მელია ტელეფიაში მელიას მელამის მნიშვნელობითაც განიხილავს, თუმცა იგი ამ აზრს შემდგომ არ ავითარებს. (ჭელიძე, 2008:5).

მელამი, შუმერული მითოლოგის მიხედვით, თვალით უხილავი ბრწყინვალებაა, რომელიც ღვთაების ძალმოსილებად არის მიჩნეული, ის (ღვთაება) მელამის მეშვეობით ახორციელებს თავის ფუნქციას და მას ამ უნარის მეშვეობით შეუძლია შექმნაც და განადგურებაც. სვანურ ენაშიც არსებობს დაახლოებით იმავე ფუნ-

ქციის მატარებელი სიტყვა მეღამი. სვანს დიდი მორიდება და შიში აქვს მეღამისადმი, ამიტომ თვით მეღია-ტულეფიას გაშიფვრა გარკვეულწილად განსხვავებულ შინაარსს გვაძლევს: ღვთაების ფუნქციით ადჰერენციით მეღია ტულეფიას წინამდობი მეღამის გამნაყოფიერებელი ძალით, სიცოცხლის ხის სიმბოლოთი, ჯოხით, ასრულებს სქესობრივი გრძნობისა და განაყოფიერებისადმი მიღდგნილ საწესო ქმედებას (რიტუალს). შუმერებში დიდ ტაძარში ქურუმების მონაწილეობით სიყვარულისა და ნაყოფიერების ღვთაება ინანასთან საქრალური ქორწინების რიტუალს პირველად მეფე ასრულებდა. ქურუმებს შემუშავებული პქონდათ ამ რიტუალის დიდი და რთული სისტემა. რიტუალის შესრულების შემდეგ მეფეს ეძლეოდა ღვთიური მადლი და უფლება, როგორც ღვთაებას, თვითონვე ჩაეტარებინა საქრალური ქორწინების რიტუალი თავისი მოქალაქეებისათვის. საქრალური ქორწინების რიტუალის ნიშნებს შეიცავს დღესასწაულ აღდე ლადრნდოში ყენისა და თავისი დედოფლების სახიყვარულო ურთიერობა და საქმისაის მიერ დედოფლების მოტაცება, აგრეთვა, ყველიერის თამაშების დღესასწაულებზე ითიფალური რიტუალები.

რაც შეხება რიტუალის ერთ-ერთ ტექსტს – კლიახა მეღიასა, მას საწესო-სარიტუალო სიმღერა იაგ ქალთიდში განვიხილავთ, რომელშიც უცვლელადაა შეტანილი იგი.

## იაგ ქალთიდ

იაგ ქალთიდ ბეტუცია მურყვამობის (კოშკობის) დღესასწაულის რიგით მეოთხე სარიტუალო სიმღერაა ფერხულით. ის მუსიკალური ფოლკლორის სამყაროში ცნობილია და გამოკვლეულია, მაგრამ ავთანდილ თათარაძის მოსაზრებას, რომ ეს სიმღერა შექმნილია რაჭის ერთ-ერთ სოფელში სვანების ლაშქრობასთან დაკავშირებით, ვერ დავეთანხმები. სამწუხაროდ, ეს აზრი ფოლკლორისტთა გარკვეულ ჯგუფში დომინირებს. იაგ ქალთის შინაარსი და სტრუქტურა მხოლოდ ყველიერის თამაშების, მურყვამობის (კოშკობის) სარწმუნოებრივ იდეაზეა აგებული. ქართველი მეცნიერები იაგ ქალთის მოვარის ღვთაებისადმი სადიდებელ პიმნად მიიჩნევდნენ და პარალელებს ავლებდნენ ბაბილონურ-ქალდუურ მთვარის ღვთაება ქალდის-

თან. ქალდე, ქალდია, ჰალდია მოვარის ღმერთია ბაბილონურ-ქალდეური სამების პირველი წევრი. „სოფელი ქალდე (ხალდე) დღესაც კლდე სოფელია სვანეთში და იქ მროვავი მძლავრი მამაკაცების გუნდი დღესაც მდერის წარმართულ პიმნა... უთუოდ მოვარის პიმნია“ (გელოვანი, 1983:508).

აღსანიშვია, რომ იავ ქალთიდება და საგალობელ ქალთიდებს შორის არსებობს შინაარსობრივი მსგავსება, ორივე საგალობელი კი გარკვეულ თანხვედრაშია სვანურ წმინდა გიორგისადმი მიძღვნილ საგალობელ ჯგურად შოთან. ყოველივე ამან გადაგვაწევებინა, ეს თემა უფრო გამჭლილად წარვუდინოთ მკითხველს:

პირველ რიგში, მოვარის ღვთაებასთან დაკავშირებით ივანე ჯავახიშვილის კვლევიდან ჩვენი თემისათვის საჭირო მასალას მოგიხმობ: „ქართველი ხალხის აზროვნებაში წმინდა გიორგის ძელი, წარმართობის დროინდელი ქართველების მთავარი ღვთაების, მოვარის ადგილი უკავია (ჯავახიშვილი, 1951:50). სარწმუნოდ ამ მოსაზრებისა, მეცნიერი სხვადასხვა ეპოქის თრ ისტორიულ მომენტს აღწერს და შედარებით ანალიზს გვაწევის.

1. სტრაბონის აღწერილობით, „ალბანელნი ღმერთებსავით თაყვანს სცემდნენ შეს, ზევსს და მთვარეს, მეტადრე მთვარეს. მოვარის ტაძარი იძერის მახლობლად მდებარეობს. მეფის შემდგომ ყველაზე უფრო საპატივცემულო კაცად ის ითვლება, ვინც ტაძარს ემსახურება. იგი დიდსა და მჭიდროდ დასახლებულ ხატის მამულს განაგებს და ხატის ყმების უფროსად ითვლება, რომელთა შორის ბევრი ქადაგად დაეცემა და წინასწარმეტყველებს ხოლმე. ის, ვინც მეტად აღტაცებული მარტოკა ტყეში დახეტიალობს, ქურუმები დაიჭერენ, კისერზე ჯაჭვს დაადებენ და ერთი წლის განმავლობაში ზვარაკად კარგად ასუქებენ ხოლმე. მერე მას მირონცხებულს სხვა საღმრთოებთან ერთად ღმერთს მსხვერპლად შესწირავენ ხოლმე... როცა მსხვერპლი დაეცემა მიწაზე, ქურუმები სხვადასხვა ნიშნებისდა მიხედვით მკითხაობენ და საჯაროდ ხმამაღლა აცხადებენ ხოლმე. როცა გვამს ერთ დანიშნულ ადგილას მიიტანენ, ყველანი თავის განსაწენდ ფეხს დაადგამენ ხოლმე“.

ივანე ჯავახიშვილი აქვე გვთავაზობს აწყურის თეთრ-გიორგობის აღწერას. დღესასწაულში მონაწილეობდა უამრავი მლოცველი ქართლიდან, კახეთიდან, ქიზიუდან, თუშ-ფუშავ-ხევსურეთიდან. და მეტად საინტერესო რიტუალი: „ამ დროს თეთრი გიორგის ერთი მონათაგანი დაეცემა ეკლესის დასავლეთის კარის ბჭესთან თავით ჩრდილოეთისკენ ისე, რომ საყდარში შესვლა არ შეიძლებოდეს, თუ კაცი

ან ზედ არ გადააბოტებს, ან ზედ არ შესდგება. მღვდელმა და ხალხმა მონაზე უნდა გადაიაროს. რაც უნდა ძლიერად დაადგან ფეხი, იგი მაინც ცდილობს კრინტი არ დაძრას“ (ჯავახიშვილი, 1951:50-51).

როგორც ვხედავთ, ხაოცარი მსგავსებაა სხვადასხვა ეპოქის სრულიად განსხვავული რელიგიების ორ დიდ დღესასწაულს შორის. განსხვავება მხოლოდ ის არის, რომ სტრაბონის დროს, ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში ხატის ყმას მსხვერპლად სწირავენ, მე-19 საუკუნეში, რა თქმა უნდა, ეს არ ხდება.

სტრაბონისეულ აღწერილობაში ერთმა დეტალმა ჩემიეული მოსაზრების თქმისაკენ მიბიძგა: ხატის ყმა, რომელიც დარწმუნებული გართ ნებაყოფლობით გახდა ხატის მსახური, გარკვეული დროის შემდეგ ქადაგად ეცემა, დადის ტყველრეში და, ალბათ, დასახლებულ ადგილებშიც და ქადაგებს; ქურუმები მას იჭერენ, კისერზე ჯაჭვს დაადებენ: ერთი წლის განმავლობაში საღმრთო ცხოველვით კვებავენ და ასუქებენ. აქ ზოგიერთი რამ გაზვიადებულად მეზვენება. სტრაბონმა, როგორც ჩანს, დაინახა საღმრთო ცხოველთა შეწირვისას ხატის ყმის მსხვერპლშეწირვა და ისიც ერთი წლის ნასუქ ზვარაკად ჩათვალა, რაც კატეგორიულად არასწორია. ასეკურური რელიგიური ცხოვრების შედეგად სულიერად ზეადმატებული, აღტკინებული ხატის ყმა ქადაგად ეცემა და წინასწარმეტყველების უნარს იძენს. მისი საღმრთო ცხოველივით ზვარაკად გასუქება, იმ რეგიონში, სადაც უძველესი ცივილიზაციების რელიგიური შეხედულებები ბატონობდა, სრული ნონსენსია (კაცმა ლამის კაციჭამიათა რიტუალს შეადარა დიდი რელიგიური დღესასწაული).

სინამდვილეში, ალბათ, საქმე გვაქვს სულ სხვა მოვლენასთან. სტრაბონის მიერ აღწერილი მოვარისადმი მიძღვნილი რიტუალი იყო დიდი მისტერია, სადაც ქადაგად დაგარდნილი ხატის ყმა ნებაყოფლობით ქწირებოდა ღმერთს, იქ მყოფი მლოცველები გვამზე ფეხის დადგმით იწმინდებოდნენ, ანუ ცოდვებს გამოისუიდნენ. ფაქტი, რა თქმა უნდა, შემზარვია, მაგრამ იმ ეპოქისთვის მას დიდი სარწმუნოებრივი მნიშვნელობა თუ დაინშულება ჰქონდა. მიჭირს შედარება, მაგრამ რეალობას ერ გაექცევი. სტრაბონის მიერ აღწერილ ეპოქაში, პირველ საუკუნეში ადამიანებმა თვით განკაცებული ღმერთი შევწირეთ ზვარაკად და დღემდე ვაძიჯებთ ფეხს, ცოდვების გამოსასყიდად. ის კი, ჩვენი ცოდვებით დამძიმებული, მოთმინებით იტანს და გვიტანს, მუდმივად ისევ ჩვენ გვერდით არის და ჩვენი შემწეა. იგანე ჯავახიშვილმა ამ ორი დღესასასწაულის მაგალითზე შეისწავლა საქართველო

ლოს ყველა რეგიონის წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი შესაბამისი ტიპის დღეობები, კულტმსახურების წარმოშობის ისტორიები და დაადგინა: „ყველგან, სა-დაც ქართველებს უცხოვრიათ, მთვარის თაყვანისცემის კვალი შერჩენილია. ამის გამო მთვარის, ვითარცა მთვარი მეუფისა და დვთაების თაყვანისცემა, ყველა ქართველი ტრმის უძველეს რწმუნად უნდა ჩაითვალოს“ (ჯავახიშვილი, 1951).

ახლა კი, როცა ხელთ გვაქვს ივანე ჯავახიშვილის საპროგრამო მასალები მთვარის დვთაების შესახებ, დაგუბრუნდეთ ჩვენს თემის და ვეცადოთ დაგადგინოთ, რამდენადაა დაკავშირებული ჩვენი კალევის ობიექტები, სვანური მუსიკალური ფოლკლორის უძველესი ნიმუშები, ქალთიდ, იავ ქალთიდ და წმინდა გიორგის (ჯავრაბგის) საგალობლები მთვარის დვთაების კულტან, მოიპოვება თუ არა ამ საგალობლების ტექსტებსა და სარიტუალო სიერცეში ამის რაიმე დამადასტურებელი ფაქტი. ამ შემთხვევაში სამოქმედო არეალი სვანურ ფოლკლორს ეფუძნება.

სვანური ენით მთვარის სახელია დოშდულ. სამწერლობო ქართულში მთვარის დღედ ითვლება ორშაბათი, მეგრულ-ჭანურში მთვარის სახელი თუთასგან მიღებული – თუთაშხა, სვანურში – დეშდიშ – დოშდულის მიხედვით. აქვე განვმარტავ: სვანურ სამეტყველო სიერცეში ორშაბათია დეშდიშ და არა დოშდიშ. სვანურად თვის სახელია თევ: შეიძლება ვივარაულოთ, რომ მთვარის სვანურ სახელწოდებას მეტი სიახლოეს უნდა ჰქონდეს მეგრულ-ჭანურთან – ბოლო ბგერა დონი შეიძლება თანი ყოფილიყო. მაშინ სვანური ასეთ ფორმას მიიღებს: დოშთულ, დეშთიშ. ამ შემთხვევაში ის, როგორც ერთიანი წარმოშობის და საერთო ოჯახის წევრი, თავისუფლად იკავებს ადგილს საერთო ქართული მთვარის თუ მეგრულ-ჭანური თუთას გვერდით. ეს კი ნაკლებ საფიქრალს გვიქნის იმისთვის, რომ დამატებით გეძეოთ არგუმენტები მათი ერთარსობის დამადასტურებლად. ასეთი ცვლილება ახალი მოსაზრების საშუალებას იძლევა: ხომ არ დევს დოშთულსა და დეშთიშში უფრო ღრმა აზრი? ხომ არ ნიშნავს სიტყვა ცის თვალს? ორშაბათის სვანური სახელი დეშთიშ ამ შემთხვევაში ასე გაიშიფრება – დე-დეც, ანუ ცა. დეც სვანურად ცაა, თიშ-თეიშ – თვალისა. ამდენად, დეშთიშ – ცის თვალი, ცის თვალისა.

რაც შექება დოშთულ, ამ შემთხვევაშიც ჩვენ დო შეიძლება განვიხილოთ როგორც დე, ანუ დეც, ხოლო თულ იქნება თვალის კნინბოთ ფორმა და ისევ მიიღებთ დო – დე – ცა, დოშთულ – ცის თვალი. ეს კი კომენტარს აღარ საჭიროებს. ზემოთქმულის მიხედვით, ჩვენი მოსაზრება შემდეგნაირად შეიძლება ჩამოვაყ-

ალიბოთ: მთვარის სგანური სახელწოდება – ცის თვალი ერთ-ერთი უძველესია და, გვიქრობთ, ამ მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება. ალბათ, შესაბამისი დარგის მქონევარ-სპეციალისტები ამ საკითხს მთვალი სერიოზულობით, ობიექტურობით მოეკიდებიან და განიხილავენ.

მსოფლიო მითოლოგიაში ბევრგან დომინირებს მთვარე, როგორც ცის თვალი: გვიპტიურში ჰოროსის მარჯვენა თვალია მზე, მარცხნა – მთვარე; ქალღმერთ ტეფნუტსაც მზისა და მთვარის თვალი უდგას; ჩრდილოურ მითოლოგიაში ღმერთი რდინის თვალები მზე და მთვარეა. საინტერესო პარალელებია.

მთვარე რომ უძველესი და უზენაესი ღვთაებაა ქართველთა წარმართულ ღვთაებათა პანთეონში, ამაზე სხვა მოსაზრება არც არსებობს. ქართველი მეცნიერების მიერ ეს თემა ყოველმხრივ შესწავლილი და განხილულია. ასევე ცველასთვის ცნობილია, რომ მთვარის ღვთაება ქრისტიანულ ეპოქაში წმინდა გიორგიმ ჩაანაცვლა. ასევე ცნობილია, რომ სვანეთში წმინდა გიორგი იგივე ჯგუფია. ამ წმინდანის კულტი განსაკუთრებით ძლიერია სვანეთში. აქ წმინდა გიორგის სახელი მთლიანად შეცვლილია ჯგუფით, რითაც, გარკვეულწილად, იგრძნობა წარმართული ღვთაების, წარმართული კულტის, გამოძახილი ქრისტიანულ რელიგიურ ცხოვრებასა და ყოფაში.

სვანეთში ჯგუფი დღესაც არის ერთ-ერთი უზენაესი ძალა, სიკეთის მფარველი, ბოროტების დამთრგუნველი, გაჭირვებულის შემწე და ქომაგი, ვაჟაცობის, ვაჟიანობის მფარველი. ამ სახეში საქმაოდ დიდია წარმართული ელემენტი. სვანები უძლიერესი საგალობლიო ადიდებებ ჯგუფებს – მცველ და მფარველ ძალას. ჩვენთვის ცნობილია ამ საგალობლის რამდენიმე ვარიანტი: ბალსქვემოური, ლატალური, მესტიური, უშაულური, ჩოლურული, ლენტებური. შესაძლებელია, გარიანტების რაოდენობა მეტი იყოს. ინტენსაციურად ეს ვარიანტები ერთმანეთისგან განსხვავდება, ზოგიერთში განსხვავება დიდია, მაგრამ ამ სიმღერებს გააჩნიათ საერთო მახასიათებლები: შინაარსი, საერთო ბეჭერები, რომლებშიც ამოიკითხავ ღვთაების ფუნქციას. ხოლო საკრალური ბეჭერები და ბეჭერათა წყობა თითქოს მხოლოდ ჯგუფისთვისაა დამახასიათებელი. თუმცა არ ვიჩქაროთ, ხანგრძლივმა დაკვირვებამ საგალობელ ჯგუფის ნათესავების მოძიებამდე მიგვიყვანა. აღმოჩნდა, რომ, მთვარის ღვთაების ფუნქციის გამო, გარკვეულ შინაარსობრივ და სტრუქტურულ სიახლოებებს ავლენს ღვთის სადიდებელ პირს ქალთიღთან და საწეო-სარიტუა-

ლო სიმღერა იაგ ქალთოდთან. ამას ემატება მეცნიერული კვლევები აღნიშნული სარიტუალო სიმღერების უშუალოდ მთვარის უზენაესი დვოთაების რწმენის წიაღი-დან წარმოშობის შესახებ.

უპირველეს ყოვლისა, დასადგენია, რამდენად თანხვედრაშია მთვარის დვოთაების შესახებ მეცნიერთა კვლევები საგალობლებთან: ქალთიდ, იაგ ქალთიდ და ჯგუფის ამის გასარკვევად საჭიროა ამ საგალობელთა ტექსტობრივი შესწავლა-ანალიზი. ჩვენ შევეცდებით, ჩამოყალიბებული შეხედულებები და მოსაზრებები შევთავაზოთ მკითხველს, თუ რამდენად გამოგვივა ეს, შეფასებას მოუთმეშნდად დაველოდებით.

მაშ ასე, ვიწყებთ და პირველად ვიხილავთ საგალობელ ქალთიდს.

## ქალთიდ

ამ საგალობელმა მეტად საინტერესო ისტორია გამოიარა. დღეისთვის ცნობილი და ფოლკლორისტები მეტად პოპულარული საგალობელი, უნდა ითქვას, რომ მეორედ დაიბადა. თუ რა არის ეს მეორედ დაბადება და სინამდვილეში რა მოხდა, ამაზე ერთი ლამაზი ისტორია გაგვცემს პასუხს.

მე-20 საუკუნის სამოციან წლებში მეცნიერის რაიონის სოფელ ეცერის საშუალო სკოლაში მოქმედებდა სკოლის მოსწავლეთა სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ანსამბლს ხელმძღვანელობდა პედაგოგი საშა გურიანი. ის არა მარტო პროფესიონალი მუსიკოსი გახდათ, არამედ დიდი ქნიურიასტიც და სვანური მუსიკალური ფოლკლორის უზომი მოყვარული: მუდმივად ცდილობდა ბავშვებისთვის შექმნა სასურველი გარემო, დაეინტერესებინა და შეექვარებინა სვანური მუსიკალური საგანძური. ამ მიზანს მან წარმატებით მიაღწია: მან შეკრიბა მოსწავლეთა ძლიერი ჯგუფი, რომლებიც მასწავლებელთან ერთად ემიებდნენ და იწერდნენ სიმღერებს. შემდეგ კი სხვადასხვა ჟანრის სიმღერა-საგალობლები სკოლის მოსწავლეთა ანსამბლში იძენდა ახალ სიცოცხლეს. ვინ იყვნენ საშა გურიანის ჯგუფის წევრები? ეს ბავშვები შემდეგში უკვე საქვეჭნოდ აღიარებული მომღერლები გახდნენ: რუსლან (ფერბენქს) სტეფლიანი, ტრისტან პაკლიანი და შოთა გურიანი – სკოლის გუნდის მთავარი სოლისტები. საშა გურიანმა არა მარტო

შექმნა ანსამბლი, მან აღზარდა უძლიერეს მომღერალთა თაობები, რომელთაც უპირველეს ყოვლისა, შთაუნერგა ეროვნული ფასეულობების მიმართ სიყვარული და დღეს მისი აღზრდილები წარმატებით მოღვაწეობენ კულტურის ამ სფეროში. სწორედ ისინი არიან მესტის რაიონული ანსამბლის ერთ-ერთი მთავარი ბურჯები: რუსლან (ფერბექე) სტეფანიანი, გულვერ გერლიანი, გენო გერლიანი, ტოლი (ანატოლი) გერლიანი, არჩილ მურდვლიანი, ემზარ მურდვლიანი. სამწუხაროდ ჯემალ გერლიანი, ტრისტან პაკელიანი, ზაურ გერლიანი და რუსლან (უფროსი) გერლიანი გარდაცვლილი არიან. დიდება მათ სულებს!

ახლა კი ქალთიდის მეორედ დაბადებაზე: 1976 წელს რუსლან (ფერბექე) სტეფლიანმა შექრიბა ენთუზიასტთა ჯგუფი და შექმნა ფოლკლორული ანსამბლი ქალთიდი. ანსამბლმა მთავარ მიზნად ქველი სიმღერა-საგალობლების მოძიება-ადგენა დაისახა. გაიხსენეს და ახლებურად, პროფესიულად, დაამუშავეს საგალობელი ქალთიდი, სიმღერა-ფრენული შეხე აძრამ, შეარიდა, როსტომ ჭაბიკვ და სხვ. ანსამბლის მთავარი წევრები იყვნენ: რუსლან სტეფლიანი (ხელმძღვანელი), გულვერ გერლიანი, ტოლიკ (ანატოლი) გერლიანი, არჩილ მურდვლიანი, ფრიდონ გურჩიანი, ემზარ მურდვლიანი, გენო გერლიანი, ტრისტან პაკელიანი (გარდაცვლილი), ჯემალ გერლიანი (გარდაცვლილი), ნოდარ საბანაძე (გარდაცვლილი), ზაურ გერლიანი (გარდაცვლილი), რუსლან გერლიანი (უფროსი, გარდაცვლილი). ანსამბლს შეემატენენ ახალგაზრდები: რუსლან (უმცროსი) გერლიანი, ამირან პაკელიანი, ბექა გერლიანი.

ანსამბლი ქალთიდ ფოლკლორულ სამყაროში ცნობილია როგორც წარმატებული ავთენტიკური ანსამბლი და დიდი ავტორიტეტითაც სარგებლობს.

მე ეცემში დაეიბადე და გაგიზარდე. გამაყობ იმით, რომ მეც საშა გურჩიანის აღზრდილი ვარ და, როგორც მოცემვავე, დიდების ზენიტში მყოფი, ეცერის საშუალო სკოლის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლის წევრი ვიყავი და, პუნქბრივია, ჩემთვის განსაკუთრებით სასიხარულო და საამძყო ჩემი თანასოფლელების, ჩემი სიყრმის მეგობრების და ნათესავების, ქალთიდელების საქვეყნო წარმატება.

ახლა კი შევერპინოთ დვოის სადიდებელ პიმზ-საგალობელ ქალთიდს. ამ საგალობელის შესახებ, სამწუხაროდ, არ ასებობს ცნობები, თუ კონკრეტულად სად, რა ვითარებაში, რომელ რელიგიურ დღესასწაულებზე იმღერებოდა, ითქმებოდა. ის ჩავიწერე ჩემი გვარის მახვშ მურზაბექ გურჩიანისა და ხოსია გურჩიანისაგან.

შეიძლება მათ პქონდათ რაიმე ინფორმაცია, მაგრამ დღეს ჩვენ ხელი არაფერი გაგვაჩნია. ერთადერთი ეს არის მრავალწლიანი დაკირვების შედეგად მიღებული მოსაზრებები. ასევე დავეყრდნობით გენეტიკური მეხსიერების სიღრმეებიდან ამოქანულ პატარ-პატარა, ასე თუ ისე შესაძლებლად მიჩნეულ მასალას, რაც, რა თქმა უნდა, ძნელია, თუმცა იმდინ მომცემად გვესახება შედარებითი ანალიზი ამ ჯგუფის სხვა სიმღერებთან მიმართებაში. და ისევ და ისევ მეცნიერთა ნაშრომები მთვარის დავთაებასთან დაკავშირებით.

## ქალთიდ

### დვთის სადიდებელი ჰიმნი

პოო, შედიაოდი,

შეეია, ქვეეია, შიპოი ოოპოო პააა,

ოდა შტარუციია, ოდა ფარუციია

პეეე ოპოოოი ოოო პოო

უეჯიპო (ფორეჯიოო) იქპა, ოოოპო პაა

ოოო იქპა

შტარუციია, ფარუციია, თეეთი ოოპო

დია პოო დიეტე

შუშპაარი ოოიდიო

ოიი ოიპა ოოპა

ოდა აჯოსა პეე რაუქენსია ოდირე ოოო ოოპა

როგორც ქედავთ, საგალობელი იწყება საქრალური შეძახილით პოო შედიაოდი.

პოო შეძახილია დვთაებისადმი (პო, ლილე, პო, ჯგურებე, პო, ქრისტე და სხვა), თუმცა ამ ფრაზაში შედიაოდი არც ერთ დვთაებაზე არ მიგვანიშნებს. არადა უშუალოდ დვთაებას, მის არსეს რომ უკავშირდება, ცხადია. შესაძლოა ეპითეტია იმ დვთაებისა, რომლისკენაც მიმართულია ეს შეძახილი, მოხმობაა პოო, ანუ შესაძლებელია დვთაების არსია ამ ე.წ. ეპითეტში. სიმართლის დასადგენად, ალბათ, საჭიროა გაგიგოთ, რას უნდა ნიშავდეს სიტყვა შედიაოდი. სვანურ რელიგიურ ტერმინოლოგიაში არ-სებობს სიტყვა ლიდვლაი (ალკეთა), ლუდლიანე (ალკეთილი), რაც ნიშნავს რადაც

გადაცემისათვის გარკვეული დროის განმავლობაში ზვარაკით საგალდებულო ლოცვის რიტუალების ჩატარებას; ასევე, როდესაც პირი ან ოჯახი ღმერთის, უფრო მეტად ჯგრაბის წინაშე, გარკვეული ცხოვრებისგული სასიცოცხლო და საერთოდ მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად ფიცით ვალდებულებას იდებს გარკვეული სახის რელიგიური, მისტიკური რიტუალების ჩატარებისა. ამ რიტუალებს თჯახი საიდუმლო ასრულებს: სვანი კაცი ასევე იფიცებს ხოშა ღერმეთს (დიდ ღმერთს). ხოშა ხერთემ ყერდო (დიდი ღმერთის მადლით), თარგლებზერი ყვრდო (მთავარანგელოზის მადლით) ჯგრაბი ყერდო... (წმინდა გიორგის მადლით). სვანურად ფიცს ლილუნე ეწოდება. იყო შემთხვევა, როცა, რაღაც კატაკლიზმების, მძაცრი კლიმატური პირობებისა თუ მასობრივი ავადმყოფობის გამო, თვით თქმებს შემზოდიათ რელიგიური დაცხასასწაულები. მესტიის რაიონის ხოფელ ეცერში ოთხი სოფლის – ბარშის, სვიფის, ჭელირისა და ქურაშის მცხოვრებლებს, როგორც ამბობენ, ოდითგან პეტონდათ ლულულიანები, განუწევებელი წვიმიანობის დროს ეცერის მთავარანგელოზის ეკლესიასთან რელიგიური რიტუალისა კირიოლა. ღმერთის, ჯგრაბის წინაშე ფიცის დადება, უბრალოდ დაფიცებითაც კი, შენ უკვე ლულვლიანები ხარ და ეს ფიცი არ უნდა გატეხო. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ლილები (აღკვეთა) უფრო მეტად ჯგრაბის უკავშირდება.

საგალობელ ჯგრაბის ქვემოსვანურ, ჩოლერულ, ვარიანტს ასურდება პქვია და ასე იწყება:

ო, ჯგრაბ ასურდელაო, ო

ჯადუიაა შეეოოშეე ჰო

იაა როდა

ასურდელა (ასურდუია) ჯალუია ნიშნავს ჯგრაბლო (ჯგრაბის მადლმა, ჯგრაბს გვიცავ). ჯგრაბის მესტიურ ვარიანტში არის ასეთი ლოცვითი სინტაგმა ელეჭუდუია – ეს უკვე ელიასთან დადებული ვალდებულებაა (აღკვეთა), რაც უძველეს პერიოდში, სვანეთში მომხდარი დიდი კლიმატური კატასტროფის გამო აისახა დიდ რელიგიურ დაცხასასწაულ პეტონშობაში. პეტონშობა დაცხას კი დიდი ხალხმარავლობით ტარდება. ასე რომ, საკრალური ბგერები – შეკვიაოდი (შეკვიაოდი), ელეჭუდვია, ასურდელა (ასურდვია), სავარაუდოდ, საერთო ძირის და ფუნქციის მქონე ღვთაებებზე მიანიშნებს. ვეცადოთ, სხვა მაგალითებითაც დავადასტუროთ ეს მოსაზრება. საგალობლის პირველი სიტყვა შედიაოდი (შედგიაოდი) დათაება

ქალთიდის ფუნქციის გამომხატველი ეპითეტია.

შეია ქუეია, კერძოდ, შეია ჩვენ მიერ წინა თავებში განხილულ შენატს უნდა გამოხატავდეს (კეთილდღეობას, ნაყოფიერებას). სიმღერებში არის საკრალური სიტყვა შედა, რაც გულისხმობს ლაგუშედას (შეგვეწიე). ქუეია შესაძლებელია ქველ ტექსტში ყოფილიყო დუეია. მაშინ უკვე იკვეთება მისი (დუეიას) საკრალურ სიტყვად ქცევის ისტორია.

ოდა სასტარტო სიტყვაა შტარუციას და ფარუციას ქმედების გამოხატავად. შტარუცია ან შარცია, როგორც უკვე ვიცით, შპრ ქველი სკანურით მზის სახელია. ალბათ, ამ სიტყვით ამკობენ ქალთიდს, რომ ის მზეა, ნათელია ცისა.

ფარუცია-ფარცია – ამ სიტყვიდან გამოყოოთ ფარ, ანუ ფარა, რომელიც ჩვენ უკვე განვიხილეთ, და ნიშნავს მწყემსვას. ციას შესახებ მხოლოდ ის შეგვიძლია ვთქვათ, რომ ის აღნიშნავს ცას. ზემოთქმულიდან კი შეგვიძლია ვიგარაუდოთ, რომ ფარცია მწყემსია, მწყემსვაა ცისა.

ჰეე – შეძახილი სადიდებელი დეტისა.

რიპო – ღვთიური ნათელი.

ქაუჰეჯიპო (ფორეჯიპო) – ჩანს, ქაუ ეჯიპო უფრო აიხსნება, ვიდრე ფორეჯიპო. ქაუჰეჯიპოში ქაუ შეიძლება აღნიშნავდეს ქალთიდს, ჰეჯიპო კი ქალთიდის შეფასებაა, როგორც ცხებულის (ჯგუბაგთან კავშირი). თუმცა ფორეჯიპოშიც შეიძლება იპოვო სწორი პასუხი, თუ ფორს ჩაეთვლით ფარად.

გავვეთ ტექსტს:

მეორე ნაწილი იწყება ბგერებით, რომლებიც თითქოს გვეუბნებიან: ვადიდოთ კიდევ ერთხელ:

ოოო (ან ჰოოო) იებჲა,

შტარუცია ფარუცია თეეთი თო ჰო.

ამ სტრიქონში უკვე ახალი სიტყვაა – თეეთი. თეთის შესახებ შეიძლება გაბედულად ვიგარაუდოთ: ის, არც მეტი, არც ნაკლები, მთვარის სახელწოდებაა. ის ადას-ტურებს ჩვენს ვარაუდს, რომ მთვარის სვანური სახელწოდება შეიძლება იყოს არა დოშდულ, არამედ დოშტულ. და დას მაგივრად თხ გამოყენება მთვარის სახელწოდების საზოგადო ფუნქციას წარმოაჩქნის. დოშდულის ახსნა კი ფაქტობრივად შეუძლებელია.

სიტყვა თეთი საშუალებას გვაძლევს ქალთიდში მთვარის სახელწოდება დავი-

ნახოთ და დამაჯერებლად წამოგაყენოთ იდეა, რომ ქალთიდი არის მოვარის ღვთაების უძველესი ქრისტიანობამდელი ღვთაების სახელი, რაც ქართველი მეცნიერების მიერ ამ საკითხთან დაკავშირებული მოსაზრებების მტკიცებულებად შეიძლება ჩაითვალოს.

საგალობლის შემდეგი სტრიქონი ჟღერს ასე:

დია პოო დიეგჰე ან: იაჰოო იეჰჰე.

ეს ბგერები, რომ იტყვიან, სვანური საგალობლების სისხლძარღვებია. საგალობლი მოქმედებაში სწორედ მათი მეშვეობით მოდის. ისინი არიან ტერმინთა და სიტყვათა მაკავშირებლები, ისინი აღნიშნავენ ვეღრებას, სადიდებელ და მოხმობის საკრალურ ბგერებს. მათ შორისდებულებად ვერ მოვიხსენიებთ, ვინაიდან ისინი დასაბამიდან დიდი სულიერი მამების (ქურუმების) მიერ შემუშავებული საკრალური ბგერებია, იგივე დატვირთვის უამრავ ტერმინსა და სიტყვათა როტულ წყობასთან ერთად.

ია პოო იეჰჰე კი შემდეგ სტრიქონზე გადასვლის და თეთის ფუნქციის შეშპარით გამოხატვის მაკავშირებელი და სადიდებელი ბგერებია.

მთვარის პატივსაცემად სვანეთში არსებობდა ცეკვა შუშარი, რომელიც ლხინით სრულდებოდა და რომელშიც წრის შიგნით ან ორ მწკრივს შორის ერთი ან ორი მოცეკვავე თავდავიწყებამდე ცეკვავდა (თათარაძე, 2010). რიტუალური ცეკვა შუშარი იმდენად იყო გავრცელებული საქართველოში, რომ ის ცეკვა-თამაშისა და მხიარულების ზოგად სახელწოდებად იქცა.

ბოლო სტრიქონი:

„ოოდა აჯისა ჰეე

რაუქენსია ოდი ჰეე

ოოოი ოო ჰა.

თითქოს ცოტათი გაუგებარია, მაგრამ რადგან აჯისას ახსნა შეგვიძლია, რაუქენსია ქალთიდის სხვა ფორმით საკრალურ მინიშნებად ჩავთვალოთ და ისევ მივიღებთ ღვთაება ქალთიდის სადიდებელი მელოდიის დამამთავრებელ აქორდს. ეს არის ამ დიდებული საგალობლის ტექსტური შინაარსის წარმოჩენის ჩვენებული მცდელობა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვითვალისწინებთ იმასაც, რომ მრავალსაუკუნოვან გპოქებში, მრავალ თაობაში ზეპირი ფორმით გადაცემულ, ათასგვარ ქარტეხილგამოვლილ და დღემდე ასეთი ფორმით მოღწეულ ტექსტებში იქნება გარკვეული

ცელიღებები, არსებული ბგერები და ტერმინები შესაძლებელია განსხვავდებოდეს შესაბამისი არქაული ბგერებისგან. ჩვენ გვაქვს იმედი, რომ წარმოდგენილი მასალა შემდგომში მკვლევრებს საშუალებას მისცემს გამოასწორონ არსებული ხარვეზები.

აქვთ გვინდა განვაცხადოთ, რომ ჩვენ მიერ კ. წ. გაშიფრული ტექსტების თანამედროვე სალიაპარაკო ენით ჩანაცვლებას კატეგორიულად ვერინააღმდეგებით. ეს იქნება უდიდესი მკრეხელობა, უპატივცემულობა ჩვენი წინაპრებისა, იმ დიდი სულიერი მოღვაწეებისა, რომლებმაც სწორედ უმაღლესი სულიერი ცოდნის საფუძველზე ჩამოაყალიბეს ბგერათა და ტერმინთა მძლავრი საკრალური სამყარო, რის საფუძველზეც მათ შექმნეს დვოთის სადიდებელი პიმები, საწეო-სარიტუალო სიმღერები და მისტერიები. ახალგაზრდობას, და საერთოდ მკითხველს, ამ საგალობლების გაცნობა სულიერად ამაღლებს.

## იაგ ქალთი

იაგ ქალთი მურყვამობის (კოშკობის) რიგით მეოთხე სარიტუალო სიმღერაა ფერხისით. როგორც აღვნიშნეთ, ის მუსიკალურ სამყაროში ცნობილია და გამოკვლეული, თუმცა ზოგიერთი მკვლევრის მოსაზრებას ამ სიმღერის რაჭაში შექმნის შესახებ ვერ დავეთანხმებით. ეს აშკარად შეუსაბამო მოსაზრება გამოითქვა იმის გამო, რომ აღნიშნულ რიტუალურ სიმღერაში რადაც ფორმით ჩასმულია ლექსი კლიასა მელიასა, რომელიც ისედაც მცდარი თანმიმდევრობით შედგენილ თვით რიტუალის ტექსტში უფრო მეტ გაუგებრობას იწვევს. წინასწარ უნდა ვთქვათ: იაგ ქალთის ტექსტი, შინაარსი და სტრუქტურა მხოლოდ ზამთრის განდეგნისა და ბუნების აღორძინების საგაზაფხულო დღესასწაულის მურყვამობის (კოშკობის) სარწმუნოებრივ იდეაზეა აგებული. ხოლო ამ ტექსტთან მისი შინაარსის დაურღვევლად მიბმული სხვა ისტორიულ ფაქტთან დაკავშირებული ტექსტი ამ რიტუალის ინტონაციაზეა აწყობილი და თავიდანვე ისეთი ფორმით იქნებოდა მისადაგებული მთავარ სარიტუალო ტექსტზე, რომ შინაარსობრივი დისონანსი არ გამოიწვია. ეს წესი კი აშკარად დარღვეულია. ერთმანეთშია არუელი საწეისი სარიტუალო და კლიასა მელიასას ტექსტები. ჩვენ, გარკვეული კვლევითი სამუშაოების შედეგად, შეძლებისდაგვარად, დავადგინეთ, ჩვენი აზრით, სწორედ სარიტუალო ფუნქციის ტე-

ქსტი. ანსამბლ შგარიდას მიერ მოძიებული მასალების საფუძველზე გთავაზობთ ამ ტექსტს:

## იავ ქალთი

იავ ქალთიოო ბებუცია,  
სოფელი ქალთიო შუშპაარია,  
შუშპარს ჩუქანო ქვიაანია,  
ქვიანი ჩვენი ზიაანია,  
მურყვამ ხვერევ ზიანია,  
ზიანი ჩვენი მოყვარეა,  
მოყვრის მოყვარია ნიაა,  
დუდა იმთე ამჩედელი?  
დუდა ცხეკოე ამჩედელი,  
ცხეკოე იმდა ამჩედელი?  
ჩაგაშ კვადლაშ ლაბარათე,  
ჩაგაშ კვადალ მაი ხეროლა?  
ხეხემიშ ი ჭაშიშ ლალეურა,  
ჟიქან გიკი ჩუქან ჯიკი,  
სემი მიკვი ხგა ხოჭუქა,  
აჩამ ჩია ვერა, მიაგულს ლახგვარენა,  
აჩამ ჩია ვერა, მიაგულს ლახგვარენა.

ეს სიმღერა იწყება სიტყვებით: იავ ქალთი ბებუცია. ბებუცია თითქოს სემან-ტიპურ სიახლოეს გამოხატავს ქალთიდის საგალობლის ტექსტში არსებულ საკრალურ სიტყვებთან – შვარცია და ფარცია. ოუმცა ეს სიახლოეს მხოლოდ სიტყვების დაბოლოების – ცია – არსებობით და ორივე საგალობლის ერთიანი სარწმუნოებრივი ოვალთახედვით მოიაზრება.

სოფელ ქალთიო შუშპაარია. ჩვენი ვარაუდით სიტყვა სოფელი პირდაპირი შნიშ-გნელობით არ არის ნახმარი, მით უმეტეს მაშინ, როდესაც საკულტო ხასიათის სიმღერასთან გვაქვს საქმე და მთელი ტექსტი მინიშნებებითაა შექმნილი. სოფელში, ალბათ, უნდა ვიგულისხმოთ უფალი, საუფლო. ამ აზრს ავითარებს მკვლევარი

ჯუნის ონიანი (ონიანი, 1969:210). ამ მოსაზრების მართებულობას თვით ამ სტროფის შინაარსი გვიდასტურებს. შეშპარი ხომ მოვარის ღვთაებისადმი, ქალთიდისადმი, მიძღვნილი თავდავიწყებული როკვაა. ამ საკითხთან დაკავშირებით ამ ეტაპზე მხოლოდ ამ მოსაზრებით შემოვიფარგლებით.

შეშპარს ჩუქვან ქვიანია,

ქვიან ჩვენი ზიანია.

შეშპარს ჩუქვან რომ ქვიანია ეს მინიშნებით ზამთარია, მკვდარი ბუნებაა და ქვიანი თავისთვად ზიანია.

მეორე კუპლეტი:

მურყვამ ხვერე ზიანია,

ზიან ჩვენი მოყვარეა.

ეს სიტყვები უკვე სსნის პირველი სტროფის მინიშნებით თქმულს: მურყვამ ხვერე ზიანია. ხვერე სვანურად დანგრევაა. ლიხვრე (დანგრევა) ამ ფორმით უბრალოდ საკრალური აზრით მინიშნების ფორმატშია ჩასმული. მურყვამ ხვერე, რა თქმა უნდა, ზიანია, მაგრამ ზიანი რანაირად უნდა იყოს მოყვარე? ამის პასუხს გვაძლევს ჩვენ მიერ აღწერილი თოვლის მურყვამის (კოშკის) დანგრევის პროცესი: ორი ჯგუფი ანგრევს თოვლის მურყვამს და რომელ მხარესაც წაიქცვა, იმ მხარის სოფლებს ბედნიერი წელი, კარგი მოსავლიანობა და ბარაქა გარანტირებული აქვთ. აი, რატომ არის მურყვამ ხვერე ზიანია ჩვენი მოყვარე. ამით უკვე იაგ ქალთის ერთი შეხედვით გაუგებარი შინაარსის კვანძი გახსნილია და სოფელ ქალდიზე სვანების დაპყრობითი ომის ზღაპარი დავიწყებას უნდა მიეცეს. ისე კი ელიასა მელიასა ლექსში აღნიშნულია ფაქტი – ახლა რაჭა ჩვენიასა. ისტორიულად ცნობილია ბარის დაკარგული ტერიტორიების დაბრუნებისათვის ბრძოლის ცალკეული ეპიზოდი და ამ ლექსშიც, ალბათ, ეს აზრია გატარებული: მე-16 საუკუნეში იმერეთის მეფე ალექსანდრეს ინტრიგების შედეგად, სვანები რაჭის თავად ჯაფარიძეებს დაუპირისპირდნენ. დაპირისპირების დროს მოკლული ორი თავად ჯაფარიძის საქმე მეფემ განიხილა და ზემო რაჭის სოფლები ჯაფარიძეების სათავადოს მიაკუთვნა. გარკვეული დროის შემდეგ, როგორც ჩემთვის ცნობილია, სვანებმა რამდენიმეჯერ ილაშქრეს. ერთ-ერთ ლაშქრობას ფუთა დადეშქელიანი ხელმძღვანელობდა. შესაძლებელია რაღაც დროით დაიბრუნეს სვანებმა ეს ტერიტორიები, თუმცა, როგორც ჩანს, არც ისე დიდი ხნით. ჩვენი მტკიცე გარაუდით, სიმდერაში ელიასა მელიასა

ეს მომენტია აღწერილი. სხვა მაგალითებიც არსებობს, მაგრამ ამ შემთხვევაში გადმოცემული ამბით დაკმაყოფილდეთ. ზღაპარი კი ზღაპრად დარჩეს.

ელიასა მელიასა ამ ფაქტთან დაკავშირებით უთქვამთ. მელამი სვანურში გამანადგურებელი ბრწყინვალებაა, რომელსაც ასხივებს დგომება. ეს სიტყვა პარალელს პოლობს შუმერულ იმავე სახლწოდების აღნიშნულ ბრწყინვასთან – მელამთან. შეამდინარული დვთაებები შემოსილი არიან განსაკუთრებული ბრწყინვალებით, რომ იტყვიან, რომლითაც დმერთი დმერთობს. მელამის გარეშე დმერთი ფიტულად იქცევა. დმერთი მელამით ქმნის სიცოცხლეს და ცხოვრებას და მელამის ძალითვე შეუძლია განადგურება. სწორედ ასეთ მელამის გულისხმობს აღნიშნულ ლექსში სვანი კაცი, ოდონდ მას ელიას მიაწერს. სვანი ელია მელამის წყველაშიც იყენებს. (მათ რაჭაზე შეტყვა ელია მელამს შეადარეს). სიმღერაში – ელიასა მელიასა ახლა რაჭა ჩვენიასა ისტორიის ის მონაკვეთია აღბეჭდილი, როცა სვანებმა გარკვეული დროით რაჭის ტერიტორია დაიკავეს (მიზეზებზე უკვე ვისაუბრეთ). როგორ მოხვდა ეს ტექსტი მთვარის დვთაებისადმი მიძღვნილ უძველეს სარიტუალო სიმღერაში? საერთოდ ბუნების აღორძინების საგაზაფხულო სახალხო რელიგიურ დღესასწაულებში გამოძინების პოლობს ხოლმე „ტრადიციული თუ სხვა ხასიათის მნიშვნელოვანი მოვლენები, ადამიანის ცხოვრებას თან რომ სდევს, მაგალითად ორ-ჩახევარი საუკუნის მანძილზე მომხდარი ომბი“ (რუხაძე, 1999:150). აი, ასე მოხვდა ეს ტექსტი არა მარტო იაგ ქალთის სარიტუალო სიმღერაში, არა მედ იმავე ხასიათის სიმღერაში მელია-ტელეფია. ორივე ამ სარიტუალო სიმღერას მრავალი საუკუნე აშორებთ ამ ეწ. რაჭის ომთან. ასე რომ, ზღაპარი დამთავრდა!

იაგ ქალთის სიმღერის მესამე ნაწილში გრძელდება მისტიკური სიუჟეტი. ის ძეობისადმია მიძღვნილი და ამ გარიანტით დატაღელდები სახალხო-რელიგიურ დღესასწაულ თანაბრილობაზე (ლითანდილ) ატარებენ რიტუალს. რიტუალი ტარდება, აგრეთვე, უძეოდ დარჩნილი მშობლების თხოვნით. განმეორებით შემოგთავაზებთ ამ ტექსტს:

დუდა იმთე შმჩედელი?

დუდა ცხეკოჟ შმჩედელი,

ცხეკოჟ იმდა შმჩედელი?

ჩაუაშ ქუედლაშ ლამარათე,

ჩაუაშ ქუედალ მავ ხეროლა?

სეხტმიშ ი ჭარბიშ ლალკურა,

ჟიქნ ბიკი ჩუქუპნ ჯიკი,

სემი ძიკუ საგა ხოძუკუა,

აჩამ ჩია უქრა,

მიაგულს დახგურენა.

დუდა სად წასულა?

დუდა ტყეში წასულა.

ტყეში რატომ წასულა?

ჩელტისათვის წენელის დასამზადებლად.

ჩელტი რისთვის სჭირდება?

ცოლის და ქმრის დასაწვენად.

ზევით მორი, ქვევით ძირი (ხისა),

შემდეგ სექსუალური ქმედებაა აღწერილი...

იაგ ქალთის რიტუალის ეს ნაწილი თავისი შინაარსითა და ხასიათით მისტიკურ-მაგიურია. როგორც ჩანს, ამ სიმღერაში მთავარი სიმბოლოა ჩავი (ჩელტი). როგორც წინა თავში განგმარტეთ, ჩავი (ჩელტი) სვანური მარხილის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია. ის არის თხილის წენელებისაგან დაწნული ჩელტი, გვერდები დაახლოებით 30-40 სანტიმეტრით ამოწეული და საგმაოდ მოსახერხებელი სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადასაზიდად. როგორც წინა თავიდან ვიცით, ცხავი ნაყოფიერების დათაების ეპითეტია, საცერი კი – მთავარი ატრიბუტი. წენელებისაგან დაწნული სამეურნეო დანიშნულების იარაღები: საცერი, გოდორი, კალათა, საწური და ბოლოს ჩავი (ჩელტი) ცხავის იდეის მატარებელი სიმბოლოებია და გამოიყენება ნაყოფიერებისადმი მიძღვნილ რიტუალებში. სწორედ ოდითგან დადგენილ ამ რელიგიურ-მისტიკურ წესებს იცავდა სვანი, როცა ფეხმიმე ქალს მშობიარობის წინა დღეებში აწვენდა ჩავში, რათა მშვიდობიანად აღსრულებულიყო ბავშვის ქვექნად მოვლინება. ტექსტში აღწერილია რიტუალი ცოლ-ქმრის ჩავში ჩაწვენისა, ეს გულისხმობს ნაყოფიერებას, რათა აღსრულდეს ლოცვა-თხოვნა დათაებისადმი და მან უქო ცოლ-ქმარს ვაჟი მოუვლინოს. ამ დათაებაში ქალთი იგულისხმება და ვაჟიანობისა და ძეობის მფარველ პეგანურთან სიახლოვეს ამჟღავნებს, რაზეც უფრო დაწერილებით უქმე საგალობელ პეგანურთან ვარიანტული განხილვისას ვისაუბრებთ.

## ჯგურადიშ

### წმინდა გიორგის საგალობელი

აღნიშნული საგალობელი ძალიან პოპულარულია სვანეთში და, ალბათ, ამიტომაც მრავალი ვარიანტი არსებობს. ამ ეტაპზე ჩვენ მხოლოდ სამს განვიხილავთ: ქვემოსვანურს – ჩოლურულს, ზემოსვანურს – ბალსქვემოურს და მესტიურს.

ჯგურადი ღვთაების სახელია, რომელიც ასოცირდება წმინდა გიორგის საერთო ქართულ რწმენასთან. ჩვენ უკვე განვიხილავთ ეს საკითხი, რომ წმინდა გიორგიმ დაიკავა ქართველთა წარმართული უზენაესი ღვთაების, მთვარის, ადგილი, წმინდა გიორგი კი ჯგურადის სახელით მოიხსენიება. აյ წმინდა გიორგის სახელი მოლოანად შეცვლილია. მიუხედავად ამისა, სვანი კაცი ლოცვებში, სარწმუნოებრივ ცხოვრებასა თუ ყოვაში მტკიცედ გულისხმობს წმინდა გიორგის. თუმცა იმავე ლოცვებსა და რელიგიურ დღესასწაულებში, რელიგიური ხასიათის სხვა საწესო რიტუალებში მაინც იგრძნობა წარმართული ელემენტების სიჭარბე. ჯგურადის პულტი განსაკუთრებით ძლიერია სვანეთში. ის ერთ-ერთი უზენაესი ძალაა და სვანი კაცი ყოველი ცხოვრებისეული საკითხის თუ პრობლემის გადაწყვეტის დროს მოუხმობს ჯგურადს, ლოცვით: ჯგურად, სი ლექეშდ – ჯგრაგ, შეგვეწიო-ჯგურად, ხოჩა მგზაურობ ნაყრ – ჯგურად, ბედნიერად გვამგზავრე. ის ძეობის, ვაჟიანობის, ვაჟკაცობის მფარველია. მოკლედ რომ ვთქვათ, ჯგრაგი, სვანი კაცის რწმენით, ადამიანის მთელი მიწიერი ცხოვრების მონაწილეა უზენაესი მფარველი და მშველელი ღვთაება.

უნებურად გამახსენდა ზფიად გამსახურდიას მეტად საინტერესო მოსაზრება მიქაელ მთავარანგელოზისა და წმინდა გიორგის შესახებ: „ოქენე მოგეხსენებათ, რომ მიქაელ მთავარანგელოზი არის არსება, რომელსაც პყავს პროტოტიპები ანტიკურ ეპოქაში, ქრისტიანობამდელ ეპოქაში. ეს არის არსება, რომელიც გვვალინება ნაყოფიერების ღვთაებათა მცველ, ამინდის ჭექა-ჭეხილის ღვთაებათა სახით... ქრისტიანობის ეპოქაში იცნობენ როგორც მიქაელს და წმინდა გიორგის. წმინდა გიორგი არის მიწიერი ასპექტი მიქაელისა. მიქაელი არის სულიერი სამყაროს ასპექტი (გამსახურდია, 1990:20). ჯგურადი (წმინდა გიორგი) სწორედ ამ ასპექტით მფარველობს ადამიანებს.

საინტერესოა აგრეთვე მიქაელ მთავარანგელოზის ქრისტიანობამდელი პრო-

ტოტიპის და თვით ქრისტიანული მიქაელის სულიერი ასპექტების შესახებ რა ცოდნა ჰქონდათ სვან სასულიერო იერარქებს, როცა აშენებდნენ და აფუძნებდნენ მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრებს სვანეთის მაღალმთიან ალპურ ზონაში, უმეტესად ტბებთან ახლოს. მათი ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ამინდის მართვა იყო. ჩემი აზრით, ეს მეტად საინტერესო თემაა და, თუ ვინმეს ეს თემა არ გამოიყენდევია, კარგი იქნება, თუ დაინტერესდება. იყო თუ არა მიქაელის წარმართული პროტოტიპი მთვარის დეთაება, ამაზე ზეიადს არაფერი უთქვამს, თუმცა ეს არ ცვლის პოზიციას, რომელიც ჩამოყალიბებულია ივანე ჯავახიშვილისა და სხვა მეცნიერთა საპროგრამო ნაშრომებში წმინდა გიორგის (ჯგურავის) ქრისტიანული და წარმართული ასპექტების შესახებ.

სვანეთში იმდენად ძლიერია ჯგურავის ქალტი, რომ მას ქელ ლუგენდებში სვანეთის მკვიდრადაც თვლიან, რომ იგი სწორედ სვანეთიდან წაიყვანა ღმერთმა და მოუკლინა ადამიანებს მუარველად. დაბა მესტიაში სეტის წმინდა გიორგის ჯგურავის ეკლესიასთან დაკავშირებულ გვარებს მოლჯგურაგებს ეძახიან. ნიჭიერმა მკვლევარმა დალი ფალიანმა მომაწოდა მაცხარიშლებისა და მოლჯგურაგების გვარების სია და წარმოიდგინეთ ჩემი გაოცება, როდესაც სიაში პირველი ჯგურავი ეწერა. ხუმრობა მეგონა, განმეორებით დავუკავშირდი და ვკითხე: მოლჯგურაგების სიაში თვით ჯგურავი როგორ მოხვდა-მეოქი. ჯგურავის გვარი არ გამიგია და როდიდან ცხოვრობენ ამ გვარის წარმომადგენლები მესტიაში?

— დასაბამიდან, — მომიჭრა პასუხი.

— ????

— გურგენ, არ იცოდი, რომ ჩვენი ღმერთი მესტიის მოლჯგურაგების სათავეში დგას და ეს ტრადიცია უხსოვარი დროიდან არის დამკიდრებული მოლჯგურაგებში?

არ ვიცოდი, ჩემი მეგობარო, მადლობა, რომ ამ ცოდნას მაზიარე დიახ, ეს არ არის უბრალო ამბავი ან ლეგენდა. ეს არის დიდი სულიერი ცოდნა ჯგურავის მიწიერი ასპექტის შესახებ. შეხსენებისათვის კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ეს გარები: ჯგურავი, ფალიანი, მჭედლიანი, რატიანი, ნიგურიანი, მირტვლიანი (გამქრალი გვარი).

ახლა კი გავეცნოთ თვით საგალობელ ჯგურავიშის სასიმღერო ტექსტებსა

და პანგს და სიტყვა-ბეგერებში წარმოვაჩინოთ ჯგუფების, როგორც შშველელის სახე და ფუნქცია. როგორც თავშივე ვთქვით, განვიხილავთ ჯგუფების (წმინდა გიორგის) სამ ვარიანტებს.

## ასურლულა

### ჯგურებიშის ჩოლურული ვარიანტი

ჯგურებიშის ეს ვარიანტი ჩავიწერე არა ქვემო სვანეთში, არამედ ზემო სვანეთის ერთ-ერთი ულამაზესი თემის, ბეჭოს, სოფელ მაზერში. უშბის ძირში გაშლილი სოფელი განსაკუთრებული მდებარეობითა და სილამაზით გამოირჩევა. მაზერი ჩემი დიდი სიყვარულის სოფელია. ბებიამ და ბებიდამ ბაგშვიბის დიდი პერიოდი ამ სოფელში გამატარებინებს და ეს უბედინიერესი წლები დაკავშირებულია ბებიას ძმის, ცნობილი ალპინისტისა და მონადირის, ალმაცირ კვიციანის მრავალრიცხოვან ოჯახთან. აგრეთვე, ბებიდას, ალპინისტების დედად წოდებულ ნინო კვიციანის და გახვა კვიციანის ოჯახთან. ამ უსაყვარლესმა ადამიანებმა ჩემს ცხოვრებაზე უდიდესი გავლენა მოახდინეს... აი, ამ სოფლიდან მომივიდა ინფორმაცია: ინფორმატორი მატყობინებდა, რომ მაზერელ უხუცესებს, ლუკა და სეფვ ვეზდენებს, აქვთ საინტერესო მასალები და გელოდებიანო. რა თქმა უნდა, სასწავლოდ გავფრინდი ჩემს მაზერში. პირველ რიგში, მოვინახულე ჩემი უსაყვარლესი ადამიანები – ალმაცირის შვილი ბაგუ (ბაგრატ) კვიციანი და უკვე ახალი თაობა, მისი ულამაზესი ოჯახი. ბაგუ ჩემთან ერთად წამოვიდა. მოვქებნეთ და შევხედით სოფლის კოლორიტებს – სეფვ და ლუკა ვეზდენებს. საუბარი, დიდი მოკითხვების შემდეგ, საქმიანად წარიმართა: მიმოვიხილეთ სოფელის რელიგიური დღესასწაულები, მათ შორის გიორგობა (ლიგერგი) ტარდებოდა მასშტაბურად. წესისაებრ დადგენილი ლოცვებისა და საწესო რიტუალების შემდეგ, იმართებოდა დიდი სახალხო ზეიმი – სპორტული შეჯიბრება სვანურ ჭიდაობაში, ქვის სროლა, ხტომა... შემდეგ კი მდეროდნენ სვანურ რელიგიურ და სხვა სახის სიმღერებს, ვაჟები და ქალიშვილები ჩააბამდნენ ფერხულს. შეჯიბრება ცეკვაშიც იმართებოდა და დღეს ეს ძველი სიმღერები დაკიწყებულია. კომუნისტები გვიკრძალავდნენ რელიგიური დღესასწაულების ჩატარებას და

ამან გამოიწვია მათი თანდათანობით გაქრობა. დიახ, ამის მომსწრე მეც ვიყავი და განსაკუთრებით მაწუხებდა ეს ამბავი. ეს ჩემი გულისტკივილი მათთანაც გამოვხატე. მე საგაზეთო სტატიებსა და მოხსენებებში ყოველთვის ვაფიქსირებდი ჩემს პოზიციას და ყოველთვის მიმაჩნდა, რომ სახალხო დღესასწაულების აკრძალვა ეს მატერიალური კულტურული ძეგლების – ეკლესიების – დანგრევას ნიშნავდა. სოფელ კეცერში შეექმენი ენთუზიასტთა ჯგუფი და აღვადგინეთ რელიგიური სახალხო დღესასწაული ლალხორაშ მუშლადელ. ლალხორ ყრილობის მსგავს შეკრებას ეწოდება. ასეთი შეკრება შეიძლება ჩაატაროს თემმა და მთლიანად სვანეთმა. მუშლადელ სვანურად კვირაა. სახალხო დღესასწაული მართლაც გრანდიოზული გამოგვივიდა, ვინაიდან მონაწილეობდა ბალსკვემო სვანეთის თთქმის ყველა სოფლის ყველა ასაკის ადამიანი. წესისაებრ ჩაბარდა ლოცვის რიტუალები, შემდეგ კი სახალხო დღესასწაულის ტრადიციული თანმხელები სპორტული შეჯიბრება (ქვის აწევა, ქვის სროლა, ხეომა, ჭიდაობა). შესრულდა უამრავი სვანური სიმღერა. მაგრამ ეს აქცია სრულებითაც არ იყო საქმარისი იმისთვის, რომ სახალხო რელიგიური დღესასწაულები მასობრივად აღდგენილიყო, თუმცა კეცერი დღემდე ყოველწლიურად ატარებს ამ დღეობას. გარკვეული მიზეზების გამო, ის არ არის მასშტაბური, მაგრამ საწესო-სარიტუალო დონისძიებები საინტერესოდ ტარდება. თემიდან ეს პატარა გადახვევა ბუბა ლუპას, ბუბა სეფქს და ბუბა ბაგუსთან 34 წლის წინანდელი აუდიოჩანაწერის ცრემლიანმა მოსმენამ გადამაწყვეტინა. მენატრებით, ჩემო ბიძიებო. ტქბილი სასუფეველი თქვენს სულებს.

ლუპა და სეფქ ვეზედენებისგან ჩავიწერე თრი საგალობელი – ასურლულა და ცხატ ქრისტეგში. ასურდელა არის წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი საგალობელი ჯგუფი – ჩოლურული ვარიანტი. ახლა ამ თემის მიხედვით განვიხილავ ასურლულას, ხოლო ცხატ ქრისტეგშს ამ ტიპის საგალობლების ანალიზისას შემოგთავაზებთ.

## ასურდულა

ო ჯგური ასურდულიაო ოოო,  
ჯადულიაა შეეიძევე ოოო იპაოოლდა,  
იი, ოო, ოოო ო  
მაცხუარიო ჩოლრიიში ოოდა,  
შეე ოო იიპაა ოო და,  
იი ოო ოოო იი  
ჯგურააგიო ჩოლრიიში ოოდა,  
შეე ოო იპა ოო და იი  
ოო ოო ო ლოობუშდ!

ამ სიმღერაში ყველაზე საინტერესოა მისი სახელწოდება ასურდულა. რა თქმა უნდა, ძნელია ამ აშკარად საკრალური სიტყვის გაშიფრა, მაგრამ ჩემი მრავალწლიანი დაკვირვებით, მისი ძირია, ასევე სარიტუალო ტერმინი ლილულაი – ადგეთა, ლულულიანე – ადგეთილი. წინა თავში ამ ტერმინების განმარტებისას ვთქვით, რომ ოჯახი, პიროვნება ჯგური გის წინაშე ვალდებულებას იღებს შემორილს სავალდებულოდ შესასრულებელი ლოცვები და რიტუალი, რომელსაც იგი ასრულებს დიდი ხნის განმავლობაში და მრავალი თაობისთვის ტრადიციად იქცევა, თუმცა ეს რიტუალები მხოლოდ ოჯახში, ხშირად საიდუმლოდ ტარდება.

ხშირად, რაღაც მიზეზების გამო, ოჯახი ხდება ლულვლიანე (ადგეთილი) და ის გარკვეული ხნით (შეიძლება რამდენიმე წელი) წმინდა გიორგის ეკლესიაში ზვარაქით (უფრო ხშირად მამალით) ატარებს ლოცვა-რიტუალებს. მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება, თუმცა, ვფიქრობ, საჭმარისია, რათა უკეთ ჩავწერთ თვით ამ საკრალური სიტყვის არსეს.

ადგვეთასთან დაკავშირებული ყველა რელიგიური ქმედება ჯგური ჯგური ქმინდა გიორგის ეძღვნება. ჯგური ჩარეული და ჯგური ეხმარება აღმკვეთს შეასრულოს მის წინაშე აღებული ეს ვალდებულება. ვფიქრობ, ასურდულა ერთ-ერთი ეპითებია. ჯგური ადგეთა იგივე ჯგური ჯგურის დაფიცებაა, არა მხოლოდ დვთაების წინაშე ფიცის აღვლენა, არამედ უშეალოდ ჯგური ჯგურის დაფიცებაა, რომელიც ასე გამოითქმის: ჯგური ჯგური – ჯგური ჯგური უშეალოდ ჯგური უშეალოდ ასანისთვის წარმოუდგენელია. ყოველივე ზემოთ თქმულის მიხედ-

ვთთ, ჩვენი მოკრძალებული მოსაზრება წარმოგიდგინეთ. ასურდულა ეპითეტია ჯგრაშის და, როგორც საკრალური აზრის მატარებელი, ჯგრაშის ერთ-ერთ ფუნქციას აღდგეთას გულისხმობს.

ჯგრაშ, ასურდუიაო ოო – პირველი სადიდებელი შეძახილია ჯგრაშისადმი და ამ სადიდებლით იწყება სიმღერა.

ჯაღუია შეეოო შეეე ოო იჰაა ოოდა.

ჯაღუია შეიძლება ორნაირად აიხსნას: პირველი – ჯგრაშგლო – ჯგრაშს გვიცავ; მეორენაირად – ჯა-ღუია – ჯა – ჯგრაშ ღუია – ჯგრაშის ეპითეტი (აღმკვეთი).

შეეოო შეეოო იჰაა ოოდა – ამ სტრიქონში იჰაა სადიდებელი ბგერაც არის და მაკავშირებელიც. მისი ჩამოშორებით რჩება სიტყვა შეეოოდა – შედა. შედა სვანურად შეწევნაა, თუმცა საგალობლის საკრალურ სტრუქტურაში შედა უკვე იგულისხმება, როგორც დაგუშედა – შეგვეწიება. საბოლოოდ მივიღეთ სტრიქონის შინაარსი:

ჯაღუიააა, შეეოო, შეეეოო იჰა ოოდა!

ჯგრაგ, საფიცარო (აღმკვეთო), შეგვეწიე!

შემდეგი სტრიქონი:

იი ოო ოოო იი

ეს ბგერათწყობა მაკავშირებელ-სადიდებელი შინაარსისაა და შემდგომ სტრიქონზე გადასვლას გულისხმობს.

შემდეგი სტრიქონი:

მაცხუარიო წოლრიშიშ იოდა

შეე ოო იჰაა ოოდა!

მაცხოვარო წოლურისა შეგინწიე!

და ბოლოს:

ჯგრაშიო წოლრიში ოოდა

იიოო ოოო ი ლოგუშად

ჯგრაშ (წმინდა გიორგივ), შეგვეწიე!

ისევ მეორდება გადამსვლელი სადიდებელი და გადავდივართ ბოლო სტრიქონზე:

ჯგურაგიო, წოლურისოო შეგვეწიე!

ასეთია ლუკა და სეფე ვეზდენებთან ჩაწერილი საგალობელი ასურდულა

(წოლურული ჯგურებიშ) – წოლურული წმინდა გიორგისადმი მიძღვნილი სავე-დრებელი პიმინ.

განვიხილავთ ჯგურებიშის შემდეგ ვარიანტს. ეს საგალობელი წევულებრივ ჯგურებიშის სახელით არის ზემოსვანური ვარიანტი, ბალსქვემოური – ცნო-ბილია და ძალიან პოპულარული მუსიკალურ სამყაროში. მას ანსამბლ შგარი-დას რეპერტუარში მუდმივი და უცვლელი ადგილი უჭირავს. ის ყველა სვანური ლხინის უცვლელი პიმინია. სვანური ლხინის სუფრაზე პირველი სამი სადღეგრ-ძელო ემდგნება დიდ ღმერთს, გწმ თარგლეზერს (მიქაელ მთავარანგელოზს) და ჯგურებს.

## ჯგურებიშ

### ბალსქვემოური ვარიანტი

ოო ჯგურებ იე ჰაა

ლააიგურიშა შეეეიდა!

იიი ჰოო ჰოო ჰოო იი ჰოო

ჰოო ჰა ჰოო იიშა ოოო ი დაა

იი ჰოო ი ჰოო იი

ლააიგურიშა შეეეიდაააა,

შეეეიდააა!

იიი ჰოოი, ჰოო ჰოო იი ჰოო

ჰოო ჰა ჰოო იიშა ოოო დაა

იი ჰოო იიოოი ოოა

ჯგურებ, ხი ლოგუეშდი ოოა!

ამ საგალობელში, როგორც სხვა ვარიანტებში, სასიმღერო სადიდებელი ბგერ-ების ფონზე გამოკვეთილია ჯგურებისადმი ვეღრება. ლაი-გურა-შეიდა – ლა-გუშედა – შეგვეწიე. სვანურ საგალობლებს დავაჯგუფებთ იმის მიხედვით, თუ რა ფუნქციას ანიჭებს სვანი ამა თუ იმ ღვთაებას. ქრისტიანულ სალოცავებში უპვე დიდი ღმერთის, ქრისტეს, წმინდა გიორგის და მთავარანგელოზისადმი მიძღვნილი პიმწები და საგალობლები თავისი სტრუქტურით, ბგერათა წყობით

და შინაარსით გამოხატავს ოფიც ამ უზენაეს იქრარქთა ფუნქციას და შერჩეული სიტყვა-ბეგერებიც შესაბამისი შინაარსითაა დატვირთული. ამ შემთხვევაში ჯგრა-გისადმი მიძღვნილ საგალობელში სწორედ ეს აზრია გატარებული, სა-დიდებელ სავედრებელ ბეგერებში სტუქტურულად ჩასმულია ვედრება – ლაი-გუია-შეიდა – ლაგუშედა (შეგვეწიე) და საგალობელი მთავრდება ვედრებით ჯგრა-გ სი ლოგუშედ – ჯგრაგ (წმინდაო გიორგი), შენ შეგვეწიე. ლატალური ვარიანტი მთავრდება უფრო გრძელი სავედრებლით: დიდაბ უჯა-დ, ჯგრა-გ, სი ლოგუშედ – დიდება შენდა, ჯგრა-გ (წმინდაო გიორგი), შენ შეგვეწიე.

აქვე ერთხელ კიდევ ვიტყვით და ხაზს გავუსვამთ იმას, რომ ჯგრა-გის საგა-ლობლების ყველა ვარიანტში ახსნილი და ნაჩვენებია წმინდა გიორგის კულტი, „სადაც ის გარევეული გაგებით პეროსსაც ცვლის, მფარველ ანგელოზსაც და ქრისტე დმერთსაც. ესაა ერთ-ერთი უზენაესი ძალა, სიკეთის მფარველი, ბორო-ბების დამთრგუნველი, გაჭირვებულის შემწე და ქომაგი“ (გელოვანი, 1983:567). ყოველივე ეს კი ჩატეულია საგალობლის სავედრებელ სიტყვაში ლაგუშედა, ლაგუშა-დ – შეგვეწიე.

ახლა კი განვიხილოთ ჯგრა-გის მესტიური ვარიანტი. ეს საგალობელიც, სხვა ვარიანტების მსგავსად, შექმნილია ერთ პრინციპზე: ვედრება წმინდა გიორ-გისადმი – ლაგუშედა – შეგვეწიე. თუმცა საგალობლის ინტონაცია განსხვავე-ბულია და საკრალური ბეგერები დამატებულია (რაილილი, ელულურია), რაც მის არქაულობას უსვამს ხაზს. მაშ, გავეცნოთ ტექსტს:

## ჯგრა-გის მესტიური ვარიანტი

ეს საგალობელი ჩავიწერე 1988 წელს დაბა მესტიაში ეთნოფორ მაქსიმე გეარლიანისგან. მაქსიმეს შესახებ უკვე ვისაუბრეთ, მხოლოდ ერთს დავამატებ: მისგან ჩაწერილი სამი მუსიკალური ნიმუში – კურია, ჯგრა-გიშ და გაბრიელ მახარებელი დავიწებული იყო და მაქსიმე გახლდათ უკანასქნელი მოპიკანი, რომელსაც ჯერ კიდევ ახსოვდა ისინი. მან მთხოვა, არ დამეკარგა და გამეცოცხ-ლებინა ეს საგალობლები. მე პირობა მივეცი, რომ შევასრულებდი ამ თხოვნას. გუიქრობ, ანსამბლ შეარიდასთან ერთად, ეს პირობა ყველა ჩვენ მიერ აღდგე-

ნიღი სიმღერის სახით შევასრულეთ.

ოი დიდაბ ჯგურწებ სი ოოო

ლაიგურია შეეიდააა

დიაოო დიდააბიიი

ოი, ჯგურწებ, სი რეეგსიაი

ოი და ოო

რაი ლიღი თიდია იი

ოო ეი (პეი) ოო პეეა

ელეშუ ღურია ჰაააა

ოოი ლაიგურია შეეიდააა

დიაი ოო დიდააბიიი

ოი ჯგურწებ, სი რეეგსიაი

ოოიდა ოო რაიღიღი

ოიდია ი ოო, ჯგურწებ, სი ლოგურეშდი თოო!

ამ საგალობელში გვხვდება საქრალური ბგერები: რაიღი და ელეშუღურია.

ელეშუღურიას შესახტ უკვე ვისაუბრეთ, რაც შეეხება რაიღის, ის დიდი ღმერთისადმი მიძღვნილ თითქმის ყველა სიმღერაში რომ ისმის, ჯერ კიდევ შეიძლება აიხსნას და უცდებით, ღვთის სადიდებელი ჰიმნების განხილვისას გამოვავეთოთ მისი ნაშენელები.

## გა

ჩაწერილია მესტიის მუნიციპალიტეტის ეცერის თემის სოფელ ვარშში. ვარში ჩემი, გურჩიანების, სოფელია. ამ სოფელში დავიბადე და გავიზარდე. მე მქონდა ბეჭინიერება მოესწრებოდი იმ საოცარ დროს, როცა სოფელში უხუცესნი, ანუ მახშები, მახშობდნენ. სიცოცხლის სიმბოლითი (ანგი) დამშვენებული ფაუებით (ჯოხებით) მტკიცედ რომ დააბიჯებდნენ, მასხოვე მურზაბექ და ხოსია გურჩიანები, გენიალური მომღერლები, რომლებმაც შემოგვინახეს მთვარის ღვთაების უძველესი სადიდებელი ჰიმნი ქალთიდ და კიდევ უამრავი სიმღერა. ეს გიგანტი უხუცესნი იმდენად ბევრნი იყვნენ, რომ, როცა ლხინის სუფრა იშლებოდა, სანამ ისინი არ

დასხედებოდნენ, მანამდე გაუკაცები და ახალგაზრდობა ფეხზე იდგნენ. მათ მოჟყვა მამაქემის, აივენგო გურჩიანის, მომდევრალათა უძლიერესი თაობა. მასსოვს, ლამ-პრობაზე (ლიჩედურალ) ეს ორივე თაობა როცა შვარიდას ფერსულს ჩააბამდა და ცერხულით სოფლის ცენტრს გარს უვლიდა, მიწა ზანზარებდა. წინ მახვში მურ-ზაბექი, ახოვანი უბრძნესი პირვენება მიუძღვდათ. მომდევნო თაობამ გააგრძელა ეს დიდი ტრადიცია და ჩამოყალიბდა მომდევრალთა ძლიერი ჯგუფი, რომელიც ეცერის მომდევრალთა დიდი ანსამბლის ბურჯი იყო. ეს მოკლე ისტორია ჩემი ჯი-შისა და ჯილაგისა, რომლის სისხლიც მიჩქვთ ძარღვებში. მე დღესაც კი, 72 წელს მიტანებული, მათი ცხოვრებით ვცხოვრობ. მათთან ერთად სვან უხუცესთა თაობას, იმ წინაპრებს, რომლებმაც ეს უდიდესი საგანძურო შეგვიქმნა და შეგვინარჩუნა, მიღმიერ სამყაროში ვესიყვარულები და საქმიან ურთიერთობებშიც ვარ მათთან ჩაბმული. ურთელესი საგალობლების დაბირინთებში გზის გაკვალვას სწორედ მათთან სულიერი კავშირით ვცდილო – შევიდე მათ აზროვნებაში და მათი თვალით შევხედო და გავხსნა მათ მიერვე შექმნილი დახლართული გორდიას კვანძი. რამდენად გამომდის ეს, ამას, ალბათ, მკითხველი შეაფასებს.

ახლა კი განვაგრძოთ მოგზაურობა კოსმიური პანგების სამყაროში.

საოცარია შინაგანი ხმა. ვინ ჩასწვდება მის ნამდვილ არსე. თითქოს სულ სხვა ადამიანი ჩასახლებულა შენში და გამცნობს რადაცას, გარწმუნებს, გიხე-ნის, გასწავლის, ჭკუას გარიგებს და რაღაც იდუმალს არა სიტყვებით, არამედ შინაგანი სულიერი ხმებით გაგრძნობინებს. ეს შინაგანი ხმა უფრო დამაჯერებელი ხდება მაშინ, როცა სულიერად მზად ხარ, გაქვს ძლიერი რწმენა. კოსმიური პანგების სამყარო კი ამ შინაგანი ხმის ნაყოფია. ცოტა ხმამაღალი ნათქვამი ხომ არ არის? ეს ქვეიც ჩემში დაიბადა. თუმცა ფაქტია, რომ სგანურ საგალობლებში, დათის სადიდებელ პიმბებსა და საწესო-სარიტუალო სხვა სიმდერებში არის რაღაც იდუმალი, რაღაც ისეთი, რაც ახსნას და დიდ კვლევას საჭიროებს. ჩვენ კცდილობთ, ამ მხრივ გარემეული შედგები დავდოთ. როგორც გხედავთ, თქმა დიდია. ახლაც ეს მცირე გადახვევა ჩემი უსაყვარლესი ადამიანების, ჩემი საამაყო ჯიშ-ჯილაგის – გურჩიანების – დიდი წინაპრების გახსენებამ, მათი ლანგების გაცოცხლებამ და მონატრებამ გამოიწვია. თუმცა ამით მათ არ გშორდები. ვაგრძელებთ თხრობას უკვე იმ პერიოდის მოვლენებისა, როცა მურზაბექ გურჩიანის თაობას დირსეული გამგრძელებლები გამოუჩნდ-

ნენ: სოფელში იმ დროს უძლიერესი მომღერლების დიდი ჯგუფი არსებობდა. საშა გურჩიანი სწორედ ამ თაობას ეკუთვნოდა. მამაჩემი, აივენგო გურჩიანი, როგორც დაუმარცხებელი მოცეკვავე, ერთ ხანს ეცერის სიმღერის და ცეკვის ანსამბლის ხელმძღვანელი გახდდათ. ამ ანსამბლის ძირითად ბირთვს სწორედ გურჩიანები შეადგენდნენ. მე უნდა ჩამოვთვალო ისინი, ვინაიდან მათ ხელში, მათი კაცური ცხოვრების მაგალითზე გავიზარდე: სეფქ, მუშანი, ჩიჩო, ასტერორ, არდეფან, აივენგო, ვაჟა, საშა, ქორეი, მახამეთ, ბიძინა, მირონ გურჩიანები. მესტიის კომპავშირის რაიკომში მუშაობის პერიოდში, 1976-1987 წლებში, გაჩადებული იყო ენთუზიაზმზე აგებული კულტურულ-სპორტული კომპლექსების უსასყიდლო მასშტაბური მშენებლობები. ამ პატრიოტული მოძრაობის ფუქმდებელი იყო დიდი ენთუზიასტი, თავისი კუთხის უზომოდ მოყვარული ბორის კახიანი. მე, როგორც ბორის კახიანის უახლოესი თანამებრძოლი, მთელი არსებით ვიყავ ჩართული ამ პროცესებში და, ბუნებრივია, ამ მოძრაობის სპეციფიკის გამო (უს-ასეიდლოდ შესრულება), გვიწევდა ფართო მასებთან ურთიერთობა. მუდმივად ვიყავით მათი ჭირისა და ლხინის გამზიარებლები. ჩემი მუდმივი ინტერესი იყო, გავცნობოდი და სიღრმისეულად ჩავწვდომოდი კულტურული ცხოვრებისა და ტრადიციების ძირებს. თანდათან გავერკვიყ და ჩამომიყალიბდა აზრი, რომ არსებობს მუსიკალური ფოლკლორის მიეკიწყობული ნიმუშები და საჭიროა მათი მოძიება და გადარჩენა. მოვიპოვე ინფორმაცია, რომ არსებობს უძველესი საგალობელი გა, რომელიც ეცერშიც სრულდებოდა და მოულოდნელი სიხარული: ერთხელ ამ თემაზე საუბრისას მამაჩემა მითხვა, რომ გა ჩვენ აღვადგინეთ და ანსამბლშიც ვიმღერეთო. დავადგინე მისი თანამონაწილებიც, ჩემი საყვარელი ბიძები – მუშანი და ჩიჩო გურჩიანები და დაგიწყე მოქმედება. თავიდან უარით გამომისტუმრეს – მრავალი წელია გასული და არ გვახსოვს. ამ თხოვნა-ხელწა-მუდარაში თითქმის ორი წელი გავიდა. ჩემმა სიჯიუტემ მაინც თავისი გაიტანა და, აი, დადგა ნანატრი დღეც – ისინი დამთანხმდნენ, რომ ერთ დღეს მთლიანად მომიძღვნიდნენ მე და იმ იდუმალ გას.

ეს იყო ჩემი უბედიერესი დღე, დღე, რომელმაც დასაბამი მისცა ამ მიმართულებით ჩემს მოღვაწეობას. 1983 წელი, სამწუხაროდ, დღე და რიცხვი არ მახსოვს, მაგრამ მახსოვს, რომ საოცრად კარგი ამინდი იყო, ასევე საოცარი განწყობა მქონდა მეც. ჩემი საყვარელი ადამიანები იმ დღეს განსაკუთრებით

მიუვარდა, დღეს კველანი მარადისობის, დავთიური სამყაროს მკვდრნი არიან. ოო! როგორგ მენატრებით. ღმერთო ჩემო, რა კარგი იყავი მამა, ამ ქვეყნად ჩემთვის კველაზე საიმედო. ალალმართალო ნამდვილო ვაჟკაცო, ძალიან მენატრები!

დათქმული დღისათვის მამაჩემისაგან ფარულად დედაჩემს სუფრა მოგამზადებინე. ორნახადი სვანური არაყიც გაჩნდა და ამ დროს მამაჩემიანად სამივე სტუმარიც მობრძანდა. ოთხივე გაოცებული გაჩერდა. თურმე იფიქრეს: რა გა, რის გა, ამ კაცს თურმე ქეიფი სდომებია. სხვა რა უნდა ეფიქრათ, საგალობელზე მუშაობა და გაშლილი სუფრა ერთმანეთთან ვერ თავსდებოდა. მე მათ გამოვუცხადე:

ჩემო კარგებო, სვანური სუფრა, ფაქტობრივად იყო რელიგიური რიტუალი, კველა სადღეგრძელო კი – ლოცვა-ვედრება. აქ თქვენ საქეიფოდ კი არ მოგიწეოთ, ამას ყოველთვის მოვახერხებთ. დღეს ამ სუფრას მიუსხედით ერთი განწყობით, გაიხსენეთ ჩვენი წინაპრები, მათი ტრადიციები, გონების თვალით გადახედვით კველაფერს, შემდეგ გადართეთ გონება გახა და მის გახსენებაზე.

ამ პირობამ ცოტა დააფიქრათ და წამესუმრნენ: კარგი დღე დაგვდგომია, სამი ლიტრა ორნახადი მხლოდ ამ სიმღერის გახსენებაში დავლიოთ. მაგრამ მე მაინც ჩემი გავიტანე.

მიუსხდნენ მაგიდას, მე კი მაგნიტოფონი ჩაურთე. არც ისე დიდი დრო დასჭირდათ, რომ მთლიანად გაზე გადართულიყვნენ. კამათობდნენ, იხსენებდნენ: ასე რომ იყო, არა ასე იყო, აქ ეს ბერები, აქ კი ასე უნდა ითქვას... მოკლედ, დიდი კამათისა და აზრთა შეჯერების შემდეგ, თქვეს საგალობლის ერთი გარიანტი. მოვასმენინე ჩანაწერი, კიდევ რაღაც გაახსენდათ, იკამათეს და საბოლოოდ შეჯერდნენ. ჩაგრწერეთ და მოსალამოვდა კიდეც. კარგად შეზარხოშებულმა და საკმაოდ არაქათგამოცლილების სუფრაც დაამთავრეს და გამომიცხადეს: ამას კიდევ რაღაც ნაწილი აკლია, მაგრამ არ გვახსოვსო, სადამის მსგავსიაო. შემდეგ, მათი კამათ-საუბრების ჩანაწერის მრავალგზის მოსმენისას, მოულოდნელად აღმოვაჩინე, რომ სადამის მსგავსი ის მონაკვეთი კამათისას თვითონვე უთქამოთ. ჩაგუმატე და საგალობელმა მიიღო სრულყოფილი სახე. ეს ნაწილია საგალობელ სადამის ერთი მონაკვეთის მსგავსი – რაჟო, რაჟო დომუხიაა, გაში საუხია. ახლა კი დავემშვიდობოთ ჩემს საყვარელ ბიძებს და გთავაზობთ საგალობელ გას ტექსტს:

## გა

ო გაა იპაოდი ოთ  
რიპოო გაუსიია ო  
უო ხუააი ოოო  
შიპა იეჰე ჰეეე  
ჰეეე რიპოო რიპოო  
საუსიია ოო,  
უო გა, იპაა იეჰე ჰეეი ოო  
ოო იე ჰააა

გააა იპააი ოოდა  
ფსუპაია, დიპაია  
გაუსიპაა იეპა  
ოპოო ჰაა  
ოო იეპააა  
გაა იპაააი ოოდა

ოოი ოპა იეჰე ოპოო ჰა.

ეს ტექსტი მთლიანად საკრალური ბგერებითაა დახუნდლული.

პირველი სტრიქნი შეძახილია სადიდებელი ბგერებით. მეორე – რიპოო გაუსია (საუსიაა) ო – რიპო სვანურად განთიადს, ალიონს ჰქვია, დამის და დღის გასაყარზე შემოდის ნათელი. დიახ! აი, გასადები: რიპო ოოი საუსია (გაუსია), ო – ღვთიურ ნათელში შენ. ო, ჲო ნიშნავს თხოვნას, ვედრებას. მე არ მინდა ვინ-მეს კომპეტენციაში ეჭვი შევიტანო, მაგრამ მიმაჩნია, რომ არასწორია სვანური სიმღერების შემსრულებლებში გავრცელებული, აქედან კი მუსიკალურ საზოგა-დოებაში შექმნილი აზრი, თითქოს რიპო სვანურ სიმღერებში ნიშნავს განთიადს, ალიონს, რომ რიპო განთიადის საგალობელია. სვანი კაცი დილას, საღამოს და დღის რომელიმე მონაკვეთს საგალობლებს არ უძღვნის. ჩემი აზრით, ის ღვთის სადიდებელ პიმებში ჩასმულია, როგორც საკრალური აზრის და შინაარსის მატარებელი სიტყვა-ბგერა და ნიშნავს ღვთიურ ნათელს.

უო ხუააი ოოო  
შიპა იეჰე ჰეე  
ჰეე რიპოო რიპოო

საუსიია ოო.

უო მაკაგშირებელია, ხუაიი – სიუხვეა. შიპა იეჰე ჰეე – შიპა უკვე განხილული შენატის აზრის მატარებელია და ეს მოსაზრება განმტკიცებულია სადიდებელ-სავედრებელი ბგერებით ჰა, ჰე, ჰე.

ჰეე რიპოო რიპოო საუსიია –

ჰეე სავედრებელ-სადიდებელი. რიპოო – ღვთიური ნათელი. საუსიია ან გაუსიია, ალბათ, უფრო გაუსიია, რომელსაც მიემართება ღვთიური ნათელი. თუმცა საუსიიაც სერიოზული საკრალური ბგერაა და ასეც წარმოგვიდგება – სა ია – სი ჰაია. ამის გარკვევა საგალობელ სადამსა და საიოდეშში ვცადოთ. აია გაშიც და აღნიშნულ საგალობლებში ფიგურირებს.

უოო გააა იჰაა იეჰა ჰეე ი ოო!

უო მაკაგშირებელი ბგერაა, გრძელდება გას შეძახილი სავედრებელი ბგერებით და სტრიქონი მთავრდება სადიდებლით – ჰეე ი ოო. ჩავთვალოთ, რომ ეს ბგერათა წყობა იგივეა, რაც დიდება შენდა.

საგალობლის მეორე ნაწილი იწყება სადიდებლით ოი ი ჰა და მეორე ნაწილე გადასვლას გვაუწყებს.

გააა იჰააა ი ოოდა

ფსტაია, დიპაააია

გაუსიია იე ჰა,

ოოპოი ჰა

ოო ი ჰა

გაააა იჰაააი ოოდა

ჰოოი თიპა იეჰე თპოი ჰა.

საგალობლის მეორე ნაწილის გაშიფვრა არ გაძნელდება: ჰა – სადიდებელი შეძახილი, ჰე – სადიდებელი, ჰო, ჰორი – თხოვნა-ვედრება. სუპაია საკრალური სიტყვაა ნაყოფიერებისადმი მიძღვნილ საგალობელში, შესაძლებელია, ამ შინაარსის გამომხატველი იყოს თუნდაც ფარას მიმანიშნებელი თავსართი, აია გიცით, რომ ნაყოფიერების ღვთაების უშუალო სახელია.

დიპააია – გა დედამიწის ღვთაებად მიაჩნიათ მეცნიერებს და საგალობელიც პირდაპირ მიუთითებს ამაზე. დედამიწის ღვთაება კი მდედრია, დედა ღვთაებაა. დიპააიაც, ალბათ, დია-ჰაიათიც წარმოგვიდგება, ანუ დედა, დედამიწის ღვთაება

ჸაია დერიტათო.

გაუსია იქპა ოპოო ჰა

ოო ო გვა

გააა იპააი ოოოდა

ოოი ოიპაა იპეე

ოოო ჰა!

ეს ბოლო სტროფია, როგორც გხედავთ, გას სავედრებელ-სადიდებელი ბგერ-გბია და მთაგრდება ოპოო ჰა.

გა უძველესი სარიტუალო სიმღერაა. მკვლევრებს მიაჩნიათ, რომ ის ქრისტიანობამდელ საქართველოში ნაყოფიერების დედა ღვთაება გახლდათ. გა დედამიწის, მისი ნაყოფიერების და სიცოცხლის სადიდებელი ჰიმნია. ქრისტიანობამ კი შეისისხლხორცა და სვანეთში აღდგომისათვის მზადების და აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის აუცილებელ სარიტუალო გალობად აქცია. თუმცა საგალობელ გას სასიმღერო ტექსტი და საკრალური ბგერები, მათი წყობა და შინაარსი მაინც გვაფიქრებინებს, რომ ის წარმართი ქურუმების მიერ შექმნილი ფორმულებითაა აკინძული.

გას წარმართულ წარმოშობაზე ცნობილი მეცნიერები საინტერესო მასალებს გვთავაზობენ. ი. ჯავახიშვილი წერს: „მოქცევაი ქართლისაის მატიანის ცნობით, როგორც ქართველები არიან მეფის ძის ახოის მეთაურობით თავიანთ პირვანდელ სამშობლოდან ამიერკავკასიაში გადმოსახლდნენ, მათ თანა პუშანდეს კერძინ გაცი და გაიმ“. იქვე მეცნიერი, მეფე მირიანის პირით, გაიმს გად მოიხსენიებს. წმინდა ნინოს შატბერდისეული ცხოვრების ავტორსაც საქმის გთარება ასევე პქონია წარმოდგენილი. მისი სიტყვით მირიან მეფესაც წმინდა ნინოსთვის ეს ორი ღვთაება სწორედ ამნაირადგვ დაუხსასიათებია და უთქვამს: „ძუელნი ღმერთი გაცი და გა“ (ჯავახიშვილი, 1951:98).

ასევე მეცნიერი ხაზს უსვამს წმინდა ნინოს ნათქვამს: არმაზის კერპის მარჯვნივ „დგა კერპი ოქროისაი და სახელი მისი „გაცი“ და მარცხლ მისა კერპი გეცხლისაი და სახელი გა რომელნი იგი ღმერთად პქონდეს მამათა თქუენდა არიან ქართლით“ (ჯავახიშვილი, 1951:99).

ახლა კი აკაპი გელოვანს მოვუსმინოთ: „გა წარმართული ქართული ღვთაება.. ბერძნულ გეას შესატყვისი, დედამიწის განსახიერება (სვანურად გაიმ,

გომ – დედამიწა). უძველესი სვანური საკულტო სიმღერაა. სვანეთში, ეცერში, სრულდება მიწის ნაყოფიერების სადიდებლად, სრულდებოდა აღდგომის დღეს. იმავე პიმის ასრულებდნენ თჯახში სარმლოს მიყვანის დროს. პიმის აქაც ქალის დაშვილიანებას უკავშირდებოდა და, ამდენად, მისი შესრულებაც საგალდებულოდ მიაჩნდათ“ (გელოვანი, 1983:108). გელოვანი გას შეფასებისას იმოწმებს ძალების აღი დავითიანს.

ეგნატე გაბლიანი კი აღნიშნავს: გაცი იყო დმერთი გამნაყოფიერებელი, ხოლო გაიმი ნაყოფის მომცვემი, ანუ მიწის დმერთი. ეჭვის გარეშეა, რომ სვანური მიწის სახელი გიმ და, აგრეთვე, ხის სახელი მე-გამ ამ კერპისაგან არის წარმომდგარი (გაბლიანი, 1925:148). ეგნატე გაბლიანი აქვე აღნიშნავს, რომ სამსხვერპლო კერპის სახელია გიცა. გიცა უნდა უდრიდეს ხსენებულ კერპ გაცს. საინტერესოა ისიც, რომ, სვანეთში მტრული მხარეების შერიგების მიზნით ხატე დაფიცების დროს, არსებობდა განსაკუთრებული რიტუალი – წყვევლის უჩვეულო ფორმა: რომელიმე მოდავის მიერ ფიცის ქვეშ დადებული განჩინების შეუსრულებლობის ან გამიზნულად მოსალოდნელი არასწორი ქმედების გამო, მედიატორი საშინელ წყვევლას წარმოთქვამდა. ივანე მარგარიანი ამ პროცესს გარდაცემას უწოდებს, რაც სრულიად არ უშლის ხელს, რომ სამსხვერპლო ვერძი გიცარი, გიცა და გარცამი შორეულ წარმართულ დათავებას გაცის დავუკავშიროთ.

საგალობელ გას სარიტუალო სივრცეში შესაძლებელია განვიხილოთ სადამების სხვადასხვა ვარიანტიც, ასევე ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი საგალობელი ხაიოდებ.

## სადამ

პიმნური ტიპის საგალობელი სადამ სვანური ქორწილის მთავარი სადიდებელი პიმია. ქორწილის სუფრა ჯერ პატარძლის თჯახში იმართება. დილამდე დიდი ლხინი და ზემია და დილას მაყრები პატარძალს წინ წაიმდვარებენ, კერას ირგვლივ სადამის თქმით მარჯვნივ შემოუვლიან, სადამის თქმითვე გამოვლენ სახლიდან და მაყრიონი, მაყრული და მგზავრული სიმღერებით, მიემართება სიძის სახლისკენ. პატარძალს მომავალი ქმრის თჯახში თდითგან დადგენილი

რიტუალებით ხვდებიან. მაყრები აქაც წინ წაიმძღვარებენ პატარძალს, სადამის თქმით შედიან სახლში და კერიას სამჯერ შემოუვლიან.

გთავაზობთ საგალობელ სადამის ერთ-ერთ ვარიანტს. ანსამბლ შგარიდას წევრებისთვის ცნობილი იყო მისი რამდენიმე ვერსია, მაგრამ ჩვენ მაინც შეგარჩიეთ ერთ-ერთი ნიმუში, რომელიც საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თანამშრომელს, ეთნომუსიკოლოგ ნატო ზუმბაძეს 2007 წელს ჩაუწერია ზემო სვანეთში, სოფელ ცხეუმარში, მაცგი გოშუანების, ენვერ ქალდანის, როზან ჯაჭვლიანის, იაროსლავ და გოგი გოშუანების, ვალერი და რობერტ ქალდანების შესრულებით. მადლობა მას ამ დიდებული კაცების საოცარი ხმების უკვდავყოფისათვის. ჩვენ დიდი სიყვარულით ვიყენებთ ამ ჩანაწერს და ტექსტს, რათა ჩვენებურად წაეხეტიალდეთ სადამის ბგერათა ლაბირინთში.

## სადამ

სოია დოია დოომსივჰა,  
პოოია კუირჸა იეპა პოოი,  
ოდიოი რიპოო კუირჸოო,  
დომუსია ოო,  
ოდიოო საააია კუირჸა იეპა ჰეეეი ჰაა,  
სოია დოია დოომსივჰა,  
პოოია კუირჸა იეპა პოოო,  
ოდიდოი რიპოო კუირჸოო  
დომუსია ჰოო,  
ოდიოო საააია კუირჸა იეპა ჰეეეი ჰა.

ამ საგალობლის სახელი სადამ ნაყოფიერების დვთაების დაფარული, საკრალური მნიშვნელობის სახელია. ეს თვალნათლივ ჩანს და, ვფიქრობთ, სიმდერის ტექსტში პიმნის ფუნქციის მთავარი წარმომჩენი და განმსაზღვრელი, ისევ აია არის და კვლევაც ამის გათვალისწინებით უნდა წარიმართოს. სწორედ აია დომინირებს საგალობელ კვირიაშიც. პიმნ საიოდეშში კი ლამის გასაღებად იქცეს ამ იდუმალი საკრალური ბგერის თუ სიტყვისა. სვანეთში აია მუშლადების დღესასწაულის ჩატარების ტრადიციები მეტყველებს იმაზე, რომ აქ ნაყ-

ოფიციალური დოკუმენტის ქრისტიანობამდელი, უფრო ზუსტად, არგონავტთა ეპოქის დროინდელი აია დვოთაების კულტის თაყვანისცემა თითქმის ჩვენს დრომდე გრძელდებოდა. მკვლევარი თემურ მიბჩუანი წერს: „აია სვანეთში მიწათმოქმედებისა და მიწისქვეშეთის ქალდვთაება იყო. აიას დღეობას აღნიშნავდნენ კვირა დღეს. იმ დღეს „აია მიშლადელ“ (აია მზის დღე) ეწოდებოდა. ამჟამად აიას დღეობას მხოლოდ სვანეთის ერთ-ერთ სოფელში, უშგულში, აღნიშნავენ“ (მიბჩუანი, ქაფიანიძე, 1997:443).

თემურ მიბჩუანის ცნობით, აია შუამდინარელი დვოთაებაც არის, ის ურარტულ-შიც დასტურდება და ხეთურშიც. აია კოლხეთის ჩრდილოეთი ნაწილის სახელწოდება იყო, ამიტომაც იხსენიება ერთად აია-კოლხეთი. უცხოელ მკვლევართა და მწერალთა ნაწარმოებებში კოლხური ტომებით დასახლებული მთელი რეგიონი აია-კოლხეთად მოიხსენიება. ეს იმის დასტურია, რომ იმ ეპოქაში (არგონავტების ეპოქაც იგულისხმება) არსებობდა ორი სახელწოდების ტომობრივი გაერთიანება – აია და კოლხეთი, რაც გადაფარა გაძლიერებული კოლხეთის სამეფოს სახელწოდებამ და უკვე იწოდებოდა მხოლოდ კოლხეთად. დღეს ზოგიერთი მკვლევარი ცდილობს, არგონავტების სტუმრობის დროინდელი მთავარი ქალაქი კუტაისა, ლამის ტრაპიზონამდე ჩაიტანოს, ასევე მცდარია შეხედულება დვოთაება აიას შესახებაც. ფაზისიც მოაშორეს ზედაურობას და სადაც ჭოროხისკენ გააქანეს. არგონავტები თურმე რაღაც ოქროს წიგნის წასაღებად ჩამობრძანებულან, რომელიც კირბის ტყავზე ყოფილა დაწერილი და რა ცხვრის ტყავი, რის ცხვრის ტყავი. თურმე ამარანტის მოებს არაფერი აკავშირებს ამირანთან და შექმნეს ახალი ხალხი, კოლხური ტომი, ამარანტები. ამ ეწ. მკვლევრებმა კოლხეთის საფარქვეშ მოათავსეს ჩამოთვლილი სიცრუე-სიყალბის მთელი კასკადი და სურთ, ამ სიცრუეთ კვებონ საზოგადოება. ამ ზღაპრებს თუ დაგუჯერებო, სვანები ამ რეგიონში არც არასოდეს არსებულან და, ვინც დღეს სვანებიდ ვიწოდებით, მეზობელი ტომების ენათაგან გვისესხია და ამ სამადლოდ მორთმეული ენების ნაზავისგან შეგვიქნია სალაპარაკო ენა. ნიკო მარი და ექვთიმე თაყაიშვლი (უფრო ექვთიმე) პენიონებს სვანებად მოიაზრებს, თანაც უფრო ფართო არეალში (რედ). სინამდვილეში სვანები ამ რეგიონის ერთ-ერთი უძველესი, უძლიერესი და უაქტიურესი ტომი გახლდათ. მათ ქალღმერთ აიას კულტი თითქმის დღემდე შეინარჩუნეს. ნაყოფიერებისადმი მიძღვნილ პიმნებში

დღესაც ძალუმად ჟღერს აია როგორც ნაყოფიერების დვთაება, მისი ძალა და ქნერგია და მას უკვე დავიწყება არ უწერია. ამ თემაზე საუბარს სხვა პიმნების განხილვისას განვაგრძობთ.

ახლა კი გავჭვეთ პიმნ (მე სათქმელის შესაფერისად ვიყენებ ტერმინებს: პიმნი, საგალობელი და ა.შ) სადამის ტექსტს (უშუალოდ სადამის შესახებ საგალობელ საიოდეში ვისაუბრებთ).

სოია დოია დომესიერებაა –

სოია დოია – მელოდიის მიხედვით ბგერათწყობა ნიშნავს სადამს. დომ სიეპაა უკვე უფლის დიდებაა. დომ მე თავისუფალი მაკავშირებელი სიტყვა მგონია. ვეცდებით მორიგი საგალობლების განხილვისას გავხსნათ კვანძი. სიეპაა (ან სიპერა) უკვე უფლის დიდებაა.

შემდეგი სტრიქნი – პოლია კუირპა იქპა პოლოპ – ესეც სავედრებელ-სადიდებელი სიტყვებია. კუირპა კი, როგორც წინა თავებში განვიხილეთ, დოცვაა, რომელიც თავის თავში ატარებს სიკეთის, ბედნიერების, კეთილდღეობის დვრიტის. ამიტომ მისი ლოცვაში თქმა ამას გულისხმობს. წინადადება კი შეიძლება ამ შინაარსით გაგიგოთ: ვედრება და სადიდებელი სიტყვები კუირპათი ძლიერ ლოცვას ქმნის.

ოდიოიი რიპორტი კუირპოო

დომუსია ოო.

ოდიოიი – თავისუფალი თქმაა შემდეგი წინადადების დასაწყისი: ხოლო რიპორტი, კუირპოო – რიპორტი – როგორც უკვე განვიხილეთ, დვთიური ნათელია, ის უნივერსალური საკრალური ბგერაა და არავითარი კავშირი (პირდაპირი გაგებით) არ აქვს დილა-საღამო-შუაღდესთან. კუირპორი უკვე გიცით, ის ასევე სვანური საკრალური სამყაროს მთავარი ძალაა. დომხია, ალბათ, ამ ლოცვის დასტურია კონკრეტული (ხია) მიმართვით.

ოდიოო საააია კუირპა იქპა პეეეი ჰააა!

საააია – ნაყოფიერების საკრალური სიმბოლო. კუირპა – დვთიური ძალა, დიდება, ვედრება და ისევ დიდება. დანარჩენი მკითხველმა განსაჯოს.

ვაგრძელებთ მოგზაურობას სვანეთში: სოფელი ნაკრა, ანუ სრული სახელწოდებით მესტიის მუნიციპალიტეტის ნაკრის თემი მდებარეობს ბალსქვემო სვანეთში და იმ ხეობების სოფლებს ჩემი ხევადაც (ქვემო ხევი) მოიხსენიებენ.

ულამაზეს სოფელში ასევე ულამაზესი და გამორჩეული ხალხი ცხოვრობს, თუმცა 34-35 წლის წინ, როცა მე ამ ოქაზე გმუშაობდი, სოფელი უფრო ხალხმრავალი იყო და ახალგაზრდობაც განსაკუთრებული. ამ სოფელთან დიდი მეგობრობა მაკავშირებდა. აქ ტრადიციულად ძლიერი ფოლკლორული ანსამბლი ჰყავდათ. ერთხელ ჩემმა უახლოესმა მეგობრებმა რეზო (ლონდერ) და მირონ (უმცროსი) ცინდელიანებმა როცა გაიგეს, რომ ძელი სიმღერების მოძიებაზე გმუშაობდი, მითხვეს, ჩვენც გაგვაჩნია ასეთი მასალებით. ნაპრის ანსამბლს მის რეპერტუარიანად კარგად ვიცნობდი, მაგრამ ძველი სიმღერების შესახებ ცნობამ ძალიან გამახარა. იქვე შევთანხმდით, რომ სულ მაღალ მოვახერხებდი სოფელში ჩასვლას, მაგრამ სამსახურებრივი საქმიანობისა თუ სხვა მიზეზის გამო, კარგახანს ვერ შევასრულე დათქმული პირობა. ლონდერი კიდევ ერთხელ დამიკავშირდა და მითხვა: ანსამბლის წევრი უხუცესი დაშეკრ ვიბლიანი, რომლისგანაც მრავალი მივიწყებული სიმღერა ისწავლება, ავად გახდა და, სანამ ცოცხალია, ჩამოდიო. მე ყველა საქმე გადავდე (მესტის კომუნისტური პარტიის რაიკომში დიდი პარტიული თანამდებობა მეკავა, რომელსაც არავითარი სამსახურებრივი კავშირი არ პქონდა კულტურასთან, მით უმეტეს, სიმღერების აღდგნასთან) და გავემზადე წასასვლელად. ჩემს მეგობარ ისლამ ფილფანს, სიმღერისა და ცეკვის რაიონული ანსამბლის ხელმძღვანელს გთხოვა, წამომყოლოდა ნაკრაში. წასვლის მიზეზი გაიგო თუ არა, სიამოვნებით დამთანხმდა. და, აი, ჩემი დანჯლრული მაგნიტოფონით მივადექით ნაპრას. სოფლის კულტურის ცენტრში დაგვხვდა ხალხი, მაგრამ რა ხალხი... დიდი ხელოვანნი და სვანური ტრადიციების მუდმივი მცველნი და აღმასრულებლები. აღამიანები, რომლებთანაც მე ძალიან ახლო ურთიერთობა მქონდა და, როცა ამ სტრიქონებს გწერ, ცრემლი აქაც ვერ შევიკავე. უმეტესობა დღეს მარადისობის მკვიდრია და, როგორც სვანები იტყვიან, ქრისტე ტაბაგებ ხასგურს (ქრისტეს სუფრას უსხევდან):

1. მირონ (უფროსი) ცინდელიანი
2. ბესარ ცინდელინი
3. რეზო (ლონდერ) ცინდელიანი
4. მუშანი ცინდელიანი
5. შადურ სუბელიანი
6. დაშეკრ ვიბლიანი

ბიჭები დიდი სიყვარულითა და ხუმრობით შეგვხვდნენ, მაგრამ ჯერ გაგაცნობთ ჩვენს მასპინძლებს, ნაკრის კულტურის სახლთან არსებული ფოლკლორული ანსამბლის წევრებს:

1. მირონ (უფროსი) ცინდელიანი, კულტურის სახლის დირექტორი
2. ბესარ ცინდელიანი – სოფლის უხუცესი
3. რეზო (ლონდერ) ცინდელიანი
4. მირონ (უმცროსი) ცინდელიანი
5. შერა ვიბლიანი
6. მუშვნი ცინდელიანი
7. შადურ სუბელიანი
8. შერა გვარმიანი
9. დაშკო ვიბლიანი

და უდამაზესი ქალბატონი, კულტურის სახლის თანამშრომელი, ზაირა გადრანი.

ბუბა ბესარი გამეხუმრა: ჩვენი სოფლის და ჩემი ოჯახის ხშირი სტუმარი იყვი, ახლა კი საგმაოდ შეგაგვიანდა. შენი ბადიში დაშკო უკვე ჩაწვა ლოგინში, რატომდაც ჩქარობს წასვლას. მეც უკვე მოვფამფალდი. რაო, ჩვენს იმ ქვეყნად გამგზავრებას ელოდებოდი? კარგა ხანს ვიხუმრეთ და ისევ ბუბა ბესარმა დაგვიცაცხანა: ამხელა ხალხი საქმეზეა ჩამოსული და შევუდგეთ საქმეს.

ჩემთვის მთავარი იყო საგალობელ საიოდეზის ჩაწერა და მის შესახებ რაიმე ინფორმაციის მიღება. მუშაობის დაწყებამდე განაცხადეს: საიოდეზ და სხვა ძელი სიმღერები დაშკო ვიბლიანისგან ვისწავლეთო. ამან მყისიერად გადამწყვეტინა, რომ პირველად დაშკოს ოჯახში მიგსულიყავი და ასეც მოვიქმეცი. მივედი. მხცოვანი ბატონი დაშკო ძალუ დასუსტებული, მაგრამ საოცრად ნათელი სახით იწვა ლოგინში. გვერდით მივუჯექი, ჩემი ხელი მკერდზე მიიღო და, სანამ იქ ვიყავი, ხელი არ გაუშვია. მითხრა: „გურგენ, არ მოგერიდოს, მითხარი, რა გაინტერესებს და, როგორც შევძლებ, ისე გიაპასუხებ. მან იქვე წაიმდერა საიოდეზი. ხმა იმდენად სუსტი იყო, რომ მაგნიტოფონზე მთლიანი ტექსტის ჩაწერა ვერ მოხერხდა, თუმცა, რაც ჩავიწერ, ისიც საგმარისი იყო მიმითვის, რომ ამ საოცარი პიროვნების ღვაწლი სვანური მუსიკალური საგანმურისა და ტრადიციის შენარჩუნების საქმეზი დაუკიტებლობის ნათლით აღბეჭდილიყო.

იგივე შეცასებას ვაძლევ ბესარ ცინდელიანს. ეს ორი ზემო და ქვემო სვანეთის იმ გამოჩენილ ბრძენთა რიცხვს ეკუთვნის, რომელთაც დღემდე შეგვინარჩუნა უძველესი პულტურული მემკვიდრეობა და შეუბლალავად მოიტანა ჩვენამდე-ჩვენ კი ვალდებული ვართ, არა მარტო შევინარჩუნოთ, არამედ განვავითაროთ და ახალ სიმაღლეზე ავიყვანოთ იგი. გულდაწყვეტილმა დავტოვე ბუბა (ბიძია) დაშკო. იმ დღეს ნაყოფიერად ვიმუშავეთ. საგალობელი საიოდეუშ ჩავიწერეთ და სიმღერის პირველადი შესწავლაც მოვახერხეთ. აღსანიშნავია, რომ საიოდეუშ ნაკრის ანსამბლის რეპერტუარშია და ბორჯომში ფესტივალზეც კი გამოსულან ამ სიმღერით. ჩემი მთავარი მიზანი – ტექსტობრივი ანალიზისათვის სრულყოფილი მასალის მოპოვება, მიღწეული იქნა. ბუბა დაშკომ მითხრა: საიოდეუშ უძველესი სიმღერად მამა-პაპათა, უხსოვარი დროიდან მოდის. ამ დღესვე ჩავიწერეთ მეორე სიმღერა უშგულ ლასმან. სიმღერა შექმნილია უშგულში და თა-თრის ლაშქრის შემოსევის ტრაგიკულ ამბავს გადმოგვცემს.

განვიხილოთ საგალობელი-პიმნი:

## საიოდეუშ

საააია ოდეშეა

ოოო გიგი სიაოო იიოო

ეჯნოოში ოოო

ოდი ჩტალმეეიი

ზურადი რიპოოი პოიდიო ო,

ოდიო საააი ჰეეი ოოპოი და ჰოო,

ოო გიგი სიააო იიო

ლოგემდი

ოო ოდი დააჩქეეეილანშიი

ტაბბგსი ოიდიაა

პოოი ოიპაა ოპოოპაა.

პირველი სტრიქონი საააია ო დეშეა (საიოდეუშა) მეტად საინტერესოა იმით, რომ თითქოს საგალობლის სახელწოდება სადამის შიფრია, გაშლილი ფორმაა. საააია ო დეშეა, საიოდეუშ, სადამ – ერთი და იგივე, ნაყოფიერების ფუნქციის მა-ტარებელი და ერთნაირი სახელწოდების საკრალური სიტყვები და წინადადებაა.

გიგი სიათო იით

ეჯნოში ოთი –

აქ, ალბათ, მიწის დვთაების მიმართ სადიდებელი მიმართვაა. ეჯნოში – ქს საქრალური სიტყვა იმისი, იმით – საქრალური გაგებით – უპე ნიშნავს იმის მადლით (კ.ი. გიგის, ანუ გას, მადლით). ამაზე მიგვანიშნებს შემდეგი სტრიქონი: ოდი ჩუალმეეიი ზურადი რიპორი პორიდით პო, სადაც ოდი საწყისი მაკავშირებელი სიტყვაა. ჩუალმეეიი ზურადი (ჩუალმეზურად) – დავლოცოთ. რიპორი პორიდით პო – დვთაური ნათელი და ვედრება-მიმართვის კოდები.

ოდით ისევ შემდეგი ლოცვის საწყისი მაკავშირებელი სიტყვაა. საააიპეეი ორპორი და პორ – ესეც ლოცვაა. სააია (საია) პეეი – საია (საი პაია) – ნაყოფი-ერების ვედრება და მიმართვა, შესაძლებელია სამადლობელი.

ოთ გიგი სიათ იით (იიპო) – შესაძლებელია ესეც მიმართვა და ვედრება გიგი (გა) დვთაებისადმი. ყოველივე ზემოთქმული კი აისახება საბოლოო დალოცვაში: ლოგემდი – ანუ სოფრას გშლით, ვუდგამთ...

პოოპოდი დაჩქეეეილანში ტაბბგსი ოთიდია

პოო (ოოი) ოპაა ოპორ პაა... –

ანუ დაჩქელანების (დადეშქელიანების) სუფრას და დამამთავრებელი შეძანე-ილ-სავედრებელი სიტყვები. ეს კ.წ. საბოლოო დალოცვა შემდეგნაირად შეი-ძლება ჩამოყალიბდეს: გშლით, ვდგამთ დაჩქელანების სუფრას პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გავიგოთ. საქმე ეხება თვით საგალობელ საიოდეშის სარიტუალო ფუნქციას. როგორც ნაკრელმა მეგობრებმა, ბუბა დაშკომ და ბუბა ბესარმა განმიმარტეს, ის ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი პიმნია, ლოცავს სუ-ფრას, სიმდიდრეს, დოკლათს. განსაკუთრებით ეს ხდებოდა მაშინ, როცა ოჯახი ლენის გადაიხდიდა, აგრეთვე, შესაბამისი რელიგიური დღესასწაულების დროს. ანალოგიური სარიტუალო წეს-ჩვეულებები დააფიქსირა ვლადიმერ ახობაძემ და ამ საწყესო-სარიტუალო საგალობელს სადამს უწოდებს (ახობაძე, 1957:12-13).

საბოლოოდ, ჩვენ უკვე შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ კონკრეტული მოსაზრება: საწეო-სარიტუალო და სხვა რელიგიურ სიმღერებში არსებობს ქვეჯგუფები, რომელთა შინაარსი, ფუნქცია თითქმის საერთოა და საქრალური ბეჭერები და წინა-დადებები შინაგანი სტრუქტურით ამას გამოხატავს. ამ თემაზე ისევ ვისაუბრებოთ, ხოლო ზემოთ განხილული სამი პიმნ-საგალობლის მიმართ შეგვიძლია ვთქვათ:

იხინი ცალკე-ერთ ქვეჯუფშია გაერთოანებული, მას შეიძლება ვუწოდოთ სადამების ქვეჯუფი, ვინაიდან არ სებობს მისი მრავალი ვარიანტი. სათოდებული ფაქტობრივად სადამია, თუმცა ნაპრელები გასაც ეძახიან. გა მივიწყებული და მკვდრეთით აღმდგარი პიმნია და, მიუხედავად იმისა, რომ სადამი უფრო მასშტაბურ პიმნში დიდი დოზით აისხება, მაინც სადამების ქვეჯუფს ვუწოდებთ.

როგორც აღვნიშნეთ, ნაკრაში ჩავიწერეთ უშეულ ლასმას – გლოვის სიმღერა. იგი მოთქმით გვიყვება უშეულში თათრის ჯარის შემოსვეის ტრაგიკულ შედეგებს:

## უშეულ ლასმან

უშიგული ლასომანა  
ოი უშეულარე,  
ოდა უშიგული ლასომანა  
ხიდი ლტაიარე.  
ოჯი, ოჯი, საბრეილა  
ოოი, უშეულაში ლტაქარე,  
ოჯი, ოჯი, საბრეილა,  
ოოი, ხგაუ მეწდელი თათრიშ ჯარ.  
ოჯი, ოჯი, საბრეილა,  
ოოი, უშეულაში ხეხუარე,  
ოჯი, ოჯი, საბრეილა,  
ისგე ლიგტნი დეცს ხესმი.  
ოჯი, ოჯი, საბრეილა,  
ოოი, უშეულაში ბაპარე,  
ოჯი, ოჯი, საბრეილა,  
ოოი, ტერეს კაჩუში ჯაწბურებ.  
უშიგული ლასიმანა,  
ოოი, უშეულარე,  
უშიგული ლასიმანა,  
ლანწირს ხაიარედ.

**უშგულ ლასმან**

**ქართული ვარიანტი**

უშიგული ლასიმანა,

ოოი, უშგულელები,

ოდა, უშიგული ლასიმანა,

ხიდი ღურარე (სიტყვები უცნობია, ვერ გავიგეო მნიშვნელობა)

ოჯი, ოჯი, საბრალნო,

ოოი, უშგულის გაქპაცებო,

ოჯი, ოჯი, საბრალნო.

შემოსულა თათრის ჯარი,

ოჯი, ოჯი, საბრალნო,

ოოი, უშგულელო ქალებო,

ოჯი, ოჯი, საბრალნო.

თქვენი ტირილი ცას სწვდება,

ოჯი, ოჯი, საბრალნო,

ოოი, უშგულის ბაპებო (მღვდლებო),

ოჯი, ოჯი, საბრალნო,

წვერებს ფეხზე მდგომო გპარსავენ,

უშიგული ლასიმანა,

ოოი, უშგულელები,

უშიგული ლასიმანა

მარცხს შეეყარეთ.

როგორც სიმღერის ტექსტის შინაარსიდან ჩანს, სისასტიკის ეს ფორმები და  
მეთოდები ჩრდილოეთ კავკასიელების მხრიდან არ უნდა ყოფილიყო. შეტაკებუ-  
ბი განსაკუთრებით ყაბარდოელებთან ხდებოდა ხოლმე, ხოცავდნენ ერთმანეთს,  
ართმევდნენ საქონლის ჯოგებს და შემდეგ. კავკასიის მთიელთა წესებით, არჩევდ-  
ნენ საქმეს და შესაბამისად რიგდებოდნენ. კვიქრობ, სიმღერაში აღწერილი  
ტრაგედია ან მონღოლებს, ან თემურ ლენგის მარბიელ ჯარების ჯგუფებს უნდა  
მოეწყოთ. ნაკრელებთან ხშირად მისაუბრია მათი ანსამბლის რეპერტუარში  
არსებული სხვა, ზემოსვანური და ქვემოსვანური ვარიანტების განსხვავებული,

ორსართულიანი სიმღერა-ფერხელის ჩუბექეური ვარიანტის შესახებ. დროის სიმცირის გამო, ვერ მოვახერხე ამ სიმღერის ჩაწერა. მრავალი წლის (თოთქმის 24 წელი) შემდეგ უკვე ქვემო ქართლში მომცა ამისი საშუალება. ანსამბლის წევრები – მირონ (უმცროსი) ცინდელიანი და შურა ვიბლიანი, როგორც 1987 წლის ზამთრის სტიქით დაზარალებულები, ჩაასახლეს ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიაში, მე კი დმანისში დავსახლდი.

ქალაქ დმანისში ფოლკლორულ ანსამბლ შგარიდას ჩამოყალიბების შემდეგ გავაგრძელე მოგზაურობა ქვემო ქართლის სვანებით დასახლებულ სოფლებში. ვესტუმრე წალკას, შევხვდი ილმაზ გადრანს და მან, გვარის უხუცესებთან შეთანხმებით, უფლება მოგვცა შეგვესწავლა კვირია (გადრანების კვირია). საინტერესო ეთნოგრაფიული მასალები მომაწოდა თერთიწყაროს რაიონის სოფელ ხაიშის (დურნუქის) მკვიდრმა შოთა უმფრიანმა. ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიაში შევხვდი უხუცეს მუშვნი სუბელიანს. მისგან ჩავიწერე ახალი ეთნოგრაფიული მასალები სახალხო დღესასწაულ უღლიაშობის შესახებ. იქვე შევხვდი ჩემს ნანატრ მეგობრებს – მირონ (უმცროსს) ცინდელიანს და შურა ვიბლიანისა. ჩავიწერე სასიმღერო ტექსტი მის თანმხლებ რეფრენთან ერთად. ზემო სვანურ, მაგალითად, ეცერულ ვარიანტთან შედარებით, განსხვავებაა ტექსტებში და რეფრენიც სრულიად უცხო იყო ჩემთვის. აღნიშნულ სიმღერასთან დაკავშირებულ სხვა საინტერესო მასალებს სიმღერის ტექსტის გაცნობის შემდეგ შემოგთავაზებთ.

## მირმინქელა

ჩუბექეური ვარიანტი. ჩაწერილია ბოლნისის რაიონის სოფელ ტანძიაში მორონ ცინდელიანისა და შურა ვიბლიანისგან.

რაშშა რერიაო რეკ,

რაი რა ოორუა,

რაშშა რერააო,

პოორი მირმინქელა,

ჩუქუან სტარიდ ხოჩამდ სტარიდ,

პორი მირმინქელა,  
ჟიქან ხუარიდ ხოჩამდ ხუარიდ,  
პოორი მირმინქელა,  
ჩუქუან ხუარიდ ჩუ აჯკუანედ,  
პოორი მირმინქელა,  
ჟიქან ხუარიდ დეშ ანკუანედ,  
პოორი მირმინქელა,  
ჩუ აჯკუანედ ბარჯს აჯკუიჩედ,  
პოორი მირმინქელა,  
დეშ ანკუანედ დეშ ანყუიჩედ,  
მეორე სართული ჩამოხტება და ფერხული გრძელდება ორ წრეში  
პოორი მირმინქელა,  
ქამშხენ ხუარიდ ხოჩამდ ხუარიდ,  
პოორი მირმინქელა,  
სგამშხენ ხუარიდ ხოჩამდ ხუარიდ,  
პოორი მირმინქელა,  
ქამშხენ ხუარიდ მად აიფიშუდედ,  
პოორი მირმინქელა,  
სგამშხენ ხუარიდ ქაეიჩედნიდ.  
მომდერლები გადადიან სხვა ფერხულზე  
რირა რირა პორი პორი,  
ოისა რირა დომფარა რირაშა,  
პეფი ოთი პეფი პარაშა.  
ფერხული გრძელდება საწყისი მდგომარეობის საცეკვაო რკალის შექმნამდე.  
რირა რირა პორი პორი,  
ოისა რირა, დომფარა,  
რირა რირა პორი პორი,  
ოისა რირა, დომფარა,  
პოილილი ოისა ტარადო (გარალო),  
პოილილი ოისა ტარადო,  
პოილილი ოისა ტარადო,

პოილილი ოისა ტარადო.

მირმინქელას ტანძიის ჩანაწერმა ამ სიმღერისათვის მისადაგებული რეფრენის – რირა რირა, პორი პორი, ოისა რირა დომფარას – გაშლილი ფორმით წარმოდგენილი ჯერ კიდევ უცნობი საქრალური სიმღერის მოძიების საშუალება მოგვცა. გადრანების საოჯახო ჩანაწერში მოვისმინე სიმღერის ეს ტექსტი:

რირა რირა პორი პორი,

ოისა რირა დომფარა რირაშა,

ჟე ოო ჟეი ოო ტარაშა.

ის, რომ ზემოთ თქმული საცეკვაო რეფრენი ამ სიმღერის ნაწილია, თავიდანვე არ შემპარვია ეჭვი. რაც შეეხება სიმღერა-ფერხულის შესავალ ნაწილს –

რაშა რერიაო რეე რაირა ოორერა

რაშა რეერა ოო –

ეს სიმღერა ვისწავლეთ დათიკო ჩხეტიანისაგან, რომელიც სვანეთში მეტად ცნობილი ტრადიციულად მომღერალი ოჯახის წარმომადგენელი გახლდათ. ყოველთვის მეუბნებოდა, ერთი ძველი სიმღერა უნდა გასწავლოთ, რომელიც დადაჩემისგან ვისწავლეთ. დედა ყოველთვის მეუბნებოდა, რომ ეს სიმღერა წინაპრებისგან გადმოგვეცა და იმდენად დიდი ხნისაა, არავინ იცის მისი ასაკი. სახელად მას მხედრულს ეძახნენ. დათიკო (დავითი) დმანისში ცხოვრობდა, ახალგაზრდობაში უძლიერესი სპორტსმენი, წაუქცეველი ფალავანი, დიდი ხელოვანი და ქოლორიტი, კეთილი დევგაცი. ძალიან გვაკლისარ, ძმაო.

დათიკოს ნათქვამშა დამაინტერესა, ვინაიდან სგნურ ფოლკლორში არის ლაშქრული სიმღერები, მაგრამ უშუალოდ მხედრული ტიპის და შინაარსისას არ შეგხვდებარ. წარმოვიდგინოთ ლაშქარი მიდის და მღერის მხედრულს. მხატვრულ-პოეტური თვალთახედგით ის მექორწილეთა მგზავრულის შესატყვისია. მხედრული ლაშქრის მშვიდობიანი მგზავრობის და ომში გამარჯვების პიმნი სიმღერაა. მგზავრული ასევე ნეფე-პატარძლისა და მთელი მაყრიონის მშვიდობიან მგზავრობას და ქორწილის ბედნიერ დაგვირგვინებას სთხოვს დმერთს. აი, ტექსტის ნაწილიც:

დერმეთ, ხოჩა გზარობს გუშნო,

ოოისა ორირა ოოო,

პოო რირა პორირა რერა,

თი, საი ჸორე თოპო თო.

ღმერთო, კარგად გვამგზავრე და შემდეგ საკრალური ბგერები (მაკვშირებელი, სავედრებელი, მიმართვითი, სამადლობელი).

გარკვეული მიზეზების გამო, მიუხედავად ძალზე ახლობლური დამოკიდებულებისა, ამ სიმღერის ჩასაწერად რატომდაც არ ვიჩქარე. და, აი, მოულოდნეულად დათიკო მძიმე სენიო დაავადდა (თურმე დევგაცებსაც სცოდნიათ ავადმყოფობა). დაავადება სწრაფად პროგრესირებდა. ერთ დღეს დათიკო დააბარა ჩემთან: მოვიდეს და რასაც დაგპირდი, იმ სიმღერას ჩავაწერინებო. მე ძალიან განვიცდიდი მის ავადმყოფობას, მაგრამ, რადგან მას ასე სურდა, მოვემზადე მასთან შესახევედრად. თურმე თავის ქალიშვილებს უთხრა: ვიცი გურგენს, ჩემს უმცროსს ძმას, უჭირს ამ საქმეზე ჩემთან მოსვლა, არადა გვრმნობ, რომ დიდი დღე არ მიწერია, როდის დადგება ჩემი წასვლის ქამი არ ვიცი. მე თქვენ გასწავლით და ჩაგაწერინებთ ამ სიმღერას და თქვენ გურგენს გადაეციოთ.

დათიკოს გარდაცვალება მეხივით გავარდა საზოგადოებაში, წავიდა და ისიც მიუჯდა ქრისტეს ტაბაგს (სუფრას) სხვა დიდ მმებთან ერთად. წავიდა დიდი სპორტსმენი, დიდი ხელოვანი, ჰეშმარიტი ვაჟაპეტრი გაგებისა და სულისკვეთების კაცი და დატოვა მრავალი კეთილი საქმე მომავალი თაობების სამაგალითოდ.

გარკვეული დროის შემდეგ ჩემთან მოვიდნენ დათიკოს ქალიშვილები და გადმომცეს მისი დანაბარები. მე ლამის შოქში ჩაფვარდი... დიახ, ქართველებო, ჩვენ ასეთმა ქართველობამ, ასეთმა სიყვარულმა, ეროვნულმა სულმა, ეროვნული საგანძურისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ მოგვიყვანა დღემდე. ჩვენ ასე გადავრჩით.

ჩემთვის დათიკოს ასევე პქონდა ნათქვამი, რომ ამ მხედრულ სიმღერას, მგონი, მირმინქელაში მდეროდნენო. სხვადასხვა გამოკვლევაში ფერხული მირმინქელა საბრძოლო-სამხედრო-სპორტული ხასიათის სიმღერათა ჯგუფს მიეკუთვნება. დათიკოს ნათქვამიც მახსოვდა და, შგარიდას წევრებთან განხილვის შემდეგ, ჩაგოვალეთ, რომ, რადგან სიუქეტურად ემთხვევა და გადმოცემაც არსებობს, ცერხულის შესავლად გაგვეგეობინა დათიკო ჩხეტიანის მიერ დატოვებული უქველესი სიმღერა მხედრული. ასევე განვიხილეთ დომფარას ზემოთ განხილული გაშლილი ტექსტი და, როგორც ამ ფერხულის (მირმინქელას) სიუქეტურად

თანხევდრი საკრალური სიმღერა,ჩავსვით წამყვან რეფრენად. ასე შეიკრა მეტად საინტერესო ფერხული მირმინქლა.

მირმინქლა სამხედრო-სპორტულ ფერხულადაა მიჩნეული. „საბრძოლო ხასიათის ფერხულები აგებული იყო სართულების პრინციპით. ასეთი იყო ორი და სამსართულიანი ფერხულები“ (თათარაძე, 2010). საქართველოში ორ და სამსართულიანი ფერხულები ფართოდ იყო გავრცელებული. მკვლევრები ფიქრობენ, რომ ასეთი ტიპის და სახელწოდების ფერხულები საომარი მნიშვნელობისა იყო. მეომრები დგებოდნენ ერთმანეთის მხრებზე და იერიშით მიემართებოდნენ მტრის ციხესიმაგრის ასაღებად. მშვიდობიან პერიოდში ეს ფერხულები სპორტულ ხასიათს იძენდა. სვანეთში ფართოდ იყო გავრცელებული ბაგჟოთა ორ და სამსართულიანი ფერხულები.

მაგრამ ტექსტის ანალიზი გვიჩვენებს, რომ ამასთან ერთად შესაძლებელია ამ რიტუალში ბუნების გაცოცხლება-აღორძინებისა და ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი სახალხო დღესასწაულის იდეაც იყოს ჩადგებული. ამაზე მეტყველებს სართულებს შორის მდგრმი მომღერლების კომედიურ ჟანრში შესრულებული სიმღერით აპექტობა: ჩამოგაგდებთ, ვერ ჩამოგაგდებთ, ჩამოგაგდებთ, მხარს მოგრძებთ, ვერ ჩამოგვაგდებთ, ვერ მოგვტებთ. შემდეგ ჩამოგდების სცენა, გადასვლა ორწრიულ ფერხულზე და პაკრობის გაგრძელება: გარეთ ვართ, არ შეგიშვებთ; შიგნით ვართ, გაგებულებით. ამ სიტყვის დამთავრებისთანავე მეფერხულენი გადადიან ახალ ფერხულზე დომფარა. ამ ფერხულის ტექსტი უკვე განვიხილეთ და გთავაზობთ განმეორებით:

რირა რირა, პორი, პორი

თისა რირა, დომფარა, რირაშა

პექო პო ეიპო ტარაშა.

რირა, რირა უფრო მეტად სასიმღერო ბეჭრები უნდა იყოს. პორი პორი ვედრებაა ცისადმი, მიწისადმი. თისა რირა, ალბათ, შეძახილი (საზეიმო), დომფარა უკვე აგხსენით: ფარა საკრალური სიტყვაა და უწოდებენ დღესასწაულ მურყვამობაზე თოვლის კოშკის ანგის მთავარ ატრიბუტს – საცერს. საცერი ნაყოფიერების დფთაების მიერ ზეციური დარწყელების იდეას გამოხატავს. ნაყოფიერების დფთაება დედამიწას წვიმითაც არწყელებს და მადლითაც. და წვიმა სწორედ საცერის ნახრებებში წვრილად ჩამოსულ წყალთან არის შედარებული და მადლიც ფარათი

გვინება ადამიანებს და ბუნებას. ბოლო სტრიქონი – პეტრი, გიორგი ვარაშა – სადიდებელი, სამადლობელი და სახეიმო საქრალური სიტყვებია.

სიმღერა მთავრდება საცეკვაო რეფრენით.

ზემოთ თქმულიდან ჩანს, რომ ფერხული მირმინქელა, აგრეთვე, საკულტო-სარიტუალო სიმღერაა.

განვაგრძოთ ჩვენი მოგზაურობა სვანეთში, კოსმიური ჰანგების სამყაროში.

ლატალი, ლატალის თემი. უპევ ვიმყოფები სვანეთის ერთ-ერთ ულამაზეს სოფელ ლატალში. ლატალი ცნობილია მეტად საინტერესო ისტორიით, მრავალრიცხოვანი ეკლესით და სხვა ისტორიული ძეგლით. რელიგიურობა და ტრადიციების მტკიცედ დაცვა ლატალელების ხასიათის უპირველესი თვისებაა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ ისინი სისხლხორცულად არიან დაკავშირებული მუსიკალურ ხელოვნებასთან, ხუმრობით ამბობენ: ლატალში ბავშვი რომ დაიბადება, ლილებს ძღვრისო. ტრადიციული სვანური ხალხური სიმღერების სიყვარული და ბუნებრივი ნიჭიერება იმის დასტურია, რომ მათ შეინარჩუნეს ისეთი სიმღერები და ლეთის სადიდებელი ჰიმნები, რომლებიც შორეულ წარსულში, ქრისტიანობამდე იდებს სათავეს. 1955 წელს შექმნეს სიმღერისა და ცეკვის უძლიერესი ანსამბლი ლატალი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა სვანური მუსიკალური ფოლკლორის უდიდესი მოღვაწე მაპარბი გურგულიანი. განუზომელია მისი წელი სვანური ხალხური მუსიკალური ხელოვნების განვითარების საქმეში. მე გაგბედავ და ვიტყვი, რომ ის იყო სვანური მუსიკალური ფოლკლორის მიხეილ ხერგიანი. მაპარბი გურგულიანი მესტიის რაიონული ანსამბლის ლოტბარი და ქორეოგრაფიც გახლდათ. ლატალში მის შექმნილ ტრადიციაზე მთელი თაობები აღიზარდა. აი, ასეთ საოცარ სოფელში ვარ და ვსტუმრობ ლატალის თემის ერთ-ერთ ლამაზ სოფელს ლახუშდს. სოფლის უხუცესი ბრძენებაც მელოდება. მოუთმენლად ველოდები მასთან შეხვედრას. ის ჩემი ახლობელია, მეგობარია. მიუხედავად ასაკობრივი სხვაობისა, მაინც მოვახერხეთ დამეგობრება. მე ყოველთვის მაოცებდა ბუბა გერგის სიღრმისეული ცოდნა სვანური ტრადიციებისა. სიმღერების შესახებ ადრე არასოდეს გვისაუბრია. ახლა კი, რადაც უზვეულოს რომ მეტყვის, ვიცი, მაგრამ კონკრეტულად რას?.. გულობილი შეხვედრა, მისთვის დამახასიათებელი სითბო და უშუალობა შინაურ ატმოსფეროს ქმნის და გადავდივართ საქმეზე. როცა დაქონერებდა ჩემი მისვლის მიზეზი, მითხრა:

მე მარტო ძველი სიმღერები ვიცი (ჩამომითვალა საგალობლები), ცოტ-ცოტა კი იციან ჩვენი სოფლის ბიჭებმა, მაგრამ ბოლომდე ვერ ქაჩავენო. თან დაუმატა: მარტო ჩემი სიმღერა და ჩემი ხმა რომ ჩაიწერო, გაგიჭირდება გუნდურად დამუშავება სჯობია, მოვიყვანოთ ბიჭები, ისინი ასე თუ ისე ერკვევიან ამ სიმღერებში და თან გუნდურადაც დავამუშავებთ, შენ კი უფრო გაგიადვილდება სწავლაო. მე სიხარულით დავთანხმდი, ვინაიდან ეს ბიჭები ადიარებული მომღერლები არიან. მესტიის სიმღერისა და ცეკვის რაიონული ანსამბლის წევრები, ასევე ლატალის სახალხო ანსამბლის სოლისტები. აი, ისინიც:

1. თაისავ ჩამგელიანი
2. მურად ფირცხელიანი
3. გიგი ფირცხელიანი
4. ოთარ ფირცხელიანი
5. იგორ ფირცხელიანი

მოვიდნენ ბიჭები. გერგ ბუბასთან შევთანხმდი, ჩემთვის უცნობი ოთხი სიმღერა ჩამეწერა, თან ჩანდა, რომ მეტად სერიოზულ საგანძურებთან გვქონდა საქმე. ბუბა გერგისთვის ეთნოგრაფიული შეკითხვები არ დამისვამს, ვინაიდან სიმღერის ჩაწერის პროცესი გაროვნდა: ბუბა გერგმა გადაწყვიტა, სიმღერა ჯგუფურად დაემუშავებინათ და მე დაზუსტებული მასალა ჩამეწერა. მაგრამ მე სიმღერის დამუშავების პროცესის ჩაწერაც მსურდა, რაზეც დამთანხმდა.

მაშ ასე: ვიხილავთ გერგ ფირცხელიანისაგან ჩაწერილ დვთის სადიღებელ ოთხ პიმნეს:

1. უფლიშიშ სადამ
2. ლაშზერიშ – ლოცვისა
3. ლაუღუშიშ ღიადებ – წინამდობლი დიდება
4. ღიადებ – დიდება

## უფლიშიშ სადამ

მეტად საინტერესო საგალობელი, ფაქტობრივად სვანური კვერცხსი – თანმიმდევრული ლოცვა, დვთისმსახურების ნაწილი. კვერცხსი ბერძნულად გაძლიერებულ ლოცვას ნიშნავს და ორი სახისაა – დიდი და მცირე: მშვიდობიანი,

თხოვნიოთ და მრჩობლი (სამჯერ ითქმის: „უფალო შეგვიწყალენ. ნინო ომიაძე, მგალობელი, დმანისის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი). დიდ კვერცხსში მოძვარი წარმოთქმამს ლოცვებს:

1. მშვიდობით უფლისა მიმართ ვიღოცოთ
  2. ზეგარდმო მშვიდობისათვის და ცხოვრებისთვის სულთა ჩვენთასა უფლისა მიმართ ვიღოცოთ და ა.შ. სულ თორმები ლოცვა ანუ კვერცხსის თორმები მუხლი. ყოველი მუხლის დამთავრების შემდეგ გუნდი უპასუხებს: უფალო, შეგვიწყვალებ. ბოლო მუხლის დამთავრების შემდეგ კი – შენ, უფალო.

ახლა კი გავიცნოთ სვანურ კვერექს:

**უფლიშიშ სადამ – უფლის დიდება!**

პირველად მღოცველი ამბობს ლოცვას:

„Յղիսօ քամեագեղելու ուսցոյ զշր ո Ֆկալոծ

სი ლახეშდ ალ ქორს ი ალ ქორაშ ერთგულ მარას

უფლისაა მიმართ ვილოცადი

କେନ୍ଦ୍ରୀୟ ରକ୍ତଚାପ ଉଚ୍ଚତା କେନ୍ଦ୍ରୀୟ

დიდგვაროვან დმურთო, მოგილოვავთ ძლვნითა

ଓফিসিয়াল মোমার্ট অনলাইন

Digitized by srujanika@gmail.com

ნაბეჭდი გამოიყენოთ მოვილოვათ

መመልካና የዕለታዊ ሪፖርት

Հայոց տէսութիւն

ეს თითქოს მარტივი ლოცვა (კვერექსი) ძალიან მნიშვნელოვანი მასალაა მრავალი კითხვისა თუ გაურკვეველი საკითხებისათვის პასუხის გასაცემად. პირველი: სვანები საგალობლების ბეჭები არ არის მელოდიაზე მორგებული, რადაც მშრალი და უცნობი ბეჭებია. მეორეც: სვანეთში, როგორც ჩანს, არსებობდა შორეული ქრისტიანობამდელი საქაულტო-რელიგიური ცოდნაზე დაფუძნებული სკოლა, რომელიც უკვე ქრისტიანულ ეპოქაში, ქრისტიანულ საგალობელთა ტექსტებში კოდირებული საკრალური ბეჭერა-სიტყვების შემუშავებასა და გამოყენებას მოაწეოდა.

ენებას ამარტივებდა. უფლიშიშ სადამის ტექსტი და სტრუქტურა ამის ნათელი მაგალითია. შესაძლებელია ქრისტიანული ეპოქის ფენომენია, მაგრამ ფესვები წარმართულ ხანაში აქვს გადგმული. ეს სხვა საგალობლებში და საწესო ხასიათის სიმღერებში უკვე დავინახეთ.

რაც შეეხება ჩვენს განსახილველ საგალობელს:

ჟევეოორ თჰოო იაოოჰო – მასში იკითხება უფალო შეგვიწყალენ, მოგვმადლენ უფალო და შენ უფალო მთელი აზრი.

პეე – მიმართვა უფლიშისადმი. სკანური ლოცვები, ძირითადად, ამ საკრალური სიტყვით იწყება – პეე ღიღიბ ეჩვენა ჯგურად – პეე ღიღიბ შენდა, წმინდა გიორგი. ოპოი იაოოჰო – ამ საკრალურ სიტყვებში შეგვიძლია ვიგულისხმოთ თხოვნაც, მაღლიერებაც.

რაც შეეხება აღნიშნული საგალობლის ლოცვების კომენტარებს და ქართულ ვარიანტებს. ლოცვის პირველი ნაწილი იწყება ასე: ფუსდ (უზენაესი უფალი), დამბადებელო, შენი წყალობით (მადლით) შენ შეეწიე ამ სახლს და ამ სახლის ყველა ერთგულს. მეორე ნაწილი გასაგებია.

მესამე ნაწილში იგულისხმება, რომ ჩვენი ლოცვა ნებითია და ამ ნებით ვლოცულობთ და ვლოცავთ. ესეც კვერცხსის სკანური ვარიანტი. გერგ ბუბას არ აუხსნია ჩემთვის ამ ლოცვებში მარტო ეს მუხლია თუ უფრო მეტი, მაგრამ, გვიქრობ, რომ მხოლოდ პირველი მუხლი, იმის მიხედვით, თუ რა თემას და რა საკითხს ეხებოდა ეს ლოცვა, შინაარსობრივად და მოცულობითაც განსხვავებული იქნებოდა.

მეორე საგალობლის – ლაშზგრიაშ (ლოცვისა) – ჩაწერის დროსაც დიდი ჯაფა დაადგა ბუბა გერგს: მარცვალ-მარცვალ ასწავლიდა გენიოს მომღერლებს – თაისავ ჩამგელიანს, მურად, ოთარ, გიგი, იგორ ფირცხელიანებს ამ ურთულეს პიმზ-საგალობლებს. გაგვიმართლა იმით, რომ, ჯერ ერთი, მომღერლები უნიჭიერები იყვნენ, მეორეც, ამ საგალობლებში ასე თუ ისე გარკვეული იყვნენ. საბოლოოდ, ისევ ბუბა გერგის ძალისხმევით მოხერხდა საგალობლის ტექსტის და ინტონაციის საბოლოო კონდიციამდე მიყვანა. მე კი მთელი ეს პროცესი აუდიოჩანაწერით დაფაგირგვინე. ეს შემდეგ, მიუხედავად სირთულისა, შეართდას დაეხმარა, ავთვენტიკურბის სრული დაცვით დაგვემუშავებინა ეს მართლაც სკანური პიმზური სიმღერების მშვენება. ის ჩვენი ანსამბლის პიმზადაც იქცა. გთავაზობთ საგალობლის ტექსტს:

## **ლაშმზერიაშ (ლოცვისა)**

ოო, ქრისდეში ლუმეზურე,

ოოთ ი პაპა

იი პაპაირეე იოიოო იაპა

ი ლალმაააი რიიპო

ზევეში შიპოი ოი დიოო პო

ოდიოო

ლაააიმაააოოო

ზუპეეი ოო იოო პო

იიოო ზუპეეი ოი და ოო

იი პაპაი პაი ოოპო იპაიო იპააო

იოო ზუპეეი ოოიდა იუჟა

ოოიდა რიპოოო იოიდა პო

ოდიო ზააი გპე პეი ოი დაა თ

ოო იი პა, იპააი იოიდაა პოო

იი პაპაი პაიოოპო, იპაიო იპაა პოოა

იოიო პაა იოოი იოო

ახლა კი მოსაზრებების დონეზე ამ ურთულესი საგალობლის ტექსტი გან-  
ვიხილოთ, რაც ჩემი მრავალწლიანი დაკვირვების და ცალკეული მკვლევრის  
მოსაზრების გაცნობის შედეგად მიღებული კონკრეტული შეხედულებისა და  
მოსაზრების საზოგადოებისთვის მიწოდების და გაცნობის მცდელობაა. თუ  
რამდენად გამოგვიყიდა, ამას, ალბათ, მკითხველი განსჯის.

## **ლაშმზერიაშ (ლოცვისა)**

პიმბ-საგალობელი იწყება მლოცველის ლოცვით (რომელიც სოლისტიცა):

ოო, ქრისდეში ლუმეზურე – ოო ქრისტეთი დაილოცოს, ანუ ქრისტეს მადლით  
დაილოცოს. შემდეგ ეს ლოცვა გრძელდება, მლოცველი დალოცვის ტექსტს  
ამბობს იმის მიხედვით, ვის ან რას ეხება ეს ლოცვა (ოჯახი, სოფელი, კუთხე,

ქვეყანა). ტექსტის მოცულობა და შინაარსი დამოკიდებულია თვით მღოცვალზე. აღნიშნულის გამო ჩვენ წარმოვადგინეთ მხოლოდ ლოცვის დასაწყისი – ო, ქრისტე და უმეტერე, რაც სრულად ასახავს პიმნის ლოცვით შინაარსს.

ტექსტი გრძელდება მიმართვით და სადიდებლით:

ოოო ჰაააირეე იოიო იაპა –

იი მაკავშირებელი და წინადადების დასაწყისი ბგერებია. ჰაააირეე – ცალკე ადგბული სადიდებელი და საზეიმო სიტყვა პარესთან ერთად ქმნის საკრალურ სიტყვას დვოიური ნათელი, დვოიური ქნერგია. იოიო იაპა ისევ მიმართვა და დიდება, რაც ჯდება თვით ამ სტრიქონის შინაარსში.

ამ სადიდებლის შემდეგ პიმნში ჩადებული აზრი და შინაარსი საკრალური სიტყვების მწყობრი სისტემით გამოიხატება, რომლის მთავარი ძარღვია სიტყვა ლალმეტურად – ვილოცოთ. სწორედ ეს საკრალური სიტყვაა მთავარი ფორმულა ამ უძლიერესი პიმნისა, რომლის კოდირებულ ბგერებზეა აწყობილი წვერთვის უკვე ცნობილი სადიდებელი, საველრებელი, მიმართვითი და სამადლობელი საკრალურ ბგერა-სიტყვათა მთელი სისტემა – ქრისტეს მადლით ვილოცოთ. პიმნის შემდეგი გაგრძელება უკვე ამისი დასტურია.

იი ლალმააი რიპო (ან იპო, იპა)

ზეეშიი შიოოო ოო დიოო ჰო –

იი მაკავშირებელი ბგერები, ლალმააი ლალმეტურადის პირველი ნაწილია, რიპო (იპო) მაკავშირებელ-მადლიდებელი სიტყვა. ზეეშიი საკრალური აზრი, დაბოლოება ლალმაის ე.ი. ლალმაიზეში, რაც ნიშნავს ლიმზურეშ, ანუ ლოცვით, და სტრიქონი მთაგრძება სიტყვებით – შიპოი ოო დიოო ჰო, რაც ლიმზურეშ (ლოცვით) აზრს სადიდებელ-საველრებელი სიტყვებით აგრძელებს.

შემდეგი სტროფი:

ოდიოო

ლაააიმაააოოო

ზუპეეეი ოო იოო ჰო –

ოდიოო ახალ წინადადებაზე გადასვლის მანიშნებელი სიტყვაა და გაგრძელება მელოდიაზე აწყობილი ლიმზურია ვედრების, მიმართვის ბგერებით შემაგრებული.

შემდეგი სტროფი საინტერესოა იმით, რომ ლიმაზურის მთავარი ბგერა ა უკვე, როგორც საკრალური სიტყვა, ცალკე ჯდება ტექსტში და, საერთოდ, სტრუქტურაში და გამოხატავს ლიმაზურის იდეას, აზრს. ლიმაზის სვანურად ლოცვა, ლი თავსართია და რჩება მზირა, რომლის შესახებ ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ.

იორო ზუკეეი, თო დაა თოპ – ამ წინადაღებაში იორო მაკავშირებელი მაღიდებელია. ზუკეეი თო დააო – ხ უკვე ცალკე საკრალურ ბგერად ზის და საკრალურად ლოცვის, დალოცვის აზრის მატარებელია კველა საგალობელში.

იo ჰაააი ჰაიოროპო იჰაიო იჰააა თო (პო) – წინა თავებში უკვე განგმარტეთ, რომ საკრალური სიტყვები ჰაი, ჰაი შეიძლება ნატვრის აღმნიშვნელი სვანური ბგერებისგან წარმოშობილიყო. არსებობს ასეთი გამოთქმა: ჰაი, ჰაი, ხოლო ჰაჯი ბედნიარ, რომელშიც ჰაი ჰაი ნატვრის გამომხატველი სიტყვაა, ხოლჰაჯი ბეფინიარ – ჰაჯ სვანურად ამულეტია – ნატვრის თვალი. ჩვენი მოსაზრებით, ჰაი, ნატვრის აღმნიშვნელი სიტყვა, ჩემმა ქურუმმა წინაპრებმა საკრალური სამყაროს მკიდრი გახადეს და დააკისრეს მრავალმხრივი ფუნქცია, რომელიც გულისხმობს ყოველგვარ სიკეთეს, კეთილდღეობას, ბედნიერებას. როცა კონკრეტულ ადამიანს ლოცავ და უსურვებ კეთილდღეობას, მან შეიძლება თქვას: ჰაი, ჰაი – ნეტავ. მაგრამ საგალობელში უკვე ზის სიკეთის სიმბოლოდ. ვაგრძელებთ ლაბირინთში გზის გაკვლევას:

იორო, ზუკეეი თოიდა ივა...

მახსოვს, როცა ანსამბლ შეარიდას რეპეტიციაზე ამ საგალობელს ვსწავლობდით, ვიკითხე: თქვენი აზრით, რას უნდა ნიშნავდეს თოიდა ივა? გურგენ ჩხეტიანმა ხუმრობით თქვა: ალბათ, ადამ და ევას. მაშინ უკელამ გაფიცინეთ, მაგრამ, როცა აანალიზებ და რაიმე თემის, მოვლენის ახსნის დასაშვებ ვარიანტებზე ფიქრობ, შეიძლება დაგებადოს გარკვეული აზრი. ლიმაზურ უნივერსალური რელიგიური ტერმინია და მოცავს ყველაფერს, რაც სიცოცხლეს, კეთილდღეობას, ნაყოფიერებას უკავშირდება და ჩადო კი ჩემმა წევრიანმა წინაპარმა ადამ და ევადან ცხოვრების ლოცვის აზრი ამ საოცარ ჰიმნში? ვინ იცის?!

შემდეგი მუხლი:

თოიდა რიპორო თოი დია ჰო –

ეს მუხლი უკვე გასაგებია. მიმართვა, რიპორი (დგთიური ნათელი), თოი დია

პოო – მიმართვა და ოხოვნა (კედრება).

ოდიო ზააი კჰეჭეო ოოი და პოო –

ოდიო უკე გასაგებია. ზ-ზ (ზანმა) გამოაჩინა დამოუკიდებელი, უნივერსალური სახე. ზააიში შეიძლება წელიც ვიგულისხმოთ – ზა (წელი), თუმცა უფრო საგარაულოა, რომ ეს მუხლი ისევ ლალმეზურადის არსის, იდეის მატარებელი იყოს და არის კიდევაც. ზ კი სწორედ თავისი უნივერსალური ფუნქციით არის ჩასმული და სიტყვათა გაგრძელება და შინაარსიც ამაზე მეტყველებს.

შემდეგი მუხლი:

იიპაააი ჰაიოოჰო, იპაიოო იპაა პოოა

იოიო ჰაა იოიო პოოო –

პირეელი მუხლი განმეორებაა ზევით განხილული მუხლისა, ოლონდ პოა მადლიერებასთან ერთად სიგნალია საგალობლის ბოლო, დამამთავრებელ, მუხლზე გადასვლისა. ბოლო მუხლი – იოიო ჰაა იოიო პოოო – მიმართვა, დიდება და სამადლობელი.

დამთავრდა განხილვა. მგონი, გავადწიეთ ლაბირინთიდან. აქვე, დაპირებისამებრ, მოკლედ ლიმეზურის (ლოცვის) შესახებ. რა არის მზირა, მზირა. მზირა მზის აღმნიშვნელადაც მოიაზრება, თუმცა, ჩემი აზრით, სვანურ ლოცვას, ლიმზირს – მზისთან არანაირი კავშირი არ აქვს. სვანურად მზეს პევია მიუ, მზირას კი ვერანაირად ვერ დაუკავშირებ მზეს. მზირა ქართულად მზერაა, მაგრამ სვანური ლიმზირის საფუძვლად ვერ გამოდგება და ამ უძველეს სვანურ ტერმინში მისი მოაზრება დიდი შეცდომა იქნება.

როგორც ცნობილია არსებობს ტერმინი მელამი – განსაკუთრებული ბრწყინვალება, რომლითაც შემოსილი არიან ღმერთები. მასში დაუნაჯებულია მთელი ძალა ღმერთებისა, ღვთაებებისა. თუმცა ის უხილავი ძალაა, ის არ არის შექი. მელამი შედარებულია იზისთან. იზი ცეცხლი არ არის, ის ალის ზევით დაიკვირვება (ცეცხლი გვათბობს და კიდევაც გვწვავს). თუ მიეჩნევთ, რომ მელამი და იზი საერთო ფუნქციის მატარებელია, მაშინ შესაძლებელია იზი დაგუავშიროთ ლიმზირს, მზირას. ლიმზირში, როგორც მელამში, გარკვეული დოზით – ადამიანური შესაძლებლობის ფარგლებში, უხილავი სხივური ძალაა, იზია. და ლოცვის ძალი სწორედ ამ ძალით ხორციელდება. თუმცა ამ მოსაზრებას უშორესი წარსულისკენ გახედვის სურვილი განპირობებს. მრავლადაა შუმერ-

აქადებთან კავშირის დამადასტურბელი ფაქტები და, ალბათ, მკვლევართა მომავალი თაობები გაბედავენ ამ სიმართლესთან მიახლოებული ისტორიის შექმნას.

ზენ კი კვლავ ვიმოგზაუროთ კოსმიური პანგების სამყაროში.

ისევ ბუბა გერგთან ვარ სტუმრად. დავამთავრეთ ლამზირიაზ და დავიწყეთ მესამე საგალობელზე მუშაობა. ესეც ჯერ ბიჭებმა უნდა ისწავლონ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისინი იცნობდნენ ამ საგალობლებს და გერგის სწავლებას სწრაფად ითვისებდნენ. მაგალითად, საგალობელი დიადებ, რომელსაც ახლა განვიხილავთ, სულ სამჯერ გაიმეორეს. დამწყები გივი ფირცხელანი გახლდათ.

## დიადებ

მლოცველი: დიადებ, დიადებ, დიადებსი პო!

სოლისტი: დიადებ, დიადებ სი პო!

გუნდი: ლაიპაი დიიადებ,

თარინგლებერსი პო!

მლოცველი: სიუ ლოგშედა ყერულდ მიჩაშოი

გუნდი: სიიუ ლოგტია შედაი

ლაიპაი ყერულდიო

მიჩა შოო პო

მლოცველი: ჩიაგ შდუე ჩიაგ უჩხე

სოლისტი: ყერულდ ისგუამ მიჟხაწედაი

ჩიიააგიტა შდუეე

ლაიპაი ყერულდიო

ისგუამ მიჟ ხაწეედაი ოო

დიდება, დიდება, დიდება შენდა, პო!

დიდება, დიდება შენდა!

ლაი პაი, ალბათ, პაის წინსართია, პაი კი უპვე განვმარტეთ. ლაიპაი დიიადებ – მთავარანგელოზს პო.

სივ ლოგტედა ყერგლდ მიჩაშო – ყერ ძალაა, მადლია ანგელოზების. ზოგან

ყერს მთავარანგელოზის სინონიმადაც ასახელებენ. როგორც ამ საგალობელში არის ნათქვამი, შენ შეგვეწიე ყერულდ. აქ ყერულდში იგულისხმება მთავარანგელოზი და თვით ტაძარი. თუმცა სვანები იფიცებენ არა მარტო უშუალოდ ღმერთს, ჯგურად ს, მთავარანგელოზს, არამედ უფრო მეტად მათ ყერს, მაგალითად, ხოშა ღერთე ყერლო – დიდი ღმერთის მადლობა. ჯგურად უშუალო – წმინდა გიორგის მადლით. თარგლეზერთე ყერლო – მთავარანგელოზის მადლით. მაშას-ადამე, იფიცებენ ღვთაების მადლს, ყერს, რომლის ძალაუფლებასაც ფლობს ღმერთი, ჯგურადი, მთავარანგელოზი. რატომ არ იფიცებენ მელამს? აქვე შეგვიძლია გუპასუხოთ ამ კითხვას და მეტი სინათლე შევძინოთ თვით მელამს და ყერს. მელამს, ღვთაების ძალას, მადლიც ახლავს და გამანადგურებელი ძალაც. ღვთაება ქმნის და ანადგურებს სწორედ მელამის ძალით. ამიტომაც სვანმა ღმერთის მადლს ყერ დაარქვა და მხოლოდ მის მადლს იფიცებს და სოხოვს შეწვნას. ესეც ხის ღორგელშედა ყერულდ მიჩრო, მეორე კუპლებში დანარჩენი, მგონი, გასაგებია.

შენ შეგვეწიე

ყერულდო შენდა.

მესამე კუპლებში მლოცველი ამბობს:

ყველგან თოვს და ყველგან წვიმს

ყერლდ შენთან მზე ანათებს.

გუნდი: ყველგანოო თოვებოთ

ლაიპა კუპლელდიო

შენდა მზე ანათებს, ოო!

მოგიდა ღვთის სადიდებელი მეოთხე საფერხულო სიმდერის შესწავლის და ჩაწერის დრო. ბუბა გერგმა ჯერ გაგვაცნო სიმდერის ზოგადი შინაარსი და ძალიანაც გაგვახარა: ეს ხომ იგივე დიდებაითად წოდებული დიდი ღმერთისადმი მიძღვნილი საგალობელია. მაგრამ, როცა ამ ფერხულის შესავალი წაიმდერა, ცოტა შევფიქრიანდით დადღილობის გამო, თორემ სურვილი მისი ჩაწერისა, რა თქმა უნდა, გამიასკეცდა. ბევრი რომ არ გაგაბრძელო, სიმდერაც ისწავლეს ბიჭებმა და მეც მოვახერხე ამ საოცრების ჩაწერა სწავლების მთელი პროცესით. აუდიოჩანაწერები ინახება ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის არქივში.

# ლაუდტიაშიშ დიადებ დიდი დმერთისადმი მიძღვნილი სარიტუალო ფერხული

დიადებსი ოვე პა,  
ბააილი პაი პეი დიაადებ!  
პოო დიაი პო დიაა პოო,  
ოდიო რეელი ლაიპაა დიაოდიო  
ოო ოოპაა პა.  
ოდი დიდაბ, დიდაბ ხოშამ დერმათ!  
ოო დიო ოოიდიო რეელიო,  
ოოდი ისგუამ დიდაბ სიუ ლოგუშედა  
ოოდიო პოიდიო რეელია,  
ოოდი კაინარ ჯირდას სგეშ ლალგენა,  
ოოდიო პოიდიო რეელია  
ოდი მუჭუბრ ხაგანს შიმ ოქრეში,  
ოოდიო პოოიდოო რეელია,  
ოოდი გიცრარ ჯირდას სგეშ ლალგენა,  
ოოდიო პოიდიო რეელია,  
ოოდი მუჭუბრ ხაგან შიმ ყორყოჯი,  
ოდიო პოიდიო რეელია,  
ოოდი დიდაბ, დიდაბ ხოშამ დერმათ!  
ოოდიო პოიდიო რეელია.

აღნიშნული ფერხული და ტექსტი ცნობილია ქართულ მუსიკალურ სამყაროში, ამიტომ მისი განამარტებისაგან თავს შევიკავებ. რაც შეეხება სახელწოდებას და შესავალს ამ სარიტუალო ფოლკლორული შედევრისა, შევეცდები, ჩემეული მეთოდით წარმოვადგინო მოსაზრებები.

ლაუდტიაშიშ დიადებ – ლაუდტიაშ ცნობილია ფოლკლორისტებისთვის, ის ნიშნავს წინამდღოდს, წინამდღოდ სიმღერა-საგალობელს თუ პიმნს და, ძირითადად, ამ სახელით მოიხსენიება დიდი ღმერთისადმი მიძღვნილი პიმნ-ფერხულები. რაც შეეხება სიტყვას დიადებ, ის პირველად გერგ ფირცხელანთან გაჟღერდა

და ანსამბლმა შგარიდამ მოელ ქვეყანას გააგებინა ამ ზემძღვრი პიმნის სიმ-დურით. თავიდან ვიფიქრე, რომ დიადებ საერთო ქართული დიდების სახეცვ-ლილი ვარიანტია, თუმცა დროთა განმავლობაში დაგრწმუნდი, რომ ვცდებოდი. ბუბა გერგმა თავიდანვე მიმანიშნა, რომ ეს სიტყვა მამა-პაპათაგან მოდის და ღმერთების სადიდებელია... დიახ, ღმერთების სადიდებელია, სიცოცხლის სა-დიდებელია, ცისა და მიწის კავშირის სადიდებელი და სიმბოლოა. სვანური დუთის სადიდებელი პიმნების საკრალურ ბგერათა ლაბირინთებში გამოვლილს შეიძლება სხვა მოსაზრება მქონდეს?

აღნიშნული ფერხულის შესავალი უცნობი აღმოჩნდა ფოლკლორისტებისათ-ვის, დღესაც მხოლოდ ანსამბლი შგარიდა ასრულებს. სვანეთში, გერგ ფირცხე-ელანის სოფელშიც კი, სადაც ეს საოცრება აღმოვაჩინეთ, დავიწყებულია. სა-მაგიეროდ, ანსამბლი შგარიდა აღმოჩნდა მისი გადამრჩენი და მასთან ერთად სხვადასხვა ქანრის ორმოცივე სიმღერის რეფრენებს, ახალ სიცოცხლე შთა-ბერილებს, შეუნახავს მომავალ თაობებს.

ახლა კი შეგვჭიდოთ ლაუდუაშ დიადების შესავალს:

## ლაუდუაშ დიადებ

### შესაგალი

დიადებსი ოოგჸა

ბააილი პაი პეი დიააადებ!

ჰორი დიაი ჰორი დიაა ჰო,

ოდიო რეეელილაიპაა დიაოდიო

ოოი ოოპაა ჰა.

დიადებსი ოოგა, ჩემი ვარაუდით, დიადებსში ამ კონკრეტულ შემთხვევაში მარტო დიდება არ იგულისხმება. აქ თვით ღმერთის სახეს წარმოაჩენს, რაც ოოგჸა მიმართვა, სადიდებლით დასტურდება. მეორე მუხლში – ბააილი პააპეი დიააადებ – ბაილი, როგორც საკრალური სიტყვა, პირველად შემსვდა რელი-გიურ სიმღერაში, თუმცა არის სიმღერა ეპოსი მონადირე ბეთქილზე. სიმღერის ყოველ მუხლში ნახსენებია ბაილი; ბაილ ილპაადა ილპაიო ბაილ. ზოგი ავტორი წერს, რომ ბაილ, იგივე ბეი, მაჲმადიანურ სამყაროში წარჩინებულის, მდიდრის

ზეწოდებაა. სგანურშიც შემოსულია ეს სიტყვა: მდიდარ, შეძლებულ ოჯახს ბაი მეზგეს უწოდებენ, მაგრამ უძველეს საგალობლებში ამ სიტყვის ჩასმა, რა თქმა უნდა, უმართებულოა. ასევე ვერ მოვუხმობთ ქანაანელთა, ასურელთა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნების მთავარ დვთაება ბაალს, რომელიც ადამიანთა (განსაკუთრებით ბაგშვთა) სარიტუალო მსხვერპლ შეწირვით საზრდოობდა. ალბათ, ისევ მოგვიწევს საგალობლის რელიგიური არსიდან ვივარაუდოთ, რომ ბააილი საქრალური სიტყვაა, რომელშიც უნდა მოიაზრებოდეს სიცოცხლის საწყისის ცნება. პაის და პეის მნიშვნელობა უპვე ვიციო. პაი ნატვრის პრინციპზე აგებული ყოველგვარი სიკეთისა და კეთილდღეობის თხოვნა-მოთხოვნის ფართო მცნებითი საკრალური სიტყვაა. პეი (პე) – ვედრება, მიმართვა. დიაადებ უკვე განვმარტეთ.

მეორე მუხლი – პოო დიაი პოი დიაა პო – უკომენტაროდ, ვიცი, რომ მკითხველი მოახერხებს მის გაშიფვრას. მესამე მუხლი შედარებით რთული ასახსნელია – ოდიო რეკელილაპა დიაოდიო. ოდიო გასაგებია – მუხლის დამწყები სიტყვა-ბგერაა. რეკელილაპა, ვფიქრობ, ამ რთულ წინადადებაში ორი საქრალური სიტყვა გაერთიანებული: რელი და ლაპა. რელი ლვთის სადიდებელ მრავალ პიმნში გვხვდება, მაგრამ განსაკუთრებით დიდი ღმერთისადმი მიძღვნილი. დიდებითას შესავალია საწესო სიმღერა რაილი. არსებობს უფლისადმი მიძღვნილი ქვემოსვანური (ლენტეხური) ვარიანტი სახელწოდებით რალიტეპა. შედარებითი ანალიზის საფუძველზე ჩამოვაყალიბე მოსაზრება, რომ რაილი, როგორც საკრალური სიტყვა, არის ოვით დიდი ღმერთის ეპითები, მასში გადმოცემულია ღმერთის, როგორც ლვთიური ნათლის, ლვთიური ენერგიის შემოქმედის სახე. ამიტომ ყველა საწესო სიმღერაში გამოყენებული რელი არის ეპითები და სიმღერლო დიდი ღმერთისა. ვფიქრობ, ეს ტერმინი ლილებაც უკავშირდება, ვინაიდან ლილე დიდი ღმერთის უძველეს სახელად მიიჩნევა. ალბათ, აღნიშნულის გამოა, რომ ზოგიერთი მკვლევარი ლილეს მზის საგალობლად მიიჩნევს. საერთოდ, ძველი წარმართული ღმერთები, განსაკუთრებით შუმერული, მზიური ღმერთებია. სინათლის, ნათლის გამომასხივებულმა ღმერთებმა დაამარცხეს ქაოსი და სიბრძე. ასე რომ, მზეს სვანი კაცი დიდ ღმერთად არც ერთ ეპოქაში არ თვლიდა. ზემოთ თქმულის მიხედვით, ოდიო რეკელილაპა დიაოდიო, ჩვენი ხედვით, უფლის, როგორც ნათლის, დიდებაა. აღსანიშნავია, რომ

ლაქლვიაში დიადების, რაილის (დიდებათა), რაიდოოს ფერხულებში გარკვეული საფერხულო ნაბიჯების გადადგმის შემდეგ ტაში მიმართულია საფერხულო წრის ცენტრისკენ. როგორც ჩანს ეს რიტუალი კოსმოგონიური იდეის მატარებელია და ადასტურებს მანანა ხიდაშელის მოსაზრებას (თავის მხრივ იმოწმებს ქ. ალავერდაშვილს): „ფერხულთან დაკავშირებული უძველესი ფენა კოსმოგონიური იდეის მატარებელი იყო. წრიული ფერხული გამოხატავდა სამყაროს წრებრუნვის იდეას მისი ცენტრის გარშემო, ცისა და მიწის კავშირს საკრალური ცენტრის გარშემო“ (ხიდაშელი, 2005).

სვანურ რელიგიურ-სარიტუალო სიმღერებსა და ფერხულებში ეს ცენტრი შეიძლება წარმოვიდგინოთ როგორც ანგი, სიცოცხლის ხე, ტაძარი. სწორედ ამ საკულტო სიმბოლოების გარშემოვლით სრულდებოდა საწესო-სარიტუალო სიმღერები: კვირია, ლაქლვიაშ დიადები, რაიდოო, რაილი, შაიდა ლილე და სხვ. დიდი ღმერთის სადიდებელ საწესო-სარიტუალო სიმღერებში უკვე შეიძლება ცალკე ჯგუფად გავაერთიანოთ: ლაქლვიაში დიადები, რაილი დიდებათა, ლა-გუშება, შაიდა ლილე, რაიდოო.

რაიდოო, როგორც ლაქლური შიშ დიადები, გააცოცხლა ანსამბლმა შგარიდამ.

## ცხატურისდეშ

საგალობელი ცხატურისდეშ ჩავიწერე ეცერში აივენგო, ჩიხო და მუშნი გურჩიანებისაგან. დაამუშავა და ანსამბლის რეპერტუარში შეიტანა ფოლკლორულმა ანსამბლმა შეარიდამ.

საგალობელი საინტერესოა იმით, რომ მისი ეპითეტი ცხავი არის ნაყოფიერების ღვთაების ატრიბუტი. „ძველ ხალხებში მიღებული იყო ღვთაებათა მოხსენიება ეპითეტებით, მათი ტაბუირებული სახელის შენიღბვის ან ფუნქციის გაძლიერებულად გამოხატვის მიზნით“ (სურგულაძე, 1981:25). როგორც უკვე განვხილეთ, ცხავი და ცხავის ტიპის დაწესებული და დამსკვრებილირიანი ნივთიერი სიმბოლოები – საცერი, გოდორი, კალათი, საწური, ჩელტი – ცხავის იდეას გამოხატავს. ამ ატრიბუტებს ცხავის ტიპის და ცხავის იდეის გამტარებელ სიმბოლოებს უწოდებს ირაკლი სურგულაძეც. სვანმა სასულიერო მოღვაწეებ-

მა, როცა ეს შესანიშნავი საწესო-მუსიკალური შედევრი შექმნეს, მას ქრისტეს გაითები ცხავი წარუმდგარეს, რომელიც, აგრეთვე ნაყოფიერების დვთაების და, საერთოდ, ნაყოფიერების უძველესი სიმბოლო და ოტრიბუტია.

რაც შექმნა საგალობლის ტექსტს, მისი შინაარსი და სტრუქტურა, ბერეათწყობა აგებულია მხოლოდ ქრისტეს საგალობლებისათვის დამახასიათებელი აზრით, იდე- გოთ და სიტყვით. ჩვენ უპვე განვიხილეთ საგალობელიპიმზი ლამზერიაშ (ლოცვისა), ქნახეთ, რომ ამ პიმზის მთავარი ძარღვია საკრალური წინადაღება ლალმეზურად (ვილოცოთ), რომლის ფონზე და რომლის ირგვლივ საკრალურ სიტყვათა (თხოვნა, მიმართვა, მოხმობა, სამადლობელი) მთელი კასკადია. ჩვენს განსახილველ საგალო- ბელ ცხტურისდებული ეს იდეა და შინაარსი უფრო თვალსაჩინოდაა წარმოდგენილი.

## ცხტურისდებული

ცხაააუ ქრისიორო დეეშიია პო  
ოოპოო ლალმეეე ზი პაააი ოოდა

რაამსი ოოოპო

დიპაააო იეეპე ოოპოო პაა  
პოო იეეპა

ცხაააუ ქრისიორო დეეშიია პო  
ოოპოო ლალმეეე ზიპაააი ოოდა

რაამსი ოოო პო

დიპაააო იეეპე ოოპოო პა  
ამ საგალობლის მთელი აზრი ჩადებულია ერთ წინადაღებაში: ცხტურისდებუ-  
ლალმეზურად – ცხავქრისტეს მადლით ვილოცოთ.

ახლა საგალობლის ტექსტის წყობა განვალაგოთ ისე, რომ ამოვიკითხოთ ლა-  
ლმეზირად (ვილოცოთ):

ოოპო ლალმეეე

ზიპაააი ოოდა

რაამსი ოოოპო

დიპაააო იეეპე ოოპოო პა

საზგასმულები შეკვეთი წავიკითხოთ და მივიღებთ საგალობლის მთავარ სავედრებელ საკრალურ სიტყვას ლალმეზირად (ვილოცოთ). წარმოდგენილ ნიმუშში თითოეული მუხლი ცალკე მიმართვის, თხოვნის, ვედრების სადიდებელი საქრალური ბგერა-სიტყვებითაა შემაგრებული, რომელიც ინტონაციაში შესაბამისი ქრონლოგიითაა ჩასმული. როგორც აღვნიშნეთ, ცხავის იდეის მატარებელ ნივთებში სარიტუალო პროცესებში უფრო ხშირად ვხვდებით საცერს, სვანურად ცხრილს, რომლის ცხავთან ყველაზე მეტი სიახლოებე აშკარაა. ცხრილს (საცერს) საკულტო ენაზე ფარასაც ეძახიან (ფარას შესახებაც გვაქვს ინფორმაცია). უკვე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საგალობელ-პიმინ ცხტუ ქრისტეშმა გადმოცემულია მაცხოვრის, ქრისტე ღმერთის, (ქრისტე დერმეთ) მთავარი ფუნქცია, ქრისტეს დათიური მადლით დაარწყელოს ნაყოფიერება, სიქეო, კეთილდღეობა, ბარაქა. თუ ჯგუფების, მთავარანგელოზის, დიდი ღმერთის, ლილებს საგალობლებში ჩვენი დოცვა, ვედრება, დიდება გამოხატულია ერთ მთლიან სურვილში ლაგუშედაში (შეგვეწიეთ), ქრისტესადმი მიძღვნილ საგალობელში, უკვე გააზრებულია ის, რომ მაცხოვრის მადლი უკვე არის სამყაროში, ის ჩვენშია, ის მუდამ ჩვენს გვერდითაა და ამ მადლს უნდა აღვიქვამდეთ ლოცვით (ლიმტურში).

ეცერში აივნებო, მუშვნი და ჩიჩო გურჩიანებისგან კიდევ ორი სიმღერა ჩავიწერე: ზაშინაგა – სამონადირეო სიმღერა და სალაფობო – ავლითა ი მაგლითა. ორივე სიმღერა, გახა და ცხტუქრისდეშთან ერთად, დაამუშავა ანსამბლმა შვარიდამ და საკონცერტო ნომრებად ასრულებს.

## ზაშინაგა

ზაშინაუაიი ზაააშინაუა,

ზააში ჩოილამარე,

ო, ზაშინა

ა ლათხუბრთე აჩად,

ზაააში ჩილამარე.

ო, ძუღუას აჩად ცუზარ ჰდიორმ,

ზაააში ჩოილამარე.

ო, ტუბას აჩად დაშლურ ადგარ

ზააში ჩოილამარე.

ო, მინდურს აჩად ლაჩურ ადგარ,

ზააში ჩოილამარე.

ო, ცხეკას აჩად ჰერსკნარ ადგარ,

ზააში ჩოილამარე.

ო, კოჯას აჩად ლუაშურ ადგარ,

ზაააში ჩოილამარე.

ო, ზაშინაუა ჩუ შდსადგუმან,

ზააში ჩოილამარე.

ო, ზაშინაუად წუად ანტყაბე,

ზაში ჩოილამარე.

ო, ზაშინაუას დაუ ლახმუშგურან,

ზააში ჩოილამარე.

ო ზაშინაუად დაუ ჩუ ადგარ,

ზაში ჩოილამარე.

## ზაშინავა

ზაშინავა, ზაშინავა,

ზაში ჩოილამარე,

ზაშინავა სანადიროდ წავიდა,

ზდვაზე თევზები დაიჭირა,

სეობაში დათვები მოკლა,

მინდორში ირმები მოკლა,

ტყეში შველი მოინადირა,

კლდებში ჯიხები მოკლა.

ზაშინავა დაბინავდა,

ზაშინავამ სორცი შეწვა,

ზაშინავას დევი ესტუმრა,

ზაშინაგამ დევი მოკლა.

ეს სიმღერა შესაძლებელია სვანურ მითოლოგიურ გმირს ჩორლას ეძღვნებოდეს, რომელიც ნადირობის დროს დევებს შეეტაკა და ჯგრაბმა (წმინდა გიორგიმ) გადაარჩინა. ჯგრაბი შეერია დალებს – ჩემს ერთგულ მორწმუნეს მხარი რად მოსტებეთო (გელოვანი, 1983:542). სახელწოდება თუ წინადადება ზაშინაგა შესაძლებელია როგორც ჯგრაბის კაცი, დალოცვილის ეპითეტით (ლიგაზები) გავიგოთ. მეორე ახსნაც შესაძლებელია მოქმებნოს, მაგალითად: ზაშინატა – ზაში-ნატა.. ნავა კაცის სახელია, ზაში – საქრალური სიტყვა, შეიძლება განვიხილოთ როგორც დალოცვილი, ჯგრაბის კაცი ე. ი. დალოცვილი ნავა. რული ჩოილამარჯ შეიძლება გავიგოთ, როგორც მოქნილი, გამბედავი კაცი (ლამარგ). თუმცა მთავარია, რომ სიმღერა არსებობს, რომელიც გარევეული მოთოლოგიური და სარიტუალო სასიათისაა.

## ავლითა ი მავლითა

ოოდა, აულითა მაულითა,

დიმთილ-მიმთილ ყოორს ჯაგენას

აააულითითაია უაი ჰაი ჰა,

ოოდა, აულითა მაულითა

შეხმაშერსო ყორს ხაგენას,

აააულითითაია უაიჰაიჰა.

ოიდა, აულითა მაულითა,

მანოლს ყორა მად ხოკარა,

აააულითაია უაიჰაი ჰა.

ოოდა, აულითა მაულითა,

მადილ ჯერი ყორა ჩუქნქარ,

აააულითაია უაიჰაი ჰა.

ოოდა, აულითა მაულითა,

მანოლს ყორა ჩუ ხოკარა,

აააულითაია უაი ჰაი ჰა.

ოთდა, აულითა მატლითა,  
დარჯგლ ლარბდალს სგაუ ხასგურენა,  
აააულითაააია ტაი პაი პა.

ისევ ვეწვიე ბეჭოს თემს. ვარ კაპო კვიციანის ოჯახში, ვესაუბრები სვანური  
ტრადიციების, სვანური სიმღერებისა და სვანური სამართლის უბადლო მცოდნე  
კაპო კვიციანს. მასთან საინტერესო საუბრის შემდეგ ჩავიწერე სრულიად უც-  
ნობი ორი სიმღერა – ქალდან მურზა და ყაით სუმა. სიმღერა ქალდან მურზა  
ეძღვნება კაცს, რომელიც ებრძოდა დადგუშქელიანებს. გავეცნოთ ტექსტს:

## ქალდან მურზა

ოოი უდა, ოი საბრალე ქალდან მურზა,  
ოოოი ოოპო!  
ოოი უდა, ხილზიგალე თატრარ სოფელსი ოპო პოო პო!  
ოოი უდა, ლალზიგალას დემ ჯახურიესდახ  
ოოი ოოპო!  
ოოი უდა, ისლამ ჭაბიკუ დაჩქელანაში  
ოპოპოო პო!  
ოოი უდა, ქაუმეჩდეხი თი სატიოკ,  
ოოი ოოპო!  
ოოი უდა, ხილზიგალე სოფელ საუისი  
ოპო პოო პო!  
ოოი უდა, ხგაუმეტხეხი თი სატიხენ,  
ოოი ოოპო!  
ოოი უდა, აშ ჯიბინა ლიშიალე,  
ო პო პოო პო!  
ოოი უდა, აშ ჯიბინა ლიშიალე,  
ოოი ოოპო!  
ოოი უდა, ჟიშ ჯიხურიტა დაჩქელანარი,  
ოპო პო პო!

## ქალდან მურზა

ოი, საბრალო ქალდან მურზა,  
გიცხოვრია სოფელ თავრარს,  
ცხოვრებას აღარ გაცლიან,  
ისლამი გმტრობს დაჩქელანი.  
გადასულხარ ბალყარეთში,  
გიცხოვრია ბალყარეთში,  
დაბრუნებულხარ ბალყარეთიდან  
და დაგიწყია ომი,  
დაგიმარცხებია დაჩქელანები.

კაკო კვიციანს სიმღერა ყაიო სუმას ტექსტის მხოლოდ ნაწილი ახსოვდა,  
გვითხრა, ცოლ-ქმარზე, მათ სიყვარულზეა აგებულიო. მე იმითაც ვიყავი კმაყო-  
ჯილი, რომ სიმღერა მთლიანად ჩავიწერე და ანსამბლმა შგარიდამ ორპირული  
ცერტულით შესანიშნავი სიმღერა წარუდგინა საზოგადოებას.

## ყაიო სუმა

ოოდა, ყაიო სუმაიო ჯაშო მინდოდა,  
ყაიო სუმადა ჯაშო საიო,  
ოოდა, ეწყიინებაიო ბექეოი მურზასა,  
ეწყიო ნებადა ბექეოი მურზასა.  
ოდა, შანაიო გუმაიო გუირგუინისა ქებასა,  
შანაიო გუმადა გუირგუინისა ქებასა.  
ოდა, გულაი გწეიოდა რაჭშაოი შუებასა,  
გულაიო მწეიო რაჭშაოი შუებასა.  
დაბა მესტიაში მაქსიმე გვარლიანისაგან საგალობელი გაბრიელ მახარე-  
ბელი ჩავიწერე. სვანეთში ერთადერთი ის აღმოჩნდა, ვისაც ეს საგალობელი  
ახსოვდა.

## გაბრიელ მახარებელ

გაბრიელ მახარებელს იქვთო,

გააახაროთ იი იპაი მრაულსაი.

ოი, გაბრიელ სიჰეოო,

გააახაროთ იი იპაი მრაულსაი,

ოოი, გაბრიელ თარინგზელ,

ლიმზირ ბედნიარ ანმწრჯუი ოოი.

ოი, გრენ სი ოო ჰოო

გრეენსიო იი იპაი ბრაულსაი.

ოოი, გაბრიელ სოჰეოო

მაახაროთ იი იპაი ბრაულსაი.

ოოი, გაბრიელ თარინგზელ,

მ!რმად სი ლენეშდიი ოოო.

ოოი, ჩელსიოოო,

ჩეელსიო იი იპაი ბრაულსაი.

ოოი, გაბრიელ სიჰეოო

გაახარო იი იპაი ბრაულსაი.

ოოი, გაბრიელ თარინგზელ,

ჩინჩუილ ბედნიარ ანმწრჯუი ოოო.

ამ საგალობელს ძეობაზე ამბობდნენ. ლოცვის შინაარსიც ამაზეა აწყობილი.

პირველ სტროფში ძირითადად, მელოდიაზე აწყობილი სიტყვებია: მაგალითად, ბრაგალი არაფერს არ ნიშნავს, ის უბრალოდ გაბრიელის სახელს მიმსგავსებული სასიმღერო სიტყვაა.

გაბრიელ სი ჰეო – სი ჰეა ჩეენ უავე გავშიფრეთ – ის საკრალური წინადაღებაა და ნიშნავს დიდებას, ვედრებას.

კუპლეტი მთავრდება გაბრიელ მთავარანგელოზისადმი სადიდებელი ან სავედრებელი საკრალური წინადაღებით: გაბრიელ თარინგზელ, ლიმზირ ბედნიარ ანმწრჯუი ოო – გაბრიელ მთავარანგელოზო, ჩვენი ლოცვა ბედნიერად აგვიხდინება.

მეორე კი ასე იწყება: ოი, ბრენსიოოო. ბრენსიოც გაბრიელის სახელს მიმსგავს-

ებული სასიმღერო სიტყვაა. იგულისხმება გაბრიელი. სტროფში იგივე სიტყვები მეორდება, ოღონდ ბოლოშიც სიმღერით ითქმება. გაბრიელ თარინგზელ, მერმად სი ლენჯძი, ო – გაბრიელ მთავარანგელოზო მეორეჯერ შენ შეგვეწიე, ოო.

მესამე სტროფი ბავშვის ბედნიერების ლოცვაა. ბავშვს ჩინჩუილ ჰქვია, ამიტომ სტროფის სათაური თი, ჩელიააა უკვე გასაგებია. დამამთავრებელი მუხლებია: ოოი, გაბრიელ თარინგზელ, ჩინჩუილ ბედნიარ ანშერჯუში, ოო – გაბრიელ მთავარანგელოზო, ჩილი ბედნიერი გახადე, ოო.

## ლილე

დვოის სადიდებელი პიმი ლილე უმელეს წარსულში რომაა ფესვგადგმული, ამაზე დღეს არავინ დავობს, თუ არ ჩავთვლით იმას, რომ მკვლევართა ერთი ნაწილი მას მზის სადიდებელ პიმნად მიიჩნევს, ზოგი კი – დიდი დმურთისადმი. ასევე არის მცდელობა ლილეს მთავარანგელოზთან დაკავშირებისა.

ფართოდ განიხილება ლილეს შუმერულ უზენაეს დვთაება ენლილთან კავშირი, რაც, რა თქმა უნდა, მეტად მნიშვნელოვანია და მეც ამ თემის უფრო სიღრმისეული შესწავლის მომხრე ვარ.

არსებობს ლილეს პიმური და საფერხულო ვარიანტები. ჩვენ ჯერ შემოგთავაზებთ ორივე ვარიანტის ტექსტს, შემდეგ კი, შეძლებისდაგვარად, ჩვენეულ კომენტარებს.

## ლილე

ოოო, ლილე, ოოო!

ისგუააამი დიდაააბიოოო

ლილგუაააიოოპო შიილედა,

ოოოდი ოოპო, ლიილეე!

ი ოდი ოო, ლილედა,

ისგუააამი დიდაააბიოოო

ლილგუაააიოოპო შიილედა,

ოოოდი ოოპო, ლიიილეე!

ი შაადი ოოოი, ლილეეოოო,  
ოოქრეეში სამკააალიიო  
ლიილგტაააიოოო შიილეედი,  
ოოიდი ოოპო, ლიიილეე, ოო!

ამ ჰიმნის ტექსტს კომენტარი არ სჭირდება, ვინაიდან მას მთელი საქართველო  
და თითქმის მთელი მსოფლიო მდერის, მაგრამ მაქვს ჩემეული მოსაზრება და  
მიმაჩნია, რომ ეს არც სიმღერას და სასიმღერო ტექსტს არ დააზარალებს.

ტექსტში არის მუხლი ძერეში სამკაალიიო თარინგლეზერსიდა. ამ წინა-  
დადებაში თითქოს აზრი არ დევს, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ოქროს სამ-  
კალი ფოლკლორისტებსა და თვით მომღერლებს შორის აღქმულია, როგორც  
ოქროს სამკაული, რაც, ჩემი აზრით, მცდარია და ამ სამყაროული ჰიმნის იდეას  
თავიდანვე აუფერულებს. სამკალი სვანურ ენაშიც ყანაა, განსაკუთრებით მიწის  
გარკვეული მონაკვეთი, რომელსაც უძღვნიდნენ რომელიმე რელიგიურ დღესას-  
წაულს. ამ მიწაზე მოწეული მარცვლეულის მოსავალი მთლიანად იხარჯებოდა  
დღესასწაულისათვის (ზედაშე, პური და სხვ). როგორც სოფელ ბერის მკვიდრმა  
გოჩა სორგუანმა ამისსნა, ახეთ ნაკვეთებს სამკალს უწოდებდნენ, რაც შეეხ-  
ება საკრალურ წინადადებას ოქრეშ სამკალ – ოქროს ყანა უნდა ვიგულისხ-  
მოთ, თვით დვთაების, ამ შემთხვევაში ლილეს საუფლო, რომელსაც, ბუნებრივია,  
ლილგტაიშელედას, ანუ ლაგუშედას (შეწენას), სთხოვს სვანი. ჩემი აზრით,  
თარინგლეზერიც (მთავარანგელოზი) არ არის შემთხვევით ნახსენები: მიქაელ  
მთავარანგელოზის, როგორც ანგელოზთა დასის წინამდოლისა და ლუციოფ-  
ერის დამამარცხებლის ფუნქციები თითქოს შევსებულია წარმართული ნაყ-  
ოფიერებისა და ტაროსის დვთაებათა თვისებებით. ამიტომაც სვანი ლოცვებში  
მოიხსენიებს, როგორც სიქეთის და სიუხვის შემქმნელ-მომმარტებელს. სვანეთის  
ალპურ ზონაში (უმეტესად ტბების მიმღებარედ) მიქაელ მთავარანგელოზის  
სახელობის ტაძრებში ტაროსის შემაკავებელ ლოცვებსაც აღავლენენ სვანები.  
ეს თვისებები ძლიერდოს მიქაელ მთავარანგელოზს თითქოს შემერულ უზე-  
ნაეს დვთაება ენლილთან აახლოებს. სვანთა მითოლოგიური სედვით, სწორედ  
მიქაელმა შექმნა სიცოცხელე და ადამიანები, ცხოველები. როგორც ჩანს, და  
ამაში დრმად ვარ დარწმუნებული, სვანი სასულიერო მოღვაწეები ფლობდ-  
ნენ ცოდნას შორეული შემერული და მთელ აღმოსავლურ ცივილიზაციათა

რელიგიებისა და მითოლოგიური სამყაროს შესახებ და პქნიდათ თვითმყოფადი, ზოგადქართული კულტურით ნასაზრდოები სულიერი კულტურა, რაზეც უკვე კონკრეტული მაგალითებით ვსაუბრობთ ამ ნაშრომში. ასე რომ, მიქაელ მთავარანგელოზის ხენებას ლილებს პიმნში მე არ ვეწინააღმდეგები, მაგრამ მიმაჩნია, რომ საჭიროა დამატებითი კვლევა მთის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ტაძრების საწესო-სარიტუალო დდეობებისა და მათი ფუნქციონირების შესახებ სხვადასხვა ეპოქის ისტორიულ ჭრილშიც განიხილებოდეს. ჩემი წინასწარი მოსაზრება კი ასეთია: მიქაელ მთავარანგელოზი ქრისტიანობამდელი ის დვთაებაა, რომელიც თავისი არსებობის ძველაღთქმისეულ პერიოდში ეპლესიას წარმართებთან ბრძოლაში იმედად ეგულებოდა. ისევ დავიმოწმებ ზეად გამსახურდიას: „მიქაელ მთავარანგელოზი არის არსება, რომელსაც ჰყავს პროტოტიპები ანტიკურ ეპოქაში, ქრისტიანობამდელ ეპოქაში. ის არის არსება, რომელიც გვევლინება ნაყოფიერების დვთაებათა მცველ, ამინდის, ჭექა-ქუხილის დვთაებათა სახით, როგორც ძველ ინდოეთში ინდრა, მესოპოტამიურ სამყაროში მარდუკი, პალეოკავკასიურ სამყაროში ტარჟ“ (გამსახურდია, 1990:19-20). სვანეთში კი მას, მამა-პაპათაგან გადმოცემით, ლილებს უკავშირებენ. ლილესა და ენდილის კავშირს მკვლევრები აღიარებენ არა მარტო მათ შორის ფონეტიკური მსგავსების გამო, არამედ იმიტომაც, რომ მათ მიმართ მიძღვნილ ტექსტებში ნახსენებია ხარები, მინდვრები, ოქროს ყანა, რომელიც დვთაების სიმბოლოც არის და საუფლოც. „შუმერულ მითოლოგიაში გუთანი თავის თავს მინდვრების ზედამხედველს უწოდებს, რომ მისი წყალობით ენდილის ბედლები სავსეა ხორბლით, რომ მეფე მის სახელზე კლავს ხარებსა და ცხვრებს, ჩამოასხამს დუდს ჭურჭლებში, ხარებს შეაბამს უდელში“ (ხიდაშელი, 2005:171).

გნებავთ მტკიცებულება? შემოგთავაზებთ შაიდა ლილებს ტექსტს. ორპირული სიმღერა ცერხულით.

## შაიდა ლილე

შააიდა ლილეო,

ისგუამი დიდაბით რილგუაია შიადა,

შააიდა ლილე.

ოო, შააიდა ლილეო,

ოქრაში სამკალიო რილგუაია შიადა,

შაააიდა ლილე.

ოო, შაააიდა ლილეო,

დიდაბი დიდაბიო ხოშამა ლერმათა,

შააიდა ლილე.

ოი, შაააიდა ლილეო,

ჯაინარი ჯირდახიო სგეშ ლალგენასოო,

შაიდა ლილე.

ოი, შაააიდა ლილეო,

მუჭუტარი ხაგანხიო შუიმ ოქტრეშიო,

შაიდა ლილე.

ოი, შაააიდა ლილეო,

ჰაკუდარ ხადახიო დიმ-კორკოზა,

შაიდა ლილე.

ოი, შაააიდა ლილეო,

გიცრალი ჯირდახიო სგეშ ლალგენასოო,

შაიდა ლილე.

ოი, შაააიდა ლილეო,

მუჭუტარი ხაგანხიო დამ ყორქოჯანიო,

შაიდა ლილე.

ოი, შაააიდა ლილეო,

შაიდა ლილეო.

ჰაკუდარ ხაგანხიო დამ ხორხოზალე,

შაიდა ლილე.

შაიდა ლილეო,

ყიასი ხორკუდას დამ რუქნალე,

შაიდა ლილე.

როგორც ვხედავთ, ყველა გზა ლილეხერ მიდის. ლილეა ის დიადი პიმნი, რომელიც უხსესოვარი დროიდან უცვლელად ქდერს, მისი ინტონაცია, მისი ქდე-რადობა, არამიწიერი ჰანგი, სულ რაღაც რამდენიმე წინადადებით გამოხატული, ნებისმიერ მსმენელში მსოფლიოს მასშტაბით მოწიწებას, აღტაცებას, თაყვანის-

ცემას იწვევს. მე ყოველ მოსმენაზე დღილებს პანგები მარწმუნებს, რომ დმერთი არსებობს. ამ თემის უფრო მეტი სიცხადისათვის აქვე მოგვყავს შუმერული ენლილის სახოტბო პიმი:

## შუმერული ენლილი

ბრძენო მეუფეო, ვინ იცის ნება შენი?  
ძლევამოსილო, ექურის ბატონო,  
მთებში შობილო, ქართა მეუფეო,  
ცათა საბეჭენი გიჭირაგს შენ,  
ცათა გასაღები გიპყრია შენ,  
ბატონო დიდებულო, მამის გმირთაგმირო,  
ექურის მეუფეო, მტერთა შემმუსერელო,  
გუთანს რომ უძღვები, ეს შენ ხარ ენლილი!

ამ დიდებულ პიმის კითხეულობ და ზემო სვანეთში, ლაშერაშის თაგზე, დიდი დმერთის (ფუსდ მჟაშ) ტაძრიდან გადაჰყურებ სამყაროს. ტაძრიდან, რომელიც დასაბამის უტყვი მოწმეა და რომელშიც ენლილ-ლილეს მადლი და ძალად დაუნჯებული. გადაივლი მთა-მთა და მოილოცებ მიქაელ მთავარანგელოზის ტაძრებს. დიდება დეშდერის კაიშის თარგლეზერს (მთავარანგელოზს). ეცერის ლახვა თარგლეზერს (მთის მთავარანგელოზს), იქვე ეცერის მიქაელ მთავარანგელოზის ტაძარია, სადაც ეცერლები სტიქიური უბედურების ასაცილებლად ატარებენ დიდ ლოცვა-რიტუალ კირიოლას. თუ სტიქია გრძელდება, სვანეთის სხვა სოფლებიდან მოდის შეტყობინება: რას უცდით, ეცერლებო, რატომ არ ატარებო ლოცვას? ეცერიდან არც თუ ისე შორს, მაღალ მთაზე აღმართულა იდუმალი მეზირის მთავარანგელოზის ტაძარი, სადაც ტარდება ნაყოფიერებისადმი მიძღვნილი დიდი დდესასწაული ლიქროში. იქვეა წმინდა ტბა, რომლის შებდალვა ტაროსს არისხებს. თუმცა ტბა ამ შემთხვევაში საფრთხობელა სრულებითაც არ არის. ეს გაფრთხილებაა ადამიანთა მიმართ: იცხოვრეთ დვთის ნების და წესების დაცვით, ადიდეთ დმერთი, რომელსაც ცის საბეჭენი უჭირაგს, რომელსაც ცის გასაღები უპყრია ხელთ, მხოლოდ ასე გიხსნით უფალი

ახალი წარდგნისგან. ამასგე დაღადებენ მესტიის მთის ჩახის მთავარანგელოზის და ქვემო სვანეთში ლაშეთის მახაშის მიქაელ მთავარანგელოზის სახელობის ეპლესიები. და სვანი კაცი ლოცულობს, აღავლენს ლოცვას მშვიდობისათვის და ამას ლილებს მძლავრი პანგებით გამოხატავს, რომელიც მთელ დედამიწას ეფინება, ვინაიდან მრავალ ქვეყანაში დიდი სიყვარულით და მოწიფებით მღერიან მას. დიახ, ლილებს პიმნია დედამიწისა, ის სიცოცხლის პიმნია, ის პიმნია სამყაროსი.

დასაბამიდან ლილებს მხოლოდ ერთი მუსიკალური ვარიანტი არსებობს. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ ლილებს უცვლელი ზეგარდმოსული პანგია, რომელსაც ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა მარადიული სიცოცხლე მიანიჭეს.

რაც შეეხბა ლილებს მზის საგალობლად მოხსენიებას, ოდესდაც დამკვიდრებული მცდარი შეხედულებაა, რომელსაც დღეს გაუაზრებლად იმეორებენ. ლილებს სამყაროს შემოქმედი, სიცოცხლის პირობების შემქმნელი უზენაესი და-თაების პიმნია და არა მზე, რომელიც პიმნში საერთოდ არ არის ნახსენები.

## რაიდიო

ეს სიმღერა აღმოგაჩინეთ კლადიმიერ ახობაძის წიგნში ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული (გვ. 56). სანოტო ჩანაწერიდან გამოვყავით მეორე ხმის შესატყვისი მელოდია და, ამ წიგნშივე თანდართული ტექსტის მიხედვით, შეარიდამ გაასამხმიანა ეს საწესო-სარიტუალო სიმღერა. შემდეგში შედარებისათვის მოვიძიეთ ეს სიმღერა სვანეთში, კერძოდ, ლენჯერში, მაგრამ, სამწუხაროდ, არავის ახსოვდა. ლენჯერში კლადიმიერ ახობაძეს გიერგ (გიორგი) ფილფანისგან ჩაუწერია იგი. გერგ (გიორგი) ფილფანის გადმოცემით, მაგალითად, ფერხული რაიდიო სრულდებოდა ლხინის დაწყების წინ, ასევე თარინგლეზერის (ეკლესია) შემოვლისას. სიტყვა რაიდიო არაფერს არ ნიშნავს, სიმღერის დასაწყისში – პო, პოიდივო რელიო – თავისუფალი გამოთქმაა.

მაღლობა დიდ ხელოვანს, საშუალება რომ მოგვეცა მისი ჩანაწერების მიხედვით გაგვეცოცხლებინა დიდი ღმერთისადმი მიძღვნილი საფერხულო სიმღერებისა და პიმნების დიდი ჯგუფის კიდევ ერთი საინტერესო ვარიანტი. ჩვენ კი

შეგვცადეთ მისი ხსოვნის პატიგსაცემად ამ ფერხულისთვის სრულყოფილი სახე მიგვეცა. პირველ რიგში, აღვნიშნოთ: სათაური, რომელიც არაფერს არ ნიშნავს, არაფრის სათაურად არ ჩაითვლება. ამ დროს რაიდიო დიდი ღმერთისადმი მიძღვნილი ფერხულის სათაურია. ამ სათაურის ფერხულს ბუნების აღორძინებისადმი მიძღვნილ საგაზაფხულო დღესასწაულ აღბა ლალობლზე ასრულებენ. ექვსი მოხუცი მურყვამზე ადის და კოშკში ჩატანებული ანგის შემოვლით მდერის, ოდონდ სულ სხვა ტექსტით. ამდენად, ჩვენ იძულებული ვართ რადაც სახლი მოვუძებნოთ ამ უშინაარსო რაიდიოს. ამისთვის ჯერ გაგეცნოთ ფერხულის ტექსტს:

### რაიდიო

პოო პოდიო რეელიო,  
დიდაბ, დიიდაბ პოო,  
პოიდიო რეელიო,  
ხოშამ ლერმათი პო!  
პოიდიო რეელიო,  
ლიმზერ ჯაარახი პო,  
პოიდიო რეელიო,  
ხოშამ ლერთაში პო.  
პოიდიო რეელიო,  
კაინტრ ჯირდახ პოო,  
პოიდიო რეელიო,  
სგეშ ლალგენასი პო.  
პოიდიო რეელიო,  
მუჭუჭრ ხააგანხი პო,  
პოიდიო რეელიო,  
შიმ ოქრეეში პო.  
პოიდიო რეელიო,  
გიცრარ ჯირდახი პოო,  
პოიდიო რეელიო,  
სგეშ ლალგენას პო.

პოიდიო ოქელიო,  
მუჭუარ ხაგანხი პოო,  
პოიდიო ოქელიო,  
შიმ თქრები პო.

პოიდიო ოქელიო,  
დიდაბ, დიდაბ, პო,  
პოიდიო ოქელიო,  
ხოშამ დერმათი პო!

აღნიშნული ტექსტი მუსიკალურ სამყაროში, განსაკუთრებით ფოლკლორის-ტექსტების, ცნობილია და მისი ქართული შესატყვისი არ არის აუცილებელი. გასარკვევია, რაიდიო და რეკლო რა ფუნქციის მატარებლია ამ საფერხულო სიმღერაში. ჩვენ წინა თავებში უკვე განვიხილეთ ეს საკითხი და განმეორებით განხილვისას, შეიძლება, რაღაც ახალი აზრი დაგვებადოს. არსებობს დიდი ღმერთისადმი მიძღვნილი ფერხული რაილი, რომელსაც დიდებაითას სახელითაც მოიხსენიებენ. ჩვენი ვარაუდით, რაილი და რაიდიო, რეკლოი (რელი), რალივეჟაჲ ერთი და იმავე შინაარსისა და ფუნქციის მატარებელი საკრალური სიტყვებია, უბრალოდ, რაიდიოში განსხვავებული ინტონაციია. თანაც სხვა მსგავსი საფერხულო წინადადებების სახელწოდებები უფრო ზოგადია (დიდუბათა, ლაქლებაშიშ დიადებ, ლაქლებაშ) და გადმოცემულია თვით ამ ფერხულის საწეო-რელიგიური ხასიათი თუ ფუნქცია. რაიდიო კი, როგორც ფერხულის სათაური, სიმღერის მთავარი საკრალური სიტყვები – პოო, პოიდიო რეკლოი – ჩამოყალიბდა როგორც რაიდიო, რამაც ის რაილის მსგავს საკრალურ სიტყვად გადააქცია. მოვიყენოთ რამდენიმე მაგალითი:

### 1. ლაქლებაშიშ დიადებ

ოდი, დიდაბ, დიდაბ, ხოშამ დერმათ,

პოი დიო პოი დიო რეკლოი.

### 2. დიდებათა

პოდი დიდებათა დილგტაიაშეედა

ოოპოო პოიდიო რეკლოი.

### 3. რაიდიო

პოო პოიდიო რეკლოი

დიდი, დიდი, პო.

პოლიო რელიო ხოშამ ღერმათ, პო.

სახელწოდება რაიდიოს წარმოშობა ეჭვს არ იწვევს, რაც შეეხება რელი, რაილი, რალიუჟიაჲ, ჩემი ვარაუდით, ეს დიდი დმერთის ეპითეტია, რაც ნათელს, დათიურ ნათელს, უნდა უკავშირდებოდეს.

## შგარიდა

ფერხელი შგარიდა საბრძოლო-მეომრული სიმღერების ჯგუფს ეკუთვნის. ის სვანების წარმატებულ ბრძოლას ეძღვნება ჯერ კიდევ დაუდგენელი უცხო ლაშქრის წინააღმდეგ. შგარიდასთან დაკავშირებული რამდენიმე თქმულება ასახულია დეშედერ ლაშეარსა (დეშედერის ლაშქარი) და ბიჩვი ლაშეარში (ბერის ლაშქარი). ჩვენი განსახილველი ფერხელი შგარიდა ეხება ეცერში ლაშქრის შექრებას, საბრძოლოდ წასვლას და უძლიერეს მრავალრიცხვან მტერზე გამარჯვებას. წარმატება იმდენად დიდი იყო, რომ, თქმულების თანახმად, მარტო ერთი მოამბე გამუშვეს ცოცხალი. ახლა ერთ მეტად საინტერესო ლეგენდას მოვყები, რომელიც მეოთხელსაც დააინტერესებს, ვინაიდან იმ ეპოქის ბრძოლის მოვლენები აფხაზეთსაც ეხება.

გასული საუკუნის 50-იან წლებში ზემო სვანეთს სტუმრობდა აკადემიკოსი ნიკო ბერძენიშვილი. სოფელ ეცერში მას უმასპინძლა ბაბუაჩემმა იასონ მურდვლიანმა. როგორც ბაბუამ მიამბო, ეცერში აკადემიკოსმა მეტად ნაყოფიერად იმუშავა და მისი ნაამბობიდან ერთმა ამბავმა ძალიან დამაინტერესა. საქმე ეხებოდა შგარიდას შექმნის ისტორიას. ბაბუამ მეცნიერი შეახვედრა გურჩიანების ერთ-ერთ უხუცესს, ილო გურჩიანს, და, აი, რა მოუყვა მას ილო გურჩიანმა: უძველეს დროში, როცა ჯერ კიდევ არ იყო გამოგონებული ცეცხლსასროლი იარადი, როცა მშვილდისრებით, ხმლებით, შუბებით იბრძოდნენ, დალის (კოდორის) სვანთა ხეობას შექითა უცხო ლაშქარი. ხეობა გაანადგურეს, შემოვიდნენ ახლანდელ ჭუბერში, მაშინ, აღბათ, სხვა სახელი ერქვა (ჭუბერი ზემო სვანეთის ქვედა ზონას ეკუთვნის, სამეგრელოს მხარეს). მტერმა ჭუბერიც მიმდებარე სოფლებიანად გაანადგურა. სოფელ ეცერში

სახელდახელოდ შეიკრიბა ლაშქარი, ქუდზე კაცი. დედისერთები სახლში და-  
ტოვეს. ყველა მოლაშქრე ანთებული ლამპრებით შეიკრიბა ეცერში, სოფელ  
ფხოცრეინის ტაძართან, გორაზე. ლამპრები კი მიუძღვნეს ჯგუფებს (წმინდა  
გიორგის). ლაშქარს შეხე აბრამი სარდლობდა. სვანთა ლაშქარი ჩავიდა ჩუბე  
ხევში და ჭუბერის მიმდებარე სოფლებთან განლაგებული მტრის ლაშქარი  
სასტიკად დაამარცხა. ერთი კაცი ცოცხალი დატოვეს და მოამბედ გაუშვეს.  
წვენი ანსამბლის რეპერტუარში შგარიდა საპატიო ადგილს იკავებს. ანსამ-  
ბლს სახელი წვენი გმირები წინაპარების პატივსაცემად შევურჩიე. რაც შეე-  
გბა მეომრების მიერ ანთებული ლამპრების მიძღვნას ჯგუფებისადმი (წმინდა  
გიორგისადმი), ეს მომენტი შგარიდას წინა ვარიანტებში არ იყო ასახუ-  
ლი. ინტერნეტში მოვიძიე 1960-იან წლებში გრიგოლ წინავაძის მიერ ზემო  
სვანეთის სოფელ ეცერში იასონ გურჩიანისაგან ჭუნირზე ნამდერი შგარიდა,  
განსხვავებული ინტონაციით, სადაც ნახსენები იყო მეომრების მიერ ანთე-  
ბული ლამპრების მიძღვნა, რამაც დამარწმუნა, რომ არსებობდა ილო გურ-  
ჩიანის მიერ მოყოლილი თქმულებაც შეხე აბრამის სარდლობით დიდი ომის  
გადახდის შესახებ. ამ თემაზე საუბარს განვაგრძობთ სიმდერა შეხე აბრამის  
განხილვისას. ახლა კი გთავაზობთ ფერხულ შგარიდას ტექსტს ანსამბლ  
შგარიდას მიერ მოძიებული ვარიანტის მიხედვით. მართალია, ტექსტის ძირი-  
თადი ნაწილი მაინც სხვა ვარიანტების ანალოგიურია, გარკვეული განსხვავე-  
ბაა მხოლოდ ინტონაციაში. ამ სიმდერას საცეკვაო რეფრენად წაგუმდევარეთ  
გლადიმერ ახობაძის წიგნში მოძიებული დღეისათვის ყველასთვის უცნობი  
სიმდერა თიხა რერა რამაშა.

## შგარიდა

შგარიდა ლაშგარიო  
რისედაა ხუილაა,  
შგარიდა ლაშგარი რისედა ხუილაო,  
პოო, შგარიდა ლაშგარიო რისედა ხუილაო,  
პოო, შგარიდა ფხუტრეერი ზუგიშა ინზორიალებ,

პოო, შგარიდა ფხუტრერიო ზუგიშა ინზორიოლალებ.

პოო, შგარიდა ლამპააარი აჩქედა თუითლააო,

პოო, შგარიდა ლაშგარიო აჩხედა თუითლააო.

პოო, შგარიდა ჟაბეეში ეცრიშა მახეო ღუაჟარ,

პოო, შგარიდა ჟაბეში ეცრიშა მახეიო ღუაჟარ,

პოო, შგარიდა ჩუაბეეში ეცრიშა მახეო ღუაჟარ,

პოო, შგარიდა ითიოო შურეხო ლაშქრიში მათხუმის,

პოო, შგარიდა ითიოო შურეხო ლაშქრიში მათხუმის.

პოი, ჩილმააი ჩედა შეხეეო მურზა,

პოი, ჩილმააი ჩედა შეხეიო მურზა,

პოი, შგარიდა ეჩუნდი ხოჩამა ჯულაბა,

პოი, შგარიდა ეჩუნდი ხოჩამა ჯულაბა,

პოო, შგარიდა ეჩუნდი ხოჩამა ნაწიფა,

პოო, შგარიდა ეჩუნდი ხოჩამა ნაწიფა,

პოო, შგარიდა ჟიუხოოკიდახო წირიო თალა,

პოო, შგარიდა ჟიუხოოკიდახო წირიო თალა.

შგარიდა ლაშგარ ისაი ხუილა,

ფიშირ ამ დრეუ ხოჩა გუჟი.

ოისა რეერო რამაშა,

ოისა პორი რირა რამაშა,

პეი პო რამაშა,

ოისა პორი რირა რამაშა.

რეფრენი ანსამბლმა შგარიდამ გააცოცხლა. სიმღერაში ლაპარაკია იმაზე,  
რომ:

შეიკრიბა ლაშქარი ფხუტრერის გორაზე,

მეომრებმა ანთებული ლამპარები მიუძღვნეს ეკლესიას,

ზედა ეცერელი ვაჟკაცები,

ქვედა ეცერელი ვაჟკაცები,

ირჩევენ ლაშქრის მოთავეს (სამხედრო დემოკრატია),

ყველაზე უკეთესი შეხემურზა,

მასზე უკეთესი ჯულაბა,

მასზე უკეთესი ნაწიფა.

ხელო აიღეს საბრძოლო კეტი და ორპიროვანი  
ნაჯახი წირიორო თაღა.

რეფრენი სარიტუალო შინაარსისაა, რაზეც მეტყველებს საქრალური ბგერები  
რამაშა (და არა რამაიდა), ჰორი რირას და პეტოს საგარაუდო მნიშვნელობაზე  
წინა თავებში უკვე ვისაუბრეთ.

## პარირა რირა

ვლადიმერ ახობაძის წიგნში ქართული (სეანური) ხიმდევრები (გვ. 45) ჩვენი  
გურადღება მიიქცია სანოტო ჩანაწერმა პარირა რირა. მოვახერხეთ მელოდიის  
ერთ (მეორე) ხმაში ჩაწერა, რაც ანსამბლ შეარიდასთვის საქმარისი აღმოჩნდა,  
გაგვეცოცხლებინა ეს მეტად მნიშვნელოვანი და საინტერესო ხიმდერა, რომ-  
ლის საქრალური ბგერებით აქინძული ძირითადი აღნაგობა აშკარად საწესო-  
სარიტუალო ხასიათისაა. პარირა რირა ინტონაციითა და შინაარსით სრულიად  
განსხვავდება საქართველოში საყოველთაოდ ცნობილ მეგრულ სიმდერა პარი-  
რასაგან. ძველი სვანი მომდევლები საუბრის დროს ხშირად უსვამდნენ ხაზს,  
რომ არსებობდა სვანური პარირაც, რომელიც უკვე დავიწყებულია. მადლობა  
დიდ ხელოვანს, რომ მოგვეცა საშუალება ჩვენი წინაპრების მიერ შექმნილი ამ  
მუსიკალური ხელოვნების ნიმუშისათვის მეორე სიცოცხლე მიგვენიჭებინა და  
საზოგადოებისთვის ასე მიგვეწოდებინა.

აქვე პატარა განმარტება: სანოტო ჩანაწერში აღნიშნული სიმდერის სათაუ-  
რია პარირა რირა. შემდეგ ტექსტში უკვე ყოველი მუხლის საწყისი სიტყვაა  
არა პარირა რირა, არამედ პორირა რირა. ვინაიდან თვითონ სიმდერის სა-  
თაურია პარირა რირა, ასევე გაგვაჩნდა პარირას სვანური ერსიის არსებობაზე  
ინფორმაცია, თანაც სიმდერაში ყოველი მუხლის საწყის საქრალურ სიტყვად  
პარირას ჩასმა თვით ინტონაციასა და ტექსტში გარკვეულ დისონანსს იწვევდა,  
ჩემი აზრით, სწორი გადაწყვეტილება მივიღეთ: პორირა პარირათი შევცვალეთ.  
გთავაზობთ ტექსტს:

## პარიტა რიტა

პარიტა რიტა პოლორი რიტაა

პარიტა რიტა პოლორი პორიტაა

პარიტა რიტა პორი პორი პორიტაა

პარიტარ რიტა პორირარი პორირაა

ამ საწეო-სარიტუალო სიმღერას შეარიდა ორპირულად ასრულებს. ვიწყებთ ცერეულით და შემდგა იმავე სიტყვებით ცეკვით ვამთავრებთ.

## შინა ორგილ

საწეო-სარიტუალო სიმღერა შინა ორგილ არა მარტო საქართველოში, არამედ მსოფლიოშიც ცნობილი და თითქმის ყველა ანსამბლი ასრულებს. ის ფაქტობრივად სახალხო სიმღერად იქცა, თუმცა არავის აინტერესებს ამ ეწ. საცეკვაო სამეჯლისო სიმღერის არსი, რა შინაარსის შემცველია ყველასოვის უცნობი სიტყვები და ბერები, არადა ამ სიმღერის სულ სამ მუსიკალურ სიტყვაში ასახულია მიწის ნაყოფიერების და ღოვლათის გამოთხოვის მთელი პროცესი.

ჩვეულებრივ, ჯერ ვაგვცნოთ ტექსტს:

შინა პორგილ, პორგილ ოისა,

პორ შინა პორ გეგმ-

წინა თავებში ლაბსყალდური კვირიას განხილვის დროს ყურადღება მივაქციეთ საქრალურ სიტყვა შენავს. ვთქვით, რომ ოჯახის, თემის თუ ქვეყნის კეთილდღეობა, მაღალი ნაყოფიერება, ბარაქა, გამოიხატება ერთ სიტყვაში – შენატ.

სწორედ შენატის აზრია ჩადებული ამ უძველეს საწეო-სარიტუალო სიმღერის საკრალურ სიტყვაში შინა.

შინა პორგილ პორგილ პოისა (პოისა)

პორ შინა პორ გეგმ –

გი-გიმ სვანურად მიწაა, დედამიწაა, ხოლო დედამიწის სვანური ღვთაება არის გა. პორ სავედრებელ-სადიდებელი საკრალური სიტყვაა. გილ, გიმ – მიწა. საბოლოოდ კი მივიღეთ საწეო-სარიტუალო და მაგიური შინაარსის ჰიმნი, რომელიც მიწის ღვთაებისაგან, მიწისგან, მაღალ ნაყოფიერებას და ღოვლათის გაზრი-

დას გულისხმობს. ესეც შინა თრგილ.

## შეხე აბრამ

ოო, შეხე აბრამ,  
შეეეიხეე ჰოო შეეეიხე  
აბრამსოოდა ქროომსიოოო  
ჰოოოი თიპა თოპა  
ოო თინათულა  
თეეეინა ოო თეეეინა  
თუუირაამსიოდა ქროომსიოოო  
ჰოოოი თიპაა თოპა  
რირავრირა ოიდა აუთანდილ,  
პორერა ჰოოიდა აუთანდილ,  
ჰოოდა აუთანდილ ტაბგიშ თხუმას,  
ჰოიდა, აუთანდილ,  
პორერა ჰოოიდა, აუთანდილ,  
ჰოოდა ჩანგ ი ჭუნირ შის ლოლურმედ,  
ჰოიდა, აუთანდილ.  
პორერალ ჰოოიდა, აუთანდილ,  
ჰოოდა ოლდირალად, ოლშდირალად,  
ჰოოიდა, აუთანდილ,  
პორერა ჰოოიდა, აუთანდილ,  
ჰოო რირა რამაშა რერა  
ჰოო რირა რეეერა.

შეხე აბრამის სიმდერის ტექსტის პირველი ნაწილი პიმინა, რომელშიც  
საკრალური ბეგრებით შეხე აბრამისა და თინათის (თინათულის) ქქბა და  
დალოცვაა ასახული. ამ ტიპის ბეგრების მნიშვნელობაზე უკვე ვისაუბრეთ.  
სამწუხაროდ, ქრომსიო (ქროომსიო) ვერ ავხსენით. ერთი კი ცხადია: ისიც  
საკრალური სიტყვაა და სადიდებელ ბეგრათა და სიტყვათა რიგში უნდა გან-

გიხილოთ, თუნდაც როგორც ეპითეტი, ანდა დროთა განმავლობაში შეიძლება სახე იცვალა და დღეს ასევა წარმოდგენილი.

აღნიშნული პიმნ-სიმღერის მეორე ნაწილი ავთანდილს ეძღვნება. წარმოგიდგნოთ მის ქართულ ვარიანტს:

რირავ რირა ოიდა, ავთანდილ,  
პორირა პორიდა, ავთანდილ,  
პორდა, ავთანდილი სუფრის თაქსა,  
პორიდა, ავთანდილ,  
პორერა, პორიდა, ავთანდილ,  
პორდა ჩანგი და ჭუნირი ხელთ ავიდოთ,  
პორიდა, ავთანდილ,  
პორერა, პორიდა ავთანდილ,  
პორდა, ვიმღეროთ და ვიცემვოთ,  
პორიდა, ავთანდილ,  
პორერა, პორიდა, ავთანდილ,  
პორ რირა რაშშა რერა.

რაც შეეხება სიმღერის ტექსტს და შინაარსს, უცნაურია, მაგრამ ლაპარაკია, არც მეტი, არც ნაკლები, კეფხისტყაოსნის გმირებზე, ავთანდილსა და თინათინზე. თუმცა არსებობს სეანური პოეზიის ნიმუშები ავთანდილი და შეხე აბრამ, რომლებშიც სიუჟეტი სულ სხვა მიმართულებით ვითარდება. თანაც აქ (ორივე ლექსის თემა ერთი და იგივე) შეხე აბრამია მთავარი ფიგურა, თინათი კი მისი მეუღლეა. ორივე ლექსში ავთანდილი თინათს რძალს უწოდებს და მათ შორის დიდი და-ძმური სიყვარულია. ამ გრძნობითა და სიყვარულით აცილებს თინათი სანადიროდ ავთანდილს, რომელიც ნადირობისას გადაეყრება მტერს და უთანასწორო ბრძოლაში იღუპება. ეს ლექსები გამოქვეყნებულია სეანურ პოეზიაში (გვ. 338-392), რომელშიც აკაკი შანიძის, ვარლამ თოფურიას, მ. გუჯეჯიანის და სხვათა მიერ მოძიებული პოეტური ქმნილებები და ლექსად თქმული ლეგენდებია შესული, თან ამ თქმულებებზე მითითებულია, რომ გადაკეთებულია ქართულიდან. რა თქმა უნდა, ქართულიდან გადაკეთებაში საგანგაშო არაფერია, მაგრამ პიმნ-სიმღერა შეხე აბრამში ავთანდილიც და შეხე აბრამიც თითქოს ისტორიული

პირებია. ამას ადასტურებს ორი გარემოება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ნიკო ბერძენიშვილი ბაბუახემმა იასონ მურდვლიანმა შეახვედრა უხუცეს ილო გურჩიანს, რომელმაც მეცნიერს მოუყვა, თუ როგორ დაამარცხა სვანების ლაშქარმა კოდორის ხეობაში, კერძოდ ჭუბერში, ძლიერი აგრესორი. სახ-ელდახელოდ ეცერში შეგრებილ სვანთა ლაშქარს, ილოს თქმით, სარდლობ-და შეხე აბრამ. სხვა ინფორმაცია ამ პიროვნების შესახებ ვერ მოვიპოვე-ალბათ, ნიკო ბერძენიშვილის პირად არქივში მაინც იქნება ილო გურჩიან-თან მისი საუბრის ჩანაწერი. ამ საუბარს ესწრებოდა ბაბუახემი იასონ მურ-დვლიანი, რომელმაც ეს მე მიამბო. თვით სიმღერის შესავალი ჰიმნი, თავისი საქრალური სადიდებლით, ნათელი დასტურია იმისა, რომ შეხე აბრამი და თინათი ეკუთვნიან არა მარტო საერო მაღალ იერარქიას, ასევე ისინი არიან რაღაც დიდი მოვლენის და ეპოქის გამოჩენილი ადამიანები. რაც შეეხება თვით შეხე აბრამს, ალბათ, საინტერესოა შეხეს განმარტება. შეხე, ანუ შიხ – შავი. შიხ სიტყვა-სიტყვით ნახშირია, თუმცა სვანურ საქრალურ სივრცეში მას სხვა ფუნქცია გააჩნია: შიხ, შეხე დათავებრივი მსხვერპლის, მოწამეო-ბრივი მსხვერპლის, სიმბოლოა. ესენი იყვნენ რადაც საიდუმლო ორდენის წევრები, რომლებიც მშვიდობიან დროს, როგორც დათის მოსავნი, გამორ-ჩეულ როლს ასრულებდნენ და ემსახურებოდნენ ხალხს. ხოლო ომიანობის ქამს, თავიანთი პირადი მრავალმხრივი ფიზიკური საბრძოლო მომზადებით, გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ ბრძოლაში. ამ თემაზე ვესაუბრე ცნო-ბილ პოეტსა და საზოგადო მოვლაში ერეკლე საღლიანს: „ხალხის წინამდ-დოლთა სახელისათვის წამდლვარებული შავი ნიშნავს, რომ ისინი რიგით მოკდაგთა წარმოდგნაში შავი ბედისანი არიან. ამ შავ ბედთან დაპავ-შირებულია ის, რომ ისინი პირველი იდებენ მოძალადე მტრის დარტყმას და, საჭიროების შემთხვევაში, პირველი ეწირებოდნენ თავისუფლებისათვის ბრძოლას... შავ ფერს ვაჟკაცი რომ აირჩევდა, ნიშნავდა, რომ ის წინასწარ მზად იყო, თავი გაეწირა. მათ სვანეთში შეწირულებსაც უწოდებდნენ. ბევრი იყო ისეთიც, რომელნიც თავის გამორჩეულობას მაღავდნენ და მხოლოდ განსაცდელებისას ამჟღავნებდნენ თავს.“

როგორც ჩანს, შავი ბედის რაინდული კასტის წევრი გახლდათ შეხე აბრამიც. აქვე მოგაწვდით ამონარიდს ლექსიდან შეხე აბრამ.

## შეხე აბრამ

შეხე აბრამ რას ირჯები  
სამსახურსა და ღვთისასა?  
ავთანდილ ზის სუფრის თაგსა  
მარტო ნიფხავ-პერანგითა,  
ჩიტი სუფრა წინ უდგია,  
ვოქროს კათხა ზედ უდგია,  
ვოქროს ჩანგი ხელთ უჭირავს,  
ილექსება, იმდერება  
თინათ საგძალი გვიბოძე  
ჭალას წავალ სანადიროდ,

ირემს მოგელავ თაგს მოგიტან...

ამ ლექსის მიხედვით, შეხე აბრამი ღვთისმსახურიც არის და შავი ბედის, მოწამეობრივი ცხოვრების აღმასრულებელიც. ავთანდილზეც არის შესაბამისი მასალა, კარგა მოზრდილი, ლექსად დაწერილი საგმირო ეპოსი. მას, როგორც შეხე აბრამს, ისტორიულ პირად მიიჩნევენ სვანები. ამის დასტურად მოვიყვან მე-19 საუკუნეში მოღვაწე ლაზარე დადგანის წერილში მოყვანილ ერთ ეპიზოდს: „თავისუფალი სვანეთის ერთ-ერთ სოფელში ტარდებოდა სოფლის თავყრილობა, ისმოდა ახალგაზრდების სიმდერა, ცეკვა-თამაში. ამ სანახაობას უყურებდა ერთი ხანში შესული კაცი და ოხრავდა იმაზე, რომ ახალგაზრდობამ დაიგიწყა მამა-პაპათა სიმდერები და რაღაც ახალი მოდისას მდერიანო. ბოლოს ვერ მოითმინა, ყავარჯენი გვერდზე გადააგდო და მივიდა მის ტოლ კაცებთან, დაიყოლია და გააძეს ძველი სიმდერა და ფერხული. როცა სიმდერა დაამთავრეს, ამ მოხუცმა უთხრა ახალგაზრდებს: „უყურეთ, შვილებო, თქვენი სიმდერის მაგივრად ასე იმდერეთ, თქვენ ამაზე უკეთეს სიმდერას ვერ შემოიღებთ, ისწავლეთ სიტყვები, კილო და ფეხის აწყობა... ვის ნახავთ თამარ დედოფლის, ამირანის, ავთანდილის, გიორგი ერისთავის მსგავს კაცებს, რომლებზედაც უნდა გამოსთქათ ლექსები“ (გაზეთი დროება, 1876 წ. №98). ავთანდილის სიმდერას ასრულებდნენ დეჭ-დერ ლაშგარის პიმნ-ფერხულის შესრულების დროსაც (ინფორმაცია მომაწოდა ზემო სვანეთის ფარის თემის მკვიდრმა, ამჟამად დმანისში მცხოვრებმა, ნელი

გადრანმა). ღეშდერი სოფელია ფარის ოქმში. და ბოლოს: ჩემი ვარაუდით, შეხე აბრამსა და ავთანდილზე თქმულება-ეპოსი არ შეიძლება ჩაითვალოს ქართული-დან გადაკეთებულ სიმღერებად (ლექსებად), ვინაიდან სვანური ვერსიები სიუ-შეტურად არ ემთხვევა გეფხისტეათხის გმირების თავგადასავალს, მით უმეტეს, როცა სვანურ ვერსიებში მთავარი მოქმედი პირი არის შეხე აბრამი, რომელიც ფაქტობრივად ითვლება ავთანდილის მმად ან ოჯახის უახლოეს წევრად, ხოლო თინათი რძალია ავთანდილისა. თანაც მათზე შექმნილი პიმნ-ფერსული შეხე აბრამ და სიმღერა ავთანდილზე უცავშირდება მომხდურებთან სვანთა ლაშქრის წარმატებულ ბრძოლას, გადაკეთებული ვერ დაერქმევა.

## მურზაყან (კონსტანტინე) დადეშექლიანი

სიმღერა ეძღვნება სვანეთის (ჩუბე ხევის) უკანასკნელ მთავარ მურზაყან (კონსტანტინე) დადეშექლიანს, რომელმაც მოკლა ქუთაისის გუბერნატორი ალექსანდრე გაგარინი. ამ ფაქტოან დაკავშირებით სხვადასხვა ვერსია არ-სებობს. ზოგი ცდილობს ეს დაუკავშიროს შიდაეროვნულ დაპირისპირებას, ასევე სამეგრელოს დედოფალ ეკატერინე ჭავჭავაძესთან დაძაბულ ურთიერთობას, თუმცა ესეც, ჩვეულებრივ, რუსეთის იმპერიის პოლიტიკის შედეგია: რუსეთი თვლიდა, რომ სვანეთის და კავკასიის დაპყრობა გაუჭირდებოდა, მთელ სვანეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში დიდი ავტორიტეტის მქონე ძლე-გამოსილ მურზაყან დადეშექლიანის კავკასიიდან მოუშორებლად და გად-აწყვიტეს, სომხეთში გადაესახლებინათ. შემოგთავაზებთ სიმღერა მურზაყან (კონსტანტინე) დადეშექლიანის ტექსტი:

სოლისტი: შაირადა, ოი, მურზაყან დაჩქელიან,

გუნდი: ჰო ჰო ჰორერა ჰოოორერა შაი.

შაირადა ლაირ ეჯკად ჯოდია წეტხენ,

ჰო ჰო ჰორერა ჰოოორერა შაი.

შაირადა ლგჲერ ხირი ქუთაშთე,

ჰო ჰო ჰორერა ჰოოორერა შაი.

შაირადა ჟილოპგნირ ბაჩა მიშგუ

შემდეგ ამ სიტყვებით გრძელდება სიმღერა:

ჩუ მეწდელხუ ლაკი ბოგთვ

ბიუ ლამხტიდ აფრასიძე,

ბაჩა მიშგუ მიჩ ლოხებერჟუ

ქა მეწდელხუ ქუთშშოვ,

ბულუარლექტა ესლტრი ქუთშშ,

ღტაქტრ ლახე სგა მესტელიხ,

მიშგუ პატრონს ხენტიალეხ,

სგა ხუ გუბერნატორთვ

ეშდიარ ორებც სალდათ ხაცხიპ,

ამღა მი დესა თნფეშა,

სგა მეწდე ხუ ქორთეისგა,

გუბერნატორ ჟი ლაგგან უღნათევი

სი აგრად ხოლა მუშუან,

იმეგ ხარდას ამზუმ ხანს?

მი ხოლა მუშუან იმჟი ხუირი?

მი ხუ პირუელ დაჩქელიან,

დედე მირი დადიან,

დეცე ამტჭუსგაშ მაჯონ.

დაშნაშ გაგარინს თხუვიმ ჟი ოხქუაჭუც,

თხუიმი ნაჭუიც პოლე ხომას.

სი აგრად ხოლა მუშუან,

თხუიმი ნაჭუიც დაჭურ, ერე

დაგრა მიშგუ მშვ ჯიგდენდა?

ქაუ მისკინა ქორხენქა,

ყარულარ მიჩა ჟი მიხუიტა,

ქაუ მისკინა თხუიმ ლაშადთვ,

სგა მეცდე ხუ ლიცემ პილოვ,

ქაუ მიკუარა ფაფუა მიშგუ,

ჩუ ხუაპეჟა ბოგგლდ ჩუქუან,

ჯარ ღტეშგიმ ფაფუს ლახლუჟა,

მი პოგ ჩუქუან ჩუ ხუაპეჟა,  
ეშხუ ზურალ ქაუ მაწედა,  
ეჩნემ ქაუ ხათონე თხტიმა მიშბუ,  
ჟიუ ხოჭონა ჯარს ღურეშგმატ,  
სგაუ მაშგდას მურგუალდ ჯარელდ,  
ჩუ ხოდგარას დაჩქელიან.

### **ქართული გარიანტი:**

ოი, მურზაფან დაჩქელიანი,  
წიგნი მოგივიდა შორიდან,  
გამოგიძახეს ქუთაისში,  
შემიკაზმია ჩემი ცხენი ბაჩა.  
ჩავედი ლაკის ხიდთან,  
ბაუ შემხვდა აფრასიძე,  
ჩემი ბაჩა მას ჩავაბარე,  
მე წავედი ქუთაისში (ან შევედი ქუთაისში).  
ქუთაისის ბულვარზე მივდივარ,  
ვაჟაცები რომ მხვდებიან  
ლოცავენ ჩემს აღმზრდელს (პატრონს),  
შევედი გუბერნატორთან,  
თორმეტ ორკევან სალდათი არტყია,  
ამან მე არ შემაფერხა.  
შევედი გუბერნატორთან,  
გუბერნატორი წამოდგა,  
შე მართლა, ცუდო სვანო,  
სად იყავი ამდენ ხანს?  
ცუდი სვანი როგორ ვიქნები,  
მე ვარ პირველი დაჩქელიანი,  
დედა მყავს დადიანი,  
ცის ვარსკვლავის სადარია.  
ხმლით გაგარინს თავი მოვაჭეო,

რომელიც იატაკზე გაგორდა.

შე მართლა, ცუდო სვანო,

მოჭრილმა თავმა მითხრა,

ჩემი მოკვლა რად გინდოდა?

გადავხტი სახლიდან,

მისი ყარაულები გავწყვიტეს,

უპან დიდი ჯარი გამომექიდა,

მდინარის პირს მივადექი,

ქუდი მდინარეში გადავაგდე,

მე კი ხიდქვეშ დავიმალე.

ერთმა ქალმა დამინახა,

იმან ჯარს აჩვენა ჩემი თავი,

ჯარი დაბრუნდა და დამესიენ,

დაჩქელიანი მოკლეს.

რესეთმა დადეშქელიანის მოშორებით მაქსიმალურად ისარგებლა. შეიქმნა სახლმწიფო კომისია და მისი სამფლობელოები ჩრდილოეთ კავკასიაში, კოდორის ხეობაში, სამურზაფანოსა და სამეგრელოში სახაზინო საკუთრებად გამოაცხადა.

აღნიშნული სიმღერა ვლადიმერ ახობაძის ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებულის სანოტო ჩანაწერის მიხედვით აღადგინა და ახალი სიცოცხლით წარუდგინა საზოგადოებას ანსამბლმა შვარიდამ.

## უარედა

სიმღერა სამგლოვიაროა. ეძღვნება სანადიროდ წასულ თრმოცი უშბულელის ტრაგედიას. მთით მოწყვეტილი ზვავის შედეგად ორმოცი ვაჟკაციდან მხოლოდ ერთი გადარჩა. გასული საუკუნის 80-იან წლებში უშბულის მომღერალ ჯგუფთან შეხვედრისას ჩავიწერე ეს სიმღერა. ჯგუფის წევრები: როლანდი ჭელიძე, კოლია ნიკარაძე, უორდან ჭელიძე, ჯოტო.

წარმოგიდგენთ საკონცერტოდ შერჩეულ სიმღერის ძირითად ნაწილს. სიმღერა ორპირულად სრულდება.

## **ქარედა**

ქარედაო უშგულო ლასმანა,  
ხელღუაიო ქარე,  
ქარედაიი ხიუზირიოო რალედაა  
ლეთნიიო ლადედ,  
ქარედაიი ლათხუაიო რალეთა  
ხიმარა რალედ,  
ქარედაიი ქაუხაიო გენადა  
სოფელ ხადნქა  
ქარედაი ქაუხააიოძგუებაო  
ნამყუაიო გორა  
ჰატმაა, ჰატმა, ხელღავარე  
ნოს გუიყუილა ლაც ლამაგუი  
ჰატმა ჰატმა ხელღავარე  
თოფარეი ისგუეი ჰაუჯარე  
ჰატმა ჰატმა ხელღავარე  
მუსას ხაჩდა ქსაში

## **ქარედა**

უშგულელი ვაჟპაცები  
თათბირობთ (საუბრობთ) დღე და დამე,  
ემზადებით სანადიროდ,  
გზას გაუდექით სოფლიდან,  
მიადექით ნამყვამის მთას.  
ზვავი მოწყდა ნამყვამის მთიდან  
ჰაიტ, ჰაიტ, ვაჟპაცებო,  
არ გაგიყვიათ ტოლებს გულები,  
ჰაიტ, ჰაიტ, ვაჟპაცებო,  
თოფ-აბჯრები თქვენი

პაიტ, პაიტ, ვაჟქაცებო,  
თოვლსა და ქარბუქს შეერიეთ.

## ლაგუშედა (შეგვეწიოს)

ლაგუშედა სარიტუალო-რელიგიური სიმღერაა და რამდენიმე ვარიანტად იმღერება ქვემო სვანეთში. ლაგუშედა, მთავარანგელოზის სადიდებელი პიმნი, ზემო სვანეთში, ჩუბე ხევში, ლაშხრაშის მიმდებარედ არსებულ დიდი ღმერთის სახელობის (ფუსდ მუჭაშ) ტაძარში დაუნჯებულ დიდი ღმერთის მადლს (ყერიშს) ეძღვნება.

## ლაგუშედა

